

საქართველოს  
საბჭოთავო  
საზოგადოებრივი  
მედიის ცენტრი

ISSN 0132-1307

# საბჭოთავი სელოვნება

3  
1979

3/1979



# საბჭოთა სენსიტივობა

საპარტეზლოს სსრ კულტურის სამინისტროს  
უძველესი ქურნალი

## შინაარსი

|  |     |
|--|-----|
| მიკოლა ბაგანი —<br>ნაწი და ვაჭარული მხატვარი . . . . .   | 3   |
| ეთერ ზუგუშვილი —<br>სინილა თაქარული . . . . .  | 9   |
| მრეხის აკადემიური თეატრი თბილისში . . . . .  | 21  |
| ირინე აბესაძე —<br>პარტული ფორმების ექსპრესიონისტული ტენდენციები<br>(1914—1921 წწ.) . . . . .          | 22  |
| სოლომონ ხუციშვილი —<br>პარტულა შორის წარსულთან განმარტვლებული სა-<br>წარმოება . . . . .                | 30  |
| ელისაბედ ბლანჩიკაძე —<br>რევაზ ბაგინაძის ბაღები „მოდია“ . . . . .                                      | 34  |
| ეფემია ხარაძე —<br>ლალო მისინიშვილი — თეატრული განმარტვების ორბა-<br>ნიზატორი . . . . .                | 35  |
| ეთერ შავგულიძე —<br>მხატვარი ბაიანი ხანატორიანი . . . . .  | 42  |
| რუსუდანი ვაშალიძე —<br>ხის ანგნები მძელი თბილისის არქიტეტურაში . . . . .                               | 44  |
| გულბათ ტორაძე —<br>ანასტასია ვირსალაძის კინისტური სკოლა . . . . .                                      | 53  |
| ირინე კუჭუხიძე —<br>მიხეილ კობახიძე . . . . .  | 58  |
| ლაურა ბენარაშვილი —<br>ფიხირი აკაქოვილის გოლგოთა გოსკოვის სამსი-<br>კო-სამთროგოვიო კომისიაში . . . . . | 62  |
| კიტი შაჩაბელი —<br>ტარდინიანის პროლეტარა შუა საუკუნეების პარტული<br>ორგანიზატორი . . . . .             | 68  |
| იაკობ ბალახაშვილი —<br>პირველი პარტული სენისმოქმადი კალბი.<br>(ქეთევან ჯამბაკურ-ორბელიანი) . . . . .   | 77  |
| აკაკი ვასაძე —<br>გოგონებები და ფიქრები . . . . .  | 82  |
| ლეილა თაბუკაშვილი —<br>სოლიკო ვირსალაძე — 70 . . . . .   | 93  |
| იუჯინ ონილი —<br>სიმარტული თელეგრაფი (პეტსა) . . . . .   | 94  |
| კობე მარტანიშვილის საბალოვის პრემიის ახალი ლა-<br>ნობები . . . . .                                     | 112 |
| ქრონიკა . . . . .  | 113 |

**თეატრი  
მუსიკა  
მხატვრობა  
კინო  
არქიტეტურა  
ჟურნალიზა**

მთავარი რედაქტორი  
თამაზ ვილაძე  
სარედაქტორო კოლეგია:  
აკაკი ბაჩრაძე,  
ვახტანგ ბერიძე,  
ნოდარ გუგუშვილი,  
ჯუშუბა თითოგინა  
(განმარტვლებული მდივანი),  
ვანო კიხიაძე,  
ნოდარ მგლოზლიშვილი,  
ჯურაბ ნიშარაძე,  
გივი ორგონიკიძე,  
ნათელა ურუშაძე,  
რევაზ ჩხიშიძე,  
ანდრო წულუკიძე,  
ნიკო ვახვაშაძე.



# 8 მარტი

## ქალთა სამართაშობრის დღეა!

### ნაზი და ვაჟკაცური მზატვარი

მიკოლა ბაჟანი

იმი ცეკვადა. ოქროსფრად, მეწამულად, ლურჯად ფეთქავდა და ხმიანება შემოდგომა, როგორც ტანადი და ლამაზი მამაკაცების აზავთებუ-ლი სამხმიანი გუნდი. წრე მჭიდროდ შერკული-ყო. მატულობდა, ძლიერდებოდა ტაში, ისმოდა ფიცხელი შეძახილები, ცეცხლი კვიდებოდა ისე-დაც ცეცხლოვანი ცეკვის რიტმს. ქართველი ქა-ლისათვის შესაფერისი სიზვიადით დაასრიალებ-და მოცეკვავე თითქმის უძრავ, ნახსა და გრა-ციოზულ სხეულს. მხოლოდ ხელები ირხეოდნენ, მხოლოდ თითები თრთოდნენ. გვეგონებოდა, თი-თოეული მათგანი წკრიალებსო, როგორც სალა-მური, როგორც ფანდურის სიმები, როგორც ვოლისის ქნარი, სადაც ყოველი ჰანგი განცალკე-

ვებუღია, ყველა ერთად კი პოლიფონიური პარ-მონიით ერთმანეთშია გადაწნული.

იგი ცეკვადა სურამის განაპირა ბუნების სა-უფლოში, საიდანაც მოჩანდა ბად-ვენახებით და-მშვენებული სახლების წითელი სახურავები. სიმ-წიფე ეპარებოდა ცერისისმსხო მარცვლებიან მტე-ვნებს, რომელთა გამჭვირვალე წვენი მალე განთ-ქმულ ვარდისფერ ღვინოდ უნდა ქცეულიყო. ირ-კვლივ იდგა ხვავრიელი შემოდგომა, შორიასლო კი წამომართულიყო ბებერი სურამის ქედი. ეს სიდიადე და სილამაზე ერწყმოდა დახვეწილ ხალ-ხურ რიტუალს, რითაც საკეთესა და უკვდავებას ეთავყვანებოდა ხოლმე.

იგი ცეკვადა იმ დღიად ქალის ხსოვნის პატივ-საცემად, რომელმაც ოცდაათ წელზე მეტი ხნის წინათ დასაწმენდობებელი მზერა მოავლო ამ ბრძენ, ლურჯი ტყეებით დაბურულ მთათა კა-ლთებს, იმ ადამიანთა კეთილ და დამწუხრებულ

თანარ აბაკელია  
ლუსია უკრაინკის პორტრეტი

მარტის სხ. სეგ  
საქართველოს  
განმანათლებლო  
სისტემა

სახეებს, რომლებშიც იგი ოთახიდან სავარძელში ჩამჯდარი გამოიყვანეს, რათა ქალის სწულ მკერდს უნასანკნელად ჩაესუნთქა ქართულ რიტორიკულ მონაპეის სიო, სიო რწმუნისა, ლტოლვისა, ნების-ყოფისა. ის. ვინც მთელი ცხოვრება შემართებულურად და ამბოხით გალია, კვდებოდა მორჩილად, ერეოდა ტკივილს და უკეკელია, სულის აღრმეს კუნჭულში გრძნობდა სიბოხსა და ალერსის ერისას და მარადისობის მზრუნველი ხელუბნისა, რომლებიც უკვე გამოწვდილიყვნენ მისკენ.

ასე კვდებოდა უკრაინის უდიდესი ქალი, უძლიერესი სულის პიროვნება, რომელმაც სძლია სხეულის სისუსტე, მოთოკა ნალგელი, არ შეეპუა გულდატეხილობას და იმდროინდელ მსოფლიო ლიტერატურაში მართლაც იყო ყველა მამაკაცზე უფრო ვაკაცაური, როგორც ეს სწორად შენიშნა მისმა გენიოსმა თანამედროვემ<sup>1</sup>.

აქ, სურამში, შეიკრიბნენ კოლმეურნეები, მუშები, ინტელიგენცია არა მარტო ახლომდებარე სოფლებიდან და ქალაქებიდან—ხაშურიდან, გორიდან, ბორჯომის ხეობიდან, არამედ ქუთაისიდან, ღონიდან, თბილისიდან, თელავიდან, სადაც ოდესღაც უცხოვრია და ნაწარმოებები შეუქმნია უკრაინულ პოეტს. მათ მოჰყვა უკრაინელი და რუსი მწერლების ჯგუფი, რათა ერთობლივად ეცათ პატივი ხელოვანისათვის, რომელმაც თავისი უქანავი იარაღი—სიტყვა მეგობრობისა და ძმობის სადარაჯოზე დააყენა.

საზეიმო შეგების მერე მოკრძალებით მოვიანხულეთ ბალი, სადაც ჩაიარა ლუისას ცხოვრების უკანასკნელმა წუთებმა. მოვიდნენ მოხუცი სურამელებიც, რომლებსაც ასსოვდათ შორეული კვივიდან ჩამოსული სწული, მაგრამ სათნო და ალერსიანი ქალი. მერე ყველანი ჯგუფებად გავემართეთ მდელოსკენ. გვეწადა ადამიანური ყოფის წარმავლობის წინაშე მუხლმოდრეკით კი არა, ღირსეული სიმღერით შეგვესხა სიტყვა უკვდავებისათვის. საერთო სადღესასწაულო გრძნობებით, აღმაფრენითა და შთაფრენით შეკავშირებული გლუხებით, პოეტები, არტისტები, მომღერლები, მხატვრები ერთ განყოფილ კოლექტივად შეიკრინენ. უშუალოდ და ძალდაუტანებლად ერწმუნა ქართული ხელოვანი თავიანთ მამყენლებსა და მამყურებებს. როცა აწკრიალდა ჩონჯური, აგუგუნდა დოლი და აქუხდა ტამი, სწორედ რომ უშუალოდ და ძალდაუტანებლად გამოვიდნენ საცეკვაო წრეში ნატო ვანძაძე, ნინო ტაბიძე, თამარ აბაკელია. ვინ იფიქრებდა, რომ მორცხვ თამარს, მამინ უკვე ცნობილ მოქანდაკესა

და მხატვარს, მოცეკვავის ნიჭიც ჰქონდა მომადლებული! ცეკვის ხელოვნებით ის ვერ შეეკიბრებოდა სახელგანთქმულ მხასიბოს, მომხიბლავ და შეუდარებელ ნატო ვანძაძეს, მაგრამ ორზომილი, უნაკლო პლასტიკური მობრახობით, ორგანული რიტმული გადასვლებით, პოზებისა და ნაბიჯების რელიეფურობით იგი გვაჯადოებდა და გავატყებდა. იგი აქაც მოქანდაკე გახლათ.

მისი ცეკვა არ იყო სრულყოფილი მწვერვალი. იგი შემოიფარგლებოდა რამდენიმე უარსებითსი ხაზით, რომელთა მიღმა იგრძნობოდა მოთოკილი ემოციების სისასვე, ქართული ქალისათვის ოდითგანვე ჩვეული თავმოყვარეობის, სიამაყისა და საკუთარი ღირსების შეგნება.

იგი ცეკვავდა. მე აღტაცებული შევიტყუროდი. ვაკვირდებოდი მისი თხელი ხელების სინარნარს, ნახი თითების მსუბუქ და პაეროვან თრთოლვას. ფიქრობდი: როგორი ენერგიულნი და ძლიერნი უნდა იყონ—მეთქი ეს ხელები, როცა მკვირი თიხისაგან მტკიცედ ძირწავენ ჩაფიქრებულ ფორმებს, როცა ჩაქუჩის ზუსტად და მოსხლებილი დარტყმით კვერავენ სპილენძს, როცა ფუნჯის უნაზუსტი მოსმით გუაში ქაღალდის შრილა ფურცლებზე გადააქვთ, ან კიდევ როცა სამართლი ბასრი პირით ნახატს ზედმეტ საღებავს ამორებენ, დიდებულა და სიხარულის მომგვრელი იმ შეჯარული ნიჭის ამობრუნა, რომელსაც ადამიანში უკვებ ვერ შეამჩნევ. იგი გამოიზრეოდება შთაგონების ჟამს, როცა ექსტაზი და რიტმი გაარღვევენ ხოლმე ჩვეულებულ თავდაჭერილობასა და მოკრძალებას. ამგვარი წამი აოცებს და ანციფრებს მათ, ვისაც ბედნიერება მოეცა თვალყური ედევნებინა და ეგრძნო მანამდე უხილაგი ნიჭის აფეთქება.

იგი ცეკვავდა, სადაც გენების კუნჭულში ჩატეულ საცეკვაო რიტმებს თავი აწყვიტათ, შემოქმედებითი ჩანაფიქრები და ნათუხილობები დაუფლებობდნენ მთელს არსებას. ნეტავ, იმ წამს ხომ არ გამოეცხდა თამარს სახემა ქალისა, ვისეც ფიქრობდა მამინ ყველა იქ მყოფი?

თამარს უკვე წაითხული ჰქონდა მისი ლექსებისა და დრამების რუსული და ქართული თარგმანები. უღავაო, თამარის მეუღლე. შესანიშნავი პოეტი და უკრაინული მწერლობის ჭეშმარიტი მეგობარი კარლო კალაძეც აღვიძებდა უკრაინელი ერის კულტურითა და ლიტერატურით მის დაინტერესებას.

მხატვარმა ქალმა უკრაინასთან უშუალო კავშირი ჯერ კიდევ 1930 წელს დაამყარა, როცა იგი სახელოვანი კოტე მარჯანიშვილის თეატრში მუშაობდა და ამ თეატრთან ერთად ჩამოვიდა გასტროლებზე ხარკოვში. გასტროლებმა ბრწყინვალედ ჩაიარა, ხარკოვის საზოგადოება ქართულ

<sup>1</sup> ავტორის მხედველობაში ჰყავს ივანე ფრანკო, რომელსაც ეკუთვნის მოტანილი გამოთქმა (მთარგმნელის შენიშვნა).

საექტაკლებს აღფრთოვანებით შეხვდა. მტკიცდებოდა ორი ერის ხელოვანთა ძველი ურთიერთობანი, საფუძველი ეყრებოდა ახალ ურთიერთობებს. თამარმა პირველად მაშინ გააფორმა უკრაინული წიგნი. ეს გახლდათ დღემან შენგელიას „სანავარდოს“ თარგმანი. უკრაინული გამოცემლობისთვის მისი მეორე ნამუშევრია ილუსტრაციების ციკლი რუსთაველის პოემისათვის, ციკლი გამორჩეული თავისი მნიშვნელობით, ჩანაფიქრის სიღრმადით, ვეფხისტყაოსანი რაინდისადმი მიძღვნილი გენიალური ქართული თხზულების გმირთა განუყოფელი გააზრებით. რამდენადაც მე მხვდა წილად ბედი და პატივი მისი თარგმნისა, თავს ნებებს მივცემ ვთქვა, რომ თამარ აბაკელიას ილუსტრაციებმა ჩემს თარგმანს შემატეს ის მკაცრი და პარონიული ფერები, ის ახალბეული და გმირული ხასიათი, ის ძველთაძველი ეროვნული ხატოვანება, რომლებიც იქნენ პოემის საერთო პარონიის მძლავრ კომპონენტად, გააძლიერეს მისი ქმედითობა, გახაზეს თარგმანი უფრო სრულყოფილი და ეფექტური.

ზოგნი თამარ აბაკელიას ილუსტრაციებზე ამბობდნენ—მის გმირთა სახეებს გამოკვეთილი ეროვნული ხასიათი ატლიათ. მე არ შემიძლია ამ აზრს დავეთანხმო. მიმაჩნია, რომ მხატვარმა ნიჭიერად გადაწყვიტა ის რთული ამოცანა, რომელიც მას დაუსახა თვით ავტორმა—მატა შეესხა პოემის გმირთა ძმობისათვის. ხო, თუცა ისინი სხვადასხვა ერის შვილები იყვნენ, აკავშირებდათ ძალმომრეობისა და დამოძინების ძველ ძალებთან—ჭაჭებთან ბრძოლის საერთო მისწრაფებას. თამარს უნდა განედიდებინა მეგობრობის ღიადა ძალა, განედიდებულ ქართველს მიერ, რომელიც უკვე მაშინ, რვაასი წლის წინათ ფლობდა მალაღვანეთარებული მშობლიური ენის მთელ სიმდიდრეს, დასავლეთისა და აღმოსავლეთის, ევროპისა და აზიის უგანათლებლებს მოაზრანგეთა ნალოლიავე სიბრძნეს, მონჯოლ, სასრულ, თურქ და არაბ დამკრახებელთა ურდოებთან მტკიცედ უთანასწორო და სასტიკ ბრძოლებში გამოწრთობილი ეროვნულ ხასიათს. საოცრებათა საოცრებაა ამ თვალსაზრისით რუსთაველის პოემა, რომელსაც მთელი შუა საუკუნეები მსოფლიო ლიტერატურაში ბადალი არ მოეძებნება. თამარ აბაკელიამ შეძლო ტარეილისა და ნესტან-დარეჯანის, ავთანდილისა და თინათინის, სხვა პერსონაჟთა ქართული იერი შეემკო იმ ხალხის ნიშან-თვისებებითაც, რომლებსაც პოეტმა ისინი მიაკუთვნა.

აბაკელია გულმოდგინედ, მონდობით, დაკვირვებით სწავლობდა ძველქართულ ენას, ძველქართულ ფრესკებსა და მინიატურებს, ქედურობებს, ქვისა და ხის ქანდაკებებს, ტაძრებისა და ციხე-კოშკების ხუროთმოძღვრათა მკაცრ შემოქ-

მედებს. ისინი ხომ ყოველთვის ჩინებულად აღმართავენდნენ თავიანთ ქმნილებებს მიუბეზი ან დაბლობებზე. ჩინებულად არა მარტო სტრატეგიული თვალსაზრისით, არამედ პარონიის, კომპოზიციური ოსტატობის, გარეუ პეისაჟთან მათი უნაკლოდ შეხამების თვალსაზრისითაც. ამ ოსტატობას სწავლობდა ყინფისისა და ბეთანიის, აბეცინისა და ვარძიის ქაშთასკლისაგან გაფერმკრთალებული, მაგრამ გაუხუნარი ფრესკების წინაშე საათობითა და დღეობით მდგარი თამარ აბაკელია. იგი ალერსიან მუხრას არ ამორებდა ბეჭე თიხარის მიერ სათუთად გამოკვეთილი ყოველ რელიეფს, ტკბებოდა კომპოზიციათა მუსიკით, ერთმანეთს გადანასკეული ორნამენტების ხილვით, რომლებითაც ქართველმა ჩუქურთმის მჭრელებმა დაამუშვეს ჯვარი და სვეტიცხოველი, ალავერდი და გელათი. აქედან, ფრთა ამ ნატურალური ნაკრებიდან იშვა თამარის ილუსტრაციათა თბილი და მოხოშლი კოლორიტი, გახვიწვა და მომწვანო ფერი, გრავიტისა და ჭიაფერის ელვარება, მოოქროსფერო-მომტრედისფრო ჩრდილები, მთათა და ზეცის ფიქრანი, ოდნავ ცივი სილურჯე.

ვუფრცხვავ „ვეფხისტყაოსნის“ პირველ, სიცივთლემშპარულ გამოცემას, ვუფიქრდები თითოეულ ილუსტრაციას და ვიკონებ, როგორ მზრუნველობით მიჩვენებდა თამარამ გამოსაღებულ თუ სანახევროდ გამოსაღებულ ილუსტრაციებს, როგორ ცდილობდა მათ სრულყოფას, როგორი მომხიბვლელით გვიდებოდა ყოველ სასიხუ ანაბეჭდს, რომლებსაც კვიედან უგზავნიდნენ ყვე თუ ისე დახელოვნებული ჩვენი მიუტღადები. არც ელოვას მოწიწებითა და მღელვარებით ვეამორებები სხოვნას მხატვრისას, ვინც თავისი ნიჭით დაამშვენა ჩემი ნაშრომი. ამ სამკაულის გარეუ იგი აქნებოდა უფრო ღარიბი, უფერული, ყრუ.

თამარი გულუხვი იყო შემოქმედებაშიც, მეგობრობაშიც, ტანმართმთყვარებაშიც. მხიარული და საზეიო განწყობილება სუფევდა თამარისა და კარლოს სახლში, რომელსაც ამშვენებდა დისასლისის ქანდაკებები და ნახატები, გემოვნებით შერჩეული ხელოვნების ნიმუშები. მათ ქართულ საცხოვრისში იგრძობოდა რაღაც დიონისებური, რაღაც ძველადოსნოვლური და ამასთან დახვეწილად თანამედროვე. ბრწყინვალე მახვილსტიკვამულ სადღევრძელობებში. მათ ენაცვლებოდა კამათი ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე, სადაც თამარი უბრალო მსმენელი არასოდეს ყოფილა.

რუსთაველის თარგმანის გამო არცთუ დამსახურებული წარმატებით გათამამებულმა სულ მალე კიდევ ერთი კანდიდატი საქმე ჩავიფიქრე. გურამი-



თამარ აბაკელია

შვილის პიროვნება, რომელზეც ასე ხშირად და თავდავიწყებით მიყვებოდა ჩემი სახელოვანი მეგობარი სიმონ ჩიქოვანი, მიფორიაქებდა წარმოსახვას თავისი ტანჯული ცხოვრებით, ქართველი ერის რუს და უკრაინულ ერებთან მეგობრობას განმტკიცებდა თავისი უმაღლესი მნიშვნელობით, ტრაგიკული შიირის პოეტური ძალით, „მხიარული ზაფხულის“ სიღაღით, რომლის ყოველი აბღურებული სტრიქონის მიღმა მე ჩამესმოდა უკრაინული მელოდია.

ჯერ კიდევ თამარმ ცვადა დავითის ბეიკურად დიანჯი, ლირიკულად გაბნეული, ხალგაიანი და მძაფრი სტროფების თარგმნა. თამარი თუმცა არ იყო კმაყოფილი რუსთაველის ილუსტრაციათა კიდეური ანაბეჭდებით, მაინც დათანხმდა მიეღო მონაწილეობა გურამიშვილის ლექსებისა და პოემების უკრაინულ გამოცემაში. ჩანაფიქრს მაშინ არ ეწერა განხორციელება.

დაიწყო დიდი სამამულო ომი. ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე იჭვირავდა მომდიოდა ცნობები და მოკითხვები მეგობრებისაგან. ქართველი პოეტები მუშაობდნენ ფრონტული გაზეთების რედაქციებში, პოულობდნენ ლექსების, ნარკვევებისა

და ნოველების გმირებს თერგისპირა სანგრებში, ბაქსანისპირა ბლინდავებში, იალბუხის კალთებს ჩაზრდილ ტყვიამფრტევეთა წერტებში. იქ იყო თამარის მეუღლე კარლოც... კარლო მღვდლავარებით წერდა საკუთარ ოჯახზე, ფიქრით თავს დატრიალებდა ვაჟიშვილს, გულდას, რომელიც იზრდებოდა დედის მეთვალყურეობით და რომელსაც გამოჰყვა მისეული ნიჭი და სიყვარული ქანდაკებისადმი. გულდა გაიზარდა და მართლაც გახდა ნიჭიერი, ცნობილი მოქანდაკე. უღმობელმა სიკვდილმა ადრე გაწვიტა მისი ახალგაზრდა სიკოცხლე, მისი შემოქმედებითი გზა, მაგრამ მოკლე დროში მან მაინც მოასწარა შემატებინა მშობლიური ხელოვნებისათვის წინიღებანი, გაზრწყინებულნი მაღალი ოსტატობით, რომლის პირველ გაკვეთილებს იგი დედისაგან ეზიარა, მერე კი თვითონ განავითარა თავისებურად და განუმეორებლად.

ომის წლებში თამარმა შექმნა ქანდაკება, რომელიც საბჭოთა ხელოვნების ისტორიაში შევიდა. როგორც მძღაფრი პატრიოტული აღტკინების, საბჭოთა ადმინიანების უძღვეელობის, ფაშისტ ჯალათთა მიმართ სიძღულილის გრძნობით აღსავსე ერთ-ერთი ნაწარმოებთაგანი. მკაცრი, ამაყი ქალის ფიგურა, მთელი ტანით აღმართულა და შორეთში, საუკუნეებში მიაქვს მკვდარი ბავშვის სხეული. მიაქვს გამომწვევად და ძღვეამოსილად, მტერზე შურისძიებისა და გამარჯვების სურვილით ანთებულს. ქანდაკებას თამარმა უწოდა „შურს ვიძიებთ!“ იმ ცეცხლოვანი წლების ტრაგეზიითა და უმაღლო გმირობითაა შთაგონებული ისეთი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები, როგორიცაა „თბილისის დაცვა“, „სასიხარულო ცნობა ფრონტიდან“ და სხვა. საბჭოთა ხალხები მძინვარე, გამხეცვებულ მტერთან ბრძოლის ჯამს იხსენებდნენ იმ დიდებულ სახელოებს და ტრადიციებს, რომლებიც ელაგდნენ სოციალური და ეროვნული ჩაგვრის, დამპყრობლური თავდასხმებისა და შემოტევების წინააღმდეგ მათი ბრძოლის ისტორიაში. რუსებისათვის ასეთი სახელოები იყო ალექსანდრე ნეველი, კუტუზოვი, სუვოროვი, უკრაინელებისათვის — ბოგდან ხმელინიცი, ქართველებისათვის — გიორგი მუსაყაძე. ამიტომაც თამარ აბაკელიას მუშაობა ფაღმუზე, რომელიც ეძღვნებოდა XVII საუკუნის ქარიშხლიან ომებში საქართველოს თავისუფლებისა და ერთიანობისათვის მებრძოლს, იყო არა მარტო ისტორიაში ჩაღრმავება, არამედ აქტუალური, აღმზრდელობითი, პატრიოტული მნიშვნელობის აქტი და იმასი, რომ ფილმი „გიორგი სააკაძე“ იქცა გრანდიოზულ, ამაღლებველ სურათად, დიდი წვლილი მიუძღვის თამარ აბაკელიასაც.

კინოში მხატვრად მუშაობისას მიღებული გა-

მოცდილება თამარმა გამოავლინა ომის შემდგომ წლებშიც. მისი სულიერი მხედველობის არეში კვლავ მოექცა ქართული, რუს და უკრაინულ ერთა ცხოვრებას თანშერბილი დავით გურამიშვილის სახე. იგი სიამოვნებით დასთანხმდა მონაწილეობა მიეღო როგორც მხატვარს, სახელოვანი პოეტის, მეომრისა და მხენელ-მისეველისადმი მიძღვნილ ფილმის გადაღებაში. 1942 წელს, როცა შესრულდა 150 წელი მისი გარდაცვალებიდან, არ იყო ამ თარიღის დირსეული აღნიშვნის შესაძლებლობა. ომის დამთავრებისთანავე სამხრეთი ენები შეუდგენს საიუბილეო თადარიგს, რათა საკადრისი პატივი მიეცეთ დაუწყვარი მგონისათვის, ვის შემოქმედებამაც ასე გამოკვეთილად ჟღერს სამხრეთი ადამიანისათვის ძვირფასი მოტივები, მოტივები სახლისა და სამშობლოსათვის თავდადებისა, მეგობრობისა, მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომისა. ტანაცმლის ენაზე, ტიპების მონახუნებს, თეთი მუშავალი ფილმის კომპოზიციების მხატვარმა მოახმარა თავისი ნიჭი, საქართველოსა და რუსეთის წარსულს რეალიზაცია ცოდას, რამელიც მუშაობის პერიოდში კიდევ უფრო გაიზარდა და გაიფართოვა. აბაკელიას ეპიკურების დამზარებით შემოიღო დავითი სახე ისტორიულად ინდენად სანდო იყო, იმდენად შეფერებოდა პოეტი-მეომრის მთელ არაუბას (რაც, ცხადია, ხელი შეუწყო გიორგი მანგულიძის ბრწყინვალე ავტორულმა მოაქმეებმა), რომ იგი იმ დროიდან იქცა თითქოსდა ავთენტურ პორტრეტად, თუმცა ასეთი რამ ისტორიას არ შემოუნახავს. გურამიშვილის ხელნაწერის მიხედვით ავტორის მიერ მოხატული სახე, რომელიც თითქოს ავტორპორტრეტი, შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავისადმი ავადყოფურ, ბებრულ სიწინად. კინოფილმში თამარის დახმარებით გამოასახული პოეტის ვაგაკვური და ლანაში სახე მერე სილუეტად გადავიდა მირგოროდში აღმოჩენილი პოეტის საფლავის სტელაზე, რომელიც საბჭოთა უკრაინის მთავრობის დაკვეთით დიდაც აბაკელიას გაგულბა დაეტყო უკრაინული მოქანდაკების ა. ნიშენოსა და მ. ობუნიუკის მონუმენტურ ბიუტსაც. იგი აღმართულა მირგოროდის მოედანზე, დ. გურამიშვილის მუზეუმის წინ.

მხატვარი ქალი კვლავ დაუბრუნდა პოეტის სახეს, როცა 1949 წელს დადასტურდა თავისი, ჯერ კიდევ ომამდე მოცემული პირობა შეემოილტვრაყებით გურამიშვილის ორი პოემის დარჩული ლექსების ჩემულ თარგმანთა გამოცემა. სამწუხაროდ, დაიჭრა მხოლოდ მის მიერ შესრულებული პოეტის პორტრეტი. დანარჩენი ნახატები, ცალკერ გამოცემლობის ბრალია და ცალკერ სენის შემოტევის გამოც, რომელიც სულ

უფრო სტანჯადა მხატვარს, არ გამოცემულა. ზოგიერთი მიაგანი დამოუკიდებელი დარჩა, ზაქარა არაბებით აქ სულ სხვა რამა: თამარის მუშაობა უკრაინული თარგმანებს წეგნე იყო დადასტურება უკრაინულ ლიტერატურისათვის ქართველი მხატვრის მუშეობის კავშირისა, ისევე როგორც რუსული ლიტერატურისადმი მისი პატივისცემისა და სიყვარულის დადასტურება იყო თმარ აბაკელიასათვის ომეათი ქსილოგრაფიული მანერით შესრულებული მშვენიერი გრაფიურები ნ. ტიხონოვის შესანიშნავი წიგნისათვის „ლექსები კახეთზე“ (1935 წ.), ილუსტრაციები „გეფხისტყარისა“ (გ. ცაგარელის თარგმანი. ნახატები უკრაინული გამოცემისაგან რამდენადმე განსხვავებულია) და ვაგა-ფშაველას მოქმათა რუსული გამოცემებისათვის. თუ როგორ მაღალ შეფასებას აძლევდა აბაკელია მოძმე სომეხი ურის ძველ ლიტერატურას, ქანდაკებას, სახეი ზელოვნებას, ნაილად ჩანს ძველი სომხური ეპოსის „დავით სასუნელის“ მისეული გაფორმებინაც, რომელიც განსაკუთრებით სომხური ეროვნული გენის სული. ჯერ კიდევ თავისი შემოქმედებითი გზის დასაწყისში, 1930 წელს, მხატვარმა იმპერატორა შუა აზიაში. უზბეკთა, თურქმენთა და ყაზახთა მუშაობის მიწაზე მიიღებულ მთაბეჭდილებების საფუძველზე აბაკელიამ შექმნა ამ რესპუბლიკების მშობი და ფერებით, ბუნებისა და ადამიანთა სილამაზით აღბეჭდილი ტილოები, რომლებიცაც აღნიშნა თავისი იდურ-მხატვრული ზრდის მნიშვნელოვანი ეტაპი.

ფართო იყო თამარ აბაკელიას შემოქმედებითი თვალსაწიერი. იგი ღრმად წვდებოდა წარსულის უტკნობ ფასეულობათა სიმშვენიერებს, მაგრამ კიდევ უფრო ღრმა იყო მისი ერთგულება სოციალისტური თანამედროვეობის, სამბოთა სამშობლოს მშრომელთა მიმართ. სოციალისტური რეალიზმის საუკეთესო სეკულტურულ ნაწარმოებთა შორის სამუდამოდ დარჩება მისი ბარელეფები მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის ფსახზე, რწმენათა და საკუთარი ფილსებუს გრნობით აღსაცემ მუშების, მაღაროელების, მიწათმოქმედების მონუმენტური, ამასთანავე, უბრალო და ცხოვრებისეული ფიგურები ილტვიან თავიანთი მსოფლიო კომუნისტური მიზნისკენ. როგორ გვანცვიფრებენ და გვადლევენ ისინი დღესაც, მათი შექმნიდან 40 წლის მერეც! თითქმისდა არც ისე ძლიერ, ნაზ და ავადყოფ ქალს, რომელიც დღემორივი და საოჯახო საქმეების გართულა, სტუმარ-მასპინძლობას გადაჰყოლია, არ უნდა შესძლებოდა მოღვაწეობა ხელოვნების ასეთ მძიმე სფეროში, როგორც მოქანდაკობა. აქ ზომ იმდენი რამეა დამოკიდებულ მასალის სიმტიციის დაძლევაზე, უბრალო ფიზიკურ ღონე-

ზე, მაგრამ თამარ აბაკელიამ, ისევე, როგორც ვ. მუხინამ, თ. ვოლუბკინამ, ჟ. დინდომ, გ. კალენკომ, გააბათილა ეს მცდარი შეხედულება. ის, ვინც არაფის ტოლს არ დაუღვდა ქალურ სინაზეში, საკუთარი ცხოვრებითა და ქმნილებებით აპყვიდრებდა ვაჟკაცობის კულტს. ამაზე ღალადებენ მისი ბარულიყვების გიმრებიც. ამაზე მეტყველებს მისი ერთ-ერთი უკანასკნელი მწიგნულოვანი სკულპტურული ნამუშევარიც—გენიალური უკრანელი პოეტის ღვთისა უკრანისას პირველი ძველი მსოფლიოში. თამარისთვის სამადლობელი სიტყვა მე დაგუწვე ამ ზეიადი, ყოველგვარ პრეტენზიულობას, სენტიმენტებსა და ზედმეტობებს მოკლედული ძველის გასწვით. მოქანდაკეში ერთი ის ვაჟკაციური და მუქრობილი გრძნობა, რომელიც ანათესავდება მას ღვთისა პოეზიასა და ცხოვრებასთან. აუტანელი ტკივილები ღრნიდნენ ტვინს, სენი სულ უფრო მრისხანე და საშიში ხდებოდა, მაგრამ ნებისყოფის უკიდურესი დაძაბვით იგი აიძულებდა ხელებს არ ეთრთოლათ და ძერწავდა ჩაფიქრებულ ზუსტ ფორმებს.

განსხვავებული ეპოქების, განსხვავებული სოციალური წყობილების შეილება ჭეშმარიტი ვაჟკაცობით და ჭუნანისზიით გათესილებდნენ ერთმანეთს. ღვთისა წინასწარმეტყველებდა კაცობრიობის ერთადერთი მსხნელის—კომუნისტური სულის გამარჯვებას. თამარი ხედავდა და ადიდებდა ამ გამარჯვებას თავისი ქანდაკებითა და ნახატებით. ისინი განსხვავებულნი და განუმორგებელნი იყვნენ, მაგრამ იყო მათ შორის ძლიერი ორგანული ერთიანობაც. ამან შეაძლებინა თამარს ჩასწვდომოდა ამ გენიალური ქალის შემოქმედებით საიდუმლოსა და სულის სიღრმეს, ვისი სახეც მას ეწადა აღმართა ერის, სოციალისტური თანამედროვეობის, ორთავესთვის ერთნაირად სათაყვანებელი საქართველოს ღურჯი მთა-ბარის ფონზე. ეგზომ განსხვავებული და ძნელად შესადარებელი მათი ცხოვრებისეული გზები ჟამი-ჟამი მაინც ნიშანდობლივად ემთხვეოდნენ ერთმანეთს.

არა, ექვსი თუ შვიდი წლის თამარს არ დამახსოვრებია უნახავს თუ არა იმ ნაცნობთა შორის, რომლებიც ხშირად და ხაბობის სტუმრობდნენ მამამისის გრიგოლ აბაკელიას ოჯახს, ღვთისა უკრანისას მიერ „საქართველოს ათეად“ მონათლულ დაბა ხონში, ადგილობრივი მოსამართლის მეუღლე, ტანმორჩილი, მხრებში ოდნავ მოხრალი, ფერმკრთალი, ღრმა და გამომეტყველებიანი ქალი, რომელსაც ყველანი პატივისცემით ღვთისა პეტროფანს ეძახდნენ. საეკვთა, ვინმეს სცოდნოდა, რომ მისმა ნახმა და გამხდარმა ხელმა ის-ის იყო გადასდო საწერ-კალამი, რომლითაც იწერებოდა „ტყის სიმღერის“, „ადვოკატ მარტიანის“ თუ „ქვის მასპინძლის“ განთქმული სტრიქონები!

დაბა ხონი, სადაც თამარი დაიბადა, იყო მავკასა და ღვთისა, დოლორესისა და ანას სახეთა დაბადების ადგილიც. ამიტომ, „საქართველოს ათეად“ ძვირფასი და მასლობელია ჩვენთვისაც, უკრანელებისათვისაც.

აქ აღარ გაავარძლებ სიტყვას იმ ურისცხე ფაქტებსა და მოვლენებს, აზრებსა და გამოთქმებზე, რომელიც შეატყველებენ თუ როგორი უდიდესი როლი შეასრულა ღვთისა ღვთისა ცხოვრებაში საქართველოს მიწაზე მისმა ხშირმა, ზოგჯერ წლობით სტუმრობამ, ქართულ ინტელიგენციასთან, ქართულ დანათან და ლიტერატურასთან ნაცნობობამ. ქართული ენის შესწავლა მან დაიწყო ჯერ კიდევ კვივეში, დაახლოებით 1896 წელს. შეუძლებელია, რომ ქართულ გარემოცვაში ხანგრძლივ ყოფნას არ სრულყოფი მისი პირველი ცდები. ყოველ შემთხვევაში, სალაპარაკო ქართული მას ესმოდა, ხოლო რუსთაველს იგი იცნობდა მხოლოდ თარგმანიდან, რომლებიც ძალიან დაშორებული იყო ორიგინალის სულისა და სილამაჟეს.

თამარისთვის ხნად იყო პოეტის შინაგანი კავშირი საქართველოსთან, ქართველ ერთად და მის კულტურასთან. მან წინასწარ აარჩია სურამში ადგილი, სადაც უნდა აღმართულიყო მომავალი ძველი. ბრინჯაოს ღვთისა აქედან პარმონიულად და ბუნებრივად ერწყმის დიდებულ ღურჯ შორეთს.

1952 წელს 1 აგვისტოს უკრანის დიადი შეიღის გარდაცვალებიდან 39-ე წლისთავზე ხალხმა პირველად იხილა მამინ უკვე მძიმედ სწული მოქანდაკის მიერ შთაგონებით გამოძქურული ღვთისას სახე. ძველის ავტორს ამ სახეიმი დღის მერე, სადაც მას დამასახლებელი ქება უძღვნეს, ერთ წელიც არ უცოცლდა.

ათასობით ხალხი მიჰყვებოდა თამარის კუბოს. გვირგვინებისა და ყვავულების მთა აღმართა მის საფლავზე, მათ შორის ეწყო მადლიერი უკრანის ყვავილებიც. ყოველი საბჭოთა ერთსთვის, რომლებიც სამართლიანად ამაყობენ თავიანთი სოციალისტური კულტურის მონაპოვრებით, მუდამ იქნება ძვირფასი და საამაყო თამარ აბაკელიას სახელიც. მოწინავეთ ვფიქრობ მასზე, ვეამბორები მის შემოქმედებას, მის სსოფნას, მის სახელს.

უკრანულიდან თარგმნა  
რამელ ნილკანაძე

# სენილია თაყაიშვილი

## ეპერ გუგუშვილი

ბრწყინვალე თვალით ერთხელ კიდევ წაგიკითხე ის ბარათი, რომელიც სესილია თაყაიშვილს სრულიად უცნობმა ადამიანმა მოსწერა, ერთმა მათგანმა, ვისაც თეატრი მაცურებელს ეძახის. ალღევებული, სულმძვინვარე, ავთორიტეტული კაცი იწერებოდა, ეს წუთია მოვედი სახლში თეატრიდან, თქვენი ბებია ვნახე და ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამ სულ სხვა თვალთ დაეინახე, მივხვდი, რომ მართალი არ ვიყავი მოსუცი დედის წინაშე და დღესვე, დაუყოვნებლივ, ბოლო მატარებლით მივემგზავრები მასთან, რომ ჩამოვიყვანო და ერთი დღითაც არ მოვიცილო...

მერე, მერე რა მოხდა? როგორც ჩანს, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც წერილის ავტორი იწერებოდა: ის წერილი სიმართლით, რწმენით, მაღლიერების გრძობით იყო გამსჭვალული. ეს კი ბევრს, ძალიან ბევრს ნიშნავს.

მსახიობისთვის მაღლობის სიტყვა ყველაფერია. რა დიდი ემოციური ზემოქმედებითი ძალისა უნდა იყოს ხელთონება, რომ მან ასე მოგნუსხოს, ასე აგიყვანოს ხელში!

სესილია თაყაიშვილი იმ საღამოს თამაშობდა ბებიას როლს ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის პიესაში „მე, ბებია, ილიკო და ილიკონი“. იმ საღამოსაც ისე ითამაშა, როგორც მანამდე და მერე — თავდაუზოგავად, შთაგონებით, ბრძნულად, გულსისუფობით...

ბებია — სესილია თაყაიშვილი. ჩვენ, ყველანი,

კარგად ვიცნობდით ბებიას, ძვირფას, მშობლიურ ბებიას, ვინც გვიყვებოდა ზღაპრებს, — მერე, როგორ ზღაპრებს! — საინტერესო და ღრმავაროვან ზღაპრებს! ბებიამ იცოდა, რა გვიყვარდა და რა არ გვიყვარდა, რა გვეამებოდა და რა არ გვეამებოდა, შეეძლო ჩვენთვის გადაენახა ალუბლის ორიოდე ქილა მურაბა თუ სულ რამოდენიმე ცალი ჭრულა-ჭრულა ქაღალდში გახვეული კანფეტა... ზოგჯერ, რაღა ზოგჯერ, ხშირად ვიშვიშებდა, იწყებებოდა კიდევ, მაგრამ, სხვაგვარი მოალერსება მან არ იცოდა, — მისი ალერსი ეს იყო. შემდეგ — დრო გადიოდა. შვილიშვილები იზრდებოდნენ, დიდი ხნით მიდიოდნენ სახლიდან და ცოტა ხნითა ბრუნდებოდნენ უკვე და ხედავდნენ, რომ ულმობელი დრო თავისას შერებოდა — ბებია პატარავდებოდა, ილეოდა, დნებოდა. მაგრამ ისევ ისე, ძველებურად, ნაზად უბრწყინავდა უკვე ცივი, მიმჭრალი თვალები, ისევ ისე, უწინდელივით ფაციფუცობდნენ (ანდა, ცდილობდა უფაციფუცობა) მისი მოცხცაზე ხელები, ისევ ისე უწინდებურად შვილიშვილებით სულდგმულობდა იგი.

ყველას ჰყვოდა ბებია — კეთილი და ალერსიანი, უსაყვარლესი ადამიანი, ვისი დაივიწყებაც შეუძლებელია...

სესილია თაყაიშვილი ჩაწვდა მთავარს — ბებიას სულს... მსახიობის მახელომა თვალმა და კეთილმა გულმა მას უკარანახეს მიხუცი ადამი-



ელისაბედლი — მარია სტიუარტი

ანის ზუსტი ფსიქოლოგიური ნიუანსების წყალობით მის ისეთი გზა, რომლითაც წელში მოეჭურჭლე დაბნეული, მოცხცასზე ბებიას ბანალურ სახეს მივიღებდით.

თაყაიშვილის ბებია ძალზე ტიპური იყო, მაგრამ ტრადიციული ოდნავადაც არ გახლდათ. იგი გიზიდავდათ არა მარტო მომზიბველობით, სიღბოთა, „საერთო“ სიმართლით, ს. თაყაიშვილის თამაში აღბეჭდილი იყო ჩანაფიქრის კონკრეტულობით, რაც პიესაში წარმოსახულ მოვლენათა გარკვეული ლოგიკით, ამ მოვლენათა შინაგანი დიალექტიკით იყო გაპირობებული.

ს. თაყაიშვილი ხასიათს წარმოაჩენდა მასშტაბურად, ზღმუხასებად, გარემო სამყაროსთან სინთეზში. მიაი ბებია, სახელდობრ, სოფელი ბებია იყო. მთელ მის გარეგნობაში, ცხოვრების რიტმში, ფიქრთა მიდინარებაში შეიგრძნობოდა ქართული სოფელი, ქართული მიწის სურნელი, ქართული წეს-ჩვევები, ქართული ფსიქიკა. და როცა ეს „ნიშნები“ კონკრეტულ მოვლენებს ესადაგებოდა, ბებიის სახე მთელი ეპოქის ასპექტში აღიქმებოდა, ამ ეპოქის შუქით ნათლბოდა. ეს ეპოქა ჩვენი საუკუნის ორმოციანი წლების სინამდვილეს არეკლავდა. ომი და მისი სუნთქვა პიესაში შემოიჭრა თავისი მკაცრი, სუსხიანი და შეუფერადებელი სიმართლით. დრომ ბეჭედი დაასვა ადამიანთა ხვედრს, მათ ყოფას, აიძულა ისინი ახლებუბად, უფრო ღრმად, უფრო მეტი პასუხისმგებლობის გრძნობით შეეყვინათ ცხოვრებისათვის, უფრო მეტი გამძლეობით და მოთმინებით უნართ აღტურვილიყვნენ. პიესის ავტორები და თეატრი, ზურგში მყოფი ადამიანების ბედობალზე, ომის დღეების სიმძიმეზე ფიქრისას, სულაც არ ქმნიდნენ მეტისმეტად პირქუშ, მუქ კოლორიტს. სპექტაკლში ყველაფერი შეფერილი იყო რბილი, ნათელი იუმორით, წრფელი გულთალობით, შინაგანი სიწმინდით, ადამიანებზე ზრუნვით.

და მოვლენების ცენტრში ბებია დგას. მასში, როგორც ფოკუსში, შეირწყა თხრობის პოეტური განწყობა, გამჭვირვალე იუმორი და ახალგაზრდული შემართება.

ბებია — თაყაიშვილი სცენაზე აუქარებლად მოძრაობს. მისი დაქანცული, წელში მოხრილი ფიგურა ძნელად, ტანჯვით გავლილი ცხოვრების შუქს ასხივებს. ყველაფერი მის კისერზეა — ყველას დაპურებაც, სახლის დალაგებაც, ზარმაცი, ემპაკის ფეხი შვილიშვილის ყურის აწვევაც, ფრონტზე, მემორებისთვის საუბრების დროზე გაგზავნაც და ბვერი, ბეფრა სეა საქმეც...

არადა, ეხუმრები! — ზურცკლას ბებია მალე ოთხმოცს მიუკაუნებს... მაგრამ მსახიობი არსად არ უხვამს ხაზს თავისი გმირის აკადემიას. ყოველდღიური ჯაფა-გარჯისა და ბებრული მოფაშფალებულობის ფონზე მსახიობი წარმოაჩენს თავისი გმირის სიყვარულს სიცოცხლისადმი,



მის დაინტერესებას ყველაფრით, რაც ირველიც ხდება, თავისი ობოლი შვილიშვილის ბედი იქნება ეს თუ ომის ცეცხელი გახვეული სამშობლოს ხვედრი.

გმირის აქტიურობა იზრდება აქტაპად, იგი იზრდება გმირის თანდათანობითი ფიზიკური ჭრობის პირდაპირ პროპორციულად. იგი ნელა, ალუშფოთვლად, ტანჯვა-წამების გარეშე ცდება, თითქოს მიიძინაო. და მისი სიკვდილი ტრაგიკულიად არ აღიქმება. ამ სიკვდილში არის რაღაც ლოგიკურად გარდაუვალი და, იმავე დროს, იგი აღიქმება ნათელ, უბრალო და სახეიანო — დიდებულ აქტად. სიკვდილი, როგორც რეალობა, როგორც ბუნებრივი შედეგი, დავგორგინება ადამიანის ცხოვრების გზისა, როგორც მთელი ქვეყნისთვისაგან, ეპოქისაგან განუყოფლობის დასტურია.

ს. თაყაიშვილი ღრმად წვდება თავისი გმირების ბუნებას, მათი ხასიათის არსს. ვისაც არ უნდა ასახიერებდეს, იგი გვატყვევებს არა მარტო განცდების სიმაძრეოთი, დახვეწილ ოსტატობითა და დეტალების ფლოიგრანული დამუშავებით, არამედ გვიზიდავს რაღაცნაირი არაჩვეულებრივი ძლიერი ხელწერით, რაც ყოველთვის გამოარჩევს მის თამაშს და გამომდინარეობს მისი მხატვრული ჩანაფიქრის მასშტაბურობიდან, ეპიკური სუნიქვიდან.

ს. თაყაიშვილი ყოფითი მსახიობია ამ სიტყვის ყველაზე ფართო მნიშვნელობით, იგი ორგანულად ვერ იგუებს წვირილმან ეპიროზს, რასაც ბევრი მსახიობი მიჰყავს ცხოვრებისეული მოვლენების პრიმიტიულ აღქმამდე, სინამდვილის უფერულ კოპირებამდე, ეთნოგრაფიულობამდე.

ს. თაყაიშვილს ყოფა წარმოსახული აქვს ხალხის ცხოვრებისა და დროის მასშტაბით და სწორედ ეს აძლევს მას საშუალებას გაბედულად, შთამბეჭდავად შეარჩოს გამომსახველობითი ხერხები, „მისიდაგოს“ გმირს. არ შეუშინდეს მძაფრ სცენურ სიტუაციებს, მკვეთრად, ეფექტურად გაუკვას ხაზი გმირის ხასიათის ამა თუ იმ თვისებას.

„ეს თეატრია, — უყვარს ხოლმე თქმა, — აი, ეს კი არაა თეატრი“, — და ამ სიტყვებში უხარმარა არსს აქსოსს. ასეთ წუთებში იგი იქტრობს თეატრალურ სიმართლესთან, თეატრალურ საინერებსთან ორ სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებაზე, სცენაზე წარმოსახულ უღამდამო, — მოსაწყენ, უფერულ, საწყალობელ სიმართლეს და მკაცრ, უსაზღვრო, დიდ სიმართლეს, რომელსაც პაადებს მხატვრის შემოქმედებითი ფანტაზიის აქტიურობა, მისი მოქალაქეობრივი მსოფლგანცდის სიმძაფრე, გაბედული, მწვავე სადადგმო ხერხების სინთეტურობა და ცხოვრებისეულ კონფლიქტებში ჩაღრმავების უნარი.

ძნელი მისახვედრი არაა, რომ სესილია თაყა-

იშვილი იმ მსახიობთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც სცენაზე აქტიურობას, ვენბათაქმლვას, გაბედულებასა და მძაფრ იქვს ამკვიდრებენ. გასაკვირი არაა, რომ ამ პოეზიის ხელოვანს დიდი მიდრეკილება აქვს სახის გარეგნული დახასიათებისკენ, სცენური ახსოვანებისკენ.

უკვე ჩვეულებრივ სამკადე ყურადღების გამახვილება იმაზე, თუ როგორ მარჯვედ და გულდაზნებოთებით მუშაობს ს. თაყაიშვილი თავისი გმირების გრძიშე, როგორ ზუსტად იტყვინ იგი გმირის ხასიათის უარსებოების ნიშნებს და შინაგან აზრს, ამ აზრის გამოშვატვლ ფორმას როგორ ახამებს ერთმანეთთან. გმირებია ოსტატობა თვის ინგეს არამტ მსახიობის ოსტატობა, არამტ მსახიობის შთაონებაც.

ს. თაყაიშვილი, მკაფიო და მძაფრი დეტალების მსახიობი, არასოდეს არ ხდება ამ დეტალების ტყვეობაში, იგი სახეს არასოდეს აფერილმანებს, არ აქუტმაცებს, რადგან დეტალებისა და წვირილმანების გადმოცემას თვითმონად არასოდეს არ იხდის. იგი ხასიათში, უწინარეს ყოვლისა, იქებს მის ფართო, ზოგად ხასიათს, მისი კავშირს ეპოქასთან, დროის მაჯისცემასთან. და სწორედ იმიტომ, რომ გმირის ხასიათის შექმნის ამგვარი გააზრება ძალზე ორგანულია მსახიობის ინდივიდუალობისათვის, ხოლო სცენაზე იგი დიამეტრალურად განსხვავებული ცხოვრებისეული გამოცდილების ხასიათებს შეხვედრია, იგი საოცრად თანადროული და შთამბეჭდავია.

სესილია თაყაიშვილი იყო, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა მსახიობი მარჯანიშვილთა იმ მთოე თობაში, რომელმაც თავისი შემოქმედებითი ცხოვრება მჭიდროდ დაუკავშირა მარჯანიშვილის რეჟისორულ პრინციპებს და, უფროს კოლეგებთან ერთად, შეჰკრა ერთიანი, მთლიანი კოლექტივი.

ახალბედა ს. თაყაიშვილი არ ჩაიკარგა, უფროსთა ხშიერ „ქოროში“. ის კი არაა, მან ამ „ქოროში“ ერთ-ერთი საბატო ადგილი დიმიკვიდრა. მარჯანიშვილს მაშინვე შენიშნა, გამოარჩია იგი და მისცა რთული და უჩვეულო რთოლი აქტაქალ-პანტომიმისი „მზეთამაჟი“. რთული განლდათ ეს რთოლი, რადგან უსიტყვი იყო და სიტყვებს შესტები ცვლიდა და მარჯანიშვილი ამაში განსაკუთრებულ აზრს აქსოვდა. განიხილავდა რა პანტომიმას, როგორც „მიყურადებულ აზროვნებას“, მიიჩნევდა რა მას უსარამზარნი შინაგანი დიტიორების თანად, მარჯანიშვილი მკვეთრად ილაშქრებდა „მუნჯი შესტების“, ანუ მიწვეული ილუსტირების წინააღმდეგ. მას უნდოდა ყოველ შესტში აზრის, ფიქრის სიღრმე დაენახა.

როგორ უნდა მიეღწია ყოველივე ამისთვის ახალბედა, გამოუცდელ მსახიობს, რომელსაც აქამდე ფეხი არ შეეღვა პროფესიული თეატრის სცენაზე? როგორ უნდა შეეერძინო მის ღრმა ში-

ნაგანი კავშირი, რომელიც პანტომიმში მუსიკასა და ესტეტ შორის არსებობს, საიდან მაელოს „მუსტიკა“ გრძობა-განცდებისა, ემოციებისა, რომლებსაც რეჟისორი მგაფიო და გააზრებულ სცენურ რიტმთან აკავშირებდა.

ახალგაზრდა მსახიობის გამომსახველობითი საშუალებების არსენალი ჯერჯერობით შეტისმეტად ღარიბი იყო. მაგრამ მის შველოდა სხვა რამ — ფორმის თანდაყოლილი გრძობა, მისი მძაფრი შერგნება (თუნდაც, ჯერჯერობით ინტერტიური), სულიერი განწყობილებათა მოძრაობის წრფელად გადმოწყობის უნარი. და შედეგიც მოულოდნელი აღმოჩნდა: ს. თაყაიშვილი ბრწყინვალედ მოძრაობდა, მოქმედებდა გააზრებულად, მიზანსწრაფვლად, მიზნების სტაბილურად მისაბამისად. მეტი მოთხოვნა მისთვის არ წაუყენებიათ. და მაინც, მიუხედავად ფორმათა სირთულისა და საზების მომაჯადოებლობისა, იგი პანტომიმამ ვერ გაიტაცა. ვარკვეული სტაბილუბა, რაც თვით ჯანრის მიერ იყო გაპირობებული, თვით სიუჟეტის გარკვეული განყენებულობა ორგანულად ახლობელი ვერ გახდა მსახიობისთვის, რომელიც ელტვობდა თვატრში სტაბილურის, ტიპიურის, ფაქტის, ყოფით, დამაჯერებლობით წარმონაგას. მსახიობს თვატრ ამ ცნებათა გარეშე ვერც კი წარმოედგინა.

იმ წლებში ს. თაყაიშვილი ბევრს თამაშობდა. რანაირი როლი არ უთამაშია — მთავარი როლებიც და ეპიზოდურებიც, უსიტყვო როლებიც უთამაშია — არაფერს დაგიდგებათ! თამაშობდა გატაცებით, თავდავიწყებით, ზოგჯერ ამა თუ იმ დრამატული მასალის მხატვრულ ფასეულობაში მთლად ბოლომდე ვერც ერეკვოდა, მაგრამ ყოველიც ეძებდა მათში იმას, რაც რეალურობას უახლოვდებოდა. პანტომიმის ბუფონადა ენაცვებოდა, — იგი ი. ოლუმას „სამ ბღენძში“ წარჩინებულ მანდილოსანს თამაშობდა და რეჟისორის ჩანაფიქრით თითქმის თვატრის ჭერად ეუნდა ამჟრალიყო, სარისყო იყო, რაც მართალია, მართალია, მაგრამ ოცდასუთი წლის ასაკში ამაზე ვილა ფიქრობს!

ესილია თაყაიშვილი არასოდეს, მით უმეტეს ახალგაზრდობაში, ათვალწუნებით არ უყურებდა ეპიზოდურ როლებს, ყოველ მათგანში იგი ხედავდა დიდი ცხოვრების მონაკვეთებს, შეელოდრმად გააზრებინა თავისი გმირების ხასიათი, გრძობდა და ხედავდა თავისი გმირების სულის მობრახობას.

როგორცაც, თავისი შემოქმედებით ცხოვრების განთიადე მას მოუხდა ვაჭარი ჭალის — ავდოტის უსიტყვო როლის შესრულება მარჯანიშვილის სახელგანთქმულ სპექტაკლში „მზის დაბნელება საქართველოში“. ავდოტა — თაყაიშვილი სცენაზე ერთადერთხელ ჩნდებოდა — მას ბაზარში ეხედავდა. პიჟისის სიუჟეტთან, მოქმედებასთან მას არავითარი კავშირი არ ჰქონდა.

მაგრამ ს. თაყაიშვილის ავდოტის დაგვიყვება შეუძლებელი იყო, მოუფრფუსე, მაჯრევე, გამოქეჭილი ვაჭარი ქალი მამინეუ ამყობდა თქვენს ყურადღებას. იგი ისეთი გულმოდგინებით, გულსყურით, გატაცებით აკეთებდა თავის საქმეს, თითქმის მთელი ცხოვრება მისით იწყება და მისით თავდებოდა და ყველაფერი აქ, მის დახლთან წყდებოდა.

უკვე, ამ არსებითად უსიტყვო როლში გამოამჟღავნა ს. თაყაიშვილმა მის, რაც შემდგომში გამორჩევედა მის მსახიობურ ინდივიდუალუბრით — გატაცება, თავდავიწყება, სახეში მისი არსთაარსის, გულსკვლის მიგნების, რელიეფურად წარმორჩენის უნარი. კიდევ: გამოიკვეთა მსახიობის სიკვრება, სიკეთე.

სიკვრება, სიკეთე. სიკვრებზე არავთხელ მიიყვანა ს. თაყაიშვილი განმარჯვებამდე. სიკვრებზე მრავალი როული ამოცანა დააძლევეს მსახიობს. იგი თაღდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ, მისხალ-მისხალ მიიყვდა როლის სიღრმეებისკენ, თავისი გმირის ხასიათს პიჟისის საერთო ლიკეასთან აკავშირებდა, ცალკეული გრობებისგან ჰკარგდა ყოფიან, უწყვეტ ვაჭრს, ეძებდა და პოულობდა მოქნილ და კომპაქტურ გამომსახველობით საშუალებებს. მსახიობი თითქმის მრავალი და მრავალი ძაფისგან ქმნიდა გროვებს, მორგვს და ის გორგალი მოულოდნელზე მოულოდნელი, თავებრუდამხევევი რაკურსებით შეიძლებოდა დახვეულიყო მაცურებლის თვალწინ.

ესილია თაყაიშვილი მძაფრად სახასიათო მსახიობია, რომელსაც ძნელად წარმოსადგენი, უცნაურზე უცნაური გარგნული ფორმების შექმნა შეუძლია. მის ხელში ყველაფერი თამაშობს. იგი ყველაფერს ლიკეიურს ხდის, მისი ყოველი ექსტი და მოძრაობა მიზანსწრაფულია, ქმედიითა. თვალწინ მიდგას: უცნაური, ყაბაღასის მსგავსი შავი კაპიუშონი ესურა, ცხვირზე ჩამოწეული პენსნე ეკეთა, კბილებში პაპიროსი გაჭრთო — ძალზე ექსტრავაგანტურიც იყო და, იმავდროულად, თავდაჭერილიც მისი პარასკევა („მ. დალიანის „ნაპერწყლიდან“); შავი, პირქუში მოსასხამი, ასეკტურად მეკერი, სიციფლისიგან დაცილილი სახე დედაბრისა ი. ვაკელის „შამილში“, უნთი, ულაზაითი, ქვაბუნა ჩაჩი, რომელიც თავზე ჩამოხეოთ გადას („რომში და ჯულიეტა“); მისი თვითმამყოფილი, უხეში, ფუმუვლა სახე... ყოველაევე ეს გულციფი, „ფემპტური“ დეტალები სულაც არ გახლანთ, ეს იყო საცხებით გააზრებული, ზუსტად გამიზნული, მახეილი თვალთ დაჭერილი ნიშნები მსახიობის მიერ შექმნილი მხატვრული სახეებისა.

ს. თაყაიშვილი მიმართავდა ხოლმე თვალში-საცემ, საზგახმულად უცნაურ ფორმებს, რისთვისაც იყენებდა ზოგჯერ მეტონიმულ უტრიტეულ ექსტრეუალაციასა და გრძობს, რაზეც უნთი გემონდა საუბარი და ოდნავ წაყრუებული ხმის

მდიდარ ინტონაციურ გამას, ამ ხმაში ჩაქსოვილი იყო სიკრებე და დაუკებლობა, ირონიული ღმილი და ჭირვეულობა, ჭინჭყლიც და მიხეზიანობაც. და ხშირად, ძალზე ხშირად, მსახიობის ეს სპეციფიკური ინდივიდუალური თვისებები განაპირობებდნენ მისი გმირების საქციელს, რაღა თქმა უნდა, ყოველთვის განსხვავებულად, — გამომდინარე როლის ბუნებიდან და პიესის ლოკიციდან.

მისა — „რომეო და ჯულიეტა“



მისი ერთ-ერთი ასეთი როლი იყო თიკა შ. და დიანის პიესაში „კაკალ გულში“. საკითხავი პიესის მიზიზიდა ს. თაყაიშვილი ამ ეპიზოდურმა როლმა? კაცმა რომ თქვას, თიკას კომედიური — მოზომილად გონებაშეზღუდული, მოზომილად სასაცილო როლი პიესაში შეიძლება შეუმჩნეულად დარჩენილიყო.

ს. თაყაიშვილმა ეს როლი მძაფრად კომედიურ და ულტრასასაცილო სახედ აქცია. ამისთვის მას, ერთი შეხედვით, განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია — ტექსტი იგივე დარჩა, ოღონდ ამ ტექსტში შეიცვალა მხოლოდ „აქცენტები“, „სამაზუნე წერტილები“. თიკა ენაკიმატი და გესლიანი იყო, გიჟმაკობდა, თავპარიანობდა, მასხარაობდა და მაყურებელიც გულით იცინოდა. სიცოცხლის ის იწვევდა, რომ თიკას — ამ ბუნებრივ მოახლეს თავისი თავი მანდაურობის უფლებამა შეუზღვევლად განმგებლად სურდა წარმოედგინა. უჯიათი, ყაჩაღი, შარიანი, — ასეთია ს. თაყაიშვილის ანკაც ნ. პოგოდინის პიესაში „პოემა ნაჯახზე“. მაგრამ მსახიობი თავის თავს არ იმეორებდა — ანკაც დასახასიათებლად სხვა წინამძღვრები იყო გადაწყვეტი — თიკას კომიკური ჭირვეულობა მძაფრი სატირული ხერხებით დახასიათებული მემჩანური ყოფის ფონზე იყო ნაჩვენები. აქ, პოგოდინის პიესაში, რომელიც ცხოვრების პოზიტურ არს გამოხატავდა და მშრომელი ადამიანების ყოფას ასახავდა, ანკაც ყაჩაღობანა და სიგემამე ამ ცხოვრების დამკვიდრების პათოსით იყო პირობადებული და ეხმიანებოდა გმირის ახალგაზრდულ სულისკვეთებას, ესადაგებოდა მოქმედებისა და სიცოცხლის ტკბობის ენას.

სიცოცხლისთასვეობის ცნებასთანაა დაკავშირებული ს. თაყაიშვილის გვირისტინე პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინებიდან“, თუმცა, ეს, სიცოცხლისთასვეობა განსაკუთრებული, თავისებური იყო, იგი ჩვეულებრივი მოფუსფუსეობისგან, სიცქაფისგან განსხვავდებოდა. მსახიობი არ გიჟმაკობდა, თავისი დაუდგრომლობით თავს არ იწონებდა. პირიქით, ცდილობდა კიდევ სადავეების მოჭერას, დაეუჩნებას. გვირისტინე ნათელი, გახსნილი პიროვნებაა. იგი შუქს აფრქვევს, გულალაღია, წრფელია. იგი მოკრძალებულია, წუხს, რომ ასეთი სახელმოხვეცილია, მაგრამ ეს მორცხვობა და უხმაურო შიში სულაც არ უშლის ხელს, რომ იყოს აქტიური, იგი „ამორული“, უღიმღამო, მოსაწყენი ადამიანი როდია. სადაც მის არსებობაში, ზის ახტაჯანა, რომელიც ეშმაკურად კუსავს თვალებს და ფხიზლად ამჩნევს ირგვლივ ყველაფერს. როგორი მომხიბვლელია იგი თავისი ქალწულო სათნოებით, უშუალოდ, როგორი საყვარელია!

სიმწიფის წლებშიც მოუხდა ს. თაყაიშვილს მარჯვე, სიცოცხლით სავსე ქალის როლის შესრულება, ოღონდ ახლა ეს გმირი — ევა ვ. გაბესკიანიას პიესაში „უფსკრულთან“ ჭირვეული და უწონასწორო ქალი გახლდათ. ეს როლი ს. თაყაიშვილმა ბრწყინვალედ, შთაგონებით შეასრულა.

რას წარმოადგენდა ევა? ჩვეულებრივი ქალი იყო, ჩვეულებრივი სოფლელი დედაკაცი, ენაკვიმატი, ხმაურა, ჭორების მიყვარული, ენამწარე, მაგრამ ბოროტად არ ენაკვიმატობდა, უფრო უსაქმურობისგან, გულხელდაკარგულობისგან ვერ ისვენებდა.

ევა — მეშჩანია. აღმადრენის, შთაგონების, ოცნების გარეშე ცხოვრობს. თუმცა, ერთი რამ კი საოცნებოდ აქვს და ეს ოცნება მთელ მის ცხოვრებასავით ფრთაშეკვეცილია — ძალიან უნდა ქალაქელ ქალებს ჰგავდეს. და რა სასიერო დასანახი იყო, თუ როგორ უსმენდა ევა ან თვითონ რა ეუხით, რა გულიანად ლაპარაკობდა თავის „ქალაქურ პრობლემებზე“! წარმოსახვით, მთელი თავისი არსებით, ფიქრით იგი ამ დროს სხვაგან, მეცხრე ცაზე, იქ, ქალაქში დაფრინავდა! მაგრამ ევამ იცოდა, რომ საწადელს ვერ მიადწევდა. შესაძლებელი და შეუძლებელი, მიუღწეველი წარმოადგენდა მასი პირადი ბედნიერებისა და უბედურების საგანი.

მაგრამ ისე მოხდა, რომ ევას უდიდებლად, ერთგვროვან ცხოვრებაში ყველაფერი თავდაპირადად დაეცა. თუმცა, მის ცხოვრებაში კი არა, ეს სხვის, მეზობლის ცხოვრებაში მოხდა. და ევა — თაყაიშვილი თითქოს სხვა ადამიანი ხდებოდა, იგი თითქოს ხელახლა იბადებოდა. ნამდვილი და არა მოგონილი უბედურება ევას ცხოვრებას ძირფესვიანად ცვლის. და რა ირკვევა — ევა სულ სხვა ადამიანი ყოფილა, გულისხმიერი, მგრძნობიარე, მიყვარისთვის საკუთარი თავის დამეწყებელი. მარალია, იგი არც ახლა ეთხოვება თავის „პრობლემებს“, მაგრამ ახლა ეს უფრო ინერციით ხდება, ქალაქური კაბების თემა მისთვის უკვე წარსულია, შორეული ექთა, რომელიც ადგილზე კვდებოდა, ქრება და ადგილს უთმობს სხვათა ბედ-იღბალში ევას კონკრეტულად მონაწილეობას.

თითქოს, ყველაფერი, რაც კი ხდება პიესაში, უშუალოდ ევას არც კი ეხება, მაგრამ მსახიობმა ამ როლში მთელი სული და გული ჩააქოხლა, წარმოაჩინა მისი ენერჯია, მისი სული.

აი, კიდევ ერთი მკვეთრი, მძაფრი რაკურსი — ძიძა „რომეო და ჯულიეტაში“. ეს როლი ს. თაყაიშვილმა გროტესკის მანერით შეასრულა. ეს გარეგნულად გადაპრანჭული ნიღბი, ხაზასმულად უტრირებელი წახნავიანი ხაზებით, მყვირალა შტრიხებით — არაფერი არ ემთხვევა მის თვალს და არაფერი არ ქმნიდა „გადამალვების“ სამიშროებას. ს. თაყაიშვილი თავისუფლად იყე-



ევა — „უფსკრულთან“

ნებდა ამ უკიდურეს გამოხსახველობით ელემენტებს, რადგან ყოველ ამ დეტალში თავს იჩენდა მისი სამემპრულებლო ლოგიკა, სიწრფევე, უშუალობა და სრული შინაგანი თავისუფლება.



მაგრამ, როგორც ამბობენ, არ არსებობს „წყვილები“ გამონაკლისის გარეშე და ხელფანის შემოქმედება არავითარ „კონფესიას“ არ ექვემდებარება. ისეც ხდება, რომ თეორიული „ფორმულა“ უარყოფა თვით მხატვრის პრაქტიკით. თანაც, ეს იქაც ხდება, სადაც ყველაზე ნაკლებადაა მოსალოდნელი.

ს. თაყაიშვილს ასეთი მოულოდნელი რამ — „პროპორციის დარღვევა“ — წინასწარგანზრახულა და რეალურს შორის — ორი სხვათა შემთხვევა — ეს იყო ბომარშეს „ფიგაროს ქორწინებაში“ (სიუჟანა) და შექსპირის „კორიოლანოს მორჩულებაში“ (კატარინა).

ორივე ეს როლი „თეორიული გააზრებით“ ორგანულად ახლომდებელი უნდა გამხდარიყო ს. თაყაიშვილისთვის. სიუჟანას სიციხეავე, დაუდგრომლობა, კატარინას ჭირვეულობა, სიკვება და გემტრიანობა — ყველაფერი ეს ს. თაყაიშვილის სტიქიაა, ზეგარდმო ნიჭია. აქ, ამ როლებში, თითქმის ყველაფერი წესრიგში უნდა ყოფილიყო, მაგრამ ასე არ მოხდა — ამ როლებს ს. თაყაიშვილისთვის სრული კმაყოფილება არ მიუნიჭებია. ყოველ შემთხვევაში, ასე მიიჩნევა თვითონ მსახიობი და ეს უფრო ბევრს იწინააღმდეგებდა, ვიდრე ის რეცენზიები, რომლებშიც აღნიშნულ როლებს ძალზე მაღალი შეფასება ეძლეოდა.

მაინც რა მოხდა, რატომღაც მსახიობი ასეთი მხატვრი ამ როლების მიმართ, და ბოლოს, მაინც რატომ შესგბდა შედარებით ნაკლები წარმატება მსახიობის ამ როლებში?

ცხადია, ამის მიზეზი სულაც არაა ის, რომ სიუჟანას როლი „მკვეთრად სახასიათო“ არაა (ასეთი აზრი გამოითქვა ს. თაყაიშვილზე დაწერილ ერთ მონოგრაფიაში). ჯერ ისაა საკითხავი, სახასიათო როლი რა იგულისხმება. ხომ არ იმართება აქ იმის ცდა, რომ სიუჟანა „ცისფერი გმირი ქალების“ რიგს მიეკუთვნოს? თუ ამას ცდილობს ვინმე, მაინცდამაინც დიდი თავკამოდება არ იქნება საჭირო საწინააღმდეგო აზრის დასამტკიცებლად.

ს. თაყაიშვილის სიუჟანა, კატარინას მსგავსად, იმიტაცი კი არ გამოვიდა ნაკლებ შთამბეჭდავი, თითქმის ეს როლი ნაკლებ „სახასიათო“ ან „უდიდლო“ იყო, არა, იქ, სადაც საჭირო იყო სიუჟანას აქტიურობის, დაუდგრომლობის, კატარინას მშფოთვარე, დაუოკებელი ბუნების წარმორჩენა, ს. თაყაიშვილი თავის სიმაღლეზე იგბა, მაგრამ მის სიუჟანას ზოგჯერ აკლდა გრაციოზული სინატივე, ქალური პაერონება, ხოლო კატარინას ჭირვეულობა ზოგჯერ მცხრალდებოდა, მკრთალდებოდა გალანტური დახვეწილობით, მას აკლდა ლირიკული სუნთქვა. მსა-

ხიობმა ვერ შესძლო თავის თავში ეტოვა ამ საწყისების შერწყმის წერტილები. მსახიობი ვანო მთლიანობაში კი გრძნობდა, მაგრამ მისი სტილისტიკის მიუღი ნიუანსები ბოლომდე ვერ მოიტანა მაყურებელთან. და ყველაფერზე სწორი იქნებოდა მსახიობის სტილის ეს „შეცდომები“ ჩაგვეთვალო შემთხვევითობად და არამცდარამც — კანონზომიერებად.

კანონზომიერებად უნდა ჩაითვალოს სხვადასხვა წარუმტკებლობა ს. თაყაიშვილისა — იგიღობა („ურედი აკოსტა“). მარჯანიშვილმა, რომელსაც ყოველთვის უყვარდა ექსპერიმენტები, გადაწყვიტა ახალგაზრდა მსახიობი ამ როლში ესინჯა. მან იგი შეიყვანა უკვე მზამზარეულ, მრავალგზის წარმოსტკივლი საექტაციეში, რომელიც, როგორც ცნობილია, „ვერეკო ანჯაფარძისთვის“ იყო დადგმული და რომელშიც ყველაფერი გამსტკავლები იყო მისი აქტიორული ინდივიდუალობით, მისი ნიჭით ს. თაყაიშვილი ამ მოუერგო სახეთა ამგვარ ჟღერადობას, სპექტაკლის ფორმა მისთვის ორგანულად უცხო აღმოჩნდა. სახესთან სასურველი შერწყმა ახლაც არ მოხდა — მსახიობი გასტკივლი აღნიშნავს, რომ იგიღობის როლი არ გამოვიდა.

ს. თაყაიშვილი ყოველთვის აქტიურია, ამ თვალსაზრისით იგი მაქსიმალისტია. მისი აქტიურობა და მაქსიმალისტობა, პირველ რიგში, ცხოვრებაში, ყოველდღიურ ყოფაში, ადამიანებთან ურთიერთობაში შეტანდა. მას არ შეუძლია მშვიდად აღტაცება ან უსიტყვოდ, ჩუმად დაშაყურება. არ უყვარს და არც სურს მწვანე, მძაფრი გნებების „შებრალბა“. იგი შეურეგებელია, დაუცხრობელია. ასეთია მისი ბუნება. იგი უკიდურესი სიმპათიებისა და ანტაპათიების ადამიანია, ვერ იტანს ნეულობელ დამოკიდებულებებს, ბოზობობებს, როცა უსამართლობას ხედავს და პირში ეუბნება სათქმულს, ვისაც ჯერ არს. იგი ერთი იმათგანია, ვისაც გულგრილობის მტერს ეძახიან.

მწელი მისახვედრი არაა, რომ ს. თაყაიშვილის ეს ადამიანური თვისებები მისი გმირების სამყაროშიც მყარად დამკვიდრდა. ყოველთვის ცხადი და ნათელია ს. თაყაიშვილის დამოკიდებულება თავის გმირებთან მაშინაც, როცა გმობს მან და მაშინაც, როცა კვარცხლებზეც აჰყავს. მაგრამ იგი არასოდეს არ არის სწორბაზოვანი, ცალმხრივი, არასოდეს იყენებს ერთი ფერის საღებავებს. სიცხადით, გარკვეულობით, აქტიურობით, უკომპრომისობით მსახიობი თითქმის კონცენტრირებულად წარმოგვიჩინს თავისი ფიქრების, ძიებების, მიგნებების, იჭებების, სასურველის ხორცესხმით გამოწვეული სიხარულის და მიუწყდობლობის უკმაყოფილებით გამოწვეული უწყალობის კომპლექსს, ერთი სიტყვით, ყველაფერს, რაც მოიცავს სახის

შექმნის პროცესს და გულისხმობს მისი ძერწვის სირთულეს.

ს. თაყაიშვილს არ ამინებს ეს სირთულეები. პირიქით, ეძებს კიდევ მას, მიუყვება გაუგავლავ ციხებს და ცდილობს ყოველმხრივ ჩაწვდეს თავისი გმირების ბუნებას. იგი კერძოში ზოგადს ეძებს, კომპიუტერში — დრამატულს, ტრაგიკულში — სახასიათო ელემენტებს.

ს. თაყაიშვილის სწავფავს გარეგნული ფორმის სიმძაფრისკენ საზღვარი არა აქვს. ეს სწრაფვა, ეს ლტოლვა არ აღირბობს, არ აფერმკრთალებს მის სტილისტიკას. ზოგჯერ შეუძლებელიც კი გვეჩვენება, როგორ შეუძლია ერთ მსახიობს ასეთ მრავალფეროვან ვანრულ და სტილურ ფორმებს ფლობდეს. იგი ყველგან ამტკიცებს ტრანსფორმირების, გარდასახვის წარმოუდგენელ უნარს. და სწორედ „კომპაქტურ ფაქტურას“ მიჰყავს მსახიობი წარმოდგენულ უკიდურესობამდე ხელოვნებაში. და „შუესაბამისა“ ისეთი მოვლენებისა, როგორცაა, ვთქვათ, ჩინელი ში პინის (ცაო იუსი „ტაიფუნა“) დრამატული თავდაჭერილობა, ძიძას ხაზგასმული სიმკვირცხლე, მუხანათური სიხასტიკე დედოფალ ელისაბედიას (ზილერის „მარიამ სტიურარტი“) და სოფლური სისადავე ევასი ალიქმება ყველაზე მაღალი კრიტიკიუმის პოზიციდან.

ს. თაყაიშვილის დღესასწაულებრივი სახასიათო როლები თავისი, სპექტოფერული ნიშნებითაა აღბეჭდილი. როგორც გაკერით თქვა, მისი სახასიათო როლები გალანტური, ნატფი, გრაციოზული არაა. იგი მძლღარ ლავასაითაა — გწვავს, თუ მიეკარები, შეიძლება დაიფუფუტა. და ეს თქმის არამარტო იმ გმირებზე, რომლებიც თაქიმისტური, მაგორულა ბუნებანა, როგორცაა ავლიტია, თიკა, ანკა, ვასასი (მ. გოგიაშვილის „გულსუნდა“), ძიძა, აპოლინარია (ა. ოსტროვსკის „ლამაზი მამაკაცი“), პეკელა (კ. ბუჩინის „ვარდი ასფერულკოვანი“), არამედ სხვა, ისეთ „წყნარ“, „მშობი“, „მინორულ“ როლებზეც, როგორცაა ამალია კარლოვნა (ა. აფინოგენოვის „სიში“), ნაკამი (მ. ბააზოვის „მუნჯები ალაბრაკდენე“), ქრისტინე („ნინოშვილის გურია“), ბახუ მესელე (ი. ვაკელის „შამილი“), ბიკე (მ. ბუბტუროვის „ოჯახის ღირსება“), ოლენა (ი. გალანის „სიყვარული განთიადზე“), სახედა (მ. მრევილიშვილის „ზეავი“), ში პინი და ბეზია.

„წყნარი“ იყო ამალია კარლოვნა — ა. აფინოგენოვის „სიშის“ ერთ-ერთი ეპიზოდური პერსონაჟის როლი, რომელიც დრომოჭმულობის იერით იყო აღბეჭდილი, არა სიბერის გამო, არა, შინაგანი გამოფატულობის, უპერსპექტივობის გამოისობით. იგი უმოვალოდ, უოცნებოდ ცხოვრობს, წარსულსა ეჭიდება, მისი წარსული კი უკვე ისე შორსაა, ისე ნიადაგამოცლილია, ეფემერულია, ხელს ვერ მოჰკიდებ, ვერ ჩაეჭიდები.

ამალია კარლოვნა ყოველნაირად უაზრო არეუბა — უაზროა მისი გარეგნობა, აზრისგან დაცლილია მისი არსებობა. ამ ქალის ცხოვრება ცუდად აეწყო. იგი ნანგრევად იქცა. „ძველისძველი საფერფლავი“, ამბობენ მასზე და ს. თაყაიშვილი ასეთ ქალს თამაშობდა. ფართუნა, ძალზე გრძელ-მკლავებიანი შალის კაბა კიდევ უფრო აგრძობდა, მის ისედაც ხეხელა ტანს ძალად და ტყავად წარმოაჩენდა. ანუელი, კრძობი ჭადარა მის მწუხარე სახეს კიდევ უფრო პირქუმს ხდიდა. ს. თაყაიშვილის ამალია კარლოვნა თითქმის განასახიერებდა დროგადასულს, წარმავალს.

იყო თუ არა როლის ამგვარ ხორცშესხმაში მის მიმართ სასტიკი განაჩენი გამოტანილი? აქ უფრო მეტი იყო ირონია, სიცილი, დაცინვა — ეს ქალი, დროგამისგან განადგურებული და მასხრად აგდებული, სულაც არ იყო საშინი და სასტიკი. შურისგება აქ ზედმეტიც იყო.

ერთი შეხედვით, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ასეთი პოზიციური მსახიობმა — იგი უპროტოდ დასცინოდა ამალია კარლოვნას — თითქმის რაღაცით გადაუხვია თავისი მხატვრული პრინციპებიდან. გამხილებულ პათოსზე უარის თქმას აქ თითქმის უნდა „მიეყრუებინა“, „დაეზოშ“ სახის ელერადობა. მაგრამ არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ საშუალებები, რომლებიც მსახიობმა სახის გადაწყვეტისთვის გამოიყენა, მინც მწვავე, გარკვეული და კატეგორიული იყო, როგორც თავად მსახიობის ჩანაფიქრი. და ესაა არსებითი. ამალია კარლოვნას პორტრეტი დახატული იყო მსუყედ, მსხვილი პლანით და სპექტაკლში ერთ-ერთი ყველაზე უფრო თავლმასაყმში როლი გახმოდა. ამით მსახიობი ამზადებდა ნიადაგს იმ გარეგნულად სიტყვაძმწუნი როლებისთვის, რომლებიც შინაგანი კონფლიქტებითა და დრამატული სულისკვეთებით იყო აღბეჭდილი.

ერთხელ — ეს იყო ოცდაათიანი წლების დასაწყისში — ს. თაყაიშვილი თამაშობდა ქრისტინეს ღრმად დრამატულ, თითქმის ტრაგიკულ როლს „ნინოშვილის გურიაში“. გასაკვირი არაა, რომ რეჟისორ დ. ანთაძის არჩევანი სწორედ ს. თაყაიშვილზე შეერდა. და ანთაძე მასში ხედავდა მსახიობს, ვისაც შეეძლო ზუსტად გადმოეკა მოქმედების კოლორიტი, სახე შეეძინა ცხოველსთან კავშირში, დაეკავშირებინა იგი მოვლენათა ლოგიკასთან ქრისტინეს სახეში ხორცი შეისხა ყველაფერმა, რაც, უწინარეს ყოვლისა, თვითონ ს. თაყაიშვილს აკავშირებდა გურისასთან, მის რეალობასთან. და, რამდენადაც, „ფუნდამენტი“, რომელზეც აღმოცენდა „შენობა“, მტკიცე იყო, მსახიობს არ გასჭირვებია როლის შესრულება. ფორმა გამოხატავდა ღრმად გააზრებულ და განცდილ შინაარსს. მსახიობი ასრულებდა არა მარტო შეურაცხყოფილი ქალის როლს, იგი წმინდა მოწამეს თამაშობდა.



ტანჯული ადამიანის დიდი თვალები, თითქმის ცარცივით თეთრი, ფერმკრთალი სახე, შავი, გულდისმით დავარცხნილი თმის მკაცრი შავი ხაზები თითქმის ერთი დანახვისთანავე გარწმუნებდათ, რომ თქვენს წინაშე წმინდა მოწამე იდგა. ეს იყო დიდი სულის გამწმენდილი, ზნეობრივად წმინდა ქალი. მსახობი თითქმის „იქიდან აქით“ მოდიოდა — გაბახებული, შერცხვნილი, მიწასთან გასწორებული ქალი უნდად არსებობს, უბიწო ქალის სახით გვევლინებოდა. აკანში მწოლიარე შვილთან გამოთხოვების სცენაში იგი რიტუალურ რიბამდე აღიოდა — თითქმის აღსარებას ეუბნებოდა მას, უმანკოს, ვინც არ იცოდა, რა ჯოჯოხეთი გადახდა დედამისს თავზე. თითქმის შენდობას ითხოვდა მისგან, თითქმის თავს იმართლებდა არა გაბახების, შერცხვების გამო, სინამდვილეში, რომ სამუდამოდ ტოვებდა შვილს, თავს იმართლებდა იმის გამო, რომ დედა დაღატობდა შვილს. თითქმის ყველაფერს ამას — ერმულებს, ოხვრას, გოდებას მულოდრამამდე უნდა მიეყვანეთ! მაგრამ ამგვარი არაფერი ყოფილა! ქრისტიანე დღედა, არც კი ტირიდა, არც კვებოდა. მისი სიჩუმე წამბეული, ტანჯული სულის, დაფლეთილი სხეულის კვირვებს ჰკავდა. იგი მოხვიძე, მკაცრი ქორალივით ვლერდა, როგორც რტყეიმი მუსიკაში.

ქრისტიანე მდე ცოტახანით ადრე ს. თაყაიშვილმა ითამაშა ნაკომის როლი ჰერკულეს ბაზოვის პიესაში „მუნჯები ალაპარაკდნენ“. იქაც იყო ტანჯვა, იქაც გამუქებული იყო საღებავები — ნაკომის ტანჯული სახე ისეთ ტკივლს, ისეთ სასოწარავარეულიებას გამოხატავდა, რომ გვერთობდათ მთელი ქვეყნიერების დარდი და გაება ამ სახეზე დატეულათ.

მაგრამ გმირის „მყვირების“ გარეგნობის მაღალი ტონუსი პიესის კონკრეტულ მოქმედებაში არ პოულობდა ასახვას, პიესა არ იძლეოდა შინაგანისა და გარეგნის ამგვარი სინთეზისთვის საკმარის მასალას.

ქრისტიანე ამგვარი სინთეზის ნიმუში იყო, ბევრი წელი გაეა და ს. თაყაიშვილი დაუბრუნდება ამგვარ სინთეზს. — ოლნდ, უკვე სხვა ვითარებაში, სხვაგვარად „მთავარზეულ გარემოებებში“. სამმა ერთმანეთისგან სასუბით განსხვავებულმა სახემ თითქმის კვლავ გააცოცხლა ამგვარი სინთეზი — ესენია ელისაბედი შილერის ტრაგედიაში „მარიამ სტიუარტი“, სახელა მ. მრევლიშვილის „ზვავში“ და ში პინი ცაო იუს პიესა „ტაიფუნში“.

როდესაც ახლა ვინახებთ უკვე სცენიდან ჩამოსულ „მარიამ სტიუარტს“, პირველ, რაც გვახსენდება, არის ფინალური „ზმანების სცენა“. ელისაბედი იტანჯება, თითქმის ცოცხელურ შიშს განიცდის მისი ნებით ჩადენილი დანაშაულის გამო — მას არ შორდება მისგან მოკვდინებული მარიამის სახე.

არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ რეჟისორული მიგ-

ნება — სარკეში მარიამის სახის გამორჩეულად ლაზე ზუსტად გამოხატავდეს მოვლენის არს და მთელი სცენის შთაბეჭდილებას აძლიერებდეს. საქმე ამ „დამკვეთურ“ დეტალში სულაც არაა, საქმე ისაა, თუ როგორ ატარებს ს. თაყაიშვილი ამ სცენას, როგორ ხსნის მოვლენათა არსს, როგორ აკავშირებს ამ მოვლენებთან თავის გმირს.

ელისაბედი დაბრძოლობს. მას შეთვისანებული შანდალი უტყვია. ამ სახელების მტრქალი შიშის შიშისგან გაოგნებულ, შეძრწუნებულ სახეზე დასათამაშებს. თვალებით მიაცივებდა სარკეს და შიგ ხედავს მარიამს — მტოქის უკვე გაცივებულ, მაგრამ კიდევ უფრო გამწვანებებულ სახეს. ელისაბედი თავზარდაცემულია. მიცვლილივით დაეცემა მიწაზე — იგი ძირს საკუთარმა პირგაბეუბამ, გონისწამრთმევმა ეკვიანობამ და საკუთარი უმწეობის, უძლურობის გაუცნობიერებელმა, ქვეშეცნულმა გრძნობამ დასცა.

იგი იატაკს გავიწა და გაუნძრევლად იწვა, აუფე დაძაბული, გულისყურად ქველყო, თითქმის რაღაცას აყურებდა. ეშინია უკან მოიხიბოს — აჩრდილი კი არა და არ უშვება, სდებს! ნელ-ნელა წამოიწევა იდაყვზე და შემოხებული იმხორება ირგვლივ. თვალმდომი გონი აღარ აქვს. სადღაა მისი მეფური გამოხედვა, სად გამქრალა მისი ვეფხისებური მიხრა-მოხრა? ელისაბედი თითქმის მომწვარდა, დაიკუჭა. ახლა ჩვენს თვალწინ ხელი-კი იცლაკებდა.

ა. მარკოვი, რომელიც სამხატვრო თეატრში ა. სტეპანოვის მიერ ელისაბედის როლის შესრულებას აღწერს, იგონებს, თუ როგორ ატარებდა იგი ბოლო სცენას: „ა. სტეპანოვა წელში იმართებოდა და ასეთი რჩება იგი მაცურებლის მესხინებაში — ოქროს ფარნაში გახვეული...“

ს. თაყაიშვილს თავისი გმირი სრულ კრახამდე მიჰყავს. მარიამზე გამარჯვება მას ძვირი დაუჯდა — ამ გამარჯვებამ მოულო კიდევ ბოლო.

ს. თაყაიშვილს უყვარდა ელისაბედის როლი. იგი აყვება ხოლმე, თუ რა უცნაურად დაუკავშირდა ელისაბედის როლს. პირველად — ეს მისი ახალგაზრდობის წლებში მოხდა — რომელიც ძველ ინგლისურ ფილმში ნახა ინგლისის დედოფალი. არც ფილმის სახელწოდება, არც მსახიობი არ დამახსოვრებია, მაგრამ სამუდამოდ დაატყვევა თვით დედოფლის — ამ ვერაგი, პატივმოყვარე, შურისმგებელი, უაღრესად რთული ბუნების პიროვნებამ. ამას მოჰყვა წიგნები — ს. თაყაიშვილი გატაცებით კითხულობდა მეზობელ მოტლანდიასთან ინგლისის ბრძოლების ამბებს, ეძებდა ცნობებს ელისაბედზე. და როცა უკვე თეატრალური სცენების მოწაფე გახდა, არაერთხელ ჩუმად გაუკვთებია ელისაბედის გრომი და სულ იმაზე ფიქრობდა, თუ როდის და როგორ შეასრულებდა მის როლს.

და, აი, ასეთი შემთხვევაც მიეცა. რეჟისორ ვ. ყუმიტაშვილის არჩევანი მასზე შეჩერდა. მთე-

ლი სიცოცხლე ელოდა ს. თაყაიშვილი ამ შეხვედრას, ემზადებოდა მისთვის. და როლზე მუშაობის დროს ენერჯის არაკველურები მოზღვაგებას გრძნობდა, რეპეტიციების პერიოდში ისეთ სილაღეს, ისეთ შინაგან თავისუფლებას გრძნობდა, როგორც აქამდე არ ეგრძნო.

იგი თავის როლს ქმნიდა სინთეზის პრინციპით ასე ინადებოდა კონტრასტული დედოფალ ელისაბედის ძლიერებასა და ხელმწიფურ დიდებულეებას და მის სულდამბლურ შინაგან არსებას შორის.

სათქმელად ადვილია, მაგრამ რთულზე რთული ამბავია შერწყმულად გადმოსცე სცენაზე პიროვნების ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობა-განცდები და განწყობილებები, თანც ისე, რომ არც იგრძნობოდეს პოლარულად ერთმანეთის საწინააღმდეგო გრძნობა-განცდების ერთ-მანეთში გადასვლა. სინთეზის სირთულე (მთელი ამბავი ეგ იყო) ყოველ წუთს, ყოველ წამს აშკარადვდებოდა. მისი მაჯისცემა ქმნიდა მრუდს, რომელიც ფირზე აღბეჭდილ გულის ფოთქვას ჰგავდა. მრუდი ასახავდა პულსაციის სიხუსტეს, მის უმცარობას, მის ნერვს.

რთული სამკუთხედი, რომელიც სპექტაკლიში ელისაბედის, ლესტერისა და მარიამის ურთიერთობას აღბეჭდავდა, სპექტაკლის ერთ-ერთი უმთავრესი მომენტი იყო. და ამ ურთიერთობების ცენტრში ს. თაყაიშვილის ელისაბედი იდგა.

რა სხარულით უხაროდა, რა შუქით ქჷნდა განათებული სახე, როგორ ზეიმობდა ელისაბედი, როცა გადაწყვიტა მაინცდამაინც ლესტერისთვის დაველდებინა, რომ მას მარიამისთვის ეცნობებია ელისაბედის მუხანათური გადაწყვეტილება! ამ მომენტში მას ბოროტ, მკვეთრად მოხაზულ ტუჩებზე ირონიული, ოდნავი გაცინების მსგავსი ღიმილი დასთამაშებდა. მისი გამგმირავი მწერა თითქოს ხერედად ლესტერს. სახეზე ძალაუფლებით უსაღვრო ტკბობა ეწერა, მაგრამ დედოფალი და ქალი, აშკარა იყო. იტანჯებოდა თავისი მორალური უსუსურობის შგვრანებით. არცერთი წუთით თავი არ დაუკარავს, „აფეთქებოდა“ თავის „უკანდახვევებს“, სულიერი ძრწოლის წამებს და მაშინვე იკრებდა ძალას ახალი იერიშის წამოსაწყებად. ს. თაყაიშვილი სკრუპულოზურად ითვლიდა ამ წამებს, ადამიანის მაჯისცემის სიხუსტით „აწობდა“ მათ თავის მხატვრულ პალიტრაში.

ს. თაყაიშვილის ელისაბედი შეუვარლობის ჯავშანში იყო გახვეული. ყველაზე თავბრუდამხვევ ბეწვის ხიდებზე იგი ვირტუოზი ჯამბაზივით გადდიოდა. მარიამთან — ცოცხალ, რეალურ, საძულველ მეტოქესთან შეხვედრა მას აცოფებდა. იგი ხმაამღლა ლაპარაკობდა, თითქოს ტყეების ჯერს ისროდა, შეუბრალებლად შეურაცხყოფდა თავის მეტერს — უნდაო ყველაფერი გადმოეფუტხთხა. მაგრამ თავის თავზე კონტროლს წუითიაც

არ კარგავდა, თავის სიძულელს წვრილმან ბოლმანობად არ აქცევდა. თავის დედოფლობას სულმდებლურ, დამამყინებელ კბილებს ლტყაილში არ ცვლავდა.

მარიამთან ორთაბრძოლის სცენაში ელისაბედი-თაყაიშვილი მარტო მარიამს კი არა, თავის თავსაც ეომებოდა. იგი სადავეებს არ უშვებდა ხელიდან. შემაჯავებელი ცნტრას — ჯავშანი ყოველთვის მზად ჰქონდა ტანზე შემოსაკრავად. ყოველთვის მზად იყო თავის დასაცავად. ამ სიტყვიერ დელუში მარიამისგან აშკარად დაჯანბილი ელისაბედი ქელს არ იხრებდა მისი სიამების, ქედმალლობის წინაშე. ლარჩულად არ სტოვებდა ბრძოლის ველს. მარიამის ძლიერებითა და ზიზღით ძლეულ ელისაბედს თავი გამომწვევად, კადნიერად ეჭირა. მაჯისცემის მრუდი მრუდა და მალა იწვევდა. წინ დიდი გზა ედო და იწერცაც სწრაფი აქრდა ადებული.

კითხვა „კინ-ვის“ სპექტაკლის მორალურ-ეთიკურ პლანში კი არ წყდება, არამედ მძაფრად პოლიტიკურში. ორი ქალი, ორი დედოფალი, ორი მეტოქე ძლიერნი და ამაყნი იყვნენ, ვიდრე სული ედგათ. ოღონდ როცა ერთი აღსტრება, მაშინ განიცადა კრახი მეორემაც. ეს იყო მორალური და პოლიტიკური კრახი. და, აი, — ფინალიც. ელისაბედის შინაგანი ბუნება უკვე მეორე პლანში გადავიდა, იგი აღარ ეთვალეომსაქმებოდა ხალხს, თავის ქალურ მომზიბულეობაზე, ყოვლისმძლეობაზე ფიქრი აღარ სჭირდებოდა. ლესტერის ხელში ჩაგდებაზე ფიქრიც აღარ სჭირდებოდა — მისი გამგზავრების ამბავი უკვე აცნობეს. ყველაფერი ქარს და მიწყვერს გააყვდა, დაიკარგა ბრძოლის სტიმული, ძალები გამოეღლია, სასოწარკვეფთა, იატაკზე განიფთხო, ბორიალობს და სანთლებს ბაც უშუქე მისი სახე საშინელი და ტრაგიკული ხდება.

ასე მიიყვანა მხახობმა თავისი ვშირი სრულ კრახამდე, ნიღბამ ახალა მის მუხანათობას. ობიექტური დაუნდობლობით გამოუტანა მან განაჩენი ამ სცენურ სახეს, რომელიც ერთდროულად კიდევ უყვარდა და კიდევ სძულდა.

ვერავი, მუხანათი ელისაბედი და სიტყვაქუნწი წამებული საბელო მ. მრეველიშვილის „ზვავეში“ — მართლაც რომ თავბრუდამხვევი ვირტუოზული ოსტატობით შესრულებული ნახტომი. იქაც, როცა ინგლისის დედოფლის საქმეს ქმნიდა და აქაც, ბჷგავი მითიელი ქალის — საბედოს სახის შექმნისას, ს. თაყაიშვილი მიდიოდა უკიდურესობა-თა სინთეზის ნაცდი გზით: იგი მწუხარებას თამაშობდა და ძლიერებას ამკვიდრებდა.

სცენაზე დაბიჯებდა წელში მოხრილი, შაოსანი დედაკაცი, ღრმა, ფარულ ტანჯვის, დედის მძიმე ტვირთის, დედობრივი მწუხარებას კვლი იყო აღბეჭდილი მის სახეზე. მწუხარება სულს უსუთავდა, მაგრამ იგი ცდილობდა ეს მწუხარება გარშემო მყოფთა მწერიანგან დაემალა — მეტის-



ბებია — „მე, ბებია, ილიყო და ილარიონი“

მეტად პირადული იყო მისი ტრაგედია. ს. თაყაიშვილი მაინცდამაინც დაუშურებლად არ ხარჯავდა ემოციებს. ნაწამები მთელი ქალის — საბედოს სტოიკური სიმტკიცე თვით მკაცრად დიდებულ კლდიან მთებს მოგაგონებდათ. და კვლავ, როგორც მაშინ, როცა ქრისტინეს როლს ასრულებდა, საბედოს მდუმარებაში ისმოდა ადამიანის სულის სასოწარკვეთილი ყვირილი, რომელიც ზარების გადაძახილივით, შორეულ ექოდ იღვრებოდა ხეობებში და ამ კვილიში დედის სასოწარკვეთილებასთან ერთად გაისმოდა ტრაგიკული ქორალის მკაცრი მელოდია. და როცა ფინალში კვდებოდა მისი კიდევ ერთი შვილი — გეგა, საბედო მაინც არ ტირიდა, მხოლოდ მისი ტურები ჩუმად წარმოთქვამდნენ საშინელ სიტყვებს თავისი ქმრის, თინაბეგის, ამ ტრაგიკული და მანამაშვის მისამართით.

ეს იყო განაჩენი. განაჩენი დედის, მეუღლისა, ქალისა, ადამიანისა, რომელსაც საშინელი ტრაგედია დაატყდა თავზე და ფინალის მნიშვნელოვანი აზრი ამით გამოისატა. უსიტყვო ქალმა, ბოლოსდაბოლოს, თქვა თავისი მკაცრი სიტყვა. თქვა და კვლავ ჩაიკეტა თავის თავში — ახლა უკვე სამუდამოდ. მრისხანე და თავისი მწუხარებით დიდებული საბედო თითქოს კვლავ ქვავდებოდა.

ს. თაყაიშვილი დემაგოგის მტერია. მაყურებე-

ლთან დემაგოგიური შეთამაშება მას ორგანულად უცხოდ, დღემუგლად მიაჩნია. იგი საცებით უარყოფს კომედიებში ზედაპირული კომიზირების გზას, არ თამაშობს მაყურებლის ნერვებზე ღრმად დრამატულ სიტუაციებში. მას შეუძლია კომიკური ხერხების გამსხვილება, დრამატულ სიტუაციებსა და ხერხებში ეძებს „მოქნილობას“ და იქ, სადაც ემუქრება საფრთხე დაქვეითებისა, ვიქვით, დრამისა მელოდრამამდე, იგი თავის მოსაზრებებსა და პრინციპებს იფარებს ფარად და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ კომპრომისიდან დაიზღვიოს თავი და არ დათმოს პოზიციები. ეს მან შესძლო ქრისტინეს როლშიც, საბედოს როლშიც, და ისეთ როლებშიც, როგორცაა ოლენა (ი. გალანის „სიყვარული განთიადზე“), ში პინი (ცაო იუის „ტაიფუნი“) და მრავალი სხვა.

დედაბერი ოლენა თითქმის არ მოქმედებდა პიესაში — მთელი სპექტაკლის მანძილზე იგი დუმელზე იწვა თითქმის ყველასაგან მივიწყებული, იწვა და სიკვდილს ელოდა. რაღაც მრისხანე, ტრაგიკულად უსაშველო იყო განფენილი მის ირგვლივ და ქოსს მძიმე, სულისშემხუთველი, დამორგუნველი ატმოსფეროთი ავსებდა.

მაგრამ ოლენა ცოცხლობდა. იმისთვის ედგა სული, რომ მიესწრო, შესაძლოა, უმთავრესი, უმნიშვნელოვანესი რამ, მდვლისთვის ეამნა თა-

ვისი ძმრის ავგაცობის ამბავი. აღსარების თქმის სურვილი იმდენად ძლიერი იყო, რომ ძნელა სა- თქმელი გახლდათ, რა გრძობა კარნახობდა მას — ღვთის წინაშე უსიარებლად წარდგომის შიში თუ სიძულვილი ძმრის მიმართ.

ოლენას სული ედგა. ოლენა ცოცხლობდა იმი- სთვის, რომ ერთხელაც დარწმუნებულიყო ადამი- ნების უკეთურობაში — პარასკას სიკვდილმა მას, სასაზევროდ მკვდარ ჯივკვს, თავხარი დასცვა. თავხარადკემას იგი რელიგიური ცრურწმენისგან არ გაუთავისუფლებია, მაგრამ, გარკვეულწილად, თვლი კი აუხილა. საშინელ, დაუნდობელ რელო- ბასთან შეგახება ამ ქვეყნიდან მიმავალ დედაბერს თვალს უხელდა იმ ქვეყანაზე, რომელშიც აქამომ- დე ცხოვრობდა გატრუნულად, ხმაგარმენდილად და მასში პროტესტის ძალა იბადებოდა.

ოლენას საშინელი ბედის ჩვენებით ს. თაყაიშ- ვილმა ცხადი გახადა, რომ მას შეეძლო ცოტა რა- მემში ბევრი დაეხასა.

შე ბინის როლშიც ს. თაყაიშვილი წინა პლან- ზე სწევდა არა სისუსტეს, უმწეობას თავისი გმი- რისა, არამედ მის ძალას, მის სიკვრებეს, შეუპოვ- რობას. და ახლაც შედგება მივიღეთ სინთეზი ურთიერთსაწინააღმდეგო ნიუანსებისა. შურაცხ- მყოფი პიროვნების მწუხარება, ადამიანთა უსა- მართლობის შეგნება, ერთი სიტყვით, მთელი კო- მპლექსი ტანჯული ცხოვრებისა თითქოს გმირის თვალბის ჩინურ ჭრალში იყო თავმოყრილი, რასაც ხაზს უსვამდა, აძლიერებდა განსაკუთრებით ნელი, მონოტონური მოძრაობა, მშვიდი, მაგრამ ნაჯაფარი, დამაშრული ხელები. მსახიობს მაყუ- რებლამდე მიჰქონდა თავისი გმირის მაღალი გან- წმენდილი სული, ლამაზი ქალური ღირსების გრძობა და ზნეობრივი სრულქმნილება.

ცოტაში ბევრის ნახვა. სწორედ მსახიობის ეს უნარი იყო, ხშირად, მთავარი, ვეღვალე ფაქტული მის სცენურ ქმნალებში. გავისსენით, თუნდაც, ბიკე (გ. მუხტაროვის „ალანის ოჯახი“) — კე- თილი, გულსხმიერი, მაგრამ ჩამორჩენილი შეხე- დულებების ქალი; სოფიო მეჯღანუაშვილი — (ლ. არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუა- შვილი“). აქ დრამატიკაში მკვეთრ სახასიათო ელ- ემენტებს ერწყმობდა; მაიად პრიუდანსი (ა. დიუ- მას „მარგარიტა გოტიე“) და მართა ქვიტირიძე (დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“), ჰე- რცოგინია დ 'ალბუფერსკაია (ვ. პიუგოს „რუი ბლასი“) და კეთილი, საყვარელი დედაბერი მარი- ამი რ. თაბუკაშვილის „რაიკომის მიდევანი“). სას-

ტიკი და შეუდრეკელი დედოფალი იორკის („რი- ჩარდ III“) და ანა სვეტლოვა — ჩუმი, მოკრძა- ლებული რუსი ქალი, რომელიც მზადა უწყყმა- ნოდ გასწიროს თავი სიყვითისთვის, მშვენიერების- თვის.

ცოტაში ბევრის დანახვა! აი, ჭემმარიტად სად შესძლო მსახიობმა ამის მიღწევა: ესაა მისი უკა- ნასკენელი სცენური სახე — ისახარი ა. სუმბათა- შვილი-იუენინის „ლალატიღა“.

მოხუცი ისახარი საქეტკალში თითქმის არ ლა- პარაკობს, ასევე, თითქმის არც ინძრევა. იგი ქვის ქანდაკებას ჰგავს. თავით ფეხებამდე შავ სამოსელ- ლშია გახვეული. მთელი სხეულით ცივ ქვას მი- კრული ისახარი რაღაც არაჩვეულებრივი ტრაგი- კული ძალით „ენივთება“ სულიმან-ხანის სასა- მლის პირქუშ დარბაზებს, სადაც მწიფდება ლა- ლატი, ახლოვდება სიკვდილის სუნთქვა.

ისახარმა იცის ამ ლალატის ამბავი, მითი სულ- მდგმულობს, მთელი აზრი მისი ცხოვრებისა უკვე შურისძიების მოლოდინშია — მეტი არაფერი. ქვის ცივი ქანდაკება, მოხუცი ისახარი უკვე გა- დაეჩნია ტირილს, უკვე არც იტანჯება. ცრემ- ლები გაუშრა, გული გაუქვავდა. ჩურჩულითდა ლაპარაკობს. და უცებ — საოცრება ხდება: ისა- ხარი თითქოს ვეფხვდება, ოცი წლის განმავლობა- ში მის გულში დაგროვებულმა მრისხანებამ, ბო- ლმამ გებრი გადმოლეკა! იგი ზეიმობს: შური ნა- ძიებია. რაოდენი ძალა, სიამაყე, სიამაყე ახლა მის მრისხანებაში! სიამაყე არა საკუთარი თავით, არამედ მისი ვრიო! და ეს ძალა და ეს სიამაყეც მისი ერის, ხალხის უძღვეულობის შეგნებითაა შობილი.

\* \* \*

ესილია თაყაიშვილმა მრავალი როლი შეას- რულა ქართულ სცენაზე. ცხოვრებამ იგი საოც- რად განსხვავებულ ხასიათებს შეახვედრა — ამა- ზე უკვე მოგახსენეთ. ისდა დაგვრჩენია, რომ დას- კვნები დავაზუსტოთ: მსახიობი როლებში არსე- ბითს ეძებს და ცდილობს ისინი ყოვლისმომცვე- ლად წარმოსახოს; იგი ფაქტს კონკრეტულ სახეს აძლევს და ძალძღვს ეს ფაქტი, ეს სახე ზოგადო- ბამდე, საყველთაობამდე აამაღლოს. ესაა მისი ოსტატობა, მისი ძალა.

# პეპენის სააღმშენებლო თეატრი თბილისში

საპრემიუმოს სსრ თეატრალურ საზოგადოებასთან არსებულმა „შეგობრობის თეატრმა“ ეს უკვე მეორედ მოიწვია საგასტროლოდ თბილისში გ. სუნდუკიანის სახელობის ერენის სახელმწიფო აკადემიური თეატრი. ამჯერად სტუმრებმა ჩვენს დედაქალაქში ჩამოიტანეს ერთი სპექტაკლი — შეგპირის „კორიოლანოსი“.

სპექტაკლი დადა საბჭოთა ვაგშირას სახალხო არტისტმა, სომხეთის სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა რაჩია კაპლანიანმა. რეჟისორია სომხეთის სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ხ. აბრამიანი, მხატვრულად გააფორმა ე. სოფრო-ნოვმა, მუსიკა ეკუთვნის ფ. არამიანს, ცეკვები და-დგა ე. ბუკაიტსმა, კოსტუმები შექმნა ს. სტარცე-ვამ, რეჟისორის ასისტენტია ა. მიქაელიანი.

შეგპირის პიესის მთავარი გმირია ძველი რომის ერთ-ერთი ძლიერი პიროვნება, სახელმძღვანელო მხედარმთავარი კაიუს მარციუსი (კორიოლანოსი), რომელმაც დიდების უმაღლეს საფეხურს მიაღწია და საკუთარი პიროვნება გააზუ-კაციურა, თავი დააჯერა, რომ ყველადრის შემძ-ლეა, მისი დამარცხება არავის შეუძლია. და სწო-რედ ამგვარმა უკიდურესმა ინდივიდუალიზმმა მიიყვანა იგი შეცდომამდე, სამშობლოს დალატამ-დე და მარცხამდე. ბრბო, სწორედ ის ბრბო, რომელიც მას თავყანს სცემდა, არნახულ ტრიუმფებს უწყობდა, უმოწყალოდ ჰკლავს კორიოლანოსის, რომელსაც ეგონა, რომ მის მივითრობას ვერავინ გაუწყვედა რომს.

აი, ეს არის პიესის მთავარი გმირის ტრაგედია. სპექტაკლის წარმატებას დღიად უწყობს ხელს სცენის ორიგინალურად გაფორმება. დიდი კარიბჭის გაშლა და დახურვა აზრობრივად გამართლ-ებული და ლოკაკურად დასრულებული მეტაფო-რაა.

კორიოლანოსის როლს ასრულებს სომხეთის სსრ დამსახურებული არტისტი ხ. აბრამიანი, ტიტ ლარციუსისას — სომხეთის სსრ დამსახურებული არტისტი გ. ასლანიანი, კომინიუსისას — სომხეთის სსრ დამსახურებული არტისტი გ. აშულიანი, აგრიპასას — სომხეთის სსრ დამსახურებული არტისტი მ. მანუკიანი, სიცინიუსისას — სომხეთის სსრ სახალხო არტისტი თ. გალიანი და სხვ.



სცენები სპექტაკლიდან „კორიოლანოსი“

1914-1921 წლების საერთო კრიზისულ ატმო-  
სფეროში, რომელიც განაპირობა ბურჟუაზიის სუ-  
ლიერმა სილატაკემ, სინამდვილისადმი ირონიულ-  
მა და სკეპტიკურმა დამოკიდებულებამ, კალენი-  
დისკოპოური სისწრაფით ცვლიდა ერთმანეთს  
სხვადასხვა მიმდინარეობანი. დაიბადა სწრაფვა  
სულის უხილავი პლასტების წარმოჩენისა, ქვე-  
ცნობიერი ნაკადის გამომჟღავნებისა, შეუქებადის  
შეგრძნებისა.

ახალი თაობის მხატვართა თვალში ფიროსმა-  
ნის ფენომენი არა მხოლოდ ქართული სულის ქე-  
შმარიტი გამოვლენა იყო, არამედ იმ ნიშნების  
მატარებელიც, ეპოქის კონფლიქტებს მისტიკური  
საბურველით რომ მოსავდა.

შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ ნიკო  
ფიროსმანაშვილის შესახებ გამოქვეყნებულ პირ-  
ველ სტატიებსა და ალბომში (1926) ქართველი  
ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები  
უდიდეს ყურადღებას უთმობდნენ ნიკო ფიროსმა-  
ნაშვილის შემოქმედებისათვის ნიშნდობლივს —  
ქართული ეროვნული მხატვრობის ტრადიციების  
ორგანულობასთან ერთად ინტუიციით შეგრძნო-  
ბილ თანამედროვე ეპოქის მაჯისცემას.

გერონტი ქიქოძე სტატიაში „ქართული მხატ-  
ვრობა და ნიკო ფიროსმანაშვილი“ საგანგებოდ  
აღნიშნავდა: „ის თავის სულში მთელ ქვეყანას  
ატარებდა, რომელიც მას აღუღებდა და სტან-  
ჯავდა. მისი ნაცნობები ამბობენ, რომ იმ მო-  
მთვარულს ჰგავდა. მისი სახეები, რომელნიც თი-  
თქო რეალისტურად არიან დანახულნი და შეს-  
რულებულნი, დაკვირვების შემდეგ უღრმესი მის-  
ტიციზმის შთაბეჭდილებას იწვევენ და მისი ყან-  
წიანი მოქიფებები, მედუქნეები და იაფფასიანი  
მეძავე ქალები იმქვეყნურ არსებებს გვანან. ისი-  
ნი არ იციან და არ სტირიან, ისინი გაცოცხლე-  
ლი იციკირებინან; გაცოცხლები იციკირებინან არა მა-  
რტო ადამიანები, არამედ ცხოველებიც, ეს უც-  
ნაური ხის ირმები, ლომები და კირავები, რომ-  
ელთა გამგმირავი თვალების გამომტყველება  
არავის დააყწყდება, ვინც ისინი ერთხელ მაინც  
ნახა.“ („მნათობი“ №3, 1925).

ფიროსმანის შემოქმედება, სხვადასხვა იდეური  
მრწამსის ხელოვან შესაბამის საზრდოს სთავა-  
ზობდა, შემოქმედელ მის ხელოვნებაში „პოულობ-  
და იმას, რასაც ეძებდა“, რისი ნახვაც სწავურო-  
და, რასაც იდეურ ფარად მოიშველიებდა. ფუტუ-  
რისტებმა ფიროსმანის პირველ აღმოჩენთა უფ-  
ლებებით ისარგებლეს და იგი თავიანთი „მემარ-  
ტხენე“ ხელოვნების დამცველ ფარად გამოიყენეს.  
რუსმა ნეოპრიმიტივისტებმა მ. ლარიონოვისა და  
ნ. გონაროვას თაოსნობით, თავიანთ სკანდალურ

# ქართული ფერწერის მესკრიპციონისტული ტენდენციები (1914-1921 წწ)

ირინე აბესაძე

გამოფენებს „ლიტეთმად“ წაუძმდვარეს ნიკო  
ფიროსმანაშვილის ფერწერული ტილოებიდან მო-  
ნაბერი ალქმის უშუალობა და ლაკონიზმი. „ცის-  
ფერყანწელებმა“ კი მისი შემოქმედების მომნუ-  
ხველი ძალა ედგარ პოს „ყოჩაღის“ მისტიკურ  
ძრწოლას შეუღარეს.

ფიროსმანის ფენომენის თავისებურებათა შე-  
სანიშნავი ახსნა მოცემული ახალი ქართული  
ფერწერის იდეური სულისჩამდგმელის დავით  
კაკაბაძის სიტყვეებში: „არც ერთ მხატვართან არ  
შემეფედრია მე ფიროსმანის მსგავსი ძალუმი შე-  
გრძნება საქართველოსი“<sup>1</sup>. საქართველოს ეს ძა-  
ლუმი შეგრძნება კი ნიკო ფიროსმანაშვილმა ხა-  
ლხური ხელოვნებიდან, ფოლკლორული საწყისი-  
დან, იმ ლეგენდებიდან შეითვისა, რომელთათვი-  
საც პანთეიზმის, პარმონიისა და ეპიკურობის  
გარდა, უცხო არ იყო საიდუმლოებებით მოცული  
ფანტასტიკური ხილვები და რომელნიც, ბორის  
პასტერნაკის თქმით, თავიანთ თავში „მესიანიზ-

მისა და მისტაკის შემცველი, ადამიანის წარმოსახვით უნარსა და ფანტაზიას ამღებებენ<sup>2</sup>.

ახალი ქართული ფერწერის მსვერებმა დავით კაკაბაძემ, ლადო გულიაშვილმა, შალვა ქიქოძემ და სხვებმა ქართული შუა საუკუნეების ხელოვნების, მონუმენტური კედლის მხატვრობის ტენდენციების გაცნობიერება შეუზავეს საქართველოს ფიროსმანისეული განცდა, რომელიც პირველყოფილი ძალით აშიშვლებდა და ახმინებდა სხეულთა სულს. რითაც არარეველებრივ გამომსახველობას აღწევდა და თანამედროვე წინააღმდეგობებით აღსავსე ეპოქის ბეჭდს ატარებდა.

ეპოქის კრიზისულმა სიტუაციამ — პირველმა იმპერიალისტურმა ომმა, რევოლუციებმა, მენშევიკების დიქტატურამ საქართველოში სასოგადოებრივად გარყვნილობის, უიმედობის, მარტოობისა და მისუაფრობის შეგრძობა წარმოეხა. წინა პლანზე წაიოიწია ადამიანურმა განცდებმა, სკეპტიციზმით და ირინით შეხიზლულმა სულის შინაგანმა ხედვამ. პორტრეტული ხელოვნებიდან განსაკუთრებული პატივი ხვდა ავტოპორტრეტს, რადგან ყველაზე უკეთ სომ სწორედ ავტოპორტრეტში აიოგვლება ეპოქის ურთულეს და ტრაგიდიკ, და, როგორც ოსკარ უაილი ამბობდა, „ჯოჯოხეთიც და სამოთხეც“.

დასოლებით ერთსა და იმავე დროს განკუთვნიება ვ. გაფრინდაშვილის „მე — სარკეში“, „დეული ორეულთან“, ტ. ტაბიძის „ავტოპორტრეტი“ („უკიდლის პროფილი... ცისფერი თვალები“), პ. იაშვილის „ავტოპორტრეტი“. იმავე წლებშია შესრულებული დ. კაკაბაძის ცნობილი ავტოპორტრეტი: „ავტოპორტრეტი სარკესთან“, „ავტოპორტრეტი ბროწეულებით“, „ავტოპორტრეტი ნაცრისფერი ხალათით“ და სხვ. შალვა ქიქოძის ავტოპორტრეტების სერია („ავტოპორტრეტი შავი ქუდი“, „ავტოპორტრეტი თეთრი ქუდი“, „ავტოპორტრეტი თეთრი ხალათით“ და სხვა).

მართალია, პოეზიასა და ფერწერაში ასახული ადინწიული ავტოპორტრეტები ერთ ეპოქის პროდუქტია, ერთი ეროვნული ინსპირაციის განცხადებაა, მაგრამ სრულიად განსხვავებული გზით (ამ შემთხვევაში მხედველობაში არა გვაქვს მხოლოდ ხელოვნების განსხვავებული დარგებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური თავისებურებანი). სიტყვისა და რიუმის, ხანისა და ფერის საშუალებით მხატვრული სახის ამტკვევების განსხვავებულმა ხერხებმა — განსხვავებული მიზანდასახულება და ჩანაფიქრის იდეური გადაწყვეტა მოიტანეს. თუ ქართველი „ცისფერყანწელები“ სიმბოლურ მეტყველებას ირჩევენ, ორე-

ლებსა და ლანდებს ეკავებებიან, ქართველი მხატვრები თვით პორტრეტის ძალეში ამტკვევლებით, ხანს და ფერის სახიერებით უკიდურეს გამომსახველობას, სულის უნატფესი ნიუანსების გამოხეურებას აღწევენ.

1919 წელს ეურნალ „შეიდი მნათობის“ (№1) ფურცლებზე დავით კაკაბაძის პოლემიკური ხასისათის წერილი „ჩვენი გზა“ გამოქვეყნდა, რომელშიც ავტორი სახავდა ახალი ქართული მხატვრობის განვითარების გზებს და ეწინააღმდეგებოდა „ციხეფერყანწელთა“ საშოქქედო შოტოს, რომლის მიხედვითაც ახალი ქართული პოეზიის შექმნის ქეაკუთხედი უნდა ყოფილიყო თანამედროვე სიმბოლიზმზე დამყარებული, ქართული რომანტიზმის საუკეთესო ტრადიციები. დავით კაკაბაძემ ექვემდებარე დაყავა სიმბოლიზმის ქართული სულის გამოვლენებად მიჩნევის საკითხი და ტიციავ ტაიძის თუხას... „ქართველ ხალხს უყვარს ნიღაბი, სიმბოლიზმი სწორედ ფილოსოფია ამ ნიღაბისა“ (ტ. ტაბიძე, „ცისფერი ყანწეობი“) დაუპირისპირა ... „ჩვენ კი ვიტყვი, რომ ქართულ სულს სრულებით არ შეეფერება ამგვარი სიმბოლიზმის ნიღაბი და სიმბოლიზმის აუცილებლობა ჩვენში მეტად საეჭვოა. ჩვენი მხატვრობა, ხუროთმოძღვრება, მეზნადავებლობა და მწერლობა ამს მოწმობს“. „ცისფერყანწელთა“ აღხვეების წელს გამოქვეყნებულ ამ პოლემიკას დ. კაკაბაძე ამთავრებს სიტყვებით: „... ჩვენი მხატვრობა ამ გზით ვერ წავა, მას აღ ეწეება „ცისფერი“ ფერი“.

მაშ, რა გზით წავიდა ახალი ქართული მხატვრობა? ახალი თაობის წარმომადგენლებმა დავით კაკაბაძემ, ლადო გულიაშვილმა, შალვა ქიქოძემ, დიმიტრი შვეარდნაძემ, ელენე ახვლედიანმა და სხვ. ეპოქის თანადროულ ხედვას მოარგეს ქართული ტრადიციით ნაკვები საშუალებები, შუა საუკუნეების კედლის მხატვრობასა და ფიროსმანის შემოქმედებაში, ხალხურ მისტიციზმში ანოკითხული ექსპრესიული სახეება. თუ ქართველ სიმბოლიზტებთან ტრადიციის საკითხი გამოკვეთილ ხასისათ არ ატარებდა, რადგან უპირატესობა თანამედროვე ევროპულ პოეზიაში გაბატონებული მხატვრული სახეების გადმონერგავს ენიჭებოდა (ე. ი. ამ ურთიერთმიმართებისას სიმძიმის ცენტრი ევროპული სიმბოლიზმის მხარეს ექვეყნდა), ქართულ მხატვრობაში ეროვნულმა ტრადიციებმა გადასწორეს თანამედროვე ევროპულ მხატვრულ ფორმებთან შედარებით, აღნიშნული ურთიერთმიმართების საკითხის მეორე მხარე, თანამედროვე მხატვრული ფორმის გაგებაც (ქართველი სიმბოლიზტებისაგან განსხვავებით) ქართული ფერ-

წერაში ექსპრესიონისტული ტენდენციების შეჭ-  
რით გამოიხატა.

„ეკრმანული ექსპრესიონიზმი — წერდა დავით  
კაკაბაძე თორიულ ნაშრომში „პარიზი“, 1920-  
23 წ.; წინააღმდეგა ბუნების პირდაპირი მიმ-  
ბაძველობისა, ეძიებს საშუალებას გადმოგვეცეს  
ცხოვრების შინაგანი სახე. გასაოცარი გრძნობე-  
რებით ის აღიარებს ახალი კაცობრიობის არსე-  
ბობას... ექსპრესიონიზმის ცვაა: გადმოგვეცეს  
უნივერსალურ ფორმებში ადამიანის ნამდვილი  
საკაცობრიო სახე, გარეშე ყოველგვარი შემთხვე-  
ვითი და დროებითი პირობებისა“. დავით კაკაბა-  
ძის მიერ ექსპრესიონიზმის აღნიშნული ფორმე-  
ულირება ზუსტად გადმოგვეცეს ექსპრესიონიზმის  
ძირითად არსს.

გერმანიაში 1905 წელს, დრეზდენის მხატვართა  
კავშირის „ხიდისა“ და მოგვიანებით, 1912  
წელს მიუნხენში მხატვართა საზოგადოების „ლუ-  
რჯი მხედრის“ სახით ჩასახლება მიმდინარეობდა  
თავისი მამხილებელი ხასიათით, ადამიანის ფსი-  
ქოლოგიის წიაღში ღრმა წვდომით, არსებული  
სოციალური კონფლიქტებით გაღვივებული პატ-  
რიტიკში, მასში შეპარული პესიმისმითა და  
მისტკური ნაკადით, პირველი იმპერიალისტურ-  
ი ომის წლებში შეიდროდ მოიკიდა ფეხი სხვა  
ქვეყნებშიც. საქართველოში ექსპრესიონისტული  
ტენდენციების შემოჭრას შესაბამისი ნიადაგი  
ქონდა შემზადებული, როგორც სოციალურ-პო-  
ლიტიკური ვითარებით, ასევე, გარკვეულად, ქა-  
რთული მონუმენტური კედლის მხატვრობის თა-  
ვისებურებათა ხასიათითაც. აღნიშნულმა ტენდენ-  
ციებმა განსაკუთრებით მოიკიდა ფეხი 1919-1921  
წლებში. ქართველ მხატვრებს: დავით კაკაბაძეს,  
ლადო გუდიაშვილსა და შალვა ქიქოძეს საზღვა-  
რგარეთ, პარიზში ყოფნისას თვალწინ გადაეშა-  
ლათ კაპიტალისტური წყობილების სოციალური  
უთანასწორობანი. კაპიტალიზმის კრიზისი, სუ-  
ლიერი კრახი, იმედების მსხვერფეა აქ, ევროპული  
ცხოვრების ეპიცენტრში განსაკუთრებული სიმახ-  
ვლით გამოჩნდა.

შალვა ქიქოძე პარიზიდან წერდა დას—ანეტა  
ქიქოძეს: „ევროპა ლემია, ის ლემი, რომელსაც  
მატლები ეხვევა და საშინელი გახრწნის სუნი  
დასს, მე არ ვიცი რა ძალას შეუძლია შეაქროს  
ის რღვევა, რევოლუციას, შენაძლოა მხოლოდ მას,  
სხვას არაფერს“<sup>4</sup>.

დავით კაკაბაძის, ლადო გუდიაშვილის და შალ-  
ვა ქიქოძის პარიზულ ჩანახატებს სწორედ ექსპ-  
რესიონიზმის დადი ამჩნევია. მათში გროტესკული  
სახეიერებით აბის მხილებული სოციალური მან-  
კიერებანი. აღსანიშნავია, რომ მათი შემოქმედე-  
ბის ეროვნულ ხასიათს ორგანულად შეერწყა ექ-  
სპრესიონიზმის ელემენტები, რადგან იგი როდი  
იყო პარიზში შეცნობილი, სხვათა მიერ აპრობი-  
რებული სახეითი ხერხებით „ორიგინალობა“, გა-  
ნდვის გარეშე, თანამედროვე ძიებათა „ფეხის  
ხმას აყოლა“, არამედ იყო ქართულ ეგზაზში გა-

ნანილი, სრულიად ორგანული, „სისხლხორცე-  
ული“ ტკივილი სულისა, ამოხი მხატვრისა არ-  
სებული სოციალური რწერვის და ამორალობის  
წინააღმდეგ. ამ ტენდენციებს გარკვეულად თავად  
მხატვართა ფსიქო-ემოციურ არსებაშიც ქჭონდა  
ნიადაგი შემზადებული.

\* \* \*

„შალვა ქიქოძე იყო სატირიკული და ტრაგი-  
კული ბუნების მხატვარი“, ასე დახასიათა თა-  
ვისი ბიძაშვილი ცნობილმა მწერალმა გერონტი  
ქიქოძემ (ხელნაწერი დაცულია საქ. ლიტ. სახ.  
მუსეუმში 2646 16-6). ლადო გუდიაშვილის  
მოგონებით კი „მას, როგორც შემოქმედს ქჭონდა  
კიდევე ერთი საინტერესო თვისება, ცხოვრების  
იუმორის პრიზმაში დანახვის უნარი...“<sup>4</sup> მხატვრის  
როული, თავისებური ფსიქო-ემოციური ნატურა  
თითქოს გაორებას განიცდიდა. მასში თანარსე-  
ბობდა ორი, ურთიერთგამომხრცხვი საწყისი ოპ-  
ტიმისტური, ცხოვრების დამამკვიდრებელი, ჯან-  
სალი იუმორით სავსე და ტრაგიკული, შგრძნობი-  
არე ემოციური სული, ცხოვრების ავებლობაზე  
სარკასტული ირონიით მზირალი. მხატვრის შე-  
მოქმედების ეს გაორება, წინააღმდეგობრიობა  
ბუნებრივი შედეგი იყო ეპოქის საერთო იდეური  
და სულიერი კრახისა.

„მე ჩემი მეორე ბუნება მაინტერესებს, რომე-  
ლიც ხანდახან გამოიყურება ხოლმე. მე ის უფ-  
რო მიყვარს, ის მეორე ბუნება“, — გულახდობლად  
წერდა შალვა ქიქოძე დას, ანეტას, პარიზიდან.<sup>5</sup>  
საკუთარ არსებაში ამ გაორებია გრძნობით და  
მეორე „მე“ — ს ძიებთაა ნაკარინახვევი უ. ქიქო-  
ძის ფატალური ავტოპორტრეტი უცნაური სახე-  
წლოვებით „უდროოდ დაღუპული მეგობრის მო-  
საგონებლად“. მხატვრის თითქოს სწადია სხვი-  
სი თვლით დანახვის საკუთარი აბსასრულის მო-  
ახლოვება. იგი თითქოს საკუთარ თავს უწინას-  
წარმეტყველებს დაღუპული მეგობრის ბედს. ავ-  
ტოპორტრეტი წარმოდგენილია უცნაურ თანამე-  
რინახებთან, მეფისტოფელთან და სკავდელთან  
ერთად პირობით გემზანზე. „ღვთაებრივი სამე-  
ბის“<sup>6</sup> იკონოგრაფიული სქემის მსგავსად მაკიდას  
უსხედან სტუმრები, მხოლოდ ამ შემთხვევაში მე-  
ფისტოფელად და სკავდელის სიმბოლო—როზნხ-  
ად გარდაქმნილი. საანტიკურსა ამ უცნაური ჩანა-  
ფერის ჩანახვის თვალის გაღვენება. ვერძო კო-  
ლექტივში დაცულია ორი ქაგაზური ჩანახატი.  
შესრულებული ფანქრით ებალდის ნაკლებზე-  
კომპოზიციის სქემა ვერტიკალური სახეობითა და-  
სერილი, მათი საშუალებით მხატვარი საზღვრავს  
თითოეული კომპონენტის სამოქმედო არეს, მათი  
ურთიერთდამპირების მანძილს. ცენტრში გამოსა-  
ხულია სკამის საზურგეს ჩამოყრდნობილი, ირო-  
ნიულად მომღიმარი მხატვარი. იგი უშერს მის  
გვერდით ფიქრში წასულ მოხუცს, ცალ ხელში



წვერი რომ ჩაუბღუჯავს. მარჯვნივ კი ადამიანის  
 ჩონხია. მაგიდაზე პირობითად მოხაზული ვაშ-  
 ლები აწყვიტა. მხატვარს ეკვიწვივდ აქვს ნაპოვნ,  
 ძირითადი კომპოზიციური ჯარკა. დასრულებულ  
 ფერწერულ ტილოზე კი მოქმედ პირთა გადაად-  
 გელებით შეიცვალა კომპოზიციური ცენტრი, რა-  
 მაც თავის მხრივ სრულიად სხვა რეჟისტრზე ააე-  
 ღურა კომპოზიცია. მხატვრის მუხუშე ირინია  
 შეიცვალა სიკვდილის სიბოლოს სარკასტული  
 ღიმილით, რომელიც განწვრთობს დაწყობას  
 მადებს. თუ ჩანახატში მხატვრის ცენტრალური  
 ფიგურა დომინირებდა, ირინიულად მომღიმარე  
 საკუთარ უპირატესობას გრძობდა თანამეინახევე-  
 თან შედარებით, დასრულებულ ტილოზე „სიკვ-  
 დითან“ (ჩონჩხი) ადგილის შეცვლით მას დაუ-  
 ტოვებ პირველობა და უფლებამოსილება. შემდეგ  
 ჩანახატში მეფიქტოფელის სახე და ხელგება და-  
 ხუსტებული. მევეთრი და ზუსტია ამ სატანური სა-  
 ხის გრაფიკული გამოსახულება. როგორც მოსამზა-  
 დებელი ჩანახატების, ასევე დასრულებული სურა-  
 თის ნახატი გრაფიკულად გამოვეცილია და აუ-  
 სტი, ხელოვნური განათების უჩინარი წყარო აე-  
 დამყოფურ სიფერმკრთალეს ანიჭებს მხატვრის  
 სახეს. ლამაზი სახის გამოსხვიება ანათებს მხატ-  
 ვრის ხელში გამოსახულ ბანქოს ქალაქს, მის წინ  
 თვით სფერაზე „გაწყობილ“ ნატურმოტიკს. ჩანა-  
 ფიქრმა განაპირობა საღებავების ცივ ფერთა გამა.  
 რადგან მხოლოდ არაფელურ, ცივ-მოფერცლის-  
 ფერო საღებავებს შეუძლიათ ამ საიდუმლო თავ-  
 შევრის გადმოცემა. მხატვარი ნებუში ვალერების  
 საშუალებით ფაქიზად ძერწავს ავტობორტრეტს,  
 ასეთივე გულისკუთრი არის დამუშავებული კომ-  
 პოზიციის სხვა სხეულებიც. კონტრულული ხაზით  
 შემოწერს იგი თითოეული ფორმის საზღვრებს.  
 კომპოზიციის ცხადი და ნათელი ნახატი შესრუ-  
 ლებულია ფორმათა გარეგანი და შინაგანი მხა-  
 რების სრული გაოვალისწინებით. კლასიკურ სამ-  
 კუთხედში კომპონენტთა თანაბარი განაწილებით  
 დაცულია კომპოზიციური წონისწონობა, ჩვენ შე-  
 ნიშნავით არ აღვნიშნეთ მხატვრის ბუნების ერთ-  
 თვარე წინააღმდეგობრიობა, კლასიკურ ნორმებ-  
 ში ჩატეული ექსპრესიონიზმისათვის დამახასია-  
 ათებელი გამომსახველობითაც რომ გამოიკვეთა.  
 კლასიკური ნორმების დაცვა, პირველ რიგში,  
 კლასიკური კომპოზიციით და „სურათოვანი და-  
 სრულებულობით“ გამოვლინდა. აღნიშნული ექ-  
 სპრესიონიზმი კი ნაწარმოების სემანტიკამ გან-  
 საზღვრა. შალვა ქიქოძის ფერწერული ტილო  
 „უდროოდ დაღუპული მგებრის მოსაგონებლად“  
 მხატვრის ერთგვარი პალუცინაციაა, რომელიც  
 თითქოს დროით ზღვარსაც გადალახავს და მხა-  
 ტვრის საბედისწერო მომავალს წინასწარმეტყვე-  
 ლებს. იგი მხატვრის ჭეშმარიტი ავტობორტრე-  
 ტია, არა მხოლოდ გარეგნული მსგავსებით ორი-  
 გინალთან, არამედ მისი სულის გასწის, მისი  
 ირთული ნატურის გახსნის თვალსაზრისითაც.

ავტობორტრეტში „უდროოდ დაღუპული მე-

გობრის მოსაგონებლად“ ექსპრესიონიზმის ექ-  
 რითადი თავისებურებანი — სუბიექტივიზმი და  
 მისტიციზმი მაღალ ხარისხშია აყვანილი. სუბი-  
 ექტივიზმი, რომელიც საწყაროს საყრდენად შე-  
 მოქმედის „მე“-ს გულისხმობს (რადგან მხოლოდ  
 ხელოვანის „მე“-ს ძალუბს სამყაროს აღქმა და  
 მისი გადმოცემა) შალვა ქიქოძის შემოქმედებაში  
 ავტობორტრეტების მიუღია სერიით გამოვლინდა.  
 „ჩვენი მუშაობა მხოლოდ ჩვენი საკუთარი პი-  
 როვნების ძიებაში არსებობს და რა დიდი სიმძე-  
 ლვა დასაძლევია საკუთარი პიროვნების პოვნისას  
 და ამ პიროვნებით სხვათა დაკმაყოფილებისას“.  
 ან გავისენთო შეითო მოყვანილი ნაწყვეტი მხა-  
 ტვრის წერილიდან: „მე ჩემი მეორე ბუნება მიინ-  
 ტერესებს, რომელიც ხანდახან გამოიყურება ხო-  
 ლმა, მე ის უფრო მიყვარს, ის მეორე ბუნებაა“.  
 აი, აქ ჩანს ის დუალიზმი, ასე რომ ზღვრს შალვა  
 ქიქოძის პიროვნულ არსს და რაც მის შემოქმედე-  
 ბაში მისტიციზმის საბურველით შემოსილი სა-  
 ტანური სახეებით (მეფიქტოფელი და ჩონჩხი)  
 აისახა. საკუთარი არსიდან მეორე „მე“-ს გან-  
 სხვისებას კი მხატვარი აღწევს წარმოსახვით შე-  
 ქმნილ მისტიკურ სახეებში საკუთარი პიროვნული  
 ნიშნების ჩახსატვრა. სიკვდილის სიმბოლო.  
 ჩონჩხს გულზე გვირილა აბნევიდა — ჭლებს სიმ-  
 ბოლო. ეს შალვა ქიქოძის სხეულში მოკალათებუ-  
 ლი საბედისწერო ავადმყოფობაა, რომელიც თავის  
 მეორე „მე“-ს უწოდებს მხატვარმა. მეფიქტოფე-  
 ლის გამოსახულება კი ავტობიოგრაფიული მომენ-  
 ტითაა გაპირობებული მხატვრის მეგობრის, მწე-  
 რალ სერგო კლიდემილის მოგონებით, შალვა ქი-  
 ქოძის უცვლელი თანამგზავნი იყო სტავი (ჯობი)  
 მეფისტოფელის გამოსახულებით, რომელიც მხა-  
 ტვარმა საკარნიველოდან, კონსტანტინოპოლის  
 გავლით, საფრანგეთში გემით მოგზაურობისას  
 დაკარგა, როცა გემი დაზიანდა და ეკიპაჟს გა-  
 შლილ ზღვაში დაღუპვა ელოდა. აი, იქ შეჯა-  
 ხა მხატვარი პირველად სიკვდილს. მოგვიანებით  
 პარიზიდან იგი წურდა თავის ახლომდებელს „... ამ  
 ჭვამ სტამბოლიდან-მარტოვებულ დამახანა ზღვის  
 საშინელება და მისი სილამაზე. არასოდეს დავი-  
 ეწყებ მას, რაც გამოცავდე. სტამბოლიდან მარსე-  
 ლამდე შეიდი დღე ვყავით შუაგულ ზღვაში. ოთ-  
 ხი დღე კი ისე, რომ გარშემო ვერაფერს ვხედავ-  
 დით, გარდა ტლანქი, უზარმაზარი ტალღებისა  
 და ტყვიისფერი ცისა... მიუღ დღეებს ბაქანზე ვა-  
 ტარებდი და მხოლოდ ერთი ფიქრი, რომ ამ  
 მოსალოდნელ კატასტროფასთან, შენ, ადამიანი  
 მთელი შენი ჭკუით, მთელი შენი აზრით, ღონით  
 და ხერხით არაზა ხარ, მახეობდა მე, არ მინ-  
 დოდა ზღვაში დაღუპვა“<sup>16</sup>. მართალია, გემი იმ  
 უთანასწორო ბრძოლიდან საბოლოოდ გამარჯვე-  
 ბული გამოვიდა, მაგრამ განვიდილმა მხატვრის  
 გმრძობიარე არსებას უკერძებელი ტრავმა დაა-  
 წინა. მეფისტოფელის ის სახეც დაკარგულ სტე-  
 კზე აღბეჭდილი, სულიერი ტრავმის გასწენებაა.

ამ ტილოზე შეხვდა მხატვარი თავის წარსულსა და მომავალს. იქნებ, სასურათო სიბრტყეზე მათთან ასეთი თამამი შეაქვერების მაინც მოიხსნას მხატვარმა ის დამდა, ასე რომ დაღვას მის სულს. ირინიდან სარკამამდე — ასეთია შალვა ქიქოძის შემოქმედებით დაიპაზონი, რაც პირველ რიგში ფერწერული ტილოს „უდროოდ დაღუპული მეგობრის მოსაგონებლად“ მოსაზრებელი სამუშაოს დასრულებული შედეგია და მხატვრის ფერწერულ ტილოებშიც „ლუქსემბურგის ბაღი“, „კაფეში“, „ქალაქი“, „რესტორანი“ და სხვ. გამოჩნდა.

ავტობიოგრაფიით „უდროოდ დაღუპული მეგობრის მოსაგონებლად“ შალვა ქიქოძის შემოქმედებამ ახალი წახნავი შეიძინა, სიმბოლურ-მეტაფორული შტეტყველებით გამდიდრდა. ამ ავტობიოგრაფიით ჩასახული გზის გაგრძელებას წარმოადგენს ჯგუფური პორტრეტი „სამი მხატვარი“, შესრულებული პარიზში, 1920 წ. ეს, არსებობდა, მხატვრის თანამოაზრეთა და მეგობართა — დავით კაკაბაძის, ლადო გუდიაშვილისა და თავად მხატვრის შემოქმედებითი პორტრეტებია. მხატვარი მათ ასახავს ბუხების წიაღში. „მუშების“ (შიშველი ნატურების) გარემოცვაში. კლასიკური სიმეტრიის კანონების დაცვით არის შედგენილი „რეალურობასა“ (რაც მხატვართა პორტრეტებით გამოვლინდა) და „შინადასა“ (შიშველ ნატურათა სხეულებს) შორის არსებული კარმონია. რეალურობის ირრეალურობასთან კონტრასტულად აგებული კომპოზიცია, რაც დამახასიათებელი ნიშანია არა მხოლოდ შ. ქიქოძის შემოქმედებისათვის, არამედ ახალი ქართული ფერწერის ისეთი აღიარებული ოსტატებისათვის, როგორებიც არიან დავით კაკაბაძე და ლადო გუდიაშვილი. ფერწერული ტილოს „სამი მხატვრის“ კომპოზიციური ცენტრია ღია ცის ქვეშ ბალახზე დაფენილ ჭრელ ნოსზე განლაგებული ნატურმოტი: ხუთი წითელი ბოლოკით, თევზი „ცოცხალით“, „ადესა“ ყურძნით, ხილით, ღვინის ბოთლებითა და ტექებით. ამ მრავალფეროვანი ნატურმოტიცის გარშემო გაერთიანდნენ მხატვრები. წინა პლანზე ასახულია დავით კაკაბაძე შავი ჩიტით ხელში. პორტრეტული მსგავსების გარდა ეს სახე იტევს დაუცხრომელ ტემპერამენტს, ცხოვრების არსის ჭერტით ანალოზსა და შემოქმედების ჭეშმარიტების დადგენის მიზნით მხატვრის მრავალმხრივ ძიებებში რომ გამოვლინდა. უფრო ზევით, აღმოსავლურ ბოლოკის პოზაში, ფეხმორთხმული, ჩიბუხით ხელში ლადო გუდიაშვილია გამოსახული. მას სიმბოლურ ვაშლს აწვდის ლამაზი მუზა. მხატვრის მუზრა და პოზა აგულენენ „ნირგანას“ მდგომარეობაში ყოფნას, რაც ნაწილობრივ მისი შემოქმედების აღმოსავლური ორიენტაციითაც გამოვლინდა (რაცუც და კაკაბაძეც მიუიოთებდა თეორიულ ნაშრომში „ხელოვნება და ასრეც“). ეს ორი სხეული სამკუთხედის ორ

კუთხეს ქმნის. მესამე, ზედა კუთხეში კი თვით მხატვრის ავტობიოგრაფია „ჩამონტაჟებული“. შ. ქიქოძე ნავს აქაფებელი ზღვის სიღრმეში მიაგურებს. მას „მეგზურობას“ უწევენ „მუშები“. შიშველ ნატურათა გამოსახულებანი, თავის მხრივ, კიდევ ერთ სამკუთხედს ქმნის, რომელიც კომპოზიციურ სქემას ურთიერთ საწინააღმდეგო მხრიდან ჩაწერილ ორ სამკუთხედად წარმოადგენს. არტიკული სამყაროს ბოქმმა მხატვარმა მოწესრიგებული კლასიკური კომპოზიციური სქემით გამოსახა. იმისათვის, რომ ერთმანეთისაგან განასხვავოს



შ. ქიქოძე

უდროოდ დაღუპული მეგობრის მოსაგონებლად

პორტრეტთა რეალისტური გადაწყვეტა მათი ეფემერული გარემოცვისაგან, შ. ქიქოძე სხვადასხვა ხასიათის ნახატს ეფუძნება. მხატვართა პორტრეტები მკვეთრი, დასრულებული ნახატით ასახა. შიშველი „ნატურები“ კი პირობითი, სწრაფი მონახაზით გადმოსცა. ქალთა შიშველი სხეულების ასახვისას მხატვარი მეტ გამომსახველობას ანიჭებს ნარნარ საზთო დეკადობას, შუქრდილობა მსუბუქ მოდელირებას, რაც ნათელ ფერწერულ ლაქებად იკითხება. აღნიშნული ფერწერული ლაქები, ნატურმოტიცის საგნების მყდრ ფერადოვან აქცენტებთან ერთად, კომპოზიციის დეკორატიულ საყრდენს ქმნიან. მხატვარი სიგრეს

შეზღუდულად და პირობითად გაიზარებს. შუა საუკუნეების კედლის მხატვრობის იკონოგრაფიულ სქემებში გამოყენებული რეზისტენტის მსგავსად, პლასტიკური სხეულები ერთმანეთის თავსებად ვანლაგებულნი. მათ შორის არსებული სივრცობრივი პაუსები მეტად მცირეა, მაგრამ შინაგანად დაძაბული. როგორც მაგნიტურ ველში, ისე კონცენტრირებული კომპოზიციური ცენტრის გარშემო „დამუხტული“ სხეულები. კომპოზიციის თითოეული კომპონენტი საკუთარ შიდა სამყაროში იტყება. მათ (პორტრეტების) შორის კავშირს კი ამყარებენ სიმბოლური საგნები, რომლებიც ეხანაც არის მიმართული სხეულთა მოქმედება. შალვა ქიქოძისათვის დამახასიათებელია კომპოზიციური რაიმე, ერთის შეხედვით, უცნაური, კომპოზიციისათვის თითქოს „არაორგანული“ საგნისა თუ სხეულის შემოტანა, ასეთებია აღნიშნულ კომპოზიციოში: შავი ჩიტი, ვაშლი, იერარტიკული ხის მსგავსი მარადმწვანე მცენარე — ნაფის ქიშკე. სინამდვილეში კი სწორედ ეს სიმბოლური საგნები არიან ნაწარმოების ძირითადი სემანტიკის მატარებელი და, ამავე დროს, კომპოზიციურ საყრდენსაც ქმნიან. ამ საგნებში ისივლება აგრეთვე ის ნელი რიტმი, რომელიც კომპოზიციის ამოღინებისას.

სურათზე ასახულ სიტუაციას თვით სიტუაციის შექმნილი აჯამებს. შ. ქიქოძის ავტოპორტრეტის ირონიული და, ამავე დროს, სევდიანი ღმილი მყურებლისაკენაა მიმართული. ხელოვნებათმცოდნე ვახტანგ დაუშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის ის „თავდაიწყება“, რომლითაც სურს მხატვარს, „... როგორმე განიჭარბოს ის გულისტკივილი და მოუშრებელი სევდა, რომელიც აწუხებს და უკვე ასე მკაფიოდ იგრძნობა მის თითოეულ ნამუშევარში...“ (ქურნ., „სახვითა ხელოვნება“, № 8, 1970).

სიმბოლურ-ალეგორიული ხასიათის ეს კომპოზიციის ისევე, როგორც შ. ქიქოძის ავტოპორტრეტი უდროოდ დაღუპული მეგობრის მოსაგონებლად“ რთული ხასიათის ნაწარმოებია, როგორც შინაარსობრივად, ასევე კომპოზიციური გადაწყვეტის მხრივაც. მხატვრის მეტაფორულ-სიმბოლური აზროვნება ურთიერთისა და მისი ადამიანური ყიციების, რეალისტურის მისტიკურთან, მატერიალურის ეფემერულთან შეჯახებით გამოვლინდა. სიმბოლო, მეტაფორა კი ექსპრესიონიზმის ერთ-ერთი მძლავრი იარაღი (აღნიშნული არ უნდა გაკავივივით სიმბოლიზმთან, რომელიც ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობაა). ექსპრესიონიზმში სიმბოლური საგნები მხოლოდ დამხმარე საშუალებაა სულის ამტკველებებისათვის. შალვა ქიქოძისთან სიმბოლო განსვადდება, რომელიც ცხად, რეალისტურ მხატვრულ სახეშია განსხვავებული და არა ამოფრული ზმანების სახით.

სახვითი ხელოვნების მკვლევარი ლ. ზვიგლინსკაია ექსპრესიონიზმის ოთხ სახეს გამოყოფს:

ასტრატულს, კონკრეტულს, დინამიკურს და არაბეჭულს.<sup>7</sup> შალვა ქიქოძის აღნიშნული რწერული ნაწარმოებები უფრო მეტე ჯგუფს — კონკრეტულს მიეკუთვნებიან, რადგან როგორც ტრანსფორმაციის არ უნდა უკეთედეს მხატვარი სინამდვილეს, იგი მანინ მყარად დგას რეალისტურ ხიდავზე. სინამდვილის მხატვრული ტრანსფორმაციის სახეებიდან მხატვარი უპირატესობას ფერადოვან უტირებებს, სხეულებისა და საგნების არარეალურ შეფერილობას ანიჭებს (ასეთია ავადმყოფური სითუთერ სახე-ნიღბების, ცაში გამოვიდული წითული სახლები და ცეცხლისფერი ხეები ქართულ თემსზე შექმნილ ნაწარმოებებში და სხვ.).

ავტოპორტრეტი უდროოდ დაღუპული მეგობრის მოსაგონებლად“ და ფერწერული ტილი, სახე მხატვარი“ მოვეითითებენ აგრეთვე ექსპრესიონისტებისათვის დამახასიათებელ სწრაფვებზე პარადოქსის და კომპოზიციური გამოგონებლობისადმი.

ექსპრესიონიზმის წინააღმდეგობრივ ხასიათზე ერთმხედ მიუთითებენ ამ მიმდინარეობის მკვლევარი-ისტორიკოსები. ხელოვნებათმცოდნე ვ. ტუროვა კი საგანგებოდ აღნიშნავს ექსპრესიონისტ მხატვრებთან ერთ ურთიერთგამორიცხავი ასპექტის — ინტუიციისა და კომპოზიციური ავეების მშრალი რაციონალიზმის შეთავსებას.<sup>8</sup> შალვა ქიქოძის შემოქმედება მოიცავს ყველა წინააღმდეგობას, მისი შემოქმედებითი მიზურის „ხელოვნების“, რაზეც მისივე მეგობრები მიუთითებდნენ, ექსპრესიონიზმის ამ თავისებურებას მხატვრის ასსებაში უშხადებს ნიადაგს. და ბოლოს, ექსპრესიონისტების მიერ ფილოსოფიის, შემოქმედების შინაარსობრივი მხარის, იდეის წინ წამოწევა ქიქოძის ერთ განაცხადშიც თავისებურად ითასება, „... მე არ ვიცი მხატვრობაზე უდიდესი ფილოსოფია“<sup>9</sup>. ამ განაცხადებიდან ჩანს ხელოვნების უპირატესი როლი თვით ფილოსოფიაზე. ე. ი. ხელოვნება მხოლოდ ფილოსოფიასთან შეიძლება იქნეს შედარებული.

\* \* \*

თუ პოეზიაში უდიდეს ოსტატობად ითვლებოდა და ითვლება პოეტური განწყობის განსაკუთრებული მდომარეობის (რომელიც, შესაძლოა, მხოლოდ ზმანებასა და ოცნებაში ეწვიოს ხელოვანს) სიტყვაში განცხადდა, მხატვრობაში ეს ხელშეუხებელი გრძნობა ლადი გუდაივილია ხასით აღბეჭდა და სახიერად გარდაქმნა. ამიტომაც, რომ მხატვრის ხასი, იქნება იგი ნარნარი, ტესილი, გლუვი, ნატიფი, კონველსური და სხვა ხასიათისა, მხატვრის ემოციურ განწყობათა მომენტალურ ცვლას, შინაგანი ტემპერამენტის დამუხტვის ძალას არაწვეულებრივი სისუსტით ასახავს.

ლადი გუდაივილიმ ნ. ფირსმანაშვილის შემოქმედებასთან ზიარებისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია არა მხოლოდ მხატვრის ინტე-

რესთა თმატურ რკალს, ჭალაქურ „ბოქმას“, არ-  
ამედ ფორმანისეული ხედვის სიმახვლეც, იმას,  
რაც მხატვრული გამომხსველობის აუცილებელი  
პირობა იყო და რაც, ამავე დროს, გარკვეულად,  
ექსპრესიონისტული ხედვის წინაპირობაც გახ-  
ლდათ.

მხატვრული დეფორმაციის მეთოდით აღჭურ-  
ვილი ლადო გუდიამვილი ქმნის საზოგადოების  
გარკვეული ფენის წარმომადგენელთა (ყარაჩო-  
ხელთა და მსუბუქი ყოფაქცევის ქალთა) რთული  
წინააღმდეგობებით აღსავსე შინაგანი სამყაროს  
ხატებს, მისტიკურ ნიღბებდაც რომ ითვისება. ყა-  
რაჩოხელთა „ბოქმამა“ რაინდული ტემპერამენ-  
ტით, შინაგანი არტისტუიზმით მხატვარში მონა-  
თესავე სული გააღვიბა, რაც სულის სიღრმეში  
ამოუბილ ხაზთა უცხაურ ზანზარისებრ ხვეკვულად  
დაფიქსირდა. სამშობლოდან მოშორებით, პარის-  
ში ქმნის ლადო გუდიამვილი თავის საპროგრამო  
დაწარმოებებს, მათ შორის ფერწერულ ტილოს  
„თეფი-ციცხალი“, მესხიერებამი აღბეჭდილი  
თბილისურ შთაბეჭდილებათა ტალღა და მხატვრის  
სულში ინტროსპექტული წიაღსღლების შედეგად  
პირობითი, წარმოსახვითი სამყაროს სახეს იძენს,  
რომლისთვისაც უცხო არ არის გროტესკული გა-  
ხვიადება, მხატვრული უტრირება. მიუხედავად  
ამგვარი პირობითობისა, მხატვარი აღწევს „დო-  
კუმენტურ სიმართლეს“, უფრო მეტიც „ზე-სიმა-  
რულეს“, რადგან იგი ამეტიყვევებს თვით ხედვის,  
უშუალო განცდას, ქართულ სინამდვილეს, ეპოქის  
სუნთქვას.

ფერწერული ტილო „თეფი-ციცხალი“ შინაა-  
რსობრივ გაშიფვრას არ ექვემდებარება,  
რადგან აქ შინაარსი როდი „ჭამა“  
ფორმას, როცა თხრობითობის მოჭარბება  
დაზუსტრ სერათს ბელეტრისტიკას უახლოვებ-  
და, არამედ განუოგადებულ ფორმამი ზო-  
გადი ცნებებთა განსხეულებული. ფორმისა და ში-  
ნაარსის სიმწყობრით მიიღწევა ადამიანური გან-  
ცხების ფართო დიაპაზონი, ამ შემთხვევამი ცე-  
კვა, მახუსი, რაინდობა, სევადა და სხვ. ამ გან-  
ზოგადების აბსტრაგირების, წარმოსახვის და,  
ბოლოს, ქვეცნობიერი, გრძნობითი ნაკადის სა-  
კუთარ შემოქმედებამი ფართო არსით შემეფების  
გამო აღნიშნულ ნაწარმოებში მოხსნილია შემუშ-  
ლედველი ჩარბობები: აქ არ ხდება კონკრეტული  
შინაარსით აღქმის დამორჩილება (პირობით, მი-  
სი ამოხსნა მაცურებლის ემოციური სტრუქტურ-  
რის თავისებურებებზეც დამოკიდებული), არც  
მხოლოდ ფორმისეული, თვითმიხსნური ვარჯიშთა.  
აქ, ამ ნაწარმოებში, ჩვენს თვალწინ ერთმანეთს  
ერთვები მუსიკა, პოეზია და მხატვრობა. (ყოვე-  
ლივე ეს კი მიიღწევა ტუნწი სახვითი საშუალებე-  
ბით, ხაზითა და ფერით).

ჩვენ თითქოს „გვემისს“ არდნის მელოდია და  
შექვიფანებელი ყარაჩოხელების სიმეფრა, ცალ  
ხელში ხილაბანდები რომ აუფრაილებითა და მე-

ორეთი არღანს ატრაილებენ. ჩვენ „ხედავთ“  
სამი ყარაჩოხელის ცეკვას, უფრო სწორად შევი-  
გრძნობთ ამ რიტუალური ქმედების იმ ექსტაზს,  
გარკვეულ სტრუქტურაში რომ გადაღვის და გააჟმენ-  
დის, ერთგვარი გახსიფონების მომენტი ახლავს  
თან (ამის დასტურთა მისტიციზმის საბურველში  
გახვეული ყარაჩოხელთა სახე-ნიღბები, თუთრი  
ჩარბების სვედნის გამომეტყველება, მდინარიდან  
ამოზრდილი მებადურის ხელში თვეზები, ის კომ-  
პოზიციური სტემა, შორეულ აპოკალიფის რომ იწე-  
ვებს „ნათლისღების“ იკონოგრაფიულ სქემასთან).

მკვეთარი ნახატები „ამოკვეთილი“ სხეულებში მან-  
სახლებული რიტმი, ცეკვის დინამიკა, სხეულის  
მოძრაობით კი არა, კონტურული ხაზის მოძ-  
რაობით აისახა, ხაზი კი მოძრაობაში  
მოყავს შემოქმედის სულში, სხეულში ჩადგენს  
იმ რიტმს, მელოდისა, რომელიც ბადებს ცეკვას.  
ყარაჩოხელთა მზრების შერევა, სხეულთა ზამ-  
ბარისებრი დაჭიმულობა, მკლავების მშვილდისე-  
ბრი გახსნეილობა, დაგრძელებული სახის ნაკვეთე-  
ბის ასიმეტრიულობა, დეფორმაცია ინარჩუნებს და  
კეუმანს, შინაგან დაძაბვას ავლენს და სხეულის  
თითოეული ნერვის, ცეკვის რიტმის სინქრონუ-  
ლად ფეთქავს ეტყველებს.

მიუხედავად იმისა, რომ მხატვარი ძირითადად  
სასურათე სიბრტყის დეკორატიული გადაწყვეტი-  
დან გამომდინარეობს, მას არ ღალატობს ზომიერ-  
რების გრძნობა და იგი არ ინწევა ხაზთა ხლარ-  
თში. კომპოზიციის სიცხადეს ინარჩუნებს, რადგან  
მხატვარი კონტრასტების პარამონიზაციის პრინ-  
ციპს ეყრდნობა. ნახატის კონტურის ფარგლებში  
ჩახსმული საღებავები თავშეკავებული და ზომიერ-  
რია. ლადო გუდიამვილი, რომლისთვისაც მახლო-  
ბელია ქართული კვლდის მხატვრობისათვის და  
მისგან ნაკვები ნიკო ფირსმანაშვილისათვის და-  
მახსიათებელი კოლორიტი, უმოაგრესად ხუთ ძი-  
რითად ფერს ეყრდნობა. ინტენსიური თეთრი ლა-  
ქები (ყარაჩოხელთა სახეების სიფერმკრთალე,  
ცხენების თეთრი სხეულები) მთელ ფერწერულ  
ტილოს ერთგვარ მისტიკურ შეფერვლობას ანი-  
ჭებს.

ლ. გუდიამვილის ფერწერული ტილო „ქეიფი  
ქალთან“, ა. ლუნარსკის სიტყვებით რომ შე-  
ვაფასოთ, რომელიც მან ექსპრესიონიზმის მისა-  
მართით წარმოთქვა, არის „სამნიელი სასოწარ-  
კვეთის ნაყოფი“. შემოქმედი არ იმურებს მხატვ-  
რულ უტრირებას, დეფორმაციის ხერხებს, რათა  
მთელი ძალით წარმოაჩინოს სულიერი დეგრადა-  
ცია. სუფრის თანამეინახებებს, ორ ყარაჩოხელსა  
და შუაში „გამოშწყვედილი“ ქალს ერთი სუფრის  
პარდა არაფერი აერთიანებთ. ერთმანეთისათვის  
უცხონი, სუფრასთან თითქოს შემთხვევით მოხ-  
ვედრილნი, ისინი ამ ქვეყანასაც შემთხვევით მო-  
ველიწინ, როგორც დაუპატეილებელი სტუმრები  
უკუღმართი ცხოვრებისა, რომელიც სრულიად  
გამომიგნა მათი არსება. აქ, ამ ტილოზე ადამიან-

ნური განცდა, სულის ყვირილი აპოგეას აღწევს. მხატვარი მაცურებლის თვალწინ აშიშვლებს ცხოვრების მანერებებს, სოციალურ უსამართლობასა და ადამიანურ ტრაგედიას.

„მგრძობელობა“, „განცდა“, რომელიც ლადო გუდიაშვილის შემოქმედებაში პირველად შენიშნეს შორის რეინალმა და ანდრე სალმონმა, ექსპრესიონიზმის მთავარი დამახასიათებელი ნიშანია.

აღსანიშნავია ერთი გაერმობაც. როდესაც „მგრძობელობასა“ და „განცდაზე“ საუბრობენ, ხელოვნების მკვლევარნი პარაანტიკული ავლებენ ექსპრესიონიზმსა და რომანტიზმს შორის. ეს ასოციაცია ებადებათ ლ. გუდიაშვილის შემოქმედების შემფასებლებსაც, რადგან მხატვრის ზოგიერთი ფერწერული ნაწარმების რომანტიკული ელფერი ასეთი პარალელის საბაბს იძლევა. ლადო გუდიაშვილის მთელი შემოქმედება ნატურალიზმის სიძულვილით აღიინიშნა. მხატვრული ასახვისას ლადო გუდიაშვილი, ექსპრესიონისტების მსგავსად, რომელნიც ომს უცხადებდნენ ნატურა-

ლიზმის ყოველგვარ გამოვლენას, ლადო გუდიაშვილს სინამდვილის ტრანსფორმაციას. ცვლილებას განიცდის საგანთა და სხეულთა რეალურად არსებული მოხაზულობა, მათი განფენილობა და შეფერილობა. ეს დეფორმაცია და უტერიბეა კი ზოგჯერ სიმბინჯის საზუსტეს იწვევს (რაც, თავის მხრივ, ერთგვარ შტებების წერტილს ავლენს ვალერიან გაფრინდაშვილის მიერ ქართულ სიმბოლისტურ პოეზიაში შემოტანილი სიმბინჯის ესთეტიკასთან, რომელმაც ვერ მოიკიდა ფეხი ჩვენში).

გროტესკით, მამხილებელი პათოსითა გამსჭვალული ფერწერული ტილოები — „ქრისტიანი“, „ქეფი განთიადისას“, „ბორჯი ოჯახი“ და სხვა. სარკაზმითაა სავსე გრაფიკული ფურცლები — „სორბონის დოგმატიკოსები“, „ქეიოდ და საფლავება“, „პარიზული ბურჟუები სორბონაში“, „თვალთმაქცი შვიცი“. ეს ნამუშევრები მხატვრის ეთიკურ შეფასებასა და სოციალურ კრიტიკას იტყვენ და არაჩვეულებრივი გამომსახველობით ხასიათდებიან.

ამგვარად, ლადო გუდიაშვილის შემოქმედებაზე საუბარი არ შეიძლება ტრადიციის თანამედროვე მხატვრულ ხედვასთან სინთეზური კავშირის გარეშე. ტრადიცია მასთან ხაზის პარიორიტეტით, სიმბრტყობრივი კომპოზიციური გადაწყვეტით, მაქსიმალურად დაძაბული და ამავე დროს ცხადი ნახატით (რომელიც თავისი ერთი მოვლებით აღიქმება), ნახატის ფარგლებში მომწყვდეული ძუნწი ფერადოვანი პალიტიით, მოწყენებული და დეკორატიული საწყისების სიმწობრით აისახა (თუმცა ხაზის ტრფილით მხატვარი უფრო დეკორატიულობისაკენ იხრება), თანამედროვე მხატვრული ხედვა კი ექსპრესიონისტული ტენდენციებისაკენ გადახრით გამოვლინდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლ. გუდიაშვილის ადრეული ნაწარმოებები ექსპრესიონიზმის ოთხი სახიდან (აბსტრაქტული, კონკრეტული, დინამიკური და არაბესკული) ხაზის ტრფილით, სტილიზაციით მეოთხე ჯგუფს, ე. წ. არაბესკულ სახეობას უახლოვდება (რის შესახებაც თავის დროზე ხატონად აღნიშნა ანდრე სალმონმა).

ამრიგად, ქართული საბჭოთა ხელოვნების წინა ეტაპზე 1914-1921 წ. პირველი იმპერიალისტური ომიდან, ვიდრე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსულმა მხატვართა ახალგაზრდა თაობამ — დავით კაკაბაძის, ლადო გუდიაშვილის, შალვა ქიქოძის და სხვათა სახით, თავიანთი შემოქმედება განსაზღვრული მეთოდით ააგეს, ქართული ეროვნული მხატვრობის ტრადიციებს თანამედროვე ექსპრესიონიზმის ელემენტები დაამყენეს. აღნიშნული მეთოდის ამ ორ მხარეს შორის კი სრული სინთეზი მოხდა, რადგან თავად შუა საუკუნეების ქართული მონუმენტური მხატვრობისათვის, ტრადიციისათვის უცხო არ იყო ექსპრესიულობა, პირო-

ლ. გუდიაშვილი

თუქვი — ცოცხალი“



ბითობა, დეფორმაცია, უტრირება, სიმბოლური მეტყველების თავისებურებანი. ექსპრესიონიზმის ძირითადი ნიშანი — ანტიბურჟუაზიულობა, სოციალური პათოსი გამოვლენილი გროტესკულ და სატირულ სახეებში პარიზში გამახვილდა. მხოლოდ აქ, ევროპის ცენტრში სასწავლებლად ჩამოსულ ქართველ მხატვრებს მთელი სიცხადით გადაეშალათ თვალწინ სოციალური რეგრესის საგადაღო შედეგები. თუმცა, ქართველ მხატვრებთან ექსპრესიონიზმი, ისევე როგორც „იხევერყაწაწულებთან“ სიმბოლიზმი არ გამოვლენილა ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობის სახით, ისე როგორც ამას ადგილი ჰქონდა ამ მიმდინარეობათა ჩასახვის ცენტრებში—გერმანიასა და საფრანგეთში. იგი (ექსპრესიონიზმი) მხოლოდ ცალკეული ელემენტების სახით შეერწყა ქართველი მხატვრების შემოქმედებას და მამოლებელი პათოსით, გამონასახველობით, ადამიანის ფსიქოლოგიაში ღრმა წვდომით დადებითი როლი ითამაშა ახალი ქართული ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენელთა შემოქმედების ჩამოყალიბებაში.

#### შენიშვნები:

- 1 დ. კაკაბაძის სიტყვები ციტირებულია კ. ზდანევიჩის წიგნიდან, ნიკო ფროსმანშვილი, 1964 წ. გვ. 68 (რუსულ ენაზე).
- 2 Б. Пастернак, Люди и положения, «Новый мир», 1967, № 1.
- 3 შ. ქიქოძის წერილი ა. ქიქოძეს, 1920 წ. 20/11, პარიზი, (წერილი დატულია საქ. ხელ. სახ. მუზეუმში).
- 4 ლ. გუდიაშვილი, მოგონებების წიგნი, „საბჭოთა ხელოვნება“ 1967, № 8.
- 5 შ. ქიქოძის წერილი ა. ქიქოძეს, 1920 წ. 15/11, პარიზი, (წერილი დატულია საქ. ხელ. სახ. მუზეუმში).
- 6 შ. ქიქოძის წერილი ა. ქიქოძეს, 1920 წლის აგვისტო, (წერილი დატულია საქ. ხელ. სახ. მუზეუმში).
- 7 Зивильчинская Л., Экспрессионизм, М., 1931 г.
- 8 Турова В., Экспрессионизм в графике (сборник статей «Экспрессионизм») М., 1966 г.
- 9 შ. ქიქოძის წერილი ა. ქიქოძეს, 1920 წ. 7 ოქტომბერი, პარიზი, (წერილი დატულია საქ. ხელ. სახ. მუზეუმში).

1879 წლის 15 მაისს თბილისში დაარსდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომელმაც იმ საუკუნის 80-იანი წლების რეაქციის პირობებში თავს იდგა ქართული კულტურის დაცვა და განვითარება, ქართული სახალხო სკოლების დაარსება და სწავლების წარმართვა ქართულ ენაზე. საზოგადოების დაარსება დიდი მიღწევა იყო მაშინდელი პოლიტიკური ადმინისტრაციის, საეკლესიო და სასწავლო მმართველობის ფონზე. მთავარბისაგან დამტკიცებულ წესდებში ჩაწერილი, შემდგომი არანათესხელ ნასხენები მესამე პარაგრაფი — „საზოგადოება თავის მიზანს მიადრწევს სახალხო სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლებით“, იყო ქვაკუთხედი, რომელსაც დაეყრდნო ეს ქართული სახალხო დაწესებულება.

„საზოგადოების“ დაარსებულთა შორის იყვნენ გრიგოლ ორბელიანი (რომელსაც ეკუთვნის ამ ორგანიზაციის სახელწოდება), დიმიტრი ყიფიანი (პირველი თავმჯდომარე საზოგადოებისა), იაკობ გოგებაშვილი, ილია ჭავჭავაძე (პირველი ამხანაგი თავმჯდომარისა, ხოლო 1885 წლიდან 1907 წლამდე მისი უცვლელი თავმჯდომარე და საზოგადოების საპატიო წევრი), ნიკო ცხევაძე, ივანე მაჩაბელი, რაფიელ ერისთავი, ალექსანდრე სარაჯიშვილი და სხვანი, რომელთაც შეადგინეს კიდევ პირველი გამგეობა ახლად დაარსებული საზოგადოებისა.

პირველ ხანებში „საზოგადოება“ სახალხო სკოლების გამართვასა და სკოლებში ქართულ ენაზე სწავლებას ითვალისწინებდა, ამასთან, იგი მატერიალურ-მეთოდოლოგიურ დახმარებას უწევდა არსებულ პირველდაწყებით სასწავლებლებს, განსაკუთრებით საქართველოს სოფლებში.

„საზოგადოებამ“ შემდეგ თანდათან გააფართოვა თავისი მოღვაწეობის არე. არა მხოლოდ არსებული სკოლების დახმარება და ახალთა გახსნა დადგა მისი მუშაობის დღის წესრიგში, არამედ ქართული საღვთისმეტყველო შემოქმედების შეკრება-შესწავლა, ქართული ხელნაწერების შეგროვება, ნაბეჭდი წიგნების თავმოყრა, ისტორიულ და არქიტექტურულ ძეგლთა მოვლა-პატრონობა და სხვა.

„საზოგადოება“ არსებობდა საწევრო გადასახადებითა და შეწირულებებით. მის სასარგებლოდ საქართველოს დაბა-ქალაქებში და სოფლებშიც იმართებოდა სალიტერატურო საღამოები, იდგმებოდა წარმოდგენები, ეწყობოდა სენიონობანი, ლტარეიები, რომელთა შემოსავლიც იგზავნებოდა „საზოგადოებაში“. მიუხედავად გარკვეული ენთუზიაზმისა, შემოწირულობითა და ქველმოქმედებით შექმნილი თანხები ხშირად ვერ სწევდებოდა ყველა საქმესა და ხარჯს, „საზოგადოება“ ხშირად ვერ აუდიროდა მოზღვავებულ ლოზუნგებზე: მას მასწავლებლებითაც უნდა მოემარაგებინა სკოლები, თავისი ხარჯით უნდა აეყო სასკოლო შენობები, გაემზადებინა ისინი სასწავლო პროცესისათვის და განეხორციელებინა თავისი წესდების მესამე პარაგრაფით განჩინებული მშობლიურ ენაზე სწავლება თავისაგან დაარსებულ სკოლებში. წესდების ამ პარაგრაფის გამო „საზოგადოებას“ თავისი მოღვაწეობის მთელს მანძილზე მრავალი ბრძოლის გადატანა, ბევრი წინააღმდეგობის დაძლევა მოუხდა, მრავალი უსიამოვნება და ძალადობაც ნახა. ამ ფაქტებს ადასტუ-

# ქართული უძრავი ქონების განმარტვის შესახებ საზოგადოება

სოლომონ ხუციშვილი

რემენ ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის, დიმიტრი ყიფიანის, ნიკო ცხევედაძის, პეტრე უმიკაშვილის და მრავალთა სხვათა წერილები, გამოქვეყნებული ქართულ პრესაში, მოკიდებული 1879 წლიდან.

„საზოგადოება“ თავისი შემოსავლიდან დახმარებას უწყდა ქართველ მოზარდებს სახელმძღვანელოებით, სასწავლო ნივთებით და, ხშირად, პანსიონითაც. იგი განააკეთებულ ყურადღებას აქცევდა სკოლების გახსნას აჭარაში, საინგილოში, საქართველოს სამხრეთ რაიონებში; სტიპენდიებს უგზავნიდა რუსეთისა და საზღვარგარეთის უნივერსიტეტების სტუდენტებს, ხსნიდა სკოლებს საქართველოს გარეთ მყოფი ქართული კოლონიების ბავშვებისათვის (კავკაზში, მოსდოკში...), ეხმარებოდა ქართულ საზოგადოებებსა და ქართველ სტუდენტთა სათვისტომოებს რუსეთსა და უცხოეთში (პეტერბურგში, მოსკოვში, კონსტანტინეპოლში...).

„საზოგადოება“ თავისი მოქმედების არე თანდათან გაფართოვდა და საზრუნავად გაიხსნა ქართული კულტურის დარგები: თეატრი, მუსიკა, მხატვრობა, კანდაკება, ყველაფერი, რაც დაკავშირებული იყო ქართული ეროვნული სულის აღორძინებასა და გაძლიერებასთან. „საზოგადოება“ გადართქვა ქართული ეროვნული სულის თავშესაფარად (ილია ჭავჭავაძე).

„ეროვნული თავშესაფარის“ მეშვეობით გაიხსნა ახლად შემოერთებული აჭარის ქართველთა გათავისუფლებისათვის სკოლა, საზოგადოების საქმე იყო დადიანების ოჯახში დაცული ქართული ხელნაწერი წიგნების თბილისში გადმოტანა, რაც სხვა ქართულ ხელნაწერთან ერთად საფუძვლად დაედო ახლანდელ ხელნაწერთა ინსტიტუტის უკვდავ განსას; მან მოაწყო რაგიულ ერისთავის იუბილე პოეტის შემოქმედების 50 წლისთავზე 1895 წელს; ნიკოლოზ ბარათაშვილის ნუსტი გადმოსავენა განჯიდან თბილისში 1893 წლის აპრილში და დიდუბის მიწას მიიბარა, რამაც გრანდიოზული ეროვნული დემონსტრაციის სახე მიიღო.

წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ თავი არ

შეიზღუდა ეწირო საქმიანობით, „ეროვნულმა თავშესაფარმა“ დიდი საზოგადოებრივი მუშაობა ჩაატარა.

ალექსანდრე როინაშვილმა (1846—1898), სახელმძღვანელო ქილმა ქართველმა ფოტოგრაფმა, ერმაკოვთან ერთად, ფოტოფირზე გადაიღო ქართული არქიტექტურის მრავალი ძეგლი. მათ მიერ შექმნილი კოლექციების ექსპონატები მრავალგან იყო გამოყენებული, როგორც უნიკალური საილუსტრაციო მასალა. ა. როინაშვილი იყო კოლექციონერიც, იგი სპეციალურად მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა მხარეში, მის მუშობელ ქვეყნებში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ კავკასიონის მთიანეთში, საიდანაც მოპოვდა მრავალი ნიმუში ხალხების ყოფა-ცხოვრების შესასწავლად. თუ ექსპონატის მოპოვების შესაძლებლობა არ ჰქონდა, მის სურათს იღებდა. მისგან შეკრებულ მრავალი ნივთი — ნაქსოვი თუ ლითონისა, ახლა საქართველოს სიძველეთა საცავებშია დაცული. „საზოგადოებას“ რამდენიმე წლის განმავლობაში ა. როინაშვილთან მიწერ-მოწერა ჰქონდა გამართული არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლების სურათების შესახებ. 1898 წლის შემდეგ, როცა ა. როინაშვილი გარდაიცვალა, მისი ფოტოგრაფია ანდერძით „საზოგადოებას“ დარჩა, მაგრამ დამარსებლის შემდეგ მან დიდხანს ვეღარ გასძლო. ეს ფოტოგრაფია ხელოვნების ძეგლთა საცავი იყო, რადგან მისმა პატრონმა, ხელოვანმა და კოლექციონერმა ქართული ხელოვნების ძეგლის ბევრი სურათი და მრავალი ეთნოგრაფიული ექსპონატი დააგროვა მასში.

1894 წელს ზაქარია ჩხიკვაძემ განცხადებით მიმართა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას თავის მიერ შეკრებილი ქართული ხალხური სიმღერების გამოცემის თაობაზე. „საზოგადოებამ“ მასთან მიწერ-მოწერა გამართა სიმღერათა გამოცემის პირობებზე. ზაქარია ჩხიკვაძე პირველი იყო ქართველ მუსიკათმცოდნეთა შორის, რომელმაც „საზოგადოებას“ მიმართა ქართული ეროვნული ფოკალური ძეგლების გამოცემის შესახებ. მან ჩაუყარა საფუძველი ამ შესანიშნავ საქმიანობას წერა-კითხვის გამავრცელებელი საზო-

გადღების წიაღში. ზაქარია ჩხიკვაძე გასული საუკუნის უკანასკნელ ათეულ წლებში კახეთში მოღვაწეობდა. მან რამდენიმე წრილი დასტამბა კახეთის ისტორიულ არქიტექტურაზე და იქ შეკრებილი ხალხური ლექსები — „ქალო, ჰგევსარ ახვის ხსა“, „ჯამმარამ თქვა“ და სხვა „ივერიაში“ დაბეჭდა კიდევ.

1896 წლის 2 აპრილს „საზოგადოების“ გამგებობა მელიტონ ბალანჩივაძემ წაყვანა მოსაზრება ქართული სახალხო სიმღერების ჩაწერისა და გამოცემის შესახებ. ეს მოხსენება მან წარადგინა მას შემდეგ, რაც საზოგადოებამ მას გადასცა ზაქარია ჩხიკვაძისა და ია კარგარეთლისსაგან შეკრებილი ქართული ხალხური სიმღერები. მელიტონ ბალანჩივაძეს დაწერილებით ჰქონია შესწავლილი და განხილული ის მასალები და მოსაზრებაც მიუწოდებია გამგებობისათვის. იგი ხაზს უსვამდა იმას, რომ „ამჟამად ქართული სიმღერები თითქმის არა გაქვს ნოტებზე გადაღებული და მისთვის უფრო საჭიროა იმათი შემუშავება და ჩაწერა. კარგარეთლისთვის უფრო მოსახერხებელი იქნება ეს საქმე იყინოს, რადგან თვითონ ქართულადაც და იქნური სიმღერებიც, ჩემის აზრით, გვიარია დიცი. მომეტებული ნაწილი ქართული სიმღერებისა კარგარეთლის გვიარია და აქვს დაწერილი და რომ დაბეჭდვებოდა, კარგი იქნება“.

მელიტონ ბალანჩივაძე ქართული მუსიკის შემკრებ-ჩამწერთ ურჩევდა, რომ მელიოდური და პარმიონული რაიმე ცვლილება არ მიიფიქნათ მათი ფიქსირებისას, ზუსტად, გადაუტარებლად უნდა გადაეტანათ ნოტებზე სიმღერების ხმა, სასიმღერო ტექსტს არ უნდა შეეცვალათ სხვა რაიმე ტოლფასოვანი თუ იმავე ზომის სხვა ტექსტით.

ზაქარია ჩხიკვაძისაგან გადაღებული ქართული სიმღერები უნაკლად შესწავლილად მიუჩნეოდა მელიტონ ბალანჩივაძეს, რადგან ჩაწერისაგან მათში შეუცვლელად ყოფილა გამომხატული თითოეული ხმა. „ეს სიმღერები, — განაგრძობს მელიტონ ბალანჩივაძე, — ისეთ ტონზეა დაწერილი, რომ ბავშვებს თავისუფლად შეუძლიათ უსმეონ. ამისთვის, რაც ჭეფრო ჩქარა დაბეჭდება. მით უკეთესია, ჩვენ სკოლებში სახელმძღვანელოდ ივარგებს“. ამასთან, მელიტონ ბალანჩივაძე ურჩევდა საზოგადოების გამგებობას, რომ ზაქარია ჩხიკვაძის ნამუშევრებიდან გამოეყოფა „გავერობოლებული სიმღერები“. ერთი სიმღერა კი, „იკოლოკო-ზალიკო“ მელიტონ ბალანჩივაძეს საცემოდ მიუჩნევია — „შეიძლება ქართული იყოს, მაგრამ „საღდათურ კილოს მაგინებს, კეთილშობილი არ არისო“. საინტერესო მოსაზრება: კეთილშობილურ სიმღერებზე კომპოზიტორ-მუსიკოსმცოდნეს ისეთი თხზულებები ჩაუთვლია, რომლებიც მხოლოდ ქართველი ხალხის ეროვნული სულისა და ხმისობის გამოხატული ყოფილა.

მელიტონ ბალანჩივაძის მოსაზრება გამგებობას საფუძვლად მიუღია. 1896 წელს „საზოგადოებამ“ გამოსცა ზაქარია ჩხიკვაძის „სალამური — სახალხო სიმღერები, გადაღებული ნოტებზე“. ამ გამოცემას რეცენზია უძღვნა დიმიტრი არაყიშვილმა („ივერია“, 1897 წ., № 221). ია კარგარეთლის მიზრდილი წიგნი (108 გვერდიანი) — „ქართული ხალხური სიმღერების“, ნოტებზე გადაღებული, „საზოგადოებამ“ გამოსცა 1899 წელს.

ქართული ია კახური სიმღერების გამოცემის პირადად უნდა „საზოგადოება“ დასავლეთ საქართველოს სიმღერების გამოცემისთვისაც ზრუნავდა. 1900 წლის 15 იანვარს გამგებობას წარადგინა ფილიმონ ქორიძის მოხსენება სახალხო

სიმღერების გამოცემასთან დაკავშირებით. ფილიმონ ქორიძემ დიდი დრო და ყურადღება დაუთმო ქართული გალობის მდგომარეობას და ძლიერ ბეგერი რამ გააკეთა მისი ტრადიციის დაცვისა და გაძლიერებისათვის. გარდა გალობისა, იგი იწერდა და ბეჭდებდა სახალხო სიმღერებსაც. 1900 წელს „საზოგადოებამ“ ფილიმონ ქორიძეს დაუბეჭდა ქართული ხალხური სიმღერა ვურულ კილოზე — „ინდი-მინდი, ფერა მინდი“, „მოგინება“ — სიმღერა ვერულ კილოზე, „შავი შავი“ — ქართული მონადეული სიმღერა ვურულ კილოზე, „ქართული სიმფონია მეგრულ კილოზე“, „საყვარელსა ქან-მამოზა სოფელმან“ — კახური სიმღერა, „ნუ მეგერი, ტრფავ“ — ქართული რომანსი (ამისთვის გამოყენებული იყო არტემ ახნაზავისეული თარგმანი პუშკინის ლექსისა „ნუ მიღერ...“). გარდა წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემისა, ფილიმონ ქორიძემ იმავე წელს დაბეჭდა ქართული ხალხური სიმღერა იმერულ კილოზე, დღევანდელი კრინისა და ძილისათვის „ბროლის ყელი“ და სიმღერა ქართულ კილოზე „კვი, დრონი, დრონი“, აგრეთვე „პატარა საყვარელი“ — ხალხური სიმღერა ვერულ კილოზე.

1903 წელს ზაქარია ფალაშვილი განცხადებით წარსდგა გამგებობის წინაშე და ითხოვა დახმარება „ქართული რომანსის“ გამოცემისათვის. 1904 წელს „საზოგადოებამ“ გამოსცა კომპოზიტორის ქართული რომანსი სახალხო პანჯზედ შედგენილი“.

ზაქარია ფალაშვილსა და დიმიტრი არაყიშვილს ერთობლივი მოხსენებაჲ ჰქონდათ წარდგენილი საგმებოში ქართული ეროვნული სიმღერების გამოცემის თაობაზე. ისინი დაჟინებით ითხოვდნენ გადაღებულ დახმარებას სიმღერათა ჩაწერისათვის და ასახელებდნენ კიდევ ასეთ დახმარებას იმით, რომ ყოველდღეობდა იქმნებოდა ხალხური შემოქმედების ამ დარგის დაწერებისა და დაკრების ხანმოკრობა, ზრუნვა ქართული სამუსიკო შემოქმედებისათვის გამომხატებოდა იმ მოთხოვნითაც, რომ სკოლებში განსაკუთრებული ყურადღება დასთხოვოდა ამ დარგს, მით უმეტეს, რომ საზოგადოების თავისი სკოლები ჰქონდა. დაწვენი სკოლებში სიმღერა-გალობის მართებულ საფუძვლზე დასაყრდენად დიმიტრი არაყიშვილმა პატარა კრებულ დასტამბა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მემურობით — „ქართული ეროვნული ერთხმანი სიმღერები თბილისისა და ქუთაისის გუნდების სახალხო სკოლებისათვის“, რომელიც სახელმძღვანელოდ უნდა გამოყენებულიყო „საზოგადოების“ სკოლებში.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას თავისი მუშაობის უკანასკნელ დღემდე არ შეუწყვეტია ზრუნვა ქართული მუსიკისა და სიმღერა-გალობის პოპულარიზაციისა და გავრცელებისათვის 1921-1922 წლებში იგი ია კარგარეთლიან აწარმოებდა მიმოწერას „ქართული მუსიკის ისტორიის“ შექმნის თაობაზე, ქართული სიმღერებისა და გალობის ნოტებზე გადატანაზე და სხვ.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, როგორც ერთ-ერთი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, მონაწილეობას იღებდა ქართველ მხანობოთა და, საერთოდ, თვარტის მუშაკთათვის დახმარების გაწევაში, მათი მოღვაწეობის დაფასებაში. 1902 წელს, ვასო აბაშიძის სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით, „საზოგადოებამ“ მიმოწერას აწარმოებდა სხვადასხვა პირებთან და დაწესებულებებთან იუბილეს სათანადო დირსებით ჩატარებაზე.

ქნობილია ილია ჭავჭავაძის აზრი და დამოკიდებულება ქართული სასყენო ხელოვნებისად ან უფრო მუშაკის მიმართ. „საზოგადოებამ“ თავისი თავმჯდომარის მეშვეობით მიუღო საიუბილეო თარიღი და შესაფერი სახსოვარიც მიართვა, ასევე ვალდინა გუნდის მოღვაწეობის 45 წლის შესრულებისას 1917 წელს, როცა „საზოგადოებამ“ მონაწილეობა მიიღო საიუბილეო ზეიმში და სამასობორო საჩუქრაც გადასცა მოღვესასწაულეს. „საზოგადოებამ“ აქტიურა მონაწილეობა მიიღო აგრეთვე 1919 წელს ნუჯა ჩხვიძის სასყენო მოღვაწეობის 25 წლისთავზე, ხოლო მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის 25 წლის მოღვაწეობის, შალვა დადიანის სასყენო მუშაობის 30 წლის შესრულების, თბილისის კონსერვატორიის უხუცესი თანამშრომლის მარიამ გაბაშვილის მოღვაწეობის 45 წლისთავის, ნიკო გვირიძის სასყენო-მასხაობის მუშაობის 30 წლისთავის, ის კარგარეთლის მოღვაწეობის 35 წლისთავის და სახალხო თეატრის არსებობის 30 წლის იუბილესათვის „საზოგადოებამ“ არ მოუკლდა არც მორალური ყურადღება და არც მატერიალური დახმარება.

„საზოგადოებამ“ ჰყავდა სტიპენდიანტები, რომელთა შორის ქართული ხელოვნების მომავალი მოღვაწეები იყვნენ. 1907—1910 წლებში აკაკი ფაღავა იღებდა დახმარებას „საზოგადოებისაგან“, როცა ქართული თეატრის მომავალი მოღვაწე მოსკოვში სწავლობდა. 1914 წელს „საზოგადოების“ სტიპენდიანს იღებდა ადრე გარდაცლილი ნიჭიერი მხატვარი შალვა ქიქოძე.

როცა 1914 წელს ქართული თეატრი ცეცხლმა გაანადგურა, სცენასა და მასურებელთა დარბაზთან ერთად დაიწვა გარდრობი და თეატრის ბიბლიოთეკაც, რომელშიც ინახებოდა დრამატურული ლიტერატურა, გადაცემისა რიგები და მრავალი სხვა. 1917 წლის 17 მაისს ქართველ მსახიობთა კავშირმა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას სთხოვა, ხელი მოეკლად 1914 წლის ხანძრისაგან დამწვარი სათეატრო ლიტერატურის ხელახალი გამოცემისათვის და ამით დახმარება აღმოეჩინა ქართული სასყენო ხელოვნებისათვის, ხოლო 1920 წლის 4 სექტემბერს, დრამატულმა საზოგადოებამ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გაუგზავნა პიესების სია და მათი გამოცემა სთხოვა.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება შესაძლებლობის ფარგლებში აკმაყოფილებდა სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებათა სურვილებს და ამას იგი ახერხებდა ჭაღალდის და პოლიგრაფიული ბაზის უჭირბოძობისა და ქართული სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემის პარალელურად მათაც ემსახურებოდა.

წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ 1909 წლის სექტემბერში გივო გაბაშვილს, ოსკარ შერლინგსა და ჰენრიკ პრინცესის სთხოვა, ენახათ იაკობ ნიკოლაძისაგან გაკეთებული ილია ჭავჭავაძის მომავალი ძეგლის ცენტრალური ფიგურა — მწუხარე საქართველოს პროექტი. მხატვართა ამ კომისიამ (თითოეული მათგანი პირადად კარგად იცნობდა ილია ჭავჭავაძეს) გასინჯა იაკობ ნიკოლაძის ნამუშევარი და ერთხმად აღიარა იგი ხელოვნების ნიმუშად, ოღონდ მცირე შენიშვნა მისცეს მოქანდაკეს რამდენიმე დეტალთან დაკავშირებით, კერძოდ, პროექტის ავტორს უნდა შეემსუბუქებინა ქალის ფიგურის წამოსასხამის ქსოვილი, რომლითაც დაფარული იყო მისი ზედა ნაწილი. იაკობ ნიკოლაძემ გაიზიარა ეს შენიშვნა წერა-კითხვის საზოგადოებისაგან გამოყოფილი კომისიისა და ძეგლის ცენტრალურ ფიგურას მისცა ის სასე,


რომლითაც იგი იხილა ქართველმა საზოგადოებამ ილია ჭავჭავაძის ძეგლის გახსნის ვაშმ 1913 წელს.

1912—1915 წლების განმავლობაში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას მიწერ-მოწერა ჰქონდა თბილისის გუმბარბატორთან ეგნატე ნინოშვილის ძეგლის დადგმასთან დაკავშირებით, მაგრამ მაშინ ძეგლის დადგმა ვერ მოხერხდა. პირველმა მსოფლიო ომმა ხელი შეუშალა ილია ჭავჭავაძის თხზულებების ბრწყინვალე გამოცემის განხორციელებას. ამ გამოცემის მხოლოდ პირველი ტომი დაბეჭდა 1914 წელს მიხეილ ვედაციაშვილის დიდი მტკვლეობის შედეგად. გამოცემაში მონაწილეობდა ილია ჭავჭავაძისაგან წასათუები წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაც.

1898 წლის 30 მაისს, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების 20 წლისთავისათვის კიტა აბაშიძეს გამგებობაში წინადადება შეუტანია საზოგადოების ნიშან-სიმბოლოს შემუშავების შესახებ; როგორც ჩუქების „მატიცა“ აქვს თავისი სიმბოლო, სასურველია ქართველთა საზოგადოებამაც შექმნას ასეთი რამ, მხატვრულად მიზიდვლად გაკეთებული, რომ მისა გამოყენება შეიძლებოდეს კონვენტებზე და საფოსტო ბარათებზე დასაბეჭდად. თუ სიმბოლო შენაწილიანი და ლამაზა იქნება, ბევრი გაიკვირება და საზოგადოებას შემოსავლაც მისცემს.

წერა-კითხვის საზოგადოების გამგებობამ კიტა აბაშიძის წინადადება მიიღო, შემდეგ კი გრაჰიორ-ქსილოგრაფს გრიგოლ ტატიშვილს სთხოვა ასეთი სიმბოლოს გაკეთება. გრიგოლ ტატიშვილს დავალება შესანიშნავად შეესრულება და საზოგადოებამ საფოსტო ბარათებზე მართლაც დაბეჭდა გრიგოლ ტატიშვილისაგან ლამაზად გამოყვანილი სამი ხეველი, მისდასახვა ფურის ასო — წკს (წერა-კითხვის საზოგადოება), საზოგადოების ეს ნიშანი-სიმბოლო მართლაც თვალისათვის სასიამოვნოა და გემოვნებითაა შესრულებული. ამაზე 1957 წელს ბენი გორდენიანი თავის მონოგრაფიაში „გრიგოლ ტატიშვილი“ წერდა: „დიდი ოსტატობით არის შესრულებული... დია ბარათი, მიძღვნილი ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოებისადმი. სამი ასო წკ. კ. ხ. (წიგნობა „ქ. წ. ს.“, იხ. გვ. 64 ს. ხ.) ისე ოსტატულად არის ჩართული ერთმანეთში, რომ იქმნება ერთი მთლიანი მხატვრული სახის შთაბეჭდილება“.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუშაობაში, ამრიგად, მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ქართული ხელოვნების სხვადასხვა დარგის განვითარებისა და კულტურისათვის ზრუნვას. საზოგადოებაც, როგორც „ქართველთა ერთგული თავშესაფარი“, თავის თავს მოვალედ თვლიდა, ყურადღება მიექცია ყველაფრისათვის, რაც დაკავშირებული იყო ქართულ ხელოვნებასთან და რის გამოყენება შესაძლებელი იქნებოდა მისი მთავარი მისიის შესრულებისათვის — ქართველთა შორის წერა-კითხვის გავრცელებასა, ქართველი მოზარდი თაობის აღზრდასა და სახალხო სკოლების მუშაობის მართებულად წარმართვასთან.



# რეჟისორი ბაბინჯაძის ბალეტი „მელა“

ელისაბედ ბალანჩივაძე

რეჟისორი ბაბინჯაძის ბალეტი „მელა“ თანამედროვე საბალეტო სელონების იმ ხაზს აგრძელებს, რომელიც მსოფლიო ლიტერატურული კლასიკის მაღალი ნიმუშის მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ ენაზე ამტკიცებდასთანა დაკავშირებული. თავის პირველ ბალეტს (1971) რ. გაბრიჩაძემ შექსპირის „ჰამლეტი“ დაუდო საფუძვლად. ამჯერად კომპოზიტორმა ანტიკურობას მიმართა. აღსანიშნავია, რომ ანტიკურობის მარადიული

მელა — ი. ჯანდიერის

თემები და სახეები უკანასკნელ წლებში სულ უფრო იზიდავენ სხვადასხვა თაობისა და განსხვავებული სტილისტური პრინციპების ქართულ კომპოზიტორებს.

მედვას სახის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული განსხვავლება უაღრესად რთული პრობლემაა. ძნელი სათქმელია რა შედეგს მიაღწევდნენ ბალეტის ავტორები, უშუალოდ ევროპიდეს ტრადიციის ქარვას რომ გაკყოლოდნენ. ბევრი მაგალთია იმისა, თუ რაოდენ დამღუპველი აღმოჩნდა ლიტერატურული პირველწყაროს დეტალური გადატანა ლიბრეტოს ფურცლებზე. არც ძალზე თავისუფალი გახარება იძლეოდა უკეთეს შედეგს. ასეა თუ ისე, საგრძნობი ცლილებების გარეშე „მედვას“ საბალეტო სცენაზე გადატანა შეუძლებელი იქნებოდა. საკმარისია დავასახელოთ ძიძის მონოლოგი, მითუმეტეს მაცნეს უზარმაზარი მონოლოგი მკვდარ ძღვენით მოწამული კრეონტისა და კრეუსას დაღუპვის შესახებ. ამ ორი მონოლოგის ბალეტის ენაზე ამტკველება შეუძლებელი იქნებოდა არსებითი ცვლილებების გარეშე.

ლიბრეტოში არ შევიდა ტრაგედიის მთელი რიგი მოქმედი პირები. მათ შორის კრეონტი, ძიძა, მაცნე. რაც შეეხება კრეუსას, რომელსაც ბალეტში დიდი პარტია აქვს დათმობილი, ტრაგედიაში მხოლოდ მოსხენიებულია. მაგრამ საყურადღებოა არა იმდენად ცვლილებები და შემოკლებები, რამდენადაც საინტერესოდ ჩაფიქრებული პრინციპი ბალეტის დრამატურგიისა, რომელიც მოქმედების ორ ასპექტში — წარსულსა და აწმყოში — ჩვენებას ემყარება. უბედურება და ბედნიერება, სიყვარულით მონჭებული სიხარული და ღალატი, სიმდაბლე და კეთილშობილება ტრაგედიის ეს კონტრასტული წახანგები ენაცვლება ერთმანეთს ორი მოქმედების მანძილზე. ვფიქრობ, რ. გამიჩაძისა და გ. ალექსიძის (ლიბრეტოს ავტორი და დამდგმელი) ეს ნაწარმოები ქართულ საბალეტო ხელოვნებაში მონორდამის შექმნის პირველი ცდაა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართულმა ბალეტმა აითვისა და თავისებურად გარდატეხა XX საუკუნის მუსიკალური თეატრის ერთ-ერთი დამახასიათებელი ტენდენცია.

მედვას ბალეტის დრამა და მამოძრავებელი ძალა და თუკი იგი უშუალოდ არ მონაწილეობს ზოგიერთ სცენასა და ეპიზოდში, ეს იმას არ ნი-

შნავს, რომ გმირი მეორე პლანზე გადაყვანილი — სცენაზე ხომ მისი „შინაგანი მონოლოგი“ კოცხლდება.

რა თქმა უნდა, ის უწყვეტი ფსიქოლოგიური დაძაბულობა, რომელსაც ავტორები გვთავაზობენ ბალეტის დრამატურგიის მამოძრავებელ საფუძვლად, თვით მათ და შემსრულებლებსაც მაღალ მოთხოვნებს უყენებს. უნდა ითქვას, რომ ნაწარმოები მყურებლისაგანაც მოითხოვს საკმაოდ დაძაბულ ყურადღებას მუსიკალურ-ქორეოგრაფიული მოქმედების მიმართ.

პარტიტურაზე დაყრდნობით შევეცდებით განვსაზღვროთ ბალეტ „მედვას“ მუსიკალური დრამატურგიის ზოგიერთი კანონზომიერება.

ცენტრალური პერსონაჟის მკვეთრად კონტრასტულ ჩვენებათან ერთად კომპოზიტორი აშკარად მიცნურაფის მსატყრულო სახის კონცეფციური განზოგადებისაკენ. სწორედ ეს განზოგადებელი ნაწილები იქცევა ერთგვარ ამოსავლად მუსიკალური მასალის შემდგომი განვითარებისათვის.

მედვას მუსიკალური დახასიათებისას კომპოზიტორი წამყვან როლს ანიჭებს ვარიაციულ-ვარიანტული ხასიათის რეპეტიციის ფიგურებს, რომლებიც კონტრასტულად უპირისპირდებიან ერთმანეთს. საკმარისია დავასახელოთ ოსტინატო სი ბემოლზე (კლარნეტი, მას თანდათან უერთდება საკრავთა ყველა ჯგუფი და ბოლოს ლიტავები) გმირის პირველი გამოჩენისას ან კიდევ, ოსტინატური ფრაზა გმირის პირველი მონოლოგის (სიმებიანი საკრავები, ზანზალაკები), რომელიც იქცევა იმ მთელი რიგი ვარიაციების საწყისად, მედვას გრძნობების, მისი ვნებათაღელვის გახსნას რომ ვმსახურება.

ძალზე საინტერესოდ მზადდება მედვას პირველი მსხვერპლის — მისი ძმის აფსიტრეს დატირება. ის სცენა საზოგადოებრივი თვალსაზრისით ყველაზე შთამბეჭდავი ბალეტში. მაგრამ თვით ზარის, გოდების ინტონაცია ბალეტში გაცილებით ადრე აღმოცენდება. იგი ხან განრისხებული მედვას მუქარით აღსავსე ფრაზეში ისმის, ხან კიდევ — გმირის მიმართ თანაგრძნობით აღსავსე ქოროს სცენებში.

უკვე პირველ მოქმედებაში შეგვიძლია დავასახელოთ ორი ნომერი, რომლებიც ანზოგადებს წინამორბედ ინტონაციებს და, ამავე დროს, ერ-

თევარ „მომავლის პროექციასაც“ იძლევა. ესაა ინტერლუდია, მედვას ყველაზე დამახასიათებელ ინტონაციებს რომ აწხოვადებს და „ზარი“—თანაგრძობის, მწუხარების ინტონაციითა განზოგადება. ერთმანეთის მიმართ ეს ნოშრები კონტრასტულია, ვინაიდან ტრავედიის განსხვავებულ შრეებს განზოგადებენ.

პლენიშნავ პოლითემატური კონსტრუქციის საინტერესო ხერხებს, იასონისა და მედვას ყველა სცენისა და ქორეოგრაფიული დუეტისათვის რომ არის დამახასიათებელი. მუსიკალური მასალის ამგვარი მოწოდება ამ სცენაში განპირობებულია, უპირველეს ყოვლისა, ცენტრალური ტრაგიკული კონფლიქტის ორპლანანობით. წარსულისა და აწმყოს, სინამდვილისა და მოგონებების პარალელური წარმოსახვისათვის ბალეტის ავტორებმა გმირთა ორეულს მიმართეს. ამასთან ერთად, სპექტაკლში შემოყვანილია ტრაგიკული და კომიკური ნიღბები. ჩვენი აზრით, ძალზე საინტერესოა ნიღბების თემატიკის „დაშრევაბა“ მედვასა და იასონის მუსიკალურ მასალაზე პირველ მოქმედებაში.

პირველი მოქმედებები მოუფლებული, რ. ვაბივაძე თანმიმდევრულად იყენებს კიდევ ერთ დამახასიათებელ კომპოზიციურ ხერხს. მუდგველობაში გვაქვს მეტრორიტმული ალგატორია, რომელიც კომპოზიტორს შემოივას გმირის განცდათა უმაღლესი დამატის მომენტებში (მაგალითად, მედვასა და ქორის პირველი სცენის ფინალი). მეორე მოქმედებაში ალგატორული ხერხები გამოყენებულია მედვას მსხვერპლთა დაკუების სცენებში (კრუესას სიკვდილი, ბავშვების დაღუბვა და სხვ.). ანუ ნაწარმოების ყველაზე ტრაგიკულ მომენტებში.

მეორე მოქმედება მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ტრავედიის განვითარების ახალი ფაზაა. მაგრამ, ვიდრე ნაწარმოების ცენტრალურ დრამატურგიულ ხაზს გააგრძელებდეს, კომპოზიტორი ერთგვარად გადასუბვებს ძირითადი მოქმედებდან. მხედველობაში გვაქვს ბაკქანალიის დასრულებული სცენა — იასონისა და კრუესას ქორწილი, მათი სატრფიალო დუეტი. ეს ორი ნომერი არა მარტო მოსდევს ერთიმეორეს, არამედ ინტონაციურად აცსებს ერთმანეთს. ვარადა ამისა, აქ ბევრი რამაა საერთო პირველ მოქმედებაში ნიღბების გამოჩენასთან. დინამიკური, რიტმულად მკვეთრი საცეკვაო ნაკადი გამოირჩევა საგანგებო ფაქტურული კონტრასტულობით. აღსანიშნავია მედვას წამიერად გამახვილებული „აკორდ-ლაქების“ შემოტრის მომენტები (განსაკუთრებით სამი ნახევარტონის შეხამება). ბაკქანალიის ეს დიდი, კომპოზიციურად დასრულებული ეპიზოდი ქმნის კონტრასტს მომდევნო სცენასთან (მედვა და ქორი), რომელიც პირველი მოქმედების ანალოგიური სცენის ერთგვარ

რემინისცენციას წარმოადგენს, მაგრამ ბაცილებით უფრო დაძაბულია. ეს მედვას სასოწარკვეთის ახალი სტადიაა. მის სულში უკვე მომწიფება შურისძიების ვეგმა. მთლიანობაში კომპოზიტორი ოპერირებს „თანაგრძობის“ გამჭოლი მუსიკალური მასალითა და მედვას აბედილი ოსტინატოს ნაირგვარი ვარიაციებით. განსაკუთრებით ვამზავებთ ჟღერს ოსტინატო სი ბემოლზე.

მედვას მიძინავება უკიდურეს წერტილს აღწევს ჯადოქრობის სცენასა და შურისგების ცეკვაში. ერთხელ და სამუდამოდ მიღებულია გადაწყვეტილების ნიშნად სამჯერ მეორდება ვალტონების ოსტინატური ფრაზა.

ბალეტის ავტორთა უდავო მიღწევაა მისი ფინალი. მეორე მოქმედების მეორე, დასკნითი სურათის მანძილზე მკვეთრად კონტრასტული ფორმების განვითარებით დაძაბულობა თანდათან მატულობს. ერთს მხრივ, დასკნითი სურათის შესავალსა და მედვას სცენაში განვითარებას განავრძობენ ბალეტის გამჭოლი თემები (მედვას თემატიკის მთელი კომპლექსი); მეორეს მხრივ, კომპოზიტორს შემოივას ახალი საინტერესო პლანი, რომელიც სრულიად მოულოდნელად ევრს, მაგრამ გამართლებულია მუსიკალური ქსივილის განვითარების შემდგომი მსვლელობით ნაწარმოების დასკნით მომენტებში. ესაა ყველივე ამქვეყნურიასაგან მედვას განდგომის გამოხატულება.

ამგვარად, ერთი შესვლით მოძრაობის შემადგურხებელი ძალები თავად იქცევიან მკავეო ტრავედიულ საღებავებად. მედვას გოდება ხორცშესხმულია ბერძნული მფლოდიების ოდნავ სტილიზებული თემის (საცეკვისა და ტრამპონის სოლო) ძალზე დახვეწილ ნახატში. წინამორბედი, საკმაოდ დაძაბული სცენის შემდეგ, რომელშიც ტემერულ, კილობრივ და მეტრორიტმულ საშუალებათა ძლიერ აქტივისაციასთან ერთად მიღწეულია ხმის სიმადლის ოპტიმალური ეფექტი (სამი და ოთხი f), მედვას ტირილი ძალზე შთამბეჭდავი თავის მწუხარებით. ჩაცხრა დაუოკებელი ვნებაოდლება და დარჩა უბრალო ადამიანური მწუხარება. ეს მკაცრი კულმინაცია ორ დიდ და დინამიურ სცენას — მედვას სცენასა და იასონის სასოწარკვეთას შორისა მოქცეული. გულცივი, მედიდური იასონი პირველად სწორედ აქ შეეხო მედვას ტანჯვის სამყაროს.

ბალეტის თავისებურ ეპიკურ სამკაულს წარმოადგენს დიტორის ტექსტი, რომელიც ვერიპიდეს ტრავედიის ქორის სტასიმებზეა დამყარებული. შესავალში ეს ტექსტი საკალობელს (ეოკალური ოქტეტის ფონორამა) „იფინება“; კომპოზიტორი გვერდს უვლის ამ მხატვრული კომპონენტის ერთპლანანობას. თუკი იასონის

საზარელი ღალატის ამბავი შესავალში დიდებული ეპიკური გუნდის ფონზე ვლერდა, ფინალში ტექსტს მედეას გოდების მუსიკალური მასალა უქმნის ფონს.

რ. გაბიჩავას ბალეტი ემყარება მუსიკალური ქსოვილის განვითარების სიმფონიზების პრინციპს ტრადიციული ნომრული დრამატურგიის პრინციპის გამოყენების გარეშე. კადრების მონტაჟის კინემატოგრაფიული მეთოდი, მათი კონტრაპუნქტი ნაწარმოების ძირითადი დრამატურგიული ხაზის განვითარების უწყვეტობითაა გაერთიანებული. დიდ როლს ასრულებს ბალეტში ტემბრული გამომსახველობა ქართულ საბალეტო მუსიკაში პირველად გამოყენებული ურთულესი ნოვაციებით. ტემბრული პალიტრის თანდათანობითი გაფართოებით საორკესტრო ფერების დინამიკური აქტივისაციის ხერხი, ტემბრული და მეტრორიტმული დინამიკის შენაცვლება, ტაქტის ზომის ხშირი ცვლით მიღწეული რთული მეტრორიტმული აქცენტაცია — ყოველივე ეს ტრაგედიის ფსიქოლოგიური კონფლიქტის გასახსნელად მიმართული. დამაბულად მძლერ ფინალურ მუსიკალურ პლასტეში „სადაფისებური“, პედალური ფლერადობის ცალკეული მომენტების ჩართვით კომპოზიტორის შთაბეჭდავ ეფექტს აღწევს. განწირული და რაღაც უმწუხრ ხმა ვალდაური ზანზალაკისა (III სურათის დასაწყისი), საყვირისა და ტრომბონის მგაცრი, ყოველგვარ სენტიმენტებს მოკლებული დუეტი (მედეას ტირილი) კომპოზიტორის უდავო მიგნებაა. ამ ბალეტში რ. გაბიჩავამ ტემბრული დრამატურგიის თანამედროვე ნიმუში შექმნა.

ბუნებრივია, რომ ბალეტის ქორეოგრაფია, მუსიკის თავისებურებებიდან გამომდინარე, ვერ დაეყრდნობოდა ტრადიციულ „დანასტურობას“. „მედეას“ დამდგმელი გააკვა ქორეოგრაფიული დრამატურგიის თანამედროვე — გამომხატველ და, ამავე დროს, კონცენტრირებული განვითარების გზას. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო მედეას პარტიის — თანამედროვე ქართული ბალეტის ერთ-ერთი საინტერესო პარტიის — ქორეოგრაფიული გადაწყვეტა. ყურადღებას იმსახურებს, აგრეთვე კოლხური სცენები, ბალეტის ფინალი.

წამყვანი მხატვრული სახეების სხვადასხვა ასპექტში ჩვენება, სცენური კონტრაპუნქტის ცალკეული ხერხები, ვფიქრობთ, მოიგებდნენ, ბალეტის სინათლის პარტიტურა უფრო გააზრებული რომ ყოფილიყო. გაიხსენოთ რა საპასუხისმგებლო ფუნქცია აკისრია თანამედროვე ბალეტში მხატვარ გამანათლებელს (მაგალითად, ბალანჩინის დადგმებში), რომელიც სამართლიანად ითვლება ბალეტმეისტრის ერთ-ერთ თანაგებურად. სინათლის გამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთ ბალეტში, როგორცაა „მედეა“, სადაც მოქმედ პირთა სცენური მოქმედების რთული კონტრაპუნქტები მუსიკალური და ქორეოგრაფიული პარტიტურის შესატყვისად უნდა გაშუქებულიყო.

ზოგჯერ გაცოცხებს იწყებს ნიღბები. იმიტომ კი არა, რომ ევრიპიდეს ტრაგედიაში ნიღბები არ არის. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ბალეტის ლიბრეტო ტრაგედიის მოტივებზე და არა მის საფუძველებზეა შექმნილი. გარდა ამისა, ადვილად წარმოსადგენია ტრაგიკული და კომიკური

სცენა სპექტაკლიდან



ნიღბების არსებობა თვით ევრიპიდესთან. ცნობილია, რომ კომიკური ელემენტი, რომელიც უცხოა ესქილეს ტრაგედიათათვის, მიღებულია ევრიპიდესთან როგორც ტრაგიკოსის გამამაფრებელი კონტრასტული ხერხი. (გავისენით მხიარული პერაკლეს გამოცხადება ალკესტას დატირების მომენტში — „ალკესტა“). ტრაგიკული და კომიკური ნიღბები საინტერესო ხერხია შუურაცხყოფილი სიყვარულის ორპლანიანი, ფსიქოლოგიურად დაძაბული აქცენტაციისათვის (მედეას ტრაგიკული ნიღბი, იასონისა — კომიკური); მაგრამ სასურველი იქნებოდა, რომ ტრაგიკული და კომიკური ნიღბების სცენები ყოფილიყვნენ უფრო აქტიური და, რაც მთავარია, კონტრასტული. ეს ძირითადად კორდებალეტს ეხება.

სპექტაკლში მედეას საინტერესო სახე შექმნა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ი. ჯანდიერმა. ჩვენი თეატრის წამყვანი მოცეკვისათვის ეს პარტია მისი შემოქმედებით ბიორგანიზმის ახალი ეტაპია, რომელმაც წარმოაჩინა ი. ჯანდიერის ტრაგიკული ნიჭი. მედეას პარტიაში, მთელი სპექტაკლის მანძილზე იგრძნობა მუსიკის, ქორეოგრაფიული ჩანაფიქრისა და შესრულების ჭეშმარიტი კავშირი, რაც არტუტ ხშირია ჩვენი საბალეტო სცენაზე.

იასონის დამაჯერებელი სახე შექმნა ნიჭიერმა მოცეკვავემ ვ. ჯულუხაძემ. დრამატუზმიითა და ოსტატობით ატარებს იგი იასონის სასოწარკვეთის ფინალურ სცენას, ხაზს უსვამს იმ გარდატეხას, რომელიც მის არსებაში საზარელმა ამბებმა მოახდინა.

მომხილავი და დახვეწილია ა. აბესაძე კრეუსას როლში. სიჭაბუკით სუნთქავს აფსირტე, განსახიერებელი ნ. მაღალაშვილის მიერ. შემსრულებელთა მეორე შემადგენლობაში წარმატებით გამოდიოდნენ ს. გოგინაიშვილი (მედეა) და ს. ტერეშჩენკო (იასონი).

გაბიჩავებ-ალექსიძის ბალეტში არ არიან საბალეტო სპექტაკლების ტრადიციული პერსონაჟები — მთავარ გმირთა თანხმლები მეგობრები. ნაცვლად ამისა, მედეას თან ახლავს ქალიშვილთა ქორო, რომელიც არც ფონის როლს ასრულებს და არც კოლექტიურ თანაგრძნობას თუ გაკიცხვას განასახიერებს, როგორც ანტიკურ ტრაგედიაში. ეს ქორო, ბალეტის ერთ-ერთი რეცენზენტის თქმით „მედეას ფიქრის, აზრის, მისი ტანჯვის... მისი განუხორციელებელი ბედის განსახიერებაა“. ამგვარად, ქორო მრავალპლანოვანი ფუნქციის მატარებელია. იგი ხან ერწყმის მედეას, ხან კიდევ კონტრასტს ქმნის მასთან.

ბალეტში ყურადღებას იქცევს მთელი რიგი ანსამბლური და მასიური სცენები — ბაკქანალია, კოლხების მკაფიოდ ეროვნული, დინამი-



სცენა სპექტაკლიდან

კური ცნება, მოზარცების გამოჩენა აფსირტეს დატირების სცენაში — რომლებიც ორგანულადაა ჩაქსოვილი ნაწარმოების ძირითად დრამატურგიულ ქსოვილში.

აქტიური როლი ეთმობა სპექტაკლში კოსტიუმების ფერით გამას. კრუეტის სამოსელის კაშკაშა ტონალობა, იასონის კოსტიუმის პომპეზურობა ქმნის კონტრასტს შვევში გამოწვობილი მედეას სილუეტთან.

მხატვარმა ი. გვერთიძემ შემოგვთავაზა ბალეტის საინტერესო სცენოგრაფიული კონცეფცია — მქრქალ ფონზე, რომელზეც მითოლოგიური სიუჟეტების ფრაგმენტებია გამოსაუსული, ჩამოშვებულია მსხვილი ბაგირები. მედეას ყოველი მსხვერპლის დაღუპვისას ამ ბაგირების საშუალებით ჩნდება თითქოს სისხლში ამოვლებული ვერტიკალები. სპექტაკლის დასასრულს მედეა ამ სისხლიანი „კალიდანს“ ცადა აღვლენება, ტოვებს რა სასოწარკვეთილსა და განადგურებულ იასონს.

რ. გაბიჩავის ბალეტ „მედეას“ მუსიკალური დრამატურგიისა და პლასტიკური ნახატის დინამიკა თანამედროვე ქართული ბალეტის საინტერესო მოვლენას წარმოადგენს.

# ლადო მესხიშვილი — თეატრალური განათლებლის ორბანიზატორი

ევემია ხარაძე

1904 წლის 25 ოქტომბერი, იმდროინდელი პრესისა და ჩვენთვის ხელმისაწვდომი სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, ქუთაისში ლადო მესხიშვილის მიერ თეატრალური სასწავლებლის ოფიციალურად დაარსების თარიღად ითვლება, სადაც თეატრისა და დრამატურგიის ისტორიას უცხო ენების მეოღნე, თავისი დროის საინტერესო მკვილობინე და საკართველოში პირველი ვაჟთა სიმებიანი ორკესტრის შემქმნელი, ფილოლოგიურად განსწავლული და რეჟოლუციის თანამგრძობელი პიროვნება. — ალექსანდრე გარსევანიშვილი ასწავლიდა, რომელიც, ამავე დროს, „ძალიან ახლო მდგარა ლადო მესხიშვილის თეატრის რეჟისურასთან, დასთან. თვითეულ მსახიობთან და ეხმარებოდა მათ როლის გაგებაში, პიესაში ასახული ეპოქის გმირთა ხასიათის შესწავლაში“ (ივანე ვარლაშიშვილი, — ალექსანდრე გარსევანიშვილი, „განათლება“, 1971 წ. გვ. 20).

ჩვენს მიერ მიტნებული მასალებს მიხედვით, ლადო მესხიშვილს ქუთაისში ერთგვარი სათეატრო სასწავლებლის ორგანიზაცია უფრო დრე დაუწყია, ვიდრე პრესაში და ჩვენთვის მისაწვდომ სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული. როგორც ჩანს, ქუთაისში წასვლამდე (1896 წლის შემოდგომა), ლადო მესხიშვილი თავისმა პრაქტიკულმა მოღვაწეობამ იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ უკვე განზრახული ჰქონდა თეატრალური სასწავლებლის დაარსება. აი, რას ეწერს იგი დამწყებ მსახიობთა აღზრდის შესახებ ჯერ კიდევ თბილისში ოფიის დროს 1895/96 წწ. „საკმის წარმატებას საკმაოდ ხელს უშლის მსახიობთა ცალმხრივი განვითარება, საკუროთა თეატრს ჰქონდეს რამდენიმე გამოჩენილი გამოცემა სასცენო დარგისა და საერთოდ ლიტერატურისა, რომ მსახიობებს ჰქონდეთ საშუალება თანამედროვე ლიტერატურის უახლოეს მიმდინარეობებს გაეცნონ. სასურველია, შემძლებისამებრ, გაიმართოს ასალგაზრდა არტისტებისათვის კვირაში ერთაულ

ან ორჯერ ლექციები სასცენო ხელოვნების დარგიდან. ეს მისცემს მათ საშუალებას შეაფასონ თავისუფალი დრო და მეტი სარგებლობით მოიხმარონ იგი, ვიდრე აქამდე. ამასთან ერთად უფრო კრიტიკულად მოთეკიდონ თავიანთ როლებს და მოვალეობას“ (იხ. ავ. ფაღავა, „ლადო მესხიშვილი“, 1938 წ. გვ. 73). ალბათ, 1896 წლის შემოდგომიდან, წავიდა თუ არა ლადო ქუთაისში, უკვე პრაქტიკულად დაიწყო ამ პრინციპების განხორციელება.

ალ. არაბიძის თქმით, („სახსივრად 50 წლის ქართული თეატრის არსებობის დღესასწაულსა ქუთაის-თბილისში“, 1900 წ.) 1896-1899 წწ. ქუთაისის დასს ადგილობრივი კომისია განაგებდა, მაგრამ ფაქტური ხელმძღვანელი ლადო მესხიშვილი იყო — ამ პერიოდში ის ნაცად რეპერტუარს იმერებს; ლადო მესხიშვილის ქალიშვილს, რუსული საბჭოთა სცენის მსახიობის ვარია მესხიშვილის აზრით, ნაცადი რეპერტუარის განმეორების პერიოდი ქუთაისში ლადოს რეჟისორ-პედაგოგობაში „ჰაქტიორული მასალის ძიება“, რასაც ადასტურებს გაზეთი „კვლია“ 1896 წლის № 43 და № 45-ში მითავებული ერთი და იგივე განცხადება: „ქუთაისში დაარსებული თეატრალური კომისია იწვევს, როგორც არტისტებს. ისე ჯერეც სცენაზე არ გამოსულ პირთ, რომელთაც სურვილი აქვთ მიიღონ მონაწილეობა ქუთაისის მუდმივ ქართულ დასში“. თუმცა მკურნელთ განცხადება ქუთაისის თეატრის ადგილობრივი გამგებელი კომისიის ერთი წევრის გ. ბაქრაძის სახელზე უნდა შეეტანათ, „მაგრამ ფაქტური ხელმძღვანელი ლადო მესხიშვილი იყო“ — და უნდა ვიკულისხმოდ, რომ ეს მისი კანონიერ კეთილგონად. იმავე ალ. არაბიძის თქმით, 1899 წლიდან, როცა ლადო მესხიშვილი პირველად იღებს საკუთარ თავზე ქუთაისის თეატრის მთელ პასუხისმგებლობას და ანტრეპრენიორივ მდებ,



თეატრის რეპერტუარში ჩნდება ახალი პიესები. ვარია მესხი-შვილის მოგონებების მიხედვით გი, ლადო მესხიშვილის ამ დროისათვის უკვე მიგრებული აქვს „ახალი აქტიორული მასალა და თავდასწავლებით ემბემა აქტიორული ახალი კადრების შექმნაზე მუშაობაში“ (ქართული „ქართული მწერლობა“ 1928 წ. № 6-7, 3; ალექსი-მესხიშვილი, დ. ალექსი-მესხიშვილი). ნინო ჩხეიძის მოგონებების მიხედვით (თბილისი, 1956 წ. გვ. 113), პიესა „ეპრაღლი ქალის“ რეპეტიცია ლადოს ბინაზე იყო დანიშნული, მაგრამ დასახელებული არა აქვს წელი და რიცხვი, გაზეთი „ივერია“ (1900 წ. № 10) კი გვამცნობს, რომ პრემიერა ამა პიესისა 1900 წლის დასაწყისში შედგარა. გამოდის, რომ ლადო მესხიშვილის ოჯახში რეპეტაციების დანიშნა 1899 წელს უკვე ჩვეულებრივი ამბავი იყო. აი, რას გვიამბობს მისი ქალიშვილი ვარია: „მასხვის მისი დიდი რეპეტიცია 6. ჩხეიძისთან, ნ. დავითაშვილთან, ე. ზარდალიშვილთან, ა. იმედაშვილთან და სხვ. ჩვენს ბინაზე ყოველთვის იყო ასეთი მეცადინეობა. ვარადა სასცენო ხელოვნებისა, აქ იღებდნენ აგრეთვე საერთო განათლებასაც. მასწავლებლებდნენ მასსაუფს ანა მემპარიაშვილი და ი. აბაკელია“ (იქვე). როგორც ჩანს, ლადო მესხიშვილმა 1895-1896 წლებს მისხეებით ბარათში ნათქვამი ახალგაზრდა მსახიობების შესახებ, ქუთაისში საქმედ აქცია და გარდა სამსახიობო ხელოვნებისა და მეტყველებისა (ქართული სასცენო მეტყველების შესახებ როცა ვლასარაკობთ, ჩვენ ვიცით, რომ 1900 წლისათვის ლადოს თავისი სახლი უკვე ჰქონია, რაც ნათლად გამოჩნდა როგორც საკუთარს, ასევე მისი მოწაფეების (სამეცნიერო მეტყველებაში) დაუმატა ისეთი საგნები, რომლებსაც თეატრალურ ხელოვნებასთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა და რომლის გარეშეც ახალგაზრდა მსახიობი მას ვერ წარმოედგინა. აქედან კი შევეცდითა დაავსავნათ, რომ ლადო მესხიშვილის მიერ ქუთაისში თეატრალური სასწავლებლის ორგანიზაცია იწყება, როგორც ვარია ამბობს, „ლადოს ოჯახის ქუთაისში გადმოსახლებისთანავე“. ჩვენი აზრით, ლადო მესხიშვილის მიერ თეატრალური სასწავლებლის ორგანიზაცია ქუთაისში 1897 წლის მაისიდან დაწყებული მის საკუთარ ოჯახში, ბალახანის ქუჩაზე და გარეკუთხე პერიოდის მანძილზე, ამ მხრივ, მისი ბინა და თეატრი ერთმანეთს ავსებდნენ, უფრო მოგვიანებით გი, 1904 წლის 25 ოქტომბერს, ოფიციალურ სახელწოდებით გი, ატრში და პრესაშიც გამოცხადდა.

ცხრა წელი იარკება ლადო მესხიშვილის თეატრალურმა სასწავლებელმა ქუთაისში და შეიძლება ითქვას, რომ საქმოდ დიდ წარმატებას მიაღწია.

„ლადო ცდლობდა ქუთაისში (ზ. შეიძლება საუკეთესო ძალიერი შემოქმედის თავისთან“ (წ. დადიანი, ლ. მესხიშვილი, ჩემი მართა, 1948 წ. გვ. 130). არსებობდა ასეთი გამოთქმა: „ლადო თავის კვერთხს ვისაც დაჰკარგეს, მსახიობად აქცევდა“. თუ როგორი იყო ლადოს რეჟისორულ-პედაგოგიური კვერთხი, ამას შესახებ გვიამბობს მისი მოწაფე, შემდეგში გამორჩენილი საბჭოთა მსახიობი, ალ. იმედაშვილი: „ლადო არც ერთ მსახიობს ისე არ გამოუშვებდა სცენაზე, რომ თავისი მადლიანი ხელით არ გაემშვიდებინებინა. და თუ რომელიმე ახალგაზრდა მსახიობი მოეწონებოდა, ზედ გააძაყებებდა, და თუ ზედ გააძაყებებდა, არა თუ ცოცხალ ადამიანს, ქვესაც სულს ჩაუღვამებდა და აათამაშებდა“ (საქართველოს სსრ თეატრის, კინოს და მუსიკის სახელმწიფო

მუზეუმი, ფონდი III, საქმე 60, ხელნაწერი 11369, კოლმედაშვილი, „მოგონება ლადო მესხიშვილზე“).

ლადო მესხიშვილის მოსწავლის, ნინო ჩხეიძის სამსახიობო მონაცემებსა და მის დიდ მომავალს ერთხმად აღიარებდა იმდროინდელი საზოგადოება: „ვიმეორებთ, რომ ახალგაზრდა ნ. ჩხეიძე დიდ შეღწეულს იძლევა, რომ ჩინებული არტისტი შეეჩვეება და მას ბრწყინვალე მომავალი აქვს, მაგრამ ჯერ ბევრი წავალა სჭირდება, ვას სჭირდება სკოლა და ეს სკოლა საშუალოდ გი ჩვენს სცენაზე არ მოიპოვება, ერთდღესით იმედია, რომ ისეთი გამოცდილი რეჟისორი და ჩინებული არტისტი როგორც ვა. ალექსი-მესხიშვილია, მეტს ყურადღებას მიაქცევს ახალგაზრდა ქალს და საზოგადოების იმედეც ადვილად გაამართლებს“, წერს გაზეთი „ივერია“ 1895 წ. № 210; ამ აზრზეც იმეორებს გაზეთი „ივერია“: ნინო ჩხეიძის თამაშს არ ეტყობა არავითარი ძალდატანება და ეს რომ უპირველესა და ნიშანდობლივი თვისებაა დამოუკიდებელი ნიჭისა, საჭიროა მხოლოდ შრომა და წრთება ამ ნიჭისა“ (1895 წ. № 49). ლადო მესხიშვილმა გარკვეულად კურსის წარმართა ნინო ჩხეიძის შემოქმედება.

ნინო ჩხეიძის მოგონება ლადო მესხიშვილის შესახებ (ნინო ჩხეიძე, „მოგონებანი“, თბილისი, 1956 წ. გვ. 110-118) იძლევა იმის სურათს, თუ რა რეჟისორულ და პედაგოგიურ მიდევანს იჩენს ლადო მესხიშვილი ახალგაზრდა, გამოუცდილი მსახიობის მიმართ. რომ იგი პიესაში მოცემულ ვითარებაში შემაჯავებდა ჩართოს და კონკრეტულ ამოცანებზე დაერღნობით განასახიფროს ეს თუ ის საკუ.

1895 წ. ნინო თბილისში მიიწვიეს და ალ. სუმბათაშვილის პიესაში „ბორკილები“ ანიჭოს როლი მიაგვე: „პიესას ამახლებდა ლადო — იხსენებს ნ. ჩხეიძე — მან ჯერ პიესა მთლიანად წამოკითხა და მისი საერთო შინაარსი განმიმარტა, შემდეგ მოქმედი პიერების სახეები გამიშუქა. ვინ კეთილია, ვინ ბოროტი, ვინ რას ჩადის და რატომ ამისნა ვინ ვარ მე პიესის მიხედვით და რა მონაწილეობას ვიღებ პიესის საერთო მსგეულობაში, ჩემთვის, სრულად მოუზადებელი მსახიობისათვის ძალიან ძნელი იყო დამოუკიდებლად გაგება ყველა იმ საკითხისა... „ლადოც ისეთი უბრალო და მარტვი ცნით ამისნა ყველაფერი, ისე გაყოფილ გამიშუქა პიესისა და ჩემი ყოლის ვლდააზრი, რომ ჩემი როლის სახე ნათლად წარმომიგდა თვალწინ. პიესაც და როლიც შინ გამატანა: „ყურადღებით გადავიკითხე პიესა, და როლიც გადავიწყე. თუ რამე საკითხი დაგებდა, მითხარა, ავიხსნი, შეილო“.

ლადო როლის აზრინი შესწავლის შემდეგ პრაქტიკულად უჩვენებს თუ რა უნდა გააკეთოს მსახიობმა: „სცენაზე რეპეტაციებს რომ შევდეკი, — განავრძობს ნინო ჩხეიძე: — როლის სიტყვები მოძრაობას მიშლიდნენ, ხოლო მოძრაობა სიტყვებს მიზორავდა და აზრებს მავიწყებდა. ხელი და ფეხი სად წამოდ არ ვიციდი და უნდა გენახათ რა სიფრთხილით, რა ყურადღებით და, ამავე დროს, ალერაბით მასწავლიდა ლადო.“ მამასადამე, ლადო ჯერ გაავებინებს, გაააზრებინებს იმ შექმნილ ვითარებებს და მეზე კონკრეტულ საბოქმედო ამოცანას აძლევს მსახიობს, ათვისებული ყოველგვარი ფიზიკური დაძაბულობისაგან, მეზე გი მოსხობს მის შესრულების და ბოლოს აკონტრლებს: „აბა გავიფიქრობ შენი პირველი გამოსვლა, ნუ ჩქარობ და ნუ ღლავე! აბა, დავიწყით. შენ ახალგაზრდა ცქრიალა გოგონა ხარ, შინ მო-



ღმარს სასწავლებლიდან მხარულად, გინდა გაასარო შინა-  
ურები შენი წარმატებით, ილიმებით, სისარული მოვაქვს! აბა,  
აბა, კარგია! ახლა კიდევ გავიმეორებო! კარგია! კარგია! ნუ  
დავიწყებ, რომ შენ მხარულად ანკო ხარ... ლადო მესხიშვი-  
ლი კონკრეტული ამოცანის მიცემის შემდეგ, ფიზიკური და-  
მაბალთობისგან განთავისუფლების შემდეგ, აკონტროლებს  
რამდენად შეიძენ და გაიგო მასხიბობა თავისი ფუნქცია  
და რამდენად სწორად მოქმედებს: „თანდათან ვატყობ თავს,  
რომ ფეხი აღარ მიშლის, ხელსაც მართებულად ვამორჩავებ,  
ჩემი სიტყვები მკაფიოდ ისმის... სიმხნევე მემატება... შეე-  
ყურებ ლადოს თვლებში, რას არ შევძლებ ასეთი მასწავლე-  
ბლის ხელში!“

მასხიბობის ხელთვნება ისეთი არა არის, რომ ზოგჯერ ადა-  
მანურ ურთიერთობას ვეღარ ითვალისწინებს და ამ შემთ-  
ხვევაში სრულიად გასაგებია ნუცა ჩხეიძის შეერთობა, რო-  
მელსაც თამაში უხდებოდა ბუემერაზ მასხიბობთან ამალიას  
როლიში და სილა უნდა გაეწნა მასხიბო ლადო მესხიშვილისა-  
თვის. 1896 წლის დეკემბერში ქუთაისში ლადომ დადგა შილვე-  
რის პიესა „ყაჩაღები“; თვითონ ფრანც თამაშობდა, მე—ამა-  
ლიას, გვიამბობს ნ ჩხეიძე, — იმ სცენაში, სადაც ფრანცი  
ცდილობდა ამალიას ხელში ჩაგდებას, მე სილა უნდა გავა-  
ვითყო, ფარდის ახდის წინ ლადო მუხუბერაძე: „ნუაჲ,  
რაც შეგიძლია სილა ძლიერად გამარტყი, ნუ ლადო-  
ზოგავ... „როგორც შემიძლია, ბატონო!“ „არა, არა, რაც  
შეგიძლია ძლიერად, მე მოვიითხოვ ამას, ეს საჭიროა ჩემ-  
თვის!“ როდესაც თამაშის დროს დავიხანუე მისი არეული  
თვლები, გავიგონე მისი მოხლეჩილი ხმა, როდესაც ვიგრძე-  
ნი ფრანცის მოხვედრა, შემეშინდა, თვდაცვის ინსტრუმენტი და-  
მებადა და რაც ძალი და ღონე შეინდა, გავარტყი სილა.  
სილა ისეთი ძლიერი იყო, რომ პარტურის ხალხი შეინძრა,  
უნდა გენახათ მაშინ ლადო, ის იქცა გაბრახებულ მშვეად,  
რომელიც არავის არ დაინდობს, რომელიც ვერსად ვერ გაე-  
ქვეცი. საიდან გამიჩნდა გაბმებდობა! ღონე! თამაშად წა-  
გართვი ხმალი, მხნედ მოგაფერიე მისი შემოტევა. არც კი  
შემიხსენებია, რომ დავიჯერე, ხელი მთლიანად სისხლში მაქვს,  
მოსივლი, ჩემი ამალია გაიხარადა, მხეცმა ფრანცმა ვაჟყა-  
ცად მაქცია“... ლადო ფიქრობდა, რომ მასხიბობს უნდა ქონდეს  
იმპროვიზაციის საშუალება სპექტაკლში და თუ სწორი გარემო  
პირობები შეიქმნება, მაშინ შეუძლებელია, რომ მასხიბობმა  
სწორად არ იმოქმედოს. აი, რას წერს გავთვი „ცნობის  
ფურცელის“ რეკენზენტები ატლის ფილადელინით ნ. ჩხეიძის  
ამალიას შესახებ: „ჩვენ რაღაც ციური ნაპერწკალი შეგნიშ-  
ნეთ, რომელიც კარგი მწერთნობის და მასწავლებლის ხელში  
შეიძლება ერთი ათად გაორკეცებული იქნეს, მაგრამ ჩვენ ვა-  
მობი კარგი მწერთნობის ხელში“ (1896 № 54, თეატრის მა-  
ტაჲ), რეკენზენტები ლადოს სკოლის მოწაფეებს მოღწევენი-  
სათვის აქებენ, მაგრამ ნაკლებად მხარასაც უკონარტებენ,  
მიუთითებენ და გამოსასწორებლად მასწავლებლის მისამარ-  
თით ლაპარაკობენ. აი, რას წერს 1900 წელს გაზ. „ცნობის  
ფურცლის“ (№ 329) თანამშრომელი ნუცა ჩხეიძის ირინეს  
შესახებ (პოლ-ფრეიეს პიესა „ბრტყაღები“, თარგმანი ივ.  
მაჭავარიანისა): „ქან ჩხეიძეს წარმატება ეტყობა და თუ ხე-  
რობული შრომას განაგრძობს ქართულ არტისტ ქალთა შო-  
რის გაუმჯობესად ადგის დაიჭერს. მიმდევრული გარგნობა,  
მშვენიერი მომხიზრავი ხმა და შეგნებული თამაში ქან  
ჩხეიძის მასწავლებლის ყურადღებას უნებლიედ იზიდავდა,

ირინე თვით გრძნობიერებაა, იგი მთელი თავისი ბედისაგან  
დაჩაგრულის არსებით მიისწავლვის მოხადნებულ მწერ-  
რებისაკენ. მაგრამ გულჯეკა კანონი, განხორციელებული მისი  
ქმარში მაგრად ხელს ჩასჭიდებს და ისევ დაჩაგრული რჩე-  
ბა. ქან ჩხეიძემ თითქმის სწორად გააძოვგვა უბედური  
ირინეს ხელსაყრელია, შთაბეჭდილება სრული იქნებოდა,  
რომ არტისტს მეტი ყურადღება მიეცეთა მიიზიდავთ: სა-  
ხის გადაშტეტული მანჭვა, თვალბობი მეტად ხშირი დახუჭ-  
ვა, ასუბტანდენ შთაბეჭდილებას. ქან ჩხეიძეს კარგი მას-  
წავლებელი ჰყავს — ეს ბანი მესხიშვილია და, იმედია, ამ  
ნაკლებ მალე მითორების თავიდან ახალგაზრდა არტისტი,  
რომელიც თანდათან მეტს პატივს და სიყვარულს იქნის  
სასწავლებელშია“.

ლადო მესხიშვილმა მალე მეორე ტრაგიკოსი მასხიბობი  
აღუქსანდრე იმედაშვილი აღზარდა.

ნ იანვრს დაედგით ტრაგედია „პირინის მეგლი“ (მან-  
სფილდისა), მთავარ როლს ბერნადინა ყოველივთის ლადო თა-  
მამიბობა ახლა კი მე უნდა შეთამაშო, — იხსენებო ალ.  
იმედაშვილი, — ლადო ზედ გადამყავა ყოველ დღე სახლში  
მიგავიდი და იქვე მეცადინებოდა ჩემთან. რომ იტყვიან  
ყოველ სიტყვას მილეჭავდა და ისე მიდებდა პირობი“. (ალ.  
იმედაშვილის მოგონება ლ. მესხიშვილზე საქართველოს თეატრ-  
ტრის, კინოს და მუსიკის სახელმწიფო მუზეუმი, ფონდი  
111, საქმე 61, ხელნაწერი 11369). მანამდე კი ლადომ დამ-  
წყებ მასხიბოს ალ. იმედაშვილს თამაშა აქტიორის როლი  
პიესაში „ჰამლეტი“, რაც მასხიბობისაგან მოიხიბეს დავე-  
წილ მეტყველებასა და დიდ ტემპერამენტს. როგორც ჩანს, ალ,  
იმედაშვილმა ეს ორი დირება ნათლად გამოამკვდრა, რაც  
კიდევ უფრო გამოიკვთაა დე-სანტისის როლი („ურიელ-  
აკოსტა“ — 1902 წ. 2 აბრულის); შემდეგ კი — ბერნადინა-  
რის როლი მიანდო. გერონტი ქიქოძე წერს: „მესხიშვილი  
ყოველთვის დიდი მსრუნველობით ეპყრობოდა ახალგაზრდა  
მასხიბობს, რისი საუკეთესო მაგალითი სპექტაკლ „პირი-  
ნის მეგლი“ მასხიბო ალ. იმედაშვილისადმი ლადოს და-  
მოვიკვებულება“.

„წარმოდგენის დროს ლადო გულისხმობს იდეა და თვალს  
არ მამორებდა, სცენის რომელ მხარესაც მოეჭყვედო, ლა-  
დო მაშინვე იმ მხარეს გაჩნდებოდა და როგორც კი შემატ-  
ყობდა, რომ ოდნავ მოედუნებ, მამხნევედა, მაქეხებდა,  
ყოველი მოქმედების შემდეგ ჩემს საპირფარეოში შემეიყ-  
ვანდა, კიდევ მარიგებდა, მომავალი აქტისათვის მამხნე-  
ვებდა, მეალერსებოდა, მაქეხებდა, მკონინდა და მეც მისი  
სიყვარულით იმადისებულ უფრო და უფრო ვიამაშობოდა“.  
ალექსანდრე იმედაშვილის ამ მოგონებიდან ნათლად ჩანს,  
რომ ლადო მესხიშვილს, როდესაც უკვე გათამაშებულ სპექ-  
ტაკლში მასხიბობი შეყვავდა, მასთანაც ჩეთივე პასუხისმგე-  
ბლობით და გატაცებით მუშაობდა, თითქმის პრემიერას აჟ-  
ხადებოთ და აძლებდა რსულ რწმუნება თავისი დიდი გულის-  
ხმირებობით. ამავე სპექტაკლში გამოიჩინება ახალგაზრდა მსა-  
ხიბობი ვალერიან შალივაშვილი — საფრანგეთის მეფე.

ლადოს ხშირად უღებოდა სასცენო ხელოვნების თვალსაზ-  
რისით აღსაზრდელის ნაკლოვანებათა გამოსწორება, „მსა-  
ხიბობ ი. ზარდალიშვილის შესახებ ცუდი აზრის ვიყავი: მი-  
სი ცივი, უსამიფრო ხმა, მდევანთესხავით შეუგნებლად და-  
წყირებულ წინადადებათა ახალ-და-გაიხარება, რსული  
ენის მსგავსად მარცვლის ხმის ამაღლება, მოუხემაგი მიხ-  
რა-მიხრა, ყველა ეს იმედს მიკარავდა, რომ მისგან სახი-

კეთი რამ გამოვიდოდა. „სცდებო“ მითხრა ერთხელ ვლ. მესხიშვილმა, როდესაც მას ჩემი აზრი გაუფხიარე ბ-ნის ზარდალიშვილის შესახებ: — „ეს ყმაწვილი ისეთი შრომის მოყვარე და მწვრთნელის გამოჩენა, რომ გარწმუნებ, ბოლოს მისგან კარგი მსახიობი დაჩნდება“. თურმე მართლა ვცდებოდი, ასრულდა ბ-ნ. მესხიშვილის წინასწარმეტყველება. ბ-ნ ზარდალიშვილის თანდათან ეტყობოდა გაწვრთნა-დაწვრთნა; ამ ორი წლის განმავლობაში მან რამდენჯერმე დაგვანახა თავისი უშუქველი ნიჭი და დაატკბო საზოგადოება მოხდენილი თამაშით. განსაკუთრებით ენერჯებოდა მას პატარებისა და ქარაფშუტა ყმაწვილების როლებს შესრულება. 26 იანვარს კი მისმა გონიერულმა თამაშმა სრულიად მომეცავალა ამ სამი წლის წაანთ მასზე შედგენილი აზრი“.

საკუთარ იუბილეზე თავისივე მოწაფეებით აღფრთოვანებული ლადო ამბობს: „ბევრი დაფნა და ვაშა მიმიღია ჩემს მოღვაწეობაში, ბევრს გვირგვინს ვღირსებოვარ, — მაგრამ უკეთესი, რომელსაც ვეღირა — ეს ჩემი შეგირდები არიან, რომელსაც საჩუქრად ვუძღვნი ჩემს ერსა“) ჟურნალი „კლდე“, 1913 წ. № 8,10 თებერვალი).

ლადო მესხიშვილის პედაგოგიური ზეგნების გამოყენებას ქართული თეატრის შემდგომ ისტორიაში გამჭრქობულეული აღმოუჩნდა კ. მარჯანიშვილის სახით, აი, რას წერს ნინო ჩხეიძე: „ლადოს, როდესაც საშუალება ჰქონდა ემუშავა ახალგაზრდა მსახიობებთან, ეს იყო უდიდესი ბედნიერება, ისე აუხსნიდა, რომ მართლა თუ სულ უნიჭო არ იყო, არ შეიძლება არ გაეცო მისი ასხნა-განმარტება. ლადოს სახეზე მქუერა რას მოითხოვდა მსახიობისაგან. ამ მხრივ ლადოს როგორც რეჟისორს მე გოტყე მარჯანიშვილს ვადარებ. როდესაც მიყურებია მარჯანიშვილის რეპერტუარებისათვის, არაერთხელ მითქვამს, თუ სულ უნიჭო არ არის მსახიობი, უშუქველად გარკად უნდა ითამაშოს. მარჯანიშვილის სახეზე წაიკითხავ ია არის საჭირო. მხოლოდ განსხვავება ლადო მესხიშვილსა და მარჯანიშვილს შორის ის არის, რომ მარჯანიშვილს მეტი დრო ჰქონდა ემუშავა მსახიობებთან, და თუ ლადოს ცოტა დრო ჰქონდა, როგორც რეჟისორს, როგორც მსახიობი, იცნე მასწავლებელი იყო ჩვენი, — მისგან ვსწავლობდით სასცენო ხელოვნების კანონებს, ჩვენ ცოდნას ვიძენდით მისი თამაშის ყურებით, ყოველი მისი როლის შესრულება ჩვენთვის გაკვეთილი იყო.“ (ნ. ჩხეიძე, მოგონებანი, გვ. 117).

ამგვარად, ლადო მესხიშვილი რევოლუციამდელ საქართველოში არის თეატრალური განათლების ორგანიზატორი და მოღვაწე ქუთაისში 1896-1906 წლებში, ხოლო 1912 წელს თბილისში: „ის მოქსწრო თავისი დიდი ხნის ოცნების განხორციელებას — ქართული დრამატული კურსების დაარსებას, იგი ამ კურსების მთავარ გამგედ ითვლება და კითხულობს მიმიგის შესახებ ლექციებს“, — წერს გ.ზ. „თემი“ (1913 წ. № 10), ისევე როგორც ქუთაისში, თბილისშიც, თეატრალური სასწავლებლის დამაარსებელი ლადო მესხიშვილია და იგი აქაც მსახიობის ხელოვნებას ასწავლიდა.



ყვითელი ბრაწველები

ბაინამ ხაჩატურიანი ცკუთუნის თვითნასწავლ მხატვართა რიგებს, მაგრამ მის ხელოვნებას, ალბათ, ვერ განვსაზღვრავდით ამ ცნებით. უფრო მიზანშეწონილი იქნება, თუკი მას თვითმოყვად ან ინდივიდუალური ხელწერის ხელოვანს ვუწოდებთ. ამგვარი შეფასების საფუძველს იძლევა ამ ახალგაზრდა მხატვარი ქალის ჯერაც ხანმოკლე. მაგრამ მხატვართა თვალსაზრისით საინტერესო შემოქმედება.

„მოელი ჩემი შემოქმედება მიწა თბილისს ვუძღვნა, რადგან ეს არის ჩემი დაბადება და ბავშვობა, მე კი თითქმის ყოველთვის ბავშვობაში ვიმყოფები“, — ამბობს გაიანე და, მართლაც, თუკი ღრმად ჩაუფიქრებდით, მისი ხელოვნება — ეს არის ასოციაციათა საფუძველზე ბავშვობის გულბრწყინელო აღქმათა მხატვრულ-ფილოსოფიური განზოგადება.

თბილისის სიყვარულმა დაახლოვა გაიანე ელენე ახვლედიანსა დიდ ხელოვნებასთან. წლები მანძილზე მხოლოდ მისათვის მუშაობდა ახალგაზრდა მხატვარი, რომ თავისი ტილოები ეწვევებინა ელენე ახვლედიანისათვის, რომელიც ძალიან მკაცრ, მაგრამ ზუსტ შეფასებას აძლევდა მის ყოველ ნაშუქვარს, თავის გაგონებას გრძობდა დიდი პეიზაჟისტი და უკმაყოფილებას ვეღარ ფარავდა. მაგრამ სრულიად მოულოდნელად გაიანე მას მოუტანა ზუთით შესრულებული ზუთი ტილო: „შავი ავაზა“, „მთვარე, ქვა“, „წითელთმანიანი სოლოლაკეელი ქალბები“, „წითელი ცხენები“, „თეთრი მოცვეკვეთი“ და მუდამ თავმკვეთებლმა ელენე ახვლედიანმა აღტაცება ვეღარ დაფარა: „აი, ახლა თქვენ მხატვარი ხართ!“

გ. ხაჩატურიანი სტიქიურად, ხელოვანის შინაგანი ინტუიციით მივიდა საკუთარი მხატვრული ენის თავდაპირველ ნიშნებამდე. მისი, გაიანესეული არ გამოიხატება მხოლოდ ფორმატქმნაბობის, ფერწერულ საშუალებათა თავისებურებებში.

# მხატვარი

## გაიანე ხაჩატურიანი

ეთერ შავგულიძე



მუსიკოსები

ხაჩატურიანის მხატვრული აზროვნების სისტემა, ერთი მხრივ, არის უხილავი, ღრმად შინაგანი პროცესი და ამასთანავე, მასში მოქმედი გულახდილობით ვლინდება ავტორის ადამიანური სახე. მისი ყოველი ტილო — ეს არის თავისებური სულიერი ავტობოტრეტები, რომელიც წარმოგიდგენს მხატვრის იდეურ-ესთეტიკურ არსს. რთული, მრავალფეროვანი გრძნობებითა და განწყობილებებით სახე გამოსახლებიანი გახვეული არიან რომანტიკული მსოფლმეტრების გაჩაღება. მაგრამ ეს არ არის უწინააღმდეგავი ნაყოფი ან ზღაპარი. იგი არც თხრობითობის ელემენტებს შეიცავს. ეს არის სრულიად რეალურ საფუძველზე აღმოცენებული, მხატვრის საკუთარი სამყარო. პატარა სამყარო, სადაც წარსული და თანამედროვეობა შეუმჩველად ერწყმინა ერთმანეთს და თანარსებობენ, ზუსტად გადმოსცემენ მხატვრულ ამოცანას და ყოველთვის ქმნიან სათანადო განწყობილებას.

მხატვრის ნამუშევართა ამ თვისებამ მიიქცია თავის დროზე ბაგუტუქ-მელიქიოვის ყურადღება, რომელმაც შემოქმედებითი გამარჯვებანი უწინასწარმეტყველა გ. ხაჩატურიანს და არც შემდგარა გამოცდილი ხელოვანი. ამაზე მეტყველებს ის წარმატება, რომელიც მუდამ თანსდევს გაიანეს ხაჩატურიანის გამოფენებს საბჭოთა კავშირსა თუ საზღვარგარეთ. პრესა ყოველთვის მაღალ შეფასებას აძლევს მის შემოქმედებას. ნატალია შაროვსკაია აღნიშნავს, რომ გ. ხაჩატურიანს ახასიათებს განუყოფელი ინდივიდუალობა, მკაფიო სტილი, არაჩვეულებრივი ფანტაზია („დეკორატივში ისე უსუსტო“, 1968 წ. № 9). ჩეხური ჟურნალი „ინისტა“ კი „ფანტაზიის აღმაფრენას“ უწოდებს გაიანეს ტილოებს. სულ ახლახანს ხაჩატურიანის ხელოვნებას ეპყვინთა პორტუგალიელი მაყურებელი, ამჟამად კი საბჭოთა სომეხი მხატვრების ნამუშევრებთან ერთად მის რამდენიმე ტილოს ეცნობა საფრანგე-

თის ხელოვნებისმოყვარული საზოგადოება. ხელოვნებაში ყოველგვარი სიასლისადმი სწრაფვა, დინამიკა, ალუგორია, რომანტიზმი ახასიათებს გაიანე ხაჩატურიანის შემოქმედებას. ჩვენ არ დავიწყებთ იმის მტკიცებას, თითქმის მისი ძიებანი ყოველთვის ნაყოფიერია, თუმცა უდავოა მხატვრის მიერ გატარებული ფერწერის სფეროში. მასთან მხატვრული სახის შექმნაში ფერის თამაშობს წამყვან როლს (სწორედ ამიტომ შევთვთირი აღუტრაცია უგულებელვს მის ტილოთა მხატვრულ-ესთეტიკურ ღირებულებას). მსუბუქი, დინამიური მოსაზრებები ხან სწრაფია და ძლიერი, ხან ფართო და გრძობი, ხან მარცვლებად გაბნეული, ხან კი ერთმანეთში ჩახლართული. საღებავთა შედარნი გამოთ მხატვარი ქმნის მჭიდროდ შედუღებულ, საოცარი ქდერადობის კოლორიტულ მთლიანობას, რომელშიც იკითხება წყნება, ღრუბ, წითელ, ყვითელ ფერთა უთვალავი გრადაცია. ეს საღებავთა ნამდვილი ფეფერვერკია.

გ. ხაჩატურიანს სურს შექმნას ხალხური მუსიკასავით სუფთა, ყოველგვარი გავლენებისაგან თავისუფალი ფერწერა, რომელიც აღმაფრენის სტიქიურობით მოხიბლავს ადამიანებს.

ამჟერად, ჩვენი შეხვედრა ამ საინტერესო მხატვართან გვსურს დავამთავროთ მარტროს სარაიის სიტყვებით, რომელიც მხატვარმა შობიბედილებათა წიგნში ჩაწერა 1971 წელს გაიანე ხაჩატურიანის გამოფენასთან დაკავშირებით (იხ. ჟურნალი „ლიტერატურისა და მხატვრობა“ № 9, 1972 წ., ზურაბიანის სტატია). „ხელოვნება — ბუნების ძაბილია, რომელიც ჩვენამდე ადამიანის საშუალებით აღწევს. ადამიანი კი რაც უფრო ერთგული დარჩება თავისი ბუნებისა მით უფრო დამაჯერებელი და ამაღლებელი იქნება მისი ხელოვნება. სწორედ ამ განსაკუთრებულ თვისებათა წყალობით ხიბლავს მაყურებელს გაიანე ხაჩატურიანის ნაწარმოებები, რომლებიც გვაზიარებენ მის თვითმყოფად, ამაღლებებელ და პოეტურ სამყაროს“.

# ხის აივნები

## ქველი

### თბილისის

#### არქიტექტურაში

#### რუსულან ვაშლომიძე

წმინდა ქალაქს განუმეორებელი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ელფერი აქვს და ამ ელფერის ჩამოყალიბებას განაპირობებს როგორც მისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, ბუნებრივი პირობები, ასევე არქიტექტურა და დეკორატიული-მხატვრული გაფორმება.

შეიძლება ითქვას, დრო — ქალაქის მეოთხე განზომილებაა. სწორედ ეს მეოთხე განზომილება განაზღვრავს ქალაქის ინდივიდუალურ განუმეორებლობას, მის თავისებურებას, ისტორიულ სახეს. ქალაქი ნათლად გამოხატავს ერის მატერიალურ მონაპოვარს, მის განვითარებას, სახეცვლოლებას. იგი ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც შინაგანი მოღიანობით და ერთიანი არქიტექტურული პარამონით ხასიათდება.

მსოფლიოს ყოველ ქალაქს გააჩნია თავისი ტიპური, ინდივიდუალური ნიშან-თვისებები. შესაძლოა არსებობდეს კიდევ ერთმანეთის მსგავსი ორი, ან რამდენიმე ქალაქი, მაგრამ ამ ნიშან-თვისებების ერთიანობა ყოველ მათგანში განსხვავებული და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელია. სწორედ ეს განპირობებს ქალაქის გარკვეული ინდივიდუალური სახის ჩამოყალიბებას.

ამგვარი განუმეორებელი და ერთადერთია ძველი თბილისი

სი, — კალა, ციხისუბანი, ხარფუხი, ისანი — თავისი უსწორმასწორო რელიეფით, მიხვეულ-მიხვეული ვიწრო ქუჩებით, უნაპირი კონფიგურაციის დახურული ეზოებით და მათი განუწყრელი, აუცილებელი ელემენტით — ხის აივნებით; მტკვრის ციყაბო კლდოვანი ნაპირი და მასზე მერცხლის ბუდედავით ჩამწყვირებული ძველი სახლები, მდინარეზე გადაკიდული, ასეთივე ხის ღია აივნებით, გოგირდის აბანოები, ძველი ციხეები, სამრეკლოები...

არქეოლოგიური მასალებით მტკიცდება, რომ თბილისის ტერიტორია უკვე ენეოლითის ხანიდან მუდმივად და დასახლებული. ხელსაყრელმა ადგილმდებარეობამ და ქართლის სამეფოს სოციალ-პოლიტიკურმა ვითარებამ ხელი შეუწყო თბილისის დაწინაურებას. ქალაქი იზრდებოდა, შენდებოდა, მაგრამ მთელი ფეოდალური ეპოქის მანძილზე, ე. ი. თვით XIX ს-ის დასაწყისამდე, საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე მისი ზრდის თავისებურება, განაშენიანების ხასიათი უცვლელი დარჩა. ქალაქის ხუროთმოძღვრული კომპოზიციის უმთავრეს დერჱს მტკვარი წარმოადგენდა. მის ორსავე ნაპირზე შენდებოდა და იზრდებოდა ქალაქი.

1795 წელს ირანის შაჰმა ალა-შაჰმად-ხანმა მიწასთან გაასწორა თბილისი, მოისპო უამრავი ხუროთმოძღვრული ძეგლი, როგორც საეკლტო, ასევე საერო ხასიათისა.

XIX საუკუნის დასაწყისიდან ახალმა სოციალურმა და ეკონომიურმა პირობებმა მიიშენელოვანი გააღებნა მოახდინა ქალაქის შემდგომ განვითარებაზე. თბილისი გადაიქცა მსხვილი ადმინისტრაციულ ცენტრად, სწრაფად დაიწყო ზრდა და XIX ს-ის შუა წლებისათვის სრულიად ახლებური სახე მიიღო.

მიიშენელოვან შეიცვალა ქალაქის გარეგნული სახე, გაიზარდა მისი ფართობი. ქალაქი კვლავინდებურად სიგრძივად — მტკვრის გასწვრივ ვითარდება, თუმცა ახალმა ქალაქმა, მისმა ცენტრმა — გარეთუბანმა, სალაგამა, ფაქტიურად, ზურგი შეაქცია მდინარეს. იგი არისტოკრატიის, შეძლებულ ვაჭარ-მოქალაქეთა საცხოვრებელ უბანდ იქცა. აქ, ამ უბანში, თბილისის მშენებლობაში პირველად, ჩნდება გეგმიანი საწყისი, საეკლტურული რკინი და ნორმები, მაშინ, როდესაც ქალაქის განაპირა რკინიგზში კვლავ ძველებური ქაოსი, უწესრიგობა სუფევს.

ქალაქის ცენტრში თავს იყრის როგორც შინაარსით, დანიშნულებით, ასევე ფორმით ქართული ფეოდალური ქალაქის ხუროთმოძღვრებისაგან სრულიად განსხვავებული ნაკებობები. საადმინისტრაციო შენობები, ყაზარმები, ახალი ტიპის სასაწყევლოლები და მრავალი სხვ. ამგვარად, ქართული ეროვნული არქიტექტურის ტრადიციები სრულიად განიდევნა ფოციკალური მშენებლობის სფეროებიდან. იგი შემორჩა მხოლოდ საცხოვრებელი სახლის არქიტექტურას. სწორედ საცხოვრებელი სახლების ამ მასამ შეუქმნა თბილისის სრულიად თავისებური, მაკაფიოდ ინდივიდუალური სახე.

მართალია, 1810-1815 წლებში ჯერ მოვარმმართველ ტომასაშვის, ხოლო შემდეგ ტრინშვეის მიერ გამოცემულ იქნა ინსტრუქციები ტიპობრივი ფსადლებით შენების შესახებ, მაგრამ მიუხედავად ასეთი მკაცრი შეზღუდვისა, 20-იანი წლებიდან — „უწესესად პარობირებულ“ ფსადლებშიც კი,



მათი განხორციელების მშენებლებს უკვე შეაქვთ მიწები რაიი ე. წ. თბილისური ელემენტები, რითაც საუკუნის თბილისურებისათვის უფრო ძლიერდება და ვალდებუდა ძველი თბილისისთვის დამახასიათებელი საცხოვრებელი სახლის ტიპი.

საცხოვრებელი სახლების ფასადების ისეთი სახე, რომელთაც ჩვენ თბილისური ვუწოდებთ — საბოლოოდ ჩამოყალიბდა XIX ს-ის ორმოციანი წლებში. ამ პერიოდში გრძელდება წინა წლებში ჩასახული ტენდენციები, რომლებიც რუსული კლასიციზმისა და ადგილობრივი ტრადიციების შეწყობის, გადაწყვეტის საფუძველზე უპირიშივა. გვერდში კვლავ ვხვდებით — ეზოს აივნებს, შუშაბანდებს, გარეთა კიშპებს, ხოლო დაკიდული აივნები ქუჩის მხარეს ყველა სახლი-სახეის (გარდა ერსართულიანისა) აუცილებელ ელემენტად იქცა.

ორმოციანი წლების მეორე ნახევრიდან კიდევ უფრო სუსტდება სანიმუშო პროექტების გავლენა თბილისის ქალაქმშენებლობაში. ამ პერიოდთან „ამირიული“ მოტივები მხოლოდ რემინისცენციების სახითაა გვხვდება ხოლმე. უმეტესობა ამ შენობებისა საშუალო და მცირე ზომისაა და ამდენად ხელმისაწვდომია საშუალო შეძლების მოქალაქეებისათვისაც. სწორედ ამის მიზეზია ალბათ, რომ ორმოციანი წლების მიწურულისა და ორმოცდაათიანი წლების საცხოვრებელი სახლების დიდი რაოდენობითაა შენობასული XIX ს-ის თბილისის ყველა რაიონში. ისინი გვხვდება სალაგაში, მთაწმინდის კალთებზე, კუკიაში, ჩუღურეთში, მტკვრის ორსველ სანაპიროზე. ამ შენობათა ფასადები უფრო მკაცრი, ნაკლებად გადატვირთულია, თავისუფალია ზედმეტი მოკაშმულობისაგან, ამდენად მასზე კიდევ უფრო მკაფიოდ გამოიყოფა ზედა სართულის ხის გადახურული აივნები.

სამოთხან წლებში ქართულ არქიტექტურაში ელემენტური იტრება. სწორედ ამ პერიოდზე მიიღეს თბილისური არქიტექტურის ციკლოუციის უანსაკნელი საფუძვლი. სახლებში ჩანს ცდა გოთიკის შვეუების თბილისურ ტრადიციებთან. კვლავ არსებით ელემენტად რჩება ხის დაკიდული აივნები, მაგრამ ისინი თანდათანობით იცვლიან სახეს, იკარგება წინანდელი მშვიდი, გამოზომილი პროპორციები, მასშაბის, ცალკულ ელემენტთა პარამნიული შეფარდება, ამ პერიოდთან მოკიდებული სულ უფრო და უფრო ხშირდება რკინის გადახურული აივნები.

\*\*\*

აივნის ძირითადი კონსტრუქცია წარმოდგენილია: შვიდაგი ნაწილით, მალითა და გადახურვით. აქედან ყველაზე მთავარი მალია. ფასადის დამრუშვების მიხედვით იგი შეიძლება იყოს არქიტარული და სტეტიანი-თაღანი. არქიტარაიან აივნებში თავის მხრივ გვხვდება: ა) უბალი, მხოლოდ სტეტიებით წარმოდგენილი და ბ) აქურულ დანამატებიანი აივნები. თაღანი აივნებიც ორ ძირითად სახეს იძლევა: ა) ხელთაღანი და ბ) აქურულთაღანი. განსაკვეთა თაღის ფორმებს შორისაც. მათი მოწურულობის მიხედვით გვხვდება: ნახევარწრული, სამკურა (სამკვილა) და უფრო რთული მოხაზულობისა.

აივნის მალის გამშენებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოჯირსაც. იგი შეიძლება იყოს რიკულებიანი, ძელაკებისაგან შედგენილი და ფიკრული, როცა სახეები ბრტყელ ფიკარაიან ამოხრებილი. კედელზე მიმაგრების კონსტრუქციით განიარჩება: 1. კონსოლებიანი და 2. უკონსოლო აივნები. კონსოლებიანი აივნები უფრო ხშირად გვხვდება ისინი ტექტო-

ნურად უფრო სრულყოფილია. თავის მხრივ კონსოლებიანი აივნები იყოფა: ა) ხსულ, ანუ ყრუ კონსოლებიანი და ბ) მარულ კონსოლებიანი აივნებად. აქურული კონსოლიი მესხურულეული აივანი უფრო მსუბუქი და დეკორატიულია. უკონსოლო აივანი, როდესაც მისი მშენიანი ნაწილი მარტიადაა წარმოდგენილი და კედელში ჩამაგრებული ფილის სახე ეძლევა. (კედელში ჩამაგრებული მზიდავი კოჭები აქ შეფიცვრითაა დაფარული).

რაც შეეხება აივნის გადახურვას, იგი ან კოშიდაიანი ან-ტაბულენტითაა წარმოდგენილი, ან მარტიადა, ვანზე გადატანილი სიბრტყის სახეს ატარებს. ხშირ შემთხვევაში ან სიბრტყეს გარს უდლის თუნუქის აქური ფისტკენების, ან ერთმანეთზე დაფენილი წრეების არმისი სახით.

მეტად საინტერესო სახითაა წარმოდგენილი თბილისური სახლების აივნების ორდრიც. თბილისელ ოსტატებს კარგად ესმოდათ, რომ აივნის სვეტი, ისევე, როგორც სხვა ნებისმიერი არქიტექტურული დეტალი, თავისი ფორმით, პროპორციებით უნდა ემორჩილებოდეს არქიტექტურულ მთლიანობას და ამიტომ უარს ამბობდნენ მის წყვეან, დამარგუნველ მნიშვნელობაზე შენობის მთლიან ორგანიზმში. თბილისური აივნების სვეტის დეორ ზეით ვიწროვდება და სვეტსა და მის შემადგენელ ნაწილებს შორის შესანიშნავად მოძებნილი თანაფარდობის გამო მიწელი ორდრი მსუბუქი, ტაწრულია.

ორდრის ყველაზე საინტერესო და გამომსახველ ნაწილად შეიძლება ჩათვალოს კაპიტელი. იგი ტრესანური ორდრის კაპიტელის ძირითად ელემენტებს იმორებს, მაგრამ ქართულმა ოსტატებმა მას თავისებური ელფერი მიანიჭეს. მარტიადა, კვადრატული სვეტისთავის გარდა, რომელიც საკმაოდ ახლია კლასიკურ ნიმუშებთან, თბილისური აივნების არქიტექტურაში მეტად ფართო გავრცელება მოკვა რეაქსიან-ნაგონანს კაპიტელმავეც. ეს კაპიტელი წარმოდგენილია ქამარტონულეული ყელთი. მისი ქამარი დართი, თართი და ნათობარი ლილივითაა დანაწევრებული. თვითონ ყელი უფრო მაღალია ბაზისზე და სვეტის თავითაა დავიჯერებული. კაპიტელის სალტე საზესამუდაა აღნიშნული ღართი და თართი. წრითი სალტე მთელი სვეტის უანსაკნელი მრგვალი ელემენტია.

დღეისათვის დათარიღებული, ჩვენთვის საინტერესო შენობებიდან ერთ-ერთი ყველაზე ადრეული უნდა იყოს სახლი № 11 ერგული II-ის მოედანზე. იგი XIX ს. 20-30-იან წლებს მიეკუთვნება. შენობის კომპოზიცია პორიზონტალურად ვითარდება. ერთმანეთზე დაფენილი პორიზონტალური მასების მქონე შენობის სიბრტყის ცენტრს წარმოადგენს დაკიდული, არქიტარული გადახურვის მქონე აივანი და მის ქვეით მდებარე მასიური ხეშობლიანი საპარადო შესასვლელი. მიუხედავად ასეთი მკვეთრი სიმეტრიის ცენტრის, შენობის საერთო ხელზე დავიჯერებით, ჩვენთვის ცხადი ხდება, რომ ხერთომოდერნისათვის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ერთიანი, პარამნიული ხერთომოდერული ნაგებობის შექმნა. და მართლაც, აივანი, დახვეწილი პროპორციების მქონე ექსი სვეტისა და მის შორის მოთავსებული 16-16 რიკულის მწყობარი რიტმის საშუალებით საზუგის მეტად მშვიდი, წყნარ დინებას ქმნის და მკვეთრად არ გამოიყოფა მთლიან არქიტექტურულ კომპოზიციაში.

დაახლოებით იმავე პერიოდს მიეკუთვნება ლერმონტოვის ქ № 15-ში მდებარე სახლი. ქუჩის ფასადის დეტალეზა



ბესიკის ქ. № 13.

გვიანაა შეცვლილი, ხოლო ეზოს მხარეს არსებითი ცვლილებები არ განუცვლია. მის მეორე-მესამე სართულს ამშვენებს ხის რიკულებიანი აივანი, არქიტრავული გადახურვით, რომელიც საკმაოდ მაღალ პოსტამენტზე შედგმულ ხის სვეტებს ეყრდნობა. რიკულებისა და სვეტების იგივე მწყობრი მშვიდი რიტმი მეორედნა მთავარი კორპუსისა და ფლიკილების შემაერთებელი გადასასვლელების დამუშავებამა.

ორმოციანი წლებიდან უკვე ყალიბდება გარკვეული სტანდარტი ერთ-ორსართულიანი (ნივიათად სამსართულიანი) თბილისური სახლების, რომლებიც მასობრივ მშენებლობაში მკვიდრდება და, ანდნად, მრავალადა მიმოფანტული თბილისის ძველ უბნებში.

გრიბოედოვის ქ. № 16 სახლის ფსადის ავესულება შეტად დამასახიანებელია ამ პერიოდის მშენებლობისათვის. აქვე სამ პორიონტალურ სარტყელთან გვაქვს საქმე. ზედა სარტყელის შუაში, ფსადზე, არის აივანი, რომელიც მკვირად გამოიყოფა შენობის მთლიანი, მკაცრი, ზედმეტსაგავლებს მოკლებული ზედაპირიდან. აივანი ხეულთაიანი და ხეულთაიანობიანი. მადები აღმართულია ოთხსაკმაოდ მყარ და ფორმით მკაცრ სვეტზე, რომელსა შორის ათათი რიკულია მოთავსებული. სვეტებს შუალედად რიკულებიც, თავიანთი კარგად მოქმენილი ფორმისა და პრო-

პორციების წყალობით, ასეთსავე მყარსა და მდგრად შთაბეჭდილებას ქმნის. სვეტის თავი მარტივია და წარმოადგენს წრიულ სალტზე დაყრდნობილ ოთხკუთხა კაპიტელს. ბაზისისაც ტრადიციული ფორმა აქვს და წარმოადგენს კვადრატულ ფილაზე დადგმულ ტორუსს სალტმოვლებული ყელით. ორდერის ასეთი წყობა სტილისტურად შეანინებავდ ერწყმის რიკულების მწყობრ რიტმს, მას ფორმას, რომელიც ძირითადად იგივე ელემენტები მეორდება. რიკულების ფორმით მიღებულ მრუდს და ნახევარწრიული ფორმის თაღს მიძრაობა შეაქვს არსებულ სტატკურ კომპოზიციამი და აცოცხლებს მას. მკაცრი, ტექტონიკური კომპოზიციის გადახლისებინ მიხნით ოსტატი ხშული, ნახევარწრიული ფორმის მალისა და ასეთივე ხშული კონსოლის სისქეს აფორმებს თანაბარი, რიტმულად ჩაჭკრილი სახეებით, რომელიც თავისთავად კიდევ ერთ პლასტიკურ ნავთის წარმოადგენს. გადახურვის გატანილ ნაკვთს ამკობს თუნუქის სამყურს ფისტონებით შედგენილი არშია.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ ხეულთაიანი მალამი ჩართული და ასეთ ხეულ კონსოლზე დაყრდნობილი, სადა და მკაცრი მოყვანილობის სვეტების მქონე აივანი შეტად მაღალმხატვრული და, ამავ დროს, ტექტონურად დახვეწილია.

დროის ამავე მონაკვეთშია ავებული მარბაბლის ქ. № 3-ში მდებარე სახლი. არქიტექტურული კომპოზიციის მხრივ იგი უკვე განხილული ნიმუშის მსგავსია. მისი აივანი წარმოადგენს ხეულ თაღიან-სვეტიან, უკონსოლ, რიკულების კონსტრუქციას. გრიბოედოვის ქუჩაზე მდებარე სახლის აივანისაგან განსხვავებით ეს აივანი უფრო მსუბუქად გამოიყურება. ასეთი სიმსუბუქე განაპირობა როგორც ცალკეული ელემენტების ფორმისა და პროპორციის, ასევე მთლიანობაში ყველა მათგანის შესანიშნავმა ურთიერთშეფარდებამაც. აივანის სვეტები თხელი და სასიამოვნოდ აზიდულია. სვეტებს შორის არე გაზრდილია, რის გამოც უფრო გაფართოვდა, გაიზარდა საკუთრივ მალის მოწყობილობაც, რომელსაც აქვე ნახევარწრიული ხეული თაღის ფორმა აქვს.

რიკულებიანი მოაჯირი — პლასტიკურად დამუშავებული საყრდენების რიგია, რომელიც მისი შემადგენელი, პროფილის განმსაზღვრელი ნაწილების ურთიერთშთანხმების წყალობით სრულყოფილ მხატვრულ ელემენტს წარმოადგენს. თუკი გრიბოედოვის ქ. № 16 სახლის აივანს რიკულები თავისი ფორმის წყალობით (დაბალი მსხვილი ყელი, გამობურცული მუცელი) უფრო მიწიერია, ამ შემთხვევაში სრულიად სხვა მხატვრულ გააზრებასთან გვაქვს საქმე. აივანს რიკულები. მისი პროპორციები უფრო ვარტყმებულა. მათი ფორმის განმსაზღვრელი მრუდი ხაზი, ჩანჩქელი და ამობურცული ნაწილების მოყვლობების მსუბუქე გადახლა ერთმანეთში, შუქჩრდილების რბილად მოდელირება — ყველაფერი ეს გათავალისწინებულია სინერციობრივი აღქმისათვის და გარდა ამისა ფარული მოძრაობაც შეაქვს კომპოზიციას. აივანი თავისუფალია ყოველგვარი ზედმეტი სამკაულისაგან და ასეთი უზარალობისა და სისადავის წყალობით მეტად დახვეწილია.

ფსადი განსხვავებულადაა გადაწყვეტილი ავლევს ქ. № 3 სახლში. თუ ადგილგანხილული ყველა შენობის მასზე პორიონტალურად დადგენილ ერთმანეთზე, აქ კომპოზიციის ვერტიკალურად ვითარდება. კომპოზიციის სიმძიმის ცენტრი მხოლოდ სართლის აივანსა და მეორეხეულ შორის. ასეთი ტიპის მასლებში აივანი ორ იაზურადაა: ზედა აივანი მეორეხეულს უფრო მცირეა და აუცილებლად ფრონტონი აქვს.

მიერ სართულის ის ნაწილი, სადაც აივანია, დომინირებს მთელ ფასადზე, რაც გამოწვეულია პლასტიკური დეტალების ამ ადგილას კონცენტრირებით.

ეს აივანიც ხშულთაღიანია. თაღს სამყურა მოწერილობა აქვს და მთელ სიგრძეზე გარშემოყვება ვიწრო, ხისავე ნახევარწიფილი მოცულობის ზოლი. თავიდან ვერდნობა ოთხ სვეტს. სვეტის ქამარმოვლებული ყელი უფრო მაღალია ბაზისზე და სვეტის თავითა დაგვირგვინებული. კაპიტელის აბაკი კვადრატულ ფილს წარმოადგენს, რომლის ქვეშაც წრიული მოხაზულობის (ნაოთხისი ლილვის პროფილის მქონე) კეჩინა მოთავსებულია. ბაზის წარმოდგენილია კვადრატულ ფილაზე დაყრდნობილი ტორუსის სახით.

აივანი ვერდნობა ხშულ კონსოლებს, რომლის სისქეც, თაღების მსგავსად, კვლავ პლასტიკურად მოდელირებული ზოლების სახითაა დამუშავებული. რიკულების ფორმა ძირითადად იმიორებს უკვე განხილული აივნებისას. განსხვავება მხოლოდ მათ ზედა ნაწილებში. თუკი ყველა ზედიზე განხილულ შემთხვევაში რიკულის თავი კვადრატული ან ოთხკუთხე ფორმისა იყო, აქ ჩვენ გვხვავთ ცილინდრული ფორმის თაღს, რაც მხატვრულად შესანიშნავად ერწყმის აივნის მრგვალ თავსავეარწიულ ფორმებსა და მოცულობებს. ასეთი ერთმანეთის მსგავსი მხატვრული ელემენტების გამოყენებით ოსტატი ქმნის ერთიან სისტემას, რომელშიც ერთი და იგივე დეტალი სხვადასხვა ადგილას, განსხვავებული საზიდავად გამოყენებული, მაგრამ ერთიანი მხატვრული სახის ჩამოყალიბებას ემსახურება.

შუქ-ჩრდილების, დახვეწილი, კარგად მოძებნილი პროპორციების წყალობით აივანი ტექტურობასთან ერთად საოცრად მსუბუქად გამოიყურება და ამავე დროს ძირითად დეკორაციულ ფუნქციას ასრულებს მთელ ნაგებობაში.

შენობის ფასადზე აივნის განსხვავებული განლაგების ნიმუშია აზოზბეგოვის ქუჩაზე მდებარე № 11 სახლი. ჩვენს მიერ ადრე განხილულ შემთხვევებში ფასადის აივნები მოთავსებული იყო შენობის ფასადის შუა მესამედში. ხოლო ამ შენობაში აივანი გარშემო უგლის შენობის კუთხეს და მის ორივე ფასადზე ვრცელდება.

ეს აივანი იმიოთაც არის საინტერესო, რომ აქ ზევიდეთ თაღის რთულ მოხაზულობას. აივანი ხშულთაღიანი და ხშულკონსოლებიანია, სვეტებს შორის რვა-რვა საკმაოდ დახვეწილი ფორმის და მწკობრი პროპორციის მქონე რიკულია მოთავსებული. ამ აივნის სვეტების კაპიტელები ტრადიციული თილისური რვაწახანგოვანი კაპიტელების სახითაა წარმოდგენილი. გამოყენებულია ასეთივე დამახასიათებელი ბაზისები.

აივნის კარნისზე წარმოდგენილია თუნუქის ფრიზი, საკმაოდ რთული დეკორით. მასში ამოჭრილ ურთიერთგადამკვეთ წრესაზე წერილი, ჩანჩვლტკილი პუნსონები შემოსაზღვრავს, ხოლო ქვევინდან გილანოვანი არშია უგლის ყველაფერი ეს კი მზის სხივებით განათებისას მტკად სასიამოვნო ჩრდილებს იძლევა როგორც საკუთრივ კარნისზე, ასევე ეფექტურად ეფინება თალსაც. ამ პრინციპით შესრულებული აივანი, რთული და მხატვრულად დახვეწილი ფორმების წყალობით, მკვეთრად ემიჯნება შენობის სადა, სამკაულებს მოკლებულ ფასადს და აშკარად დომინირებს მთელს ნაგებობაში.

არქიტრავული გადახურვა და რიკულებიანი მოაჯირი აქვს ამავე პერიოდში აგებულ მთელ რიგ სხვა ნაგებობებსაც. მაგ. შავთელის ქუჩა № 24 და გომის ქ. № 5 სახლებს, დავითა-

შვილის ქუჩისა და დავითაშვილის I ჩიხის კუთხეში, მდებარე სახლს, არსენას ქ. № 16 და სხვა.

ქრონოლოგიურად რიკულებიანი მოაჯირი ყველა დანარჩენზე უფრო ადრეულია. ორმოცდაათიანი წლებიდან აივნების ბაიონრად ფართოდ გამოიყენება ფიცრული მოაჯირები. ასეთი ფიცრული მოაჯირებისათვის მხატვრულობის მინიჭების მიზნით ოსტატები მათში სხვადასხვა ორნამენტულ სახეებს ტრადიციას. ასეთი წესით შესრულებულ ნახატებს შორის ყველაზე მარტივია ნახატი, რომელიც მიიღება ფიცარში ერთმანეთის მიყოლებით პატარა-პატარა წრეების ამოჭრით, რომლებიც მთლიანობაში კონცენტრული წრესაზეების სახით ლაგებიან.

ასეთი ტიპის მოაჯირია გამოყენებული ორმოცდაათიანი წლების მრავალ საცხოვრებელ სახლში, რომელთაგან აღენიშნავეთ სახლს № 2 აბას-აბადის (ალავრდოვის) მიუდინზე, ენაც კუთხის ნაგებობაა, მისი აივანიც კუთხეს შემოუყვება და ორივე ფასადზე ვრცელდება. აივანი ვერდნობა ხშულ კონსოლებს. თაღს ნახევარწიფილი ფორმა აქვს და ისიც გამოყოფილი აეურული ჭრით არის დამყენებული. სვეტები მაღალია და ანტაბოლემენტამდე გრძელდება. ეს გამოწვეულია იმით, რომ აქ საქმე გვაქვს აივნის არქიტრავულ გადახურვასთან და თალი სინამდვილეში არავითარ კონსტრუქციულ დანიშნულებას არ ასრულებს. მას მხოლოდ დეკორატიული ფუნქცია აქვს დაკისრებული.


დავითაშვილის ქ. № 19



მოაჯირის თითოეული ფიკარი წარმოადგენს ოთხკუთხედს, რომლის სიმაღლე ოდნავ მეტია სიგანეზე. წვეთისმაგვარი მოყვანილობის ელემენტებისაგან, რომლებიც ცენტრის მიმართ ვიწრო ნაწილებითაა მიმართული, ფირ-ფიცრის ცენტრში მიღებულია როზეტი. შემდეგ იგივე ცენტრიდან, აღონდ უფრო გაზრდილი რადიუსით, მოთავსებულია ასეთივე წვეთების კიდევ უფრო ფართო ზოლი. შემდეგ წრეს ქმნის უსწორმასწოროდ ამოჭრილი წრებაზეების რიგი, ხოლო უკანასკნელი კონცენტრული წრებაში მიღებულია თავშეჭედილი წვეთისმაგვარი დეტალების მონაცვლეობით. ასეა შეესებულა ძირითადი კვადრატის, რომლის კუთხეების ადგილასაც მოთავსებულია ქვევით ექვს და ზევით შვიდწვერიანი ვარსკვლავები. ოთხკუთხედის დარჩენილი ზედა და ქვედა არე-

აეურული ტიპიანი და ასეთივე ბარიერი ამკობს. ფორმის მიხედვით თადი რთულია და შედგენილია წრეწირის მეორეხარის რაკალენისაგან, რომლებიც მხოლოდ ერთ წერტილში ეხებიან ერთმანეთს, შესვების წერტილებში დამატებითი პლასტიკური ელემენტების შეტანით თადი კიდევ უფრო რთულ ფორმას იძენს.

ამ აივანში ვხვდებით თბილისური აივნებისათვის დამახასიათებელ კიდევ ერთ თავისებურ ელემენტს, რომელიც უფრო ხშირად ხშულთაღიან აივნებშია გამოყენებული. ეს არის თავისებური სამკაული, რომელიც სვეტის ასწვრივ (კაპიტელის ზევით) თაღზეა მიკრული და წარმოადგენს სისაგან გამოთილლ პლასტიკურ ნაკვეთს. მომდევნო ხანის აივნებში



კლარა ცუტინის ქ. № 51

ბი შეესებულა შედარებით მცირე ზომის წვეთებით, წვერით ცენტრისაგან. ასეთი ნახატებითაა შედგენილი მოაჯირის ყოველი ფიკარი. თადების აეურულ ნახატშიც ძირითადად წრეები ტარბობს. უსწორმასწორო ფორმის ნახევარწრეები და სამკუთხედებია ამოჭრილი თადის მოხაზულობის გასწვრივ. თადის არქივოლტი შემკულია აეურული კბილანოვანი არშით. გამოყენებულა დეკორი და საყურთივე ტრის ხასიათი საოცარ გამჭვირვალეობას ანიჭებს მას და ამიტომ აივანი ძალზე მსუბუქი და ფერწერულია. დახვეწილი ფორმების და დეკორის წყალობით აივანი ადვილად აღიქმება.

კონცენტრული წრებაზეთი შედგენილ დეკორატიულ მოტივებს ზედებით არქიტრავული გადახურვის მქონე აივნებშია. მაგ. თონეთის მოედანზე, დავითაშვილის ქ. № 23 სახლის აივანში, დავითაშვილის № 19 სახლში და სხვ.

ასეთსავე მხატვრულ ეფექტს იძლევა აზიზბეგოვის ქუჩაზე (ყოფ. საეკლესიო) მდებარე სახლი № 2-ის აივანი. აქ კიდევ უფრო რთული არქიტექტურული ფორმები და დეკორატიული ნახატებია გამოყენებული.

ეს აივანი საკმაოდ ფართოა და შენობის მთელ ფასადს გასდევს. იგი ხშულკონსოლებიანი, სვეტიან-თაღიანი. მას

ეს სამკაული პაწაწინა ტოსკანური სელტის სახითაა მოცემული.

სულტებს შორის სამ-სამი, აეურული ჭრით შემკული ფიცარია მოთავსებული, რომელთაგანაც ორი განაპირა ერთნაირია და წარმოადგენს სტილიზებულ ლირისმაგვარ ორნამენტს, მათ შორის კი გამყოფად უსწორმასწორო ფორმის წრეებისა თუ რომბებისაგან მიღებული აეურული ბადვა მოთავსებული. რაც შეეხება ორნამენტს, უნდა ითქვას, რომ იგი საოცარი გემოვნებითა და ოსტატობითაა შესრულებული. ორნამენტი ქვევიდან ზევით ვითარდება. მისი ქვედა ნაწილი, მუცელი ყველაზე ფართოა მიუღს კომპოზიციაში და ამის გამო მთლიანად ნახატი სიმძიმით ქვევითაა მიმართული, რითაც მას მყარი ხასიათი ენიჭება. ორნამენტის ნახატი სიმეტრულია ევრტიკალური დერძის მიმართ. მისი მარცხენა და მარჯვენა ნაწილები შესანიშნავად აწონასწორებს ერთმანეთს. ორნამენტის ძირითადი მრუდი უახლოვდება ლათინურ S-ის ფორმას, რომლებიც ერთმანეთის მიმართ ზურგით არიან შექმნილი. მათ საწყის და ბოლო წერტილებში სამკურა ყვევითაა მოთავსებული. ასეთივე ყვევილება მათი შეხების ად-



გილებში. ორნამენტის ხასი მოქნილია, ძლიერი და ამიტომ დინამიურიცა და ლამაზიც.

საინტერესოდაა გადაწყვეტილი საკუთრივ მოაჯირის წყობა. იგი სვეტთა შორის ყველგან ერთნაირია და წარმოდგენილია შემდეგი სახით: 1. სვეტის ტანი, 2. ფიცარი ლირის-მაგარი ორნამენტით, 3. ბადისებური გამყოფი, 4. კვლავ ლირისმაგარი ორნამენტი. ასე გრძელდება აივნის ბოლომდე. ბარჯის შემადგენელი ელემენტების ასეთი დალაგებით მიიღება მარტივი და, ამავე დროს სტატიკური რიტმი, რაც შესაძლებელია ეთანხმება აივნის კონსტრუქციულ დანიშნულებას.

განსხვავებული ხასიათისაა აივნის თალი. ფორმის შემადგენელ ხასთა დინების გამო იგი მოძრავია და ზეფითკენ მიისწრაფვის. ამავე დროს, ასეთი ფორმა ტექტონური თვალსაზრისითაც გამართლებულია. თუმცა უნდა ითქვას, რომ თალი

აქ ოსტატის წინაშე უკვე სრულიად განსხვავებული მხატვრული ამოცანა დგას, რომლის შესაბამისადაც იცვლება ორნამენტის ხასითიც. მართლაც, ხასი აქცე მოქნილი და ძლიერია, მაგრამ შედარებით გამარტივებულია — შემცირებულია მისი ხეობის რიცხვი. შესაბამისად შეიცვალა ჭრის ტექნიკაც: აქ იგი გაცილებით დახშულია და მოკლებულია ძლიერ, მაქსიმალურ გამჭვირვალობას. ყველაფერი ეს წინასწარი მიზანდასახულებით კეთდება და განსხვავებული მხატვრული ხასის შექმნას ემსახურება.

აბაზოების უბანში, ბოტანიკური ბაღისავე მიმავალ ქუჩაზე კვლავ გვხვდება იგივე ორნამენტულ საფუძველზე შესრულებული აივანი. აქ იგი არქიტრაველ გადახურვამა ჩართული, რომლის კუთხეებაც აქვრული პალმეტებითაა შეესებული. განსხვავებულია ორნამენტის შესრულების ტექნიკა, შეცვლილია მისი ჩარჩოს ზომებიც. თუკი ზეფით განხლულ



ობოლადის ქ. № 7-9.

არც ამ შემთხვევაში არ ასრულებს არავითარ კონსტრუქციულ დანიშნულებას.

საინტერესოა საკუთრივ ჭრის ტექნიკაც. ორნამენტის შემადგენელი ნახატის საკმაოდ ფართო, გამჭოლი ხასიათის გამო აივანი საოცარ გამჭვირვალეობას იძენს და ამიტომ მსუბუქი და ფერწერულია.

ღირისმაგარი ორნამენტის გამოყენება თბილისური აივნის მოაჯირში ძალზე ხშირია. მაგრამ, ისევე როგორც ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაშიც, საერთო მხატვრული გაზრების მიხედვით იგი ყოველთვის განსხვავებული სახე-ცვლილებებით გვხვდება.

თუ აზიზბეგოვის ქუჩაზე იგი გამოყენებული იყო აქვრულ ტიმპანთან ერთად, დავითაშვილის ქუჩაზე № 8 სახლში იგი გვხვდება ხშულ სამყურა მალში ჩართული. სვეტებს შორის აქ ორ-ორი ასეთი ფიცრული ორნამენტიცაა, რომელთა გასამიჯნადაც იხმარება მცირე ზომის, უბრალო, ყოველგვარ დეკორატიულ დამუშავებას მოკლებული ფიცრის ზოლი.

ორივე შემთხვევაში ჩარჩოს სიგანის შეფარდება სიმაღლესთან დაახლოებით უდრიდა 4,5:5, აბას-აბადის მოედანზე მდებარე სახლში კი 2,5:3, ე. ი. საერთოდ თითოეული ჩარჩოს სიმაღლე შეუმინდელად სჭარბობს მის სიგანეს და თითქმის კვადრატს უახლოვდება. აქ სიგანის შეფარდება სიმაღლესთან უდრის 3:2. თითოეული ღირისმაგარი ორნამენტის ძირითად კვადრატს დამატებული აქვს კიდევ ერთი კვადრატის ნახევარი, რომელშიც S-ის ფორმის კიდევ ერთი ხეია ზოლია ჩამატებული. ამის გამო მართკუთხედი ქმნის მეტად სასიამოვნო პროპორციებს, რომელიც მჭორდება აივნის მოაჯირში კვადრატული მოხაზულობის ჩარჩოებს შორის. ამ ორნამენტის ამოჭრილი გამჭოლი არეები კიდევ უფრო ფართოა და აივანც მსუბუქი, მოძრავი და გამჭვირვალეა.

მსგავსი ორნამენტაცია გამოიყენება ჩალაუნიის ქუჩაზე № 9 სახლის, კოვრის ქ. № 2 და № 5 სახლების ბარჯებში. პირველ ორ შემთხვევაში არქიტრაველი გადახურვის მქონე აივნებშია, ხოლო მესამეში სამყურა ხშულ თალიან აივანშია ჩართული. კამოს ქუჩაზე № 13 სახლს ასეთი აივნები



ცხაკაის ქ. № 1.

აქვს ორივე სართულში. პირველი სართულის აივანი გადახურვის და სვეტების გარეშეა მოცემული, რაც მის ზევით მეორე აივნის არსებობითაა გამოწვეული. ეს სახლი სამოციან წლებშია აშენებული და შესანიშნავად გამოხატავს გუთური მოტივების თბილისურ ფარინტს, რაც მდებარეობს არა მხოლოდ შეისრული შესასვლელების და მრგვალი ვარსკვლავისებური ალათით შემკული სარკმელების არსებობაში, არამედ მტკვრისაკენ მიმართულ ფასადზედაც, რომელზეც ჩვენს მიერ ნახსენები აივნებია განლაგებული. ხის აივნების მოაჯირი და აქურული კონსოლი კარგ ძველებურ ტრადიციებთან კავშირის მოწმობს, თუმცა შემგდენისთანავე თვალში გვეცემა ხის სვეტების კონტა, აზიდული პროპორციები.

იგივე გუთური პროპორციები გამოყენებული კოვრის ქ. № 2 სახლის აივანშიც.

პლენხანის პროსპექტზე № 107 სახლიც აგებულია 60-იან წლებში და ამ ეტიპისათვის დამახასიათებელი, სხვადასხვა სტილითა სიტერის შესანიშნავი ნიმუშია. აქ ვხვდავთ ვარიაციებს კლასიკურ, გუთურ და ისლამურ მოტივთა თემებზე. საკუთრივ აივანი, მართალია, აგებულია ძველი თბილისური აივნების საუკეთესო ტრადიციებზე, მაგრამ აქ უკვე განსხვავებულ ფორმებთან და პროპორციებთან გვაქვს საქმე. თადის ფორმა უფრო ფართოა, ადრინდელ მასშტაბურობას მოკლებული, ორნამენტის ნახატი გამარტივებული, უფრო დახშული, მოაჯირი, თადის საერთო პროპორციასთან შედარებით, თითქმის დაბალია. აქვე, ამ სახლში ვხვდებით ელემენტს, რომელიც უფრო მოგვიანებით გაჩნდა აივნებში ეს სახლზე გამოსატყობა ხსული თადის ზედაპირზე, სვეტის ორივე მხარეს აქურული როზეტის მოთავსებით. აივნის ორდორის მთელი რიგი ელემენტებიც — რეაქსნავოვანი კაპიტელი, ბაზისი — ძველ ტრადიციებზეა დაფუძნებული.

დადიანის ქუჩაზე № 34 სახლში არის აივანი, რომლის ფიქრული მოაჯირიც კიდევ ერთი განსხვავებული სახის დეკორატიული მოტივს გამოხატავს. აივანი კუბისაა, საკმაოდ დიდი ზომისაა და საინტერესო სიღრმეა ქმნის. იგი სვეტიან-თალიანია და ხსულ კონსოლებზეა დაყრდნობილი.

ვარდა დეკორატიული მოტივებისა, იგი საინტერესოა მთელი რიგი თავისებურებების გამო. აივანში გამოყენებულია ხეია სვეტები, რომლებიც ფართოდ იყო გავრცელებული, მაგრამ კონსტრუქციული სისუსტის გამო თითქმის მთლიანად მოისპო და დღესათვის სულ რამოდენიმე ნიმუშიაა შემორჩენილი. ხეია სვეტის ღერო ოთხი მალისაგან შედგება, რომელთა კონა ზემოთ საათის ისრის მიმართულებით იგრისება. ღერო დგას კვარცხლბეგზე, რომელიც ხუროთმოძღვრულად მოაჯირს ერწყმის. კაპიტელის წაგრძელებული სხეული ორნამენტითაა დაფარული და ოთხი ვოლუტით დამშვენებული.

ვოლუტი აქ ფოთლის სახითაა წარმოდგენილი (იყო შემთხვევები, როცა იგი მტრედის თავს წარმოადგენდა). სვეტებზე პრაფილირებული დგარებია მოთავსებული, რომლებიც ტერის გამაგრების გარდა, თაღთან აქურსაც იკავებენ და თან ხუროთმოძღვრულად ერწყმიან მათ.

თადის რთულ ფორმას არქიტექტურული შემოყვება. თადის აქური მხატვრულად და ოსტატობის თვალსაზრისითაც მაღალ დონეზე დგას და შესანიშნავად ერწყმის მოაჯირის ნახატს. (ამეგობად აღინდელიდან მხოლოდ ნაწილმა მოაღწია, შემეტყობა კი უბრალო ფიქრებითაა შევცვლილი). სვეტებს შორის სამ-სამი ფიცარია მოთავსებული, ყოველი მათგანი წარმოადგენს წაგრძელებული ფორმის ფიცარს. მასზე მოცემული ნახატი სიმეტრიულია, როგორც პორნიზნტალური, ასევე ვერტიკალური დერძების მიმართ, თუმცა აბსოლუტურ სარკისებურ სიმეტრიაზე ლაპარაკი შედგება, რაც თაისებურად მოქმედებს მისი აღქმის დროს და მეტ მომხიბვლობას ანიჭებს მას. აივანი საკმაოდ დაბლაა ფასადზე და ამიტომ მისი ყოველი დეტალი გააზრებულია აბსოლუტურად აივანი შესანიშნავად ასრულებს მასზე დაკისრებულ ფუნქციურ, მხატვრულ და ესთეტიკურ მოთხოვნებს. მოძრავ სვეტს, ნახი ორნამენტს, დახვეწილი ოსტატობა — ყელდახვერი ეს აივანს მსუბუქ, მოძრავ და ამევე დროს, ტექტონურ იერსაც ანიჭებს.

თბილისური აივნებისათვის ძალზე დამახასიათებელია ფიციური მოაჯირების ვიდრე ერთი სახე. იგი შედგენილია ვიწრო ფიცრებისაგან, რომელთა ორნამენტაციისათვის გამოიყენება მკირე ზომის წრეები, რომბები, გულისმკვარე და ოვალისებური ჭრილები.

საშოიანი წლებისათვის, როდესაც უკვე იკარგება ტრადიციული ქართული აივნების ბრწყინვალეობა, ძალიან ხშირად მიმართავენ ასეთ ფიცრულ მოაჯირს და კვეთენ მას რიკულების ფორმების მსგავსად. ასეთი ვიწრო ფიცრებისაგან შედგენილი ბარიერები ფართოდ გამოიყენება არა მხოლოდ თბილისში, არამედ საერთოდ ქართულ აივნებში და ნახატის დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება.

ძალზე ხშირად გვხვდებით ასეთ აივნებს თხინვალის ქუჩაზე, კოტე მესხის ქუჩის შესახველში. ბესიკის ქუჩაზე № 3 სახლში ერთმანეთის ქვეშ მკირე ზომის ორი ასეთი აივნის არქიტრაული გადახურვა ორ-ორ სვეტს ეყრდნობა. სვეტნი მოაჯირის რემი და კაპიტელის დონიდან ზევით ოთხკუთხაა, ხოლო ძირითადი ტანი მრგვალი მოწერილობისაა. მოაჯირის ნახატი მარტივია და ამჟღედ დროს მიწვიდვლივ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თვით აივანი ძალზე პატარაა და საერთო პროპორციულობით შორს დგას „კლასიკური“ თბილისური აივნებისაგან.

ფიცრული აივნები ფართოდაა გამოყენებული რიყში მდებარე სახლის ფსადებზე, ოხლაძის ქ. № 7-9 სახლში, კიევის ქუჩა № 7-ში და სხვაგან. ყოველი მათგანი განსხვავებული ნახატითაა. ზოგი ძალზე მარტივია, ზოგი უფრო გულდასმით შესრულებული. თუმცა საერთო ჯამში მანც უკვე რვერესის გზაზეა დამდგარი, რაც კარგად იგრძნობა არა მხოლოდ მისი დეკორის ხასიათში, არამედ აივნის საერთო არქიტექტონიკაშიაც.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, აივნის მოაჯირი, გარდა რიკულებისა და ფიცრულისა, შეიძლება იყოს ძელაკებისაგან შედგენილიც. ისევე როგორც ფიცრულ მოაჯირებში, აქაც

შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ტიპი მათი მორთულობის მოტივების მიხედვით.

კლარა ცეცხინი ქ. № 40 სახლში გვხვდებით ამ ტიპის მოაჯირების ყველაზე მარტივ სახეობას. იგი წარმოდგენილია ორი ურთიერთგადამკვეთი დიაგონალის სახით. თითოეულ მალში ვერტიკალური ძლით გამოყოფილი სამ-სამი ასეთი ელემენტია ჩართული. აივანი უკონსოლია, ნახევარწრიული აქურული თალით დამშვენებული. სვეტი მალალია, ტრადიციული თბილისური ბაზისითა და რვაწახნაგ კაპიტელით. მის გასწვრივ კიდევ ერთი მცირე ზომის სვეტია, საკუთარი კაპიტელით. თაღის აქურს ქმნის ვიწრო, ურთიერთგადამკვეთი ძალაკებისაგან შედგენილი რომბული ბადე. თაღის არქივოლტი დამშვენებულია სამყურა პალმეტების არშით. თაღის ბადე, მისი არშია, კარნიზის გაყოფებით თუნუქის წრეებისაგან მიღებული აქურს — შუქ-ჩრდილის ძალზე სასიამოვნო და ეფექტურ თამაშს იძლევა და თავის მხრივ, ერთგვარ კონტრასტსაც კი ქმნის მის შედარებით სადა უბრალო მოაჯირთან.

აივანი შენობის მომრგვალებულ კუთხეს შემოუყვება და თავისი შუქ-ჩრდილების, ფორმების და მოცულობის წყალობით სასიამოვნო სილუეტს უქმნის, ამდიდრებს მას.

ცხაკაის ქ. № 1 სახლის აივნის ბარიერში ძელაკებისაგან შედგენილ უფრო ხშირ რომბულ ბადეს ვხვდებით. ამ აივნის განილობისას კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, თუ რაოდენ მრავალფეროვანი იყო თბილისელი ოსტატების მიერ შექმნილი მხატვრული სახეები, რომლებსაც ისინი ერთი და იგივე ელემენტებისა და ტექნიკური საშუალებების სხვადასხვა ვარიაციებით აღწევდნენ.

ამჯერად აივანი არქიტრაული გადახურვისაა, ვერდნობა ოთხ ხედა სვეტს, რომლებიც ყველა დამახასიათებელი ნიშნით არიან წარმოდგენილნი. საინტერესოა ერთიანი, დაუნაწევრებელი სახით წარმოდგენილი კონსოლი, რომელსაც ასეთი

დავითაშვილის ქ. № 23



ფორმის გამო თითქოს მასიურობა, სიმტკიცე ემატება და უფრო მონუმენტურად გამოიყურება. კონსოლის ასეთ ფორმას კარგად ერწყმის სვეტის ასეთივე მასიური პიდეტსტალი და ასეთივე მკაცრი, ტექტონური არქიტექტურული გადახურვა. საკუთრივ ხვია სვეტი თავისი ხასიათით, წაგრძელებული ფორმის, კონსოლის მსგავსი, კაპიტელით უფრო ნახია და გაცილებით უფრო ხშირად გამოიყენება აუტრულ თაღანი-მო-აჯირიანი აივნებში, აქ კი ერთ-ერთ დეკორატიულ ელემენტად გვევლინება მოაჯირთან, პიდეტსტალის რომელი ფორმის პლასტიკურ დანამატთან ერთად და მოძრაობა შეაქვს მკაცრი კონსტრუქციულ კომპოზიციას.

ფურცელაძის ქ. № 13 სახლში ძელაკებიანი მოაჯირის კიდევ ერთ სახეს ვხვდებით. მისი ნახატი წარმოადგენს ოთხ-ყურა ყვავილს, რომელიც მიიღება ურთიერთგადამკვეთი დი-აგონალური ძელაკებისაგან შედგენილი, რომების კუთხეებში სამკუთხა ნახარების დამატებით. ასეთი ბაიერის გამ-ჭოლი არააბეი ქმნის ჩრდილებს, რომელშიც ოთხყურა ყვავი-ლები იკითხები.

ეს ოთხსვეტიანი აივანი სიმბიმის ცენტრია ვერტიკალური დანაწევრების მქონე კომპოზიციასი. აივანი უკონსოლია. ნახევარწრიული თაღებით გადახურული აივნის მკაცრი ფორ-მები, მწყობრი პროპორციები, სურათი მხატვრული გადა-წყვეტა შეთანხმებულია კედლის ტექტონიკასთან, კონტაქტ-შია ფასადის სიმბრტყის დამუშავებასთან და ამით იქმნება ერთიანი არქიტექტურული სურათი.

ძერქინაძის ქ. № 4 სახლს, ვფოს მხარეს, ორივე სარ-თულში აქვს ვრცელი აივნები. პირველი სართულის აივანი არქიტექტურული გადახურვისა და რიკულდინიათა. მეორე სარ-თულისა — აუტრული ნახევარწრიული თაღებითა და ძელაკებიანი მოაჯირით. ფურცელაძის ქ. № 13 სახლის მოაჯირ-ში გამოყენებული ოთხყურა ყვავილის აუტრული ნახატი აქ თაღს ამკობს, ხოლო მოაჯირი ძელაკებისაგან შედგენილ უფრო მსხვილ რომბულ ბაჯეს წარმოადგენს.

ლენინის ქ. № 8 სახლში ასეთი მოაჯირი ჩართულია სადა შესრულები თაღით დამშენებულ კომპოზიციასი, ხო-ლო ენგელსის ქუჩისა და ენგელსის მეორე შესახვევის კუთხის სახლში უკვე ხშულ სამყურა თაღთან ერთიანობაში ვხვდებით.

კლარა ცეტკინის ქ. № 54 სახლში აივანი კუთხის შემოუ-ყვება. იგი სამშალიანია. მარჯვენა და მარცხენა მალი ნახე-ვარყოფილი მოყვანილობისაა, ხოლო შუა, უფრო ფართია. მისი მოლოდ კუთხეებია შეესებული მეოთხედი წრესაზე, რომლებიც არ ეთაღებიან და ცენტრალურ ნაწილში პაატრა სწორხაზოვანი არე რჩება. ამის გამო იქმნება მეტად საინტე-რესო მოხაზულობა, რომელიც თავისებურ დამახასიათებელ იერს ანიჭებს ამ აივანს.

ძელაკებისაგან შედგენილ განსხვავებულ დეკორაციულ ნახატს ვხვდებით ოზოლაძის ქ. № 20 სახლის აივანში. აივანი მოთავსებულია შენობის მარჯვენა ზედა კუთხეში, ცერდნობა ხშულ კონსოლებს, სვეტის-თაღიანია. თაღს სამყურა მო-წყობილობა აქვს და ისიც ხშულია. აივანი ძალიან დაბალია მოთავსებული, რაც გათვალისწინებულია მისი დეტალების დამუშავებისას. სვეტის ბაზა პლასტიკურად დამუშავებულია ღარის თაროსა და ღილის დარფით. კაპიტელი რვაზანაგა აბაკისა და ექინის სახითაა წარმოდგენილი, მისი ქამარმოვ-ლებული ყელი შედარებით დაბალია. კაპიტელის შემადგე-ნელი ყოველი დეტალი სიგანეზე ვითარდება და ამიტომ მას მკერვი, მდგრადი იერი ეძლევა. ასეთ რვაკუთხოვან აბაკზე

დაყრდნობილი ხშული თალი მეტად რბილ, სასიამოვნო გა-დასვლას იძლევა.

საინტერესოააა გადაწყვეტილი საკუთრივ მალევის რიტ-მული წყობაც აივანში. მისი გვერდითი, სიგანის შემქმნელი მალევი განიერია, შემდეგ მოდის შედარებით ვიწრო გვერ-დითი მალევი, ხოლო მათ შორის მოთავსებული ცენტრალუ-რი მალი კვლევი სიგანეზე ვითარდება. მალთა შორის ზომების ასეთი რიტმული მონაცვლეობის გამო, კომპოზიციასი იქმნება წინასწრობა და სიმეტრია. შესანიშნავადაა მოქმენილი რო-გორც თითოეული დეტლისა და ნაკეთის, ასევე საერთო კომ-პოზიციის პროპორციებიც.

მოაჯირის დეკორი შედგენილია ძელაკებისაგან და წარ-მოადგენს ობობას ქველისებურ ნახატს. ეწიწრო მალევიში მი-ნი პროპორცია ტოლია 2:4 ან 1:2, ე. ი. წარმოადგენს ორ ერთმანეთზე გადაბმულ კვადრატს, ხოლო შუა მალევი მას ემა-ტება კიდევ ერთი კვადრატის ნახევარი და მიიღება შეფარდე-ბა: 2:5, საკუთრივ ნახატს ემატება კიდევ ჩარჩოს ზომას სიმა-ღლეზე, რის გამოც პროპორციები კიდევ უფრო იხვეწება და მიიღება შეფარდება შესაბამისად ვიწრო და განიერ მალევი-ში 3:4 და 3:5.

მოაჯირის ნახატი, მისი შემადგენელი სახეების დინება თა-ვისთავად ძალზე დახვეწილია და ამავე დროს შესანიშნავად ეთანხმება თაღის წრიულ ფორმებს, მის მკაცრ, სადა მასებს და სიმსუბუქე შეაქვს კომპოზიციასი.

\*\*\*

დღეს ქალაქები არანაშული ტემპებით იზრდება არა მარტო სავარგებრო ტერიტორიების შემოღრთების საჩუხე, არამედ შინაგანდაც. ამიტომ საჭიროა მისი ძველი უბნების, ისტორიული ნაწილების შენარჩუნებასთან ერთად, მათი რე-კონსტრუქცია, რეგენერაცია და თანამედროვე ქალაქის სტრუ-ქტურაში ჩართვა. თბილისის განვითარების და რეკონსტრუქ-ციის ახალ გენერალურ გეგმაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ისტორიული ნაწილის რეკონსტრუქცია და ძველე-ბის შენარჩუნება-გამოვლინება ძველი ქალაქის ერთიან არქი-ტექტურულ-მხატვრულ კომპლექსში. პროექტების ადტორე-ბი დაყრდნენ ქალაქის ისტორიული ნაწილების მეცნიერუ-ლად გამოვლევას, რის საფუძველზედაც ქალაქში გამოყო-ვილია სამი ზონა, რომელიც განსაკუთრებულ დაცვას მოით-ხოვს და ქალაქის ტერიტორიის ისტორიულ დაყოფას ეფარ-დება.

ქალაქის ფარგლებში ასეთი „ისტორიული ფენების“ და-საინაოებისა, მათ თანარჩუნებისა, ქალაქის ცხოვრების სა-ერთო სისტემის პრინციპებში გაერთიანებას აქვს მეტად ცო-ცხალი, შთამბეჭდავი ძალა. ცხოვრებისაგან გარყოფილი, სამუ-შელო ექსპანტად გადაქცეული არქიტექტურა კარგავს არა მხოლოდ თავისი მატერიალური არსებობის აზრს, არამედ მხატვრული ზემოქმედების ძალასაც.

სწორედ ამიტომ ძველი თბილისის ნაგებობებისათვის მოავრთა რეგენერაცია, რათა შენობებს შევუნარჩუნოთ მხა-ტრული ზედი, მასშტაბი, სტრუქტურა და მიცანიჭოთ ახალი, თანამედროვე ცხოვრებისათვის შესაფერისი ფუნქცია. გარდა ამისა, აუცილებელია ქალაქის ინდივიდუალური სახის გან-მსაზღვრელი ამ ისტორიული რაიონების გვეგარებითი სტრუქ-ტურის შენარჩუნებაც.

# ანასტასია ვირსალაძის პიანისტური სკოლა

## გულბათ ტორაძე

10 წელი გავიდა ქართული საფორტეპიანო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის, გამოჩენილი პედაგოგისა და პიანისტის, საქართველოს სახალხო არტისტის პროფ. ა. ვირსალაძის გარდაცვალებიდან. ა. ვირსალაძის პიანისტური სკოლის პრინციპები ცოცხლობენ და განვითარებას განიცდიან მისი მოწაფეების საშემსრულებლო და პედაგოგიურ პრაქტიკაში.

წინამდებარე წერილი წარმოადგენს პროფ. ა. ვირსალაძის პედაგოგიური მოღვაწეობის შედეგების განზოგადებისა და მისი ძირითადი ესთეტიკური და მეთოდოლოგიური პრინციპების განსაზღვრის პირველ ცდას. ამ რთული და საპასუხისმგებლო ამოცანის გადაწყვეტისას ვეყრდნობი როგორც თვით ა. ვირსალაძის შემუშარული და მეთოდოლოგიური ხასიათის შრომებს, ისე მისი მოწაფეების მოგონებებს. ვიშველიებ აგრეთვე ჩემს მოკრძალებულ გამოცდილებასაც: მქონდა ბედნიერება ნ წლის მანძილზე ვყოფილიყავი პროფ. ვირსალაძის მოსწავლე და არაერთჯერის მომისმენია მისი დაკვრა კონცერტებსა და კლასში.

ანასტასია ვირსალაძემ ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი გზა განვლო, როგორც შემსრულებელმა და პედაგოგმა. მის პირველსა და უკანასკნელ საკონცერტო გამოსვლებს ნახევა-

რი საუკუნე ამორებს. საშემსრულებლო მოღვაწეობა მან დაიწყო ჯერ კიდევ 900-იან წლებში პეტერბურგში, მშენებლთა წინაშე იგი უკანასკნელად წარსდგა 1956 წელს.

რაც შეეხება პროფ. ვირსალაძის პედაგოგიურ მოღვაწეობას, იგი მოიცავს ზუსტად 47 წელს (1921-1968) და გრძელდებოდა თითქმის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე. მან აღზარდა 200-ზე მეტი მოწაფე, რომლებიც ნაყოფიერად მუშაობენ პედაგოგიურ და საშემსრულებლო სარბიელზე.

ა. ვირსალაძის შემოქმედებითმა მოღვაწეობამ ორივე ამ სფეროში ღრმა, წარუშლელი კვალი დატოვა ქართული მუსიკალური ხელოვნების ისტორიაში. იგი პირველი ქართველი პიანისტი ქალია, რომლის საშემსრულებლო ხელოვნებამ ფართო აღიარება ჰპოვა. ა. ვირსალაძის თანამედროვეთა და მოწაფეთა მოგონებები, მისი საკონცერტო გამოსვლებისაგან მიღებული ცოცხალი შთაბეჭდილებები და თვით ის ტექნიკური თვალსაზრისით არასრულყოფილი ჩანაწერები, რომლებიც მან სიცოცხლის დასავალზე განახორციელა, უფლებას გვაძლევს იგი მაღალი კლასის პიანისტად ჩავთვალოთ. ამის შესახებ გეტყველებს მისი რეპერტუარიც, რომელიც კლასი-

კური საფორტეპიანო ლიტერატურის მრავალ კაპიტალურ ნაწარმოებს შეიცავს და პიანისტის დიდ შესაძლებლობებზე მეტყველებს.

აქ არ შეიძლება არ გამოვთქვათ სინანული, რომ სხვადასხვა ხელისშემშლელი მიზეზისა და საკუთარი თავისადმი გადაჭარბებული მომთხოვნის გამო ა. ვირსალაძის სამემსრულებლო მოღვაწეობამ არ მიიღო საკმარისად ინტენსიური ხასიათი. აშკარა დისპროპორცია მის პოეტურ კონცერტ პიანისტურ შესაძლებლობებსა და ამ მოღვაწეობის რეალურ შედეგებს შორის. ფაქტიურად, ფართო საზოგადოებრიობამ ა. ვირსალაძე, როგორც პიანისტი, გაიყენა მხოლოდ 1927 წელს ზეთიპოვნის ხსოვნის საღამოზე, რომელიც საერთო აზრით, მისი პიანისტური მოღვაწეობის პირველი დიდი გამარჯვება იყო.

ჩვენ შევეცადეთ დავედგინა ა. ვირსალაძის ყველა ორგანისტრიბული საკონცერტო გამოსვლა (სოლო ან სიმფონიურ ორკესტრთან ერთად). სულ ა. ვირსალაძე 13-ჯერ წამდგარა მსმენელთა წინაშე როგორც სოლისტი — კონცერტანტი.

არაერთგზის გამოსულა ა. ვირსალაძე სხვადასხვა შერეულ კონცერტებში, სადაც შეუსრულებია საფორტეპიანო ლიტერატურის მრავალი ნიმუში (აღვიწმნა, მაგ. პროფ. ტურ-სტეფანოვასთან ერთად 2 როიალზე შესრულებულ ლისტის „პათეტური კონცერტს“ და სხვა). გარდა ამისა ა. ვირსალაძემ მონაწილეობა მიიღო მთელი რიგი ანსამბლების შესრულებაში.

პროფ. ვირსალაძის სამემსრულებლო მოღვაწეობის კულმინაციად სამართლიანად ითვლება 1945 წ. 15 აპრილს გამართული სოლო კონცერტი, ჯერ ერთი, ეს იყო კლავირაბენდი სრული პროგრამით, რომელშიც პიანისტს ორივე განყოფილებაში უსვავდა და მეორე (მთავარი) ის, რომ თავისი მსატყურელი დონით იგი უმაღლესი რანგისა იყო. ბედნიერად ვთვლით, რომ დავესწარი ამ კონცერტს, რომელშიც მთელი სისრულითა და ბრწყინვალეობით გამოვლინდა ა. ვირსალაძის არტისტული ნიჭი და დახვეწილი ოსტატობა. შესაძლოა, ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ პროგრამა მილიანად შედგებოდა მისი უსაყვარლესი კომპოზიტორის შოპენის ნაწარმოებებისაგან, რომელთა შესრულებაც ნამდვილი „სასიწიქი ქვეა“ ნებისმიერი, თუნდაც უმაღლესი კლასის პიანისტისათვის. შემთხვევითი არ არის, რომ ა. ვირსალაძის, როგორც პიანისტის, შეახებ მსჯელობისას, უპირატესად სწორედ ამ კონცერტს იგონებენ ხოლმე.

ამ კონცერტში თვალნათლივ გამოვლინდა ა. ვირსალაძის სამემსრულებლო ხელოვნების საუკეთესო, ყველაზე მიზიდველი მხარეები: ნაწარ-

მოების მუსიკალური სტილის ფაქიზი შეგრძნება, კეთილმოზილი გემოვნება, მსატყურელი სიმართლისა და ზომიერების გრძნობა, ბგერის მაღალ კულტურა (თუ გნებავთ, კულტივი) — ერთი სიტყვით ის თვისებები, რომლებიც საზოგადოდ დამოარჩევდნენ ა. ვირსალაძის შესრულებას და რომელთა მემკვიდრეობითი კავშირი მისი მანწავლებლის ა. ესიბოვას პიანისტურ სკოლასთან უცილობელია.

„ყოველივე, რაც კი მე ესიბოვამ მომცა, ჩემი ხანგრძლივი მოღვაწეობის მყარ საძირკვლად იქცა. დრომ, ახალმა მოთხოვნებებმა, საკუთარმა გამოცდილებამ წელსაცვლივინა — და ზოგჯერ არსებთანაც ჩემი პედაგოგიური მეთოდის ცალკეული მხარე, მაგრამ საფუძველი რჩებოდა უცვლელი“ — წერს ა. ვირსალაძე.

ფეჭობით, რომ ესიბოვას ტრადიციებთან კავშირმა თავისი გამოსატყულება პიოვა თვით ა. ვირსალაძის რეპერტუარშიც. იგი ფრიად სოლიდურია მოცულობით და თუ გადავხედავთ მას, დაგრწმუნდებით, რომ არსებითად იგი განისაზღვრება კლასიკური და რომანტიკული ლიტერატურის აპრობირებული ნიმუშით. მის ძირითად ბირთვს შეადგენენ ბახის, ვენას კლასიკოსების (განსაკუთრებით მოცარტის, ზეთიპოვნის) და რომანტიკოსების (პირველ რიგში, შოპენისა და შუმანის) ნაწარმოებები, — მუსიკა, რომელშიც მთლიანობაშია შეწყვეტილი ემოციური და ესთეტიკური მომენტები.

თავის მოწაფეებსაც იგი უპირატესად ამ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს აძლევდა. გარკვეული ადგილი ეთმობოდა იმპრესიონისტებისა (უფრო ღებიუსის) და ძველი ოსტატების (სკარლათი, ჩიმაროზა, კუპერენი, ფ. ე. ბახი და სხვ.) ნაწარმოებებსაც. ა. ვირსალაძე — პიანისტის სოლო რეპერტუარში თითქმის სულ არ ვხვდებით რუსული მუსიკალური კლასიკის ნიმუშებს (სამაგიეროდ, ძალიან უხედაა წარმოდგენილი კამერული ანსამბლის ჟანრი). მისი მოწაფეები კი ბევრს უკრავდნენ ჩაიკოვსკის, რახმანინოვისა და სკრიაბინის პიექებს. რაც შეეხება თანამედროვე მუსიკას, კერძოდ, საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებებს, მათ დიდი ხნის მანძილზე (ყოველ შემთხვევაში — 50-იან წლებამდე) ფრიად მოკრძალებით მიმართავდა თავის პედაგოგიურ პრაქტიკაში, რაც აიხსნება იმ დროს გავრცელებული და დაკანონებული ზოგიერთი მცდარი მეოთხელოგიური ოსნეფციით. თუმცა კეთდებოდა ერთი გამონაკლისი: ს. პროკოფიევის საფორტეპიანო ნაწარმოებები.

არ შეიძლება ყურად არ ვიღოთ დ. ბაშკიროვის დამოწმება: „თუმცა ანასტასია დავითის ასული ვირსალაძე „ძველი ფორმაციის“ მუსიკოსი

გახლდათ, იგი ინტერესით აღიქვამდა თანამედროვე ავტორების საუკეთესო ნაწარმოებებს, გულწრფელად იყო აღტაცებული, მაგალითად, ს. პროკოფიევის მრავალი ნაწარმოებით, რომელთაც სიამოვნებით გადიოდა ჩვენთან<sup>1</sup>). აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ, თუ რა ბრწყინვალედ უკრავს დღეს ელისო ვირსალაძე თავისი ბებიის ხელმძღვანელობით შესწავლილ პროკოფიევის მე-2 სონატასა და მე-3 კონცერტს.

ინტერესით ადევნებდა თვალს ქართულ საფორტეპიანო ლიტერატურას. მის პედაგოგიურ პრაქტიკაში დამკვიდრდა ამ უკანასკნელის პირველი ცნობილი ნიმუშები: ა. ზალანტიძის „ნოქტიურნი“; „სამაია“; ა. მაჭავარიანის „ხორუმი“, უფრო მოგვიანებით ა. მაჭავარიანის, ო. თაქთაქიშვილის საფორტეპიანო კომპოზიტები.

მსმენელთა მესიერებაში წარუშლელა კლასიკური და რომანტიკული საფორტეპიანო ლიტერატურის მრავალი შედევრის ვირსალაძისეული ინტერპრეტაცია. აღზევდილი მისი დიდი, დახვეწილი ესთეტიკური კულტურით. სანიმუშოდ შეიძლება ჩაითვალოს, მაგალითად, ბუთოქვიანის მე-4 და მე-5 საფორტეპიანო კონცერტების, შუმანისა და შოპენის საფორტეპიანო კონცერტების, შუმანისავე „კარნისულირანსა“, შოპენის სი მინორ სონატის, ნოქტიურნების, მასურეების, ვალსების (დაუეიწყარა, კერძოდ, მი მინორ ვალსი) შესრულებას.

შეგავსით ზემოთქმული რამდენიმე უფრო კონკრეტული შენიშვით.

ესიპოვასადმი მიძღვნილ მოგონებებში ა. ვირსალაძე საპეციალურად უსვამს ხაზს თავისი მასწავლებლის მიერ ე. წ. რუბატოს დიდოსტატური ინტერპრეტაციას. ეს ავტოგოური ნიუანსი, რომელიც აუცილებლად გულისხმობს შესრულებლის თანდაყოლილ ესთეტიკურ ალღოს და მუსიკალურ ინტუიციას, იმით არის „სახიფათო“, რომ მისი ზედმეტად ხანჯასმა შესრულებას ყალბ, გრძნობიერ, სენტიმენტალურ იერს სძენს (აქ არის სწორედ ის „ოღნავ“, რომელიც აშორებს ხელოვნებაში „ნამდვილს“ — „შორიახლო-საგან“, როგორც ამბობდა შალიაპინი). აი, რას წერს ამის შესახებ თვითონ პროფ. ვირსალაძე: „პედაგოგიური მუშაობის ყველაზე რთულ მხარედ ვთვლი tempo rubato-ს დაფუძვლებას, რაც რიტმის შეგრძნების ორგანულ თავისუფლებას, რიტმული ნიუანსების სიმდიდრესა და აუნთქვის თავისუფლებას გულისხმობს. აქ განსაკუთრებით სახიფათო და შეიძლება ითქვას, უაზროცაა მექანიკური დაჭრთვა — ყოველივე ის, რაც უშლის შთაგონებას, მუსიკით გატაცებულობას“.

ვისაც კი ოდესმე მოუხმენია ა. ვირსალაძისათვის, ის უთუად დაგვეთანხმება, რომ სწორედ

რუბატოს არჩევულებრივად ფაქიზი შეგრძნება ანიჭებდა მის დაკრას დიდ მოქნილობას, სიცოცხლესა და გრაციას და იგივე გვიზილავს დღეს მისი საუკეთესო მოწაის — ელისო ვირსალაძის შესრულებაში (ა. ვირსალაძის „მიხვეებით ასხმულ“ „პერლს“ და უფაქიზეს „რუბატოს“ იგონებს ლ. ვლასენკო).

თავის შესრულებაშიც და პედაგოგიურ პრაქტიკაშიც პროფ. ვირსალაძე უდიდეს ყურადღებას უთმობდა მელოდიური საწყისის რელიეფურ გამოვლენას, „მელოდია უნდა მედროდეს, პიტცველებდეს“<sup>2</sup> — ამბობდა ესიპოვა და ეს პრინციპი, რომელიც რუსეთში კერძოდ კიდევ ანტონ რუბინშტეინიდან მიიღის, მუდამ და დაკინებით ინერგებოდა პროფ. ვირსალაძის მიერ თავის კლასში.

„მღერადი, სახე; ფერებით მდიდარი ბგერა ისევე უნდა მუდამ თან სდევდეს პიანისტის დაკვრას, როგორც ღამაზი ხმა მომღერლის სიმღერა“<sup>3</sup> — წერს იგი.

როგორც იგონებს ელისო ვირსალაძე, მისი მასწავლებელი „შტრიხებისა და ნიუანსების განმარტებისას, სისტემატურად სარგებლობდა ვოკალური მეთოდიკიდან ნაესხები ტერმინოლოგიით“.

ყველა, ვისაც კი ოდესმე უსწავლია ანასტასია დავითის ასულთან, ხაზგასმით აღნიშნავს იმას, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იგი ბგერის კულტურის გამომუშავებას თავის მოწაფეებში. უკვე თვით „კლავიატურასთან შესება მისთვის წმინდათაწმინდა აქტი იყო“ (ე. ვირსალაძე). თვითონ პროფ. ვირსალაძე წერს: „ბგერა. აი, სამუშაოს ის ნაწილი, რომელსაც მე განსაკუთრებით მნიშვნელოვნად, რომ არა ვთქვა, პირველხარისისთვის ვთვლი... ესიპოვამ მე აღმზარდა ბგერაზე გამაღმებელი გულდასმითი მუშაობით“<sup>4</sup>. ასეთივე მუშაობით ზრდიდა იგი თავის მოწაფეებსაც და, როგორც იტყვიან, შედეგიც არ აყოფებდა: ბგერით პალიტრის მრავალფეროვნება მუდამ გამოარჩევდა როგორც თვითონ პროფესორის, ისე მისი საუკეთესო აღზრდილების დაკვრას. „მისი პიანისტის, მოქნისა და პლასტიკურის (ღრმა მოხუცებულობამდე), მშვენივრად დამუშავებულ წვლილ ტექნიკას აღტაცებამი მოვყავდი. მისი საოცრად „სულდგმული ბგერა არ იყო არც „საორკესტრო“ არც ინსტრუმენტული“. ეს იყო წმინდა და ხაზი საფორტეპიანო „bel canto“<sup>5</sup>. (დ. ბაშკიროვი).

ბგერის ამ უმაღლეს კულტურას საფუძველად ედო ტუშეს ფრად ორიგინალური ტექნიკა — თითებით კლავიშების ფრთხილი „მოსინჯვით“<sup>6</sup>. პროფ. ვირსალაძის განმარტებით, ამ დროს მთავარი მნიშვნელობა ენიჭება კლავიშის შეგრძნებას თითის შიდა მხარით („ბალოშებით“). გა-

დაწვევები ფაქტორი აქ არის არა დარტყმის ძალა, არამედ თითის მიზანმიმართულება, მოძრაობის თავისუფლება. იგივე პრინციპი უდევს საფუძვლად ლევატოზე მუშაობასაც, ცალკე კანტილენურ ენობრივებში და ცალკე პასაჟებში: „რაც უფრო წელია ტემპი, თითები მით უფრო სწევით იწვევა, სწრაფ ტემპში კი ისინი კლავიატურაზე „მისრიალებენ“ (ა. ვირსალაძე).

როგორც ლ. ვლასენკო წერს „მოგვიანებით, უკვე მოსკოვის კონსერვატორიაში, ჩემი ახალი მასწავლებლისაგან — იაკობ ფლიერისაგან შევიტყვე, რომ ასევე მუშაობდა თავის მოწაფეებთან პროფ. კ. იგუმნოვიც“.

მიღარი მხატვრული ინტუიცია, დამყარებული საუკუნეების მანძილზე შემუშავებული და „დამწვარი“ კანონების ღრმა ცოდნაზე — აი, რა შეადგენდა პროფ. ვირსალაძის პედაგოგიური მეთოდის საფუძვლებს.

ბერის კულტი, რომელიც სუფევდა პროფ. ვირსალაძის კლასში, უმჭიდროესად იყო დაკავშირებული პედალოზაიციის მაღალ კულტურასთან. იგი ხშირად იმეორებდა ა. რუბინშტეინის ფრთხილ განმარტებას: „პედალი — ფორტეპიანოს სულია“. ამავე დროს ანახტაბა დავითის ასული საფრთხილეს მოითხოვდა მოწაფეებისაგან პედალის ხმალებისას. გამოიგონა მისგან: „პედალი უნდა იხმარო მხოლოდ იქ, სადაც უიმისოდ შეუძლებელია საჭირო მხატვრული ეფექტის მიღწევა“. აგრეთვე კატეგორიული წინაღობეგი იყო მარცხენა პედალის ფუნქციის შემოფარგლისა, როგორც მხოლოდ და მხოლოდ ხმოვნების შემასუსტებელი სურდინისა. მარცხენა პედალი მისთვის კვლავ და კვლავ ბერის ტემბრული კოლორიტიკა თუ ნიუანსის მიღწევის საშუალება იყო.

ბეგრაზე მუშობა ა. ვირსალაძეს მიჰანდა საწყის, თავდაპირველ ეტაპად, როგორც ცალკეული ნაწარმოების, ისე საზოგადოდ პიანისტის აღზრდის თანმიმდევრულ პროცესში. არტიკულიაციიდან — სუნთქვისაკენ, ბეგრად — ფრასისაკენ — ასეთი იყო მისთვის სქემატურად „ბეგრითი მატერიის“ დაუფლების რთული გზა. ბეგრითი პატიტრის მრავალფეროვნება მჭიდროდ არის დაკავშირებული ფრასირების გამომსახველობასთან. „ფლობედი ბეგრას — ნიშნავს ფლობედ ბუნებრივი მუსიკალური ფრასის კანონებს“ — ამბობდა ა. ვირსალაძე და უნდა ითქვას, რომ ცოტა ვინაჟ თუ ფლობდა ამ კანონებს ისე ბუნებრივად და ორგანულად, როგორც თავის დროზე პროფ. ვირსალაძე, დღეს კი — მისი უნიჭიერესი მოწაფე ელისო ვირსალაძე.

ა. ვირსალაძისათვის ორგანულად უცხო იყო ყოველივე გარეგნული — იქნებოდა ეს ხმოვანე-

ბის ფორსირებულება თუ უკიდურესად სწრაფი ტემპები. ვერ იტანდა, მაგალითად, მკვირალა ფორტეს (მის სასწეე მაშინვე უკმაყოფილება გამიხიხატებოდა ხოლმე). ლ. ვლასენკოს მართებული შენიშვნა: „მისთვის ხმოვნების დინამიკური ამპლიტუდა ვრცელდებოდა მეტო ფორტედან სამ პიანომდე“. ჩემის მხრით, შემიძლია დავძინო, რომ მისგან მეცადინეობის დროს არავრეტვის გამიგონია: „მთავარია არა ხმოვანების აბსოლუტური სიძლიერე, არამედ გრადაციების შეფარდებათა მრავალფეროვნება. ვინც ფლობს ფაქიხ პიანისიმოს, მის არ დსპირდება გამაყრუებელი ფორტეს გამოყენება“.

ძალიან თავისებური, შემოქმედებითი მიდგომა ჰქონდა ვირსალაძეს სტუდენტთა ტექნიკური სრულყოფისადმი. მუდამ ცდილობდა შეეტანა მეცადინეობაში შემოქმედებითი ელემენტი, მხატვრული სიხალისე. ტექნიკაზე მუშაობა მისთვის როდი იყო იზოლირებული, მით უმეტეს, თვით-მიხუნური პროცესი, არამედ კომპლექსური მხატვრული აღზრდის განუყოფელი ნაწილი. ამის შესახებ იგი საინტერესოდ წერს: „გამოცდილება დამარწმუნა, რომ გადამწვევტ როლს თამაშობდა არა შესწავლილი ეტიუდების რაოდენობა, არამედ რეპერტუარის მრავალფეროვნება“. ამასვე ადასტურებენ მისი მოწაფეები. თავის შეიღიშვილთან — ელისოსთან მეცადინეობისას მან საერთოდ გამოთიშა წმინდა ინტერუქციული დანიშნულების პიესები და, ეტიუდებიდან დაკმაყოფილდა მხოლოდ შოპენისა და ლისტის ცალკეული ეტიუდების გავლით (ამავე დროს უდიდეს ყურადღებას უთმობდა მოცარტის სახატება, როგორც პიანისტის პარნიული აღზრდის, და კერძოდ ტექნიკური აღჭურვის უებარ მხატვრულ მასალას). თუ რა ბრწყინვალე შედეგებს მიღწევა პროფ. ვირსალაძისათვის უნიჭიერე მოწაფეებთან მეცადინეობაში, კარგავა ცნობილია, მაგრამ, ცხადია, ასეთ მიდგომას არ შეიძლება ჰქონოდა უნივერსალური, ერთმელ და საშუალოდ დადგენილი მეთოდის მნიშვნელობა. იგი განსაღღრული იყო სრულიად განსაკუთრებული, უნიკალური გარემოებით, რომელშიც მიმდინარეობდა ელისოს სწავლებისა და აღზრდის პროცესი. მეტიც, დაბაშიროვი პირადაპირ წერს, რომ ტექნიკური საფუძვლის არასამკარბაში სიმტკიცემ შემდგომში მას ბეგრი საზრუნავი გაუჩინა, მაგრამ დანაკარგის კომპენსირება ხდებოდა საერთო მუსიკალური კულტურის იმ უხვი მარაგით, რომელსაც იძენდა პროფ. ვირსალაძის კლასში ყველა ნიჭიერი და მოწაფეებული მოსწავლე. ყველაზე მჭევრმეტყველად ამის შესახებ სწორედ დ. ბაშკიროვი წერს: „დღეს, როდესაც ახალგაზრდა პიანისტების „გადასწრება“ სულ უფრო და უფრო მწე-

ლი ხდება, სწორედ შემსრულებლის შემოქმედებითი ფანტაზია, აზროვნებისა და ტექნიკამენტის ორიგინალობა, მხოვანების საკვიფროსობა აძლევს მას საშუალებას არ გაითვითოს ჩინებულიად მომზადებული პროფესიონალების ვეებერთელა მასაში“.

მეათე ინდივიდუალობის მქონე სტუდენტებს პროფ. ვირსალაძე არა თუ არ ზოგადად „შემსრულებლობითი თანაშემოქმედების“ (ლისტი) საკითხში, არამედ, პირიქით, ყოველმხრივ უწყობდა ხელს მათში დამოუკიდებელი აზროვნების, მხატვრული ფანტაზიისა და არტისტიზმის გაღვივებას — სწორედ ეს გახლდათ მისი პედაგოგიური წარმატებების ერთი უმთავრესი ფაქტორთაგანი.

პროფ. ვირსალაძე თავის პედაგოგიურ პრაქტიკაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ჩვენების მომენტს. „პედაგოგის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ საკუთარი შესრულებით დაარწმუნოს მოწაფე, განუმარტოს მას ნაწარმოების აღნაგობა, აჩვენოს, თუ რა ამოცანები დგას მის წინაშე ბგერის მხრივ. შეურიის ალიკატურა... ყოველივე აქედან გამომდინარე თვითონ პედაგოგმა უნდა იმუშაოს იმ ნაწარმოებზე, რომელთა შესწავლა მიმდინარეობს კლასში.“ — ურდა იგი და, მართლაც, სისტემატური, ყოველდღიური მეცადინეობის წყალობით იგი ღრმა სიბერემდე ინარჩუნებდა არტისტულ ფორმას და, მასასადაბე, ნაწარმოებთა ჩვენების უნარს. განცვიფრებას იწვევს, კერძოდ, ის ფაქტი, რომელსაც იგონებს ელისო ვირსალაძე. — 1966 წელს, როდესაც ელისო სწავლობდა შოპენის ფა მიწორ კონცერტს, 83 წლის ანასტასია დავითის ასულმა მას ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე შეპირად დაუკრა მთელი ნაწარმოები!

ა. ვირსალაძემ თანაბარი ღვაწლი დასდო როგორც უმაღლეს საკონსერვატორი, ისე საშუალისხეობა, რომ ამ უკანასკნელთან მისი დაკავშირება ერთგვარად უჩვეულო გზით მოხდა. კერძოდ, ნორჩებთან მეცადინეობა მან დაიწყო გაცილებით გვიან, უკვე მრავალნადავმა, გამოზრდილმა მუსიკოსმა და სანამ ძაღლონ შესწევდა უდიდესი სიყვარულითა და გაცაცებით ემსახურებოდა ამ კეთილშობილ საქმეს. ნორჩ თაობასთან მეცადინეობა ვირსალაძეს განსაკუთრებულად სათუთ და საპასუხისმგებლო საქმედ მიაჩნდა. ანდერძივით ქლერს მისი მოწოდება კონსერვატორის პიანისტ-პედაგოგებისადმი: „არ გავწყვიტოთ შემოქმედებითი კავშირი საბავშვო საფორტეპიანო პედაგოგისათან! ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მუსიკალური ტალანტების გამოვლინება და განვითარება, პირველ ყოვლისა,

დამოკიდებულია დაწყებით განათლებაზე“. მუსიკალური აღზრდის ერთიანი ხაზის შენარჩუნებას პროფ. ვირსალაძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ამ პრინციპს იგი მრავალი წლის მანძილზე მისდევდა, თანმიმდევრულად და განიზრუნულად ატარებდა ცხოვრებაში.

დაბოლოს, არ შეიძლება არ ითქვას: ვირსალაძე — პედაგოგის ერთ-ერთ ძალზე მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენდა უდიდესი პირადული მომზიბლობა, სამაგალითო ზნეობრივი თვისებები, ვირსალაძე შეუძლებელია არ მოქნიშნა ადამიანს, რომელსაც უსწავლია ან თუნდაც უსაუბრა მასთან.

მუსიკის მხურვალე, ალტაცებული სიყვარული წარმოადგენდა ანასტასია ვირსალაძის, როგორც ხელოვანისა და ადამიანის, ყველაზე ნათელ თვისებას და სწორედ ამ სიყვარულმა მრავალმხრივ განაპირობა მისი წარმატებები პედაგოგიურ და პიანისტურ სარბიელზე.

„ანასტასია დავითის ასულისათვის მეცადინეობა ანაღლებული სულიერი პროცესი იყო. შეიძლება ითქვას, რომ იგი ფორტეპიანოზე დაკრებას კი არ გესწავლიდა, არამედ მუსიკას, ამ სიტყვის უმაღლესი გაგებით, რისთვისაც უსაღღროდ მაღლიერი არიან მისი მოწაფეები“ (დ. ბაშვიროვი).

თავისი პედაგოგიური მოღვაწეობით პროფ. ვირსალაძემ წარუშლელი კვალი დასტოვა ქართულ მუსიკალურ ხელოვნებაში. საქართველოში არ მოიძებნება მუსიკალური სასწავლებელი თუ სკოლა, სადაც არ მუშაობდნენ მისი აღზრდილები. მისი მრავალი მოწაფე მუშაობს თბილისის კონსერვატორიაში. მისი სამი საუკეთესო მოწაფე — დ. ბაშვიროვი, ლ. ვლასენკო და ე. ვირსალაძე ჩაიკოვსკის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის წამყვანი პედაგოგები არიან.

ქართველი ხალხის მესხიერებაში მარად იცოცხლებს გამოჩენილი მუსიკოსის, შესანიშნავი აღმზრდელის, სპეტაკი ადამიანის ანასტასია ვირსალაძის სახელი.

# მიხეილ კობახიძე

ივრინე კუჭუნბიძე

შენსურად განვითარდა მიხეილ კობახიძის შემოქმედებითი ბიოგრაფია. დიდ კინემატოგრაფში მან ფეხი შემოდგა ლაღად, მოვიდა თავისი სათქმელითა და ხელწერით: როგორც დასრულებული ოსტატი, ბუნებით მომადლებული ნიჭის კინემატოგრაფისტი. ამიტომაც იყო, რომ ეს „ნათლობა“ დიდ წარმატებად და საყოველთაო აღიარებად გადაიქცა. ეს იყო 1964 წელს, როდესაც რეჟისორმა შექმნა თავისი ფილმი „ქორწილი“, რომლის მხატვრული სრულქმნილება დღესაც ეჭვმიუტანელი რჩება. მას შემდეგ განვლო წლებმა და ყველასათვის ნათელი გახდა, რომ მ. კობახიძის შემოქმედება აღნიშნული ძალზე განსხვავებული, მისთვის დამახასიათებელი მხატვრული თავისებურებებით, ავტორის საოცრად თვითმყოფი და თავისთავადი ნიჭით, ცხოვრების წარმოსახვის მისეული მეთოდით, უცდომელი გემოვნებით, ღრმა ინტუიციითა და ნათელი აზრით.

პირველ ფილმს მოჰყვა მეორე, აგრეთვე საინტერესო და თავისებური სურათი „ქოლგა“, რომელშიც რეჟისორმა კიდევ უფრო გაამაძვრა და დახვეწა ეკრანული პლასტიკისა და მუსიკალური დრამატურგიის შესაძლებლობები. ამ ფილმში, ისევე როგორც „ქორწილში“, ავტორი კინოენით გვესაუბრება ძალზე უბრალო, ყველასათვის ნაცნობ, გასაგებ და ამოღებულ ადამიანურ გრძნობებზე — სიყვარულზე, ახალგაზრდულ სილალეზე, პირველ ცდუნებებსა და ეჭვზე, სიყვარულის თანმზღებ სიხარულსა თუ ნადევლზე... და, რაც მთავარია, ეს ფილმები ძალიან ნათლად, თითქოს ხელშეხახებად შეგვგრძნობინებენ ადამიანებს შორის კეთილი, გულწრფელი, სულიერ საწყისებზე აღმოცენებული ურთიერთობების აუცილებლობასა და სიღამაზე.

უკვე ამ ორ ფილმში გამოვლინდა რეჟისორის მიდრეკილება ეკრანული გამოსატვის და მხატვრული განზოგადების შედარებით პირობითი ფორმებისადმი, გამოსახულებისა და მსახიობური განსახოვნების ექსცენტრიკული გადაწყვეტისადმი, ლაკონიური დრამატურგიისადმი. შესანიშნავად გრძნობს რა ფორმის, ჟანრის თავისებურებას, გრძნობს რა უცდომელი ინტუიციით ეკრანული პლასტიკის ხასიათს, რეჟისორი თავის შემოქმედებას ყოველთვის აზღვევს იმ ნაკლოვანებებისაგან, რაც არც თუ იშვიათად იჩენს ხოლმე თავს ამგვარი სტილური მიმართულების ნაწარმოებებში. მ. კობახიძის ფილმები იმდენად ორგანულია მისი ნიჭის თავისებურებისათვის, რომ მათი განზოგადების პირობითობაც, სახეების სიმბოლურობაც ძალდაუტანებლობის, სიღამის შერგრძნობას ბადებს და ამასთანავე, ისინი მოკლებულნი არიან

სქემატურობას, ვინაიდან მოცემული ფორმისა და განზოგადების ჩარჩოებში მიიჭრ საკმაოდ ავლენენ ინდივიდუალური ხასიათის ნიშნებს. ამით კი, ცხადია, მაყურებლისათვის უფრო საინტერესო და მახლობელი ხდებიან. განა „ქორწილის“ გმირი სოცქმესხმული ადამიანი არ არის? სიხალისე და სიყვარულის გრძნობის სინატიფე, ახალგაზრდული ოპტიმიზმი და განცდის უშუალობა — განა ეს თვისებები ხასიათის ინდივიდუალური თავისებურებებით არ არის წარმოსახული მსახიობ გოგი ქავთარაძის მიერ?... რაც შეეხება ფილმის სხვა კომპონენტებს, ისინი ორგანულობის საოცრად შესტი და ფაქიზი შერგრძნობის შედეგად იმადებიან და ასევე ფაქიზად ერთიანდებიან მთლიან დორმამი. ცალკეული კადრის თუ მთელი ფილმის ცელოვნურად დამთავრებული ფორმა, მისი საოცარი სიზუსტით გააზრებული წყობა სულაც არ ჯღერს კონტრასტულად ბუნებრივ სიმართლესთან,

არ გადაიქცევა იმ თვითმარ ძალად, რომელიც ასუსტებს, აღარბებს და ხელს უშლის სახეების გამოკვეთას. თუმცა კი ნათელია რეჟისორის შემოქმედებაში კინოპლასტიკური აზროვნების პრიორიტეტი, მაგრამ მიუხედავად ამისა, კობახიძის ფილმებში, მაინც, ყველა ელემენტი და მხატვრული კომპონენტი საერთო სტილიდან გამომდინარე პარმონიულ წონასწორობაში იმყოფება.

მისი მინიატურებისათვის დამახასიათებელია მონოლოგიურობა, რომელიც ვლინდება ხელოვანის მიერ ადანიანთა გრძნობებისა და დამოკიდებულებების გამოხატვაში, სამყაროს ხილვაში სუბიექტურ განწყობილებათა პრიზმის ქვეშ. ამასთან ავტორი არ გაურბის ამ განწყობილებების მძაფრ ემოციურ შეფერილობას, რაც კანონზომიერად იწვევს პოეტური და ექსცენტრიკული საშუალებების გამაძაფრებას.

მ. კობახიძის მოკლემეტრაჟიანი ფილმების „მოხდენილი“ კინემატოგრაფიულობა ხშირად დაფიქრებულია ხმა-ხედვითი სტრუქტურის ამა თუ იმ ელემენტის დამოუკიდებელ მხატვრულ გააზრებაზე. ასე მაგალითად, „ქორწილი“ და „ქოლ-გამო“ გარკვეული ხმოვანი შესაშვებები, მუსიკალური ლეიტმოტივები საჭირო გუნება-განწყობილებას კი არ ქმნიან მხოლოდ, არამედ საუკმოდ მეტყველებენ ადამიანურ განცდებზე, გმირების სულიერ მდგომარეობასა და მაღაღამი ავტორის დამოკიდებულებაზე. ამგვარად იქმნება ფილმის თითქოსდა დამოუკიდებელი ხმოვანი სახე, რომელიც გამოსახულების გარეშეც ცხადად შეგავგრძ-

ნობინებს ემოციურ განწყობილებათა მიუღ გა-მას, სიუჟეტის მიღმურ სულიერ ფონს.

ამ მხრივ განსაკუთრებული და უპირველესი მნიშვნელობა კობახიძის შემოქმედებაში ენიჭება მთელი ფილმის, ეპიზოდის, ცალკეული კადრის თუ გმირის პლასტიკურ ნახაზს, რომლის ყველა ნიუანსი ავტორის ემოციური ტონუსის მანიშნებელიც, სახეების გახსნის საშუალებაც და აზრისა და გრძნობის საუკეთესო გამოხატველი ძალაც ხდება. მაგალითისათვის შეიძლება მივმართოთ კობახიძის ნებისმიერი ფილმის ნებისმიერ კადრს, მაგრამ მეტი სიცხადისათვის გავისვენოთ „ქორწილის“ უნიკალური კადრები, როდესაც საზეიმოდ მორთული გმირი ყვავილების თაიგულით ხელში სასოწარკვეთელი დიმილით კედლის წალღოში წა-მით გაქავედება... ეს მთლიანობაში ლაკონიური პლასტიკური ნახაზი და საოცრად ბევრის მიმე-ლი მიმიკური პლასტიკა შინაგანი მღელვარებისა და უშუალო განცდების საუკეთესო გამოხატველი ძალა და ავტორისეული დამოკიდებულების გამო-მჟღავნების ნათელი, მაგრამ ფაქიზი საშუალება ხდება.

როგორც აღვნიშნეთ, მ. კობახიძემ პირველივე ფილმით გვაჩვენო თავისი მიდრეკილება მხატვრული განზოგადების სუბიექტური და პირობითი ფორმებისადმი. ამასთან, რეჟისორი ფილმიდან ფილმში აძლიერებს კინოსახის პირობითობას და ბოლო მინიატურაში გარკვეულ უკიდურესობაზე მიყავს იგი. „მუსიკოსები“ გმირები მოქმედებენ თეთრ ფონზე, რომელიც კონტრეტული ადგილისა და დროის ნიშნებსაც კი არ ატარებს. მოქმედ პირ-თა მოძრაობას, ექსტემს, მიმიკას არაფერი აქვთ საერთო რეალურ ყოფაში ადამიანის საქციელ-თან. ეს ძალზე თავისებური კინოეტიუდი ნათლად და სატოვანად გადმოგვეცხს ავტორის აზრს ადა-ნიანთა შორის უთანხმოების, მტრული განწყობილების აბსურდულობის შესახებ, და, იმავე-დროს, კაცთა ურთიერთმომობის ნათელ იდეალებს გვაზიარებს.

ავტორის აზრი იკვეთება პლასტიკაში, რიტმ-ში, პლასტიკური და ხედვითი სახეების მოძრა-ობასა და დაპირისპირებაში, და ბოლოს, მუსი-კაში, რომელსაც კობახიძის შემოქმედებაში ერთ-ერთი უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება. ქმნის რა ფილმის მხატვრულ სახეს, მ. კობახიძე თანა-მიმდევრულად და პრინციპულად უარს ამბობს სი-ტყავაზე. უკვე ეს ფაქტი მჭევრად მეტყველებს რე-ჟისორის სტილურ მიდრეკილებებზე და მხატვ-რული განზოგადების გარკვეულ ფორმაზე.

კინოსახის შექმნაში, პლასტიკასთან ერთად,

კადრი ფილმიდან „ქორწილი“





კადრები, ფილმიდან „ქოლგა“

კობახიძე გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს დრამატურგიის ხმოვან ელემენტს, რომელიც მის ფილმებში უპირველესად მუსიკათაა წარმოდგენილი. მუსიკა აქ აქტიური დრამატურგიული ძალაა და გარკვეულად დამოუკიდებელი მხატვრული ხასის მნიშვნელობასაც კი იძენს. მას შეუძლია განასახიეროს ადამიანის მრავალგვარი გრძნობები და სულიერი მდგომარეობები. მუსიკა ხან სიყვარულის ხატია, ის უხილავი ძაფია, რომელიც ორ ადამიანს შორის გაბმულა და მათი ცხოვრება მედნიერი და გასულიერებული გაუხდია, ხან კიდევ მუსიკა ცთუნებისა და სევდის, საზეიმო შთაგონებისა თუ თავშეუცქავებელი სიხარულის ხატია... სწორედ ამგვარ აზრობრივ, ემოციურ და ინტონაციურ აქცენტებს ქმნის მუსიკა „ქორწილი“, „ქოლგაშიც“ და მით უფრო „მუსიკოსებში“.

რაც შეეხება მსახიობის ფუნქციას მ. კობახიძის შემოქმედებაში, აქ განმსაზღვრელი და შერჩევისაა გადამწყვეტი ხდება მათი უნარი რაც შეიძლება სრულად გამოხატონ გმირების სულიერი მდგომარეობა და განწყობები პლასტიკით, ექსპრესიით, მიმიკით... როგორც წესი, კობახიძის მსახიობი ვირტუოზულად უნდა ფლობდეს საკუთარ სხეულს, მსუბუქად მოძრაობდეს, ცეკვავდეს, აჭონდეს მდიდარი და ზუსტი მიმიკა. ყოველივე ეს კი რეალურისა და ფანტასტიკურის, ყოფითისა და ექსცენტრიკულის მიჯნაზე უნდა იმყოფებოდეს. ერთი სიტყვით, რეჟისორი მსახიობისაგან ითხოვს ჩვეულებრივი გრძნობების, მოქმედებისა და აზრის ხაზგასმულად უჩვეულო გამოხატვას.

მაყურებელმა უკვე დიდი ხანია აღიარა და ღირსეულად შეაფასა ფილმები „ქორწილი“, „ქოლგა“, „მუსიკოსები“. სამივე ფილმი ძალზე ნათლად მიგვანიშნებს რეჟისორის შემოქმედებით განვითარებისა და მისი ესთეტიკური მისწრაფებების თავისებურებებზე. თუ მიხვილ კობახიძის დებიუტმა ჯერ კიდევ ძლიერია კავშირი რეალურ დროსა და მოქმედებასთან, ცხოვრებისეულ ტიპებთან, მომდევნო ნამუშევრებში ეს კავშირი სულ უფრო სუსტდება და ძალზე თავისებურად ვლინდება. სახეები კარგავენ კონკრეტულობას და ფართო განზოგადებებად, გარკვეული ტიპოლოგიური ნიშნების მატარებლად წარმოვიფიქვამთ. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მასალისადმი რეჟისორის ასეთ მიდგომას და მის სტილურ მიმართულებას არაფერი აქვს საერთო მხატვრული ხასის გაპრიმიტივებისთან, რადგან ის იმადება ყველა ფორმალური ელემენტის უმწიკლო პარმონიასა და ერთიანობაში.

მიხვილ კობახიძის ბოლო ფილმი „მუსიკოსები“ გრაფიკულად შესრულებული კინოხალაპარია. ამ დახვეწილ მინიატურაში ავტორი პირველივე კადრებიდან გვთავაზობს „თამაშის წესს“ — ფილმში ყოველივე ხაზგასმულად პირობით ფორმაში იარსებებს. პირობითია ინტერიერი, გმირების გარეგნობა, მათი მოქმედება, გრძნობათა გამოსახტ-

ვის მანერა და ფილმის სხვა ელემენტები. მაგრამ თვით ეს გრძობები, ის შინაგანი მდგომარეობა და იმპულსები, რომლებიც ასე უცნაურად გამოიხატება, ძალზე მართალი, ნათელი და გასაკვირი.

ერთი შეხედვით შეიძლება კიდევ მოგვეჩვენოს, რომ ფილმში ყოველივე მიზნად ისახავს გამოიწვიოს მაცურებლის სიცილი. მაგრამ საკმარისია კომედური და ექსცენტრიკული ეფექტების მიღმა „გაიხედოთ“, ნათელი გახდება, რომ რეჟისორის მიერ გამოყენებული ესა თუ ის ხერხი მოცემული სტილისტიკიდან გამომდინარე აზრის გამოსატვის ერთადერთი შესაძლებელი გზაა. კობახიძე აღწევს ექსცენტრიკული კომედიის მკაფიო ფორმის ორგანულ შერწყმას სვედითა და იმედით აღსასვე ფიქრსა და აზრთან.

კომედური საწყისი „მუსიკოსებში“ პირველივე კადრიდან იჩენს თავს: კაცი საჭადრაკო დაფას მისჯდომია და თავის თავს ეთამაშება. სიტუაცია თითქმის სულაც არ არის კომიკური, მაგრამ გმირის ხაზგასმული სერიოზულობა, საკუთარი ღირსების შეგნებით გამსჭვალული, კმაყოფილებით აღსასვე სახის გამომეტყველება და მიმოხვრა, მაშინვე მუხებრივად აღვივრავს სიცილის რეაქციას. სერიოზულობა და გაუმართლებლად გავზიადებული „სოლიდურობა“ გმირის ყოველ მოძრაობაში მოსჩანს; იმაში თუ როგორ გადაადგილებს საჭადრაკო ფიგურებს, როგორ ზის, როგორ შემოტრიალებს, როგორ აიღებს დურბინს და მიაჩერდება შორეულ წერტილს. ამ მოკლე ექსპოზიციას მოსდევს ეფექტური კონტრასტი. იცნო რა მოახლოებულ ადამიანში თავისი კეთილი ნაცნობი, „მოჭადრაკე“ უმაღლესად იქმნება. ეს კონტრასტი იმდენადვე ფსიქოლოგიურია, რამდენადაც გარეგნულად მკვეთრად ექსცენტრიკული. მისი გამოსატყულება — პლასტიკურად მდიდარი რიტმული გარბენაა. მოულოდნელი შეხედრისაგან ბავშვური აღტაცებით შეპყრობილი ორი ადამიანის ცეკვა, რომლითაც ეს ეპიზოდი მთავრდება, მართლაც რომ შესანიშნავი სანახაობაა: ტექნიკურად დასრულებული და დახვეწილი მოძრაობები, მიმიკური თამაში სახეებით სცვლის სიტყვას. „მუსიკოსები“ ხმა-ხედვითი და პლასტიკურ-რიტმული კონტრასტის იდეალური მაგალითია.

„ქორწილი“, „ქოლგა“, „მუსიკოსები“ — სამი პატარა ფილმი, მაგრამ აქ არის სამი განსხვავებული ხედვა სამყაროს და სხვადასხვა გაგება ხელოვნებისა. „ქორწილი“ — ეს ჯერ კიდევ „რეალიზმი“ და ამავე დროს, აქვე ნათლად იგრძნობა მიდრეკილება ექსცენტრიკისა და ფორმალური ძიებებისადმი. „ქოლგა“ უკვე რეჟისორის მიერ შექმნილი, მის მიერ გამოგონილი სამყარო, ეს არის „კობახიძის თეატრი“. ამ თეატრისაკენ სწრაფვას თუ რეჟისორის მთავარ მიზნად ჩავთვლით, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ საკუთარი „თეატრის“ ძიების გზაზე მ. კობახიძე „ქორწილიდან“ შორს და წინ წასულა. მეორეს მხრივ,



კადრები ფილმიდან „მუსიკოსები“


ვეჭრობ, რომ „კობახიძის თეატრი“, ე. ი. ის, რისკენაც ასე ისწრაფოდა რევისორი, მოკლებულია იმ ღირსებებს, რომლებმაც განაპირობა „ქორწილის“ დიდი წარმატება — სიმართლე, ბუნებრივი, თავისთავადი სისადავე, შინაგანი სიწრფევე, ხასიათების ხატვის უნარი და კიდევ ბევრი სხვა თვისება; პროფესიული, წმინდა კინემატოგრაფიული თვალსაზრისით კი დოკუმენტური სტილისტიკა, რომელიც ძალზე არტიკულად არის გამოყენებული „ქორწილში“ და ამიტომ ატრაქციონის ილუზიასაც კი ბადებს. ჩანს, სწორედ ამ არტისტიკაში იმალება ის პოეტურობა, რომელიც გამძლავნებას ითხოვდა და რომელმაც მ. კობახიძე მიიყვანა „ქორწილში“ ე. ი. საკუთარ პირობით საყრდნო თეატრამდე. „მუსიკოსებში“ რევისორი კიდევ უფრო შორს წავიდა და ეს შორს წასვლა, ჩემს აზრით, ამავე დროს არის ერთგვარი დეკადანსიც, რადგან აქ „კობახიძის თეატრი“ უკვე, მართალია, მეტად დახვეწილ, მომზიბეფელ, მაგრამ ფაქტურად მაინც ფორმალურ ვარჯიშობამდე დავიდა.

საინტერესოა, არის თუ არა ეს ჩიხი, რომლიდანაც თავის დაღწევა უკვე სურს მ. კობახიძეს? თუ იგი ფიქრობს, რომ კვლავ შეიძლება ამ თეატრის უფრო მეტად დახვეწა და რაფინირება?

სამწუხაროდ, მ. კობახიძის შემოქმედებაში დამდგარი ხანგრძლივი პაუზა ამ თვალსაზრისით რამდენადმე სარწმუნო დასკვნის გამოტანის საშუალებასაც კი იძლევა. ამასთანავე სინანული უნდა გამოთქვათ იმის გამო, რომ ეს ძალზე ნიჭიერი შემოქმედი თითქმის უკვე ათი წელია დაჯერება ქართულ კინემატოგრაფს და ეს მაშინ, როცა კობახიძის შემოქმედება მასში ისე მტკიცედ არის შესული და დამკვიდრებული, რომ მის გარეშე თითქმის შეუძლებელიცაა ქართული კინოხელოვნების წარმოდგენა.

ჯერჯერობით, ცნობილი არ არის ამ ხანგრძლივი და ამიტომ უკვე საგანგაშო შესვენების ჭეშმარიტი მიზეზი. ნათელია მხოლოდ ის, რომ ასეთი ოსტატის შემოქმედებითი ცხოვრების სრულიად მოულოდნელი დაშურტკება მეტად უცნაური და სამწუხარო ფაქტია და ამ ფაქტის სწორად შეფასება, მისი წარმოშობის მიზეზების შესწავლა და მერე აღმოფხვრა, და ბოლოს, მ. კობახიძის აქტიური შემოქმედებითი მოღვაწეობისაკენ შემოტრიალება ქართული კინოს შესვენოთა გადაუდებელ ამოცანად უნდა იქნეს მიჩნეული და რაც შეიძლება დროულად.

ალბათ ეს ასეც მოხდება და მიხეილ კობახიძის შემოქმედება, რომელიც ფაქტურად ჯერ მხოლოდ დაიწყო, და ამასთანავე დაიწყო ძალზე არტიკულად, ჩადგება კალაპოტში. იმედია, სულ მალე ნიჭიერი რევისორის ახალი შემოქმედებით გამარჯვებების მოწმენი გაგხდებით.



მე-19 საუკუნის მიწურულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში არაერთი ქართული იმპოფებოდა მოსკოვსა და პეტერბურგში მუსიკალური განათლების მისაღებად. ზოგი მათგანი ხანგრძლივადღაც რჩებოდა აღნიშნულ ქალაქებში და აქტიურ მუსიკალურ მოღვაწეობას ეწეოდა. მათ შორის იყო დიმიტრი არაყიშვილი, რომელმაც 1901 წელს დამთავრა მოსკოვის ფილარმონიული საზოგადოების მუსიკალურ-დრამატული სასწავლებელი. ამ დროიდან მოყოლებული, 1918 წლამდე, ე. ი., საქართველოში გადმოსვლამდე, მისი მოღვაწეობა მთლიანად დაკავშირებულია მოსკოვის სამუსიკო-საეთნოგრაფიო კომისიასთან, რომელიც იმავე 1901 წელს ჩამოყალიბდა მოსკოვის უნივერსიტეტთან დაარსებულ ბუნებისმეტყველების, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მოყვარულთა საზოგადოების ეთნოგრაფიულ განყოფილებასთან. ეს კომისია კომპოზიტორისათვის იყო ერთგვარი სკოლა, სადაც მან შეიძინა ცოდნა და დაგროვა მდიდარი გამოცდილება როგორც შემოქმედებით, ასევე სამეცნიერო მოღვაწეობის სფეროში.

ჩვეთვის ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის, რომ კომისიის ხელშეწყობითა და მხარდაჭერით და არაყიშვილმა ჩაიწერა ქართული ხალხური მუსიკის მრავალი ნიმუში და საინტერესო გამოკვლევების დაგეგმვა მათ შესახებ. ეს მასალა გამოქვეყნდა კომისიის პერიოდულ გამოცემაში — „სამუსიკო-საეთნოგრაფიო კომისიის შრომებში“. კომპოზიტორის მიერ ჩაწერილი სიმღერების ნიმუშებს დღესაც არ დაუკარგავს მცენიერული ღირებულება, მისი გამოკვლევები კი ქართული მუსიკალური ფოლკლორისტიკის პირველი მნიშვნელოვანი საშრომებია.

# ლიბრეი პრაქტიკოსი მთავრება მთავრის სამსახურ-სამთავროს კომისიაში

ლაურა ბეზარაშვილი

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ დ. არაყიშვილის ჩაწეროლი ხალხური სიმღერების ტექსტები და მისი გამოკვლევის მდიდარი მასალა ქართული პოეტური ფოლკლორის შესწავლისათვის.

რუსეთის ქალაქებში სხვა ერის წარმომადგენელთა სწავლასა და მოღვაწეობას ორმხრივი მნიშვნელობა აქვს ერთი, ისინი ხარბად ეწაფებოდნენ რუსული მუსიკალური კულტურის მიღწევებს და იძენდნენ ცოდნას მუსიკალური ხელოვნების სხვადასხვა დარგში, რასაც შემდეგ იყენებდნენ ერთგული პროფესიული მუსიკის შესაქმნელად. მეორეც, მათი მოღვაწეობის მეშვეობით, რაც ძირითადად ეროვნული მუსიკის პოპულარიზაციაში გამოიხატებოდა, სხვადასხვა ერების ნაციონალური კულტურა გავლენას ახდენდა რუსულ მუსიკალურ ხელოვნებაზე. ამ უკანასკნელ მოვლენაზე სამართლიანად ამახვილებს ყურადღებას ლინინგრადელი მუსიკათმცოდნე პროფ. ს. ლ. გინზბურგი:

„მაშინ, როდესაც საბჭოთა მცენიერება ხშირად (თუმცა ზოგჯერ ზედპირულადაც) აშუქებს მეფის რუსეთში შემავალ სხვა ხალხებზე რუსული კულტურის გავლენის საკითხებს, დღემდე ძალიან ცოტაა გაკეთებული რუსულ კულტურაზე შემოღობილი ხალხთა კულტურის უკუმოქმედების შესასწავლა.

ამასთან ამ საკითხს მეტად პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ის განსაკუთრებით საყურადღებოა მე-19 საუკუნის დასასრულის და მე-20 საუკუნის დასაწყისის რუსული მუსიკალური კულტურის სწორი გაუმჯობესებისათვის. ეს ის პერიოდი, როდესაც საგრძნობლად ამაღლდა თვითმპყრობელობის მიერ დაზარალებული ხალხთა კულტურული დონე“.

სწორედ ამ გარემოების გამო დ. არაყიშვილის მოღვაწეობა მოსკოვში კიდევ ერთ, ახალ მნიშვნელობას იძენს, მნიშვნელობას, რომელიც საყურადღებოა რუსული მუსიკალური კულტურის განვითარების ისტორიის ყოველმხრივი შესწავლისათვის.

მოსკოვის სამუსიკო-საეთნოგრაფიო კომისიის მოვარამოცანას წარმოადგენდა როგორც რუსული, ისე რუსეთის იმპერიაში მცხოვრები სხვა ერების ხალხური მუსიკის შესწავლა და პოპულარიზაცია. მისი სამოქმედო პროგრამა და მიზანდასახულობა ჩამოყალიბებულია ინსტრუქციაში:

„როგორც რუსული, ისე სხვა ერების ხალხური მუსიკის შესწავლა; მისი პოპულარიზაცია ფართო მასებში საუკეთესო ნიმუშების შენარჩუნების მიზნით“.

რუს მცენიერთა ინტერესი სხვა ერების ხალხური მუსიკისადმი გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, მისი მცენიერულ შესწავლის, ხოლო, მეორე მხრივ, რუსული ხალხური მუსიკის შედარებითი შესწავლის აუცილებლობით. ამას კომისიის წევრები საშურს საქმედ მიიჩნევდნენ, რადგან, მათი სიტყვებით რომ ვთქვათ... «инородцы одни руссеют другие вымирают».

რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების კულტურის შესწავლას მოწინავე, პროგრესულად მოაზროვნე მცენიერთა მაღალმოქალაქობრივი შეგნება ედო საფუძვლად. ეს ნით უფრო საგულისხმოა, რომ მეფის რუსეთის კოლონიური რეჟიმის პარალელურად, რომელიც მიზნად ისახავდა მის ფარგლებში მყოფი აზარუსი ხალხების დაბეჩავებას და დამონებას, არსებობდა რუს მცენიერთა მოწინავე, პროგრესული ჯგუფი, რომელსაც სრულიად სხვაგვარად წარმოუდგინა რუსეთის ხელოსუფლებისა და განსაკუთრებით რუსული მცენიერების ვალი ზემოხსენებული ხალხების მიმართ.

კომისიის პროგრესული მოსწარმეები და. არაყიშვილი ქართული კულტურის სასიკეთოდ გამოიყენა. მან აქტიური მოღვაწეობა გააჩაღა ქართული ხალხური მუსიკის შესასწავლად. ის კომისიის დავალებით აწუხდა ექსპედიციებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, კრებდა ხალხური სიმღერის ნიმუშებს, რომელთა შესახებაც წერდა ნარკვევებს და მოხსენებების სახით კითხულობდა სხდომებზე. 1901—1908 წლებში მან ხუთჯერ იმოგზაურა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში და ჩაიწერა ხალხური მუსიკის 500-მდე ნიმუში.

1900-იანი წლების დასაწყისისათვის საქართველოში ნიადაგი ერთგვარად მომზადებული იყო დ. არაყიშვილის შემეკრებლობით — სამცხერში მოღვაწეობისათვის. გადადგმული იყო პირველი ნაბიჯები ხალხური სიმღერის პოპულარიზაციის საქმეშიც.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან განსაკუთრებით დიდვდება ინტერესი ხალხური მუსიკის შესწავლისადმი. ეს გარემოება ერთგულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათან იყო დაკავშირებული. 60-იანი წლებიდან ამ მოძრაობას „თერადვალეულები“ ჩაუდგინეს სათავეში. მათ ილია ჭავჭავაძის მეთაურობით აქტიური ბრძოლა გააჩაღეს ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული ჩაგრვის წინააღმდეგ. თავიანთი იდეალების განსახორციელებლად „სამოციანლებმა“ მიზნად დაისახეს რუსეთის თვითმწყობის ახალთაში. მისი მხრის მოითხოვდა ხალხის განათლებას, ქართული ენის დაცვას, ქართველი ხალხის ყოველმხრივ მცენიერულ კვლევას და ა. შ.



ფართოდ გაიშალა ქართული ლიტერატურის, ისტორიის, ეთნოგრაფიის, ხალხური სიტყვიერების შესწავლა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა „ქართველთა შორის წერ-აკითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“, ქართულმა პრესამ, თეატრმა.

ერის კულტურული აღორძინებისათვის ბრძოლამ ხალხური მუსიკის შესწავლის საკითხიც წამოჭრა.

60-იანი წლებიდან ქართულ პრესაში გამოქვეყნდა ალ. ჯამბაყურ-ორბელიანის, ი. ჭავჭავაძის, დ. შაჩაბლის, პ. უმიკაშვილის, რ. ძაძაშვილის, რ. ერისთავის, და სხვა მიღღაწეულთა წერილები ხალხურ მუსიკაზე. მათში გამოთქმულია აზრი, რომ ქართული ხალხური მუსიკა თვითმყოფელი და ორიგინალურია; იგი არცერთი სხვა ერის მუსიკას არ ჰგავს; ქართული საგლობლები ხალხური სიმღერის კოლექცია შექმნიველებლი და ყოველი კოლექცია მისთვის დამახასიათებელ თავისებურებას მატებს მათ. საჭიროა ხალხური მუსიკის დროული შეგრობა და მეცნიერული შესწავლა. ამ წერილებმა მნიშვნელოვნად წინ წაასწიეს ქართული ხალხური მუსიკის შესწავლის საქმე.

1860 წელს თბილისში დაარსდა „ქართული საგლობლების აღმდგენელი კომიტეტი“, რომელმაც ხელი მოჰკიდა საგლობლების შესწავლას. საულისხმოა აგრეთვე 1882 წელს მაქსიმე შარადის მიერ დაარსებული „მართლმადიდებელ ძმთა კაბინეტის“ საქმიანობაც.

70-იან წლებში ქართული ხალხური სიმღერების პირველი ნაბეჭდი კრებულიც გამოჩნდა. ეს გახლდათ 1878 წელს გამოცემული ი. მაჭავარიანის „სამშობლო ხმები“; 1886 წელს დაისტამბა ა. ბენაშვილის კრებული „ქართული ხმები“; შედგენილი საგლობლებისა და ხალხური სიმღერებისაგან. 1894 წელს კრებულში „СМОТРИ“<sup>2</sup> გამოქვეყნდა ქრ. გროზდოვის მიერ შეგრობილი მეგრული ხალხური სიმღერები; 1895 წელს ეურნალ „არტისტში“ (№ 45) დაიბეჭდა მ. იპოლიტოვი-ივანოვის ჩაწერილი სიმღერები შესავალი წერილით „ქართული ხალხური სიმღერის თანამედროვე მდგომარეობა“; 1896 წელს გამოვიდა ნ. ჩხივიძის კრებული — „სალამური“, ხოლო 1899 წელს ია კარგარეთელის კრებული — „ქართული სახალხო სიმღერები“.

ხალხური სიმღერების შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეში თვალაწინია 1885 წელს ლადო აღნაშვილის მიერ დაარსებული გუნდის მოღვაწეობა. 1886 წლის 15 ნოემბერს შედგა გუნდის პირველი კონცერტი. როგორც ცნობილია, ან ღირსშესანიშნავ მოვლენას სპეციალური წერილი მიუძღვნა ილია ჭავჭავაძემ. გუნდმა მთლიან საქართველოს ქალაქები, იყო ჩრდილო კავკასიაშიც. სწორედ ქ. არაგვიში გამართული კონცერტი მოისმინა ჭავჭავაძე დიმიტრი არაყიშვილმა, რამაც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. როგორც შემდგომში იგონება კომპოზიტორი, გუნდის მოსმენამ მას პირველი ბიძგი მისცა მუსიკალური შემოქმედებისაკენ.

ამ პერიოდში ქართული საგუნდო სიმღერის შესწავლა-პოპულარიზაციის დიდად შეუწყო ხელი ცნობილი მუსიკოსის ფილიმონ ჭრაიძის საქმიანობამ. აქვე უნდა აღინიშნოს ქართული მუსიკის კლასიციზმის — მელიტონ ბალანაშვილისა და ზაქარია ფალაშვილის მოღვაწეობაც ამ მხრივ.

დიმიტრი არაყიშვილი კარგად იცნობდა ქართული სიმღერის შესასწავლად გაწეულ ზემოაღნიშნულ საქმიანობას, რასაც ადასტურებს 1897-1903 წლების ქართულ პრესაში გამოქვეყნებული წერილები: „სახალხო სიმღერების ჩამ-

წერლების საყურადღებოდ“, „კიდევ საერო მუსიკის აღმშენებლის შესახებ“, „ქართული მუსიკის მდგომარეობა და სხვ. ამ წერილებში იგი ეხმაურება საქართველოს მუსიკალური ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს. დ. არაყიშვილი იყო ნ. ჩხივიძისა და ა. ბენაშვილის კრებულების პირველი რეცენზენტი; სხვა წერილებში იგი გვაცნობს თავის შეხედულებებს ხალხური სიმღერების იმდროინდელ ყველა კრებულზე; აგრეთვე დ. არაყიშვილი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას ხალხური სიმღერის ტექსტის სწორად ჩაწერის აუცილებლობაზე; მაშინ კომპოზიტორი ეძებს ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარების გზებს და ა. შ.

1901 წლის ზაფხულში, ჯერ კიდევ სამუსიკო-საეთნოგრაფიო კომისიის გამოყოფამდე, ეთნოგრაფიულმა განყოფილებამ დ. არაყიშვილი მიავლინა საქართველოში, სადაც მან მთიანე გორის, სიღნაღისა და თელავის მაზრები, ეს იყო მისი პირველი ექსპედიცია საქართველოში. ოქტომბრის თვეში კომპოზიტორი ახლადშემქმნილ სამუსიკო-საეთნოგრაფიო კომისიის წინაშე წარდგა ზაფხულის მივლინების ანგარიშით. ამ მოგზაურობის დროს მან ხალხური სიმღერები განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ჩაიწერა სოფლებში — ხვედურეთში, ხოვლეში, ვაჭირსა და აწყურში. სულ შეგრობა 100-ზე მეტი ნიმუში.

ამის შემდეგ კიდევ უფრო გაფართოვდა დ. არაყიშვილის შემკრებლობითი საქმიანობა. 1902 წლის ზაფხულში შედგა მისი მეორე ექსპედიცია საქართველოში, რაც ცნობილი ქართველი მეცნიერების და სარაჯინელების და ნ. ჩოლოყაშვილის ფულადი დახმარებით განხორციელდა. ამჯერად კომპოზიტორმა იმოგზაურა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში, თერჯოლის და ყუბანის ოლქებში. მან ექსპედიციამ ყოფინის დროს მგერელების, ფშაველების, ხეხუცების, ოსებისა და ლირაზე შემსრულებელი რუსი მუსიკოსებისაგან ჩაიწერა ხალხური მუსიკის 150-მდე ნიმუში.

მაივ 1902 წელს ეთნოგრაფიული განყოფილებისა და კომისიის გაერთიანებულ სტდომამე კომპოზიტორმა წაიკითხა ორი მოხსენება:

«О поэдке на Кавказе и Закавказье с музыкально-этнографическими целями в 1901 и 1902 гг.» და «Грузинская Народная музыка и ее эволюция».

მოხსენების კითხვისას შესრულდა სიმღერები, გამოყენებული იქნა ფონოგრაფიის ჩანაწერებიც. მოხსენებებმა კომისიის წევრების ინტერესი და მოწონება დაიმსახურა, ხოლო მოსმენილი სიმღერები სანქტურსად იქნა მიჩნეული, როგორც მელოდიური და ჰარმონიული წყობის, ასევე მისი პოლიფონიური თავისებურებების გამო.

1903 წლის 20 იანვარს და 3 მაისს კომისიის სტდომამეზე და არაყიშვილმა კვლავ წაიკითხა მოხსენებები, ამჯერად უკვე ხალხურ საკრებულზე:

«О Кавказских грузинских народных музыкальных инструментах, хранящихся в Дашковском Этнографическом музее» კონსერვატორского собрания».

1903 წლის ზაფხულში დ. არაყიშვილმა მესამედ იმოგზაურა საქართველოში. აღსანიშნავია, რომ არც არა. ბეგიჯანოვის მონოგრაფიულ ნაშრომში — „დიმიტრი არაყიშვილი“ და არც მრავალრიცხოვან საგაზეთო და საკურნალო წერილებსა და სტატეებში არ იხსენიება 1903 წლის ექსპედიცია, რომლის დროსაც კომპოზიტორმა იმოგზაურა გურიაში და



ჩაიწერა 36 გურული სიმღერა და, საფიქრებელია, სხვა მასალებიც.

დ. არაყიშვილის 1903 წლის ექსპედიციის შესახებ სა-  
მუსიკო-საეთნოგრაფიო კომისიის წლიურ ანგარიშში წყე-  
რია:

„...დ. ი. არაყიშვილმა იმოგზაურა კავკასიაში, სადაც შეკრები-  
ა ხალი მასალა ქართული მუსიკის დარგში“.<sup>8</sup>

ხოლო კომისიის შრომებში გამოქვეყნებული გურული სიმ-  
ღერების შესახებ კომპოზიტორი თვითონვე აღნიშნავს, რომ  
ისინი ჩაიწერა 1903 წელს:

„წარმოდგენილი სიმღერები (ოთხის გამოკლებით) შეკრე-  
ბილია ჩემს მიერ 1903 წლის ექსპედიციის დროს“<sup>9</sup>, აქვე დ.  
არაყიშვილი მაღლობს უხდის დ. სარაჯიშვილს, რომლის ხე-  
ლის შეწყვიტვის განხორციელებულია ეს ექსპედიცია.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ „კომისიის შრომების“ II  
ტომიდან ამინაბეძვის სახით გამოცემულ დ. არაყიშვილის  
იმევე ნაშრომში გურული სიმღერების ჩაწერის თარიღად  
დასველებულია 1902 წელი. ეს უკანასკნელი თარიღი, ჩვენი  
აზრით, კორექტურული შეცდომა უნდა იყოს, რადგანაც, რო-  
გორც ზემოთაც იყო აღნიშნული, 1902 წლის ექსპედიციის  
ანგარიშში კომპოზიტორი საქართველოს იმ კუთხვების ჩა-  
მოთვლისას, სადაც მან სიმღერები ჩაიწერა, გულისხმობს არ ახა-  
ხლებს.

1904 წლის 21 თებერვალს ეთნოგრაფიული განყოფილე-  
ბისა და კომისიის ვართიანბნულ სხდომაზე დ. არაყიშვილმა  
წაკითხა რეფერატი: «Сравнительный обзор грузинско-  
имеретинской народной песни (Гურიшской ветви)»<sup>10</sup>.  
მოსხმებას ახლად ფოტოსურათები, მოიხიბეს სიმღერები  
ფონოგრაფის საშუალებით და სოლისტ ნ. ა. საფაროვას და  
ტელეფონა გუნდის შესრულებით.

იმევე 1904 წლის ზაფხულში დ. არაყიშვილმა იმოგზაუ-  
რა თურქის ოლქში ქართველ კავაკებთან და თბილისის გუ-  
ბერნიაში. თბილისში იგი ძირითადად მუშაობდა ქართულ  
სასულიერო მუსიკაზე. ეს იყო მისი მე-4 ექსპედიცია, რომლის  
დროსაც ჩაიწერა ხალხური მუსიკის 71 ნიმუში<sup>11</sup>.

1905-1907 წლებში, როგორც ენობილია, რუსეთის ისტო-  
რიაში არის პერიოდი შავებელი რევოლუციისა, რამაც საგრძნო-  
ბლად შეაფერხა რუსეთის მრავალი კულტურულ-სამეცნიერო  
და სასწავლო დაწესებულების მუშაობა. ამ შემოაღრეობამ  
სამუსიკო-საეთნოგრაფიო კომისიის მუშაობის ინტენსიუ-  
რობაზეც გარკვეული გავლენა იქონია. ზემოაღნიშნულ წლებში  
მომეპოვებულნი რევიების გამო ექსპედიციები არ უნე-  
დგარა. რა თქმა უნდა, იკლო კომისიის სხდომების, მოსხმენ-  
ებებისა და „ეთნოგრაფიული კონცერტების“ რიცხვებაც.

1905-1907 წლებში ექსპედიციები არ მოუწყვიტა არც დ.  
არაყიშვილს, მაგრამ იგი ინტენსიურად მუშაობდა წინა წლებე-  
ში შეკრებილი მუსიკალური მასალის შესწავლაზე, რის შედე-  
გადაც კომისიის სხდომებზე წაკითხა საინტერესო მოხსენე-  
ბები: 1905 წლის 29 აპრილს — «О народной музыке груз-  
ин», 20 ოქტომბერს — «О народной музыке пшавов и  
хевсур», 1906 წლის 29 მარტს — «Сравнительный об-  
зор грузинско-имеретинской народной песни (миг-  
рельская ветвь.) и народных музыкальных инстру-  
ментов»<sup>12</sup>.

ამ უკანასკნელმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია.  
როგორც სხდომათა ოქმები ვეუწყებენ:

„რეფერატმა და სიმღერისა და მუსიკის ნიმუშებმა და-  
მსწრე საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. თავმჯდო-  
მარემ მაღლობა გადაუხადა რეფერენტს და სურვილი გამოთქ-

ვა, რომ ეს ნაშრომი მუსიკალურ მასალასთან ერთად შეტან-  
ლი იქნეს „კომისიის შრომების“ II ტომში“.

1907 წლის 6 თებერვლის სხდომაზე დ. არაყიშვილმა  
წაკითხა ორი მოხსენება — «О лириках северного Кав-  
каза» და «Новые записи гурийских песен»<sup>13</sup>. ყველა  
ზემოაღნიშნულ მოხსენებას ახლდა ხალხური სიმღერების შეს-  
რულება.

1908 წლის ზაფხულში დ. არაყიშვილი მესხეთად გაემე-  
ზარა საქართველოში. ამჯერადაც ექსპედიციისათვის თანხა  
გაიღო დავით სარაჯიშვილმა, რომელმაც კომისიის 250 მა-  
ნეთი გაუგზავნა. იენისისა და ივლისის თვეებში კომპო-  
ზიტორმა მთიარა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, სადაც  
ფონოგრაფის საშუალებით ჩაიწერა მიხევევის, მიოულეების,  
იმერლების (რაჭის, ლეჩხუმის, ქუთაისისა და შორაპნის მახრე-  
ბი) და სვანების ხალხური მუსიკის 113 ნიმუში. ექსპედიციის  
შედეგად მოპოვებულ მასალას კომისიის წევრებმა მაღალი  
შეფასება მისცეს:

„არაყიშვილის მიერ შეკრებილი სიმღერები პირველი ჩანა-  
წერება და სამეცნიერო თვალსაზრისით მეტად საინტე-  
რესოა“<sup>14</sup>.

გარდა ამისა, ექსპედიციის დამთავრებისა დ. არაყიშვილ-  
მა ფოტოზე აღებუდა და აღწერა ხალხური საკრავები, რომ-  
ლებიც დაცული იყო თბილისის სახელმწიფო და წერა-კით-  
ხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმებში.

იმევე 1908 წლის 26 სექტემბრის სხდომაზე კომისიამ  
მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

„...კომისიამ წინადადება შეიტანოს, რომ დ. წ. სარაჯივი  
ეთნოგრაფიული განყოფილების საშუალებით არჩეული იქნას  
ხალხადოების ნაწიელი წევრად“<sup>15</sup>.

1910 წლის 4 ნოემბრის ეთნოგრაფიული განყოფილები-  
სა და კომისიის საჯარო სხდომაზე დ. არაყიშვილმა კვლავ  
წაკითხა მოხსენება: «Народно-музыкальное творчест-  
во грузин Имеретин». კომპოზიტორმა ილაპარაკა იმე-  
რლების წეს-ჩვეულებებსა და მუსიკაზე, მის წყობაზე, რიტმზე,  
პარმონიაზე. ვკრანზე ნახეს სურათები, სიმღერები მოისმინეს  
ფონოგრაფიული ჩანაწერებითა და ქართულთა გუნდისა და  
სოლისტების შესრულებით. კომპოზიტორის გამოსვლამ დამ-  
სწრე საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა.

ექსპედიციების შედეგად დ. არაყიშვილის მიერ მოპოე-  
ბული მასალა და მის მიერ კომისიის სხდომებზე ქართული  
ხალხური მუსიკის შესახებ წაკითხულ მოხსენებათა დიდი  
უმრავლესობა გამოქვეყნდა კომისიის „შრომებში“<sup>16</sup>. ხუელ გა-  
ნაშეველია „სამუსიკო-საეთნოგრაფიო კომისიის შრომების“  
ხუთი ტომი. აღსანიშნავია, რომ მათი გამოცემა კომისიის  
უსახსრობის გამო მიუღი რიგ სინდლეებთან იყო დაკავში-  
რებული.

ქართული მასალა მოთავსებულია „შრომების“ I, II, IV  
და V ტომებში; ამთავან „შრომების“ I, II და V ტომები ერ-  
თნაირი განაკვეთებისაგან შედგება და შეიცავს ხალხური მე-  
სიკის ნიმუშებსა და გამოკვლევებს მათზე, კრიტიკულ-ბიბ-  
ლიოგრაფიულ წერილებსა და ენობებს, სხდომათა ოქმებს,  
ხოლო IV ტომში მოცემულია რუსი და სხვა ერების, მათ  
შორის ქართველების, მხატვრულად დამუშავებული ხალხური  
სიმღერების ნიმუშები.

შრომების ხუთი ტომიდან მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახე-  
ლობის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში დაცულია მხოლოდ პირ-



ველი ოთხი, V ტომი ბიბლიოთეკას არა აქვს. ამ ტომში მოთავსებული დ. არაყიშვილის ნაშრომს «Грузинское народное музыкальное творчество» (1916 წ.) ცალკე ამონაბეჭდის სახით.

ჩვენ მივაკლავთ თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ბიბლიოთეკაში. საფიქრებელია, ეს ტომი სრული სახით არც არსებობს, რადგანაც, როგორც ჩანს, მისი გამოცემა 1917 წლის რევოლუციამდე ვერ მოხერხდა, ხოლო გეგოლუევის შემდეგ, მთელი რიგი მიზეზების გამო, იგი ვეღარ გამოიცა.

„შრომებში“ გამოქვეყნებულია დ. არაყიშვილის შემდეგი გამოკვლევები:

«Краткий очерк развития грузинской, карталино-кахетинской народной песни, с приложением 25 нотных примеров, 27 песен в народной гармонизации и 4 иллюстрации»; «О грузинской духовной народной музыке. С приложением 37 напевов на литургии св. Иоанна Златоуста у грузин Тифлисской губернии и одной иллюстрации»; «Сравнительный обзор народной песни и музыкальных инструментов Западной Грузии (Имеретии) с приложением 83 песен в народной гармонизации, записанных фонографом»; «Грузинское народное музыкальное творчество, с приложением 225 песен в народной гармонизации и 39 инструментальных мелодий, записанных фонографом»<sup>18</sup>.

გამოკვლევებთან ერთად, როგორც მათი სათაურებიდანაც ჩანს, ზემოაღნიშნულ ტომებში მოცემულია 350 სიმღერის ტექსტი. სწორედ ამ გამოკვლევებმა და უფრო მეტად სიმღერის ტექსტებმა დაგვიანტერესა კომისიის შრომებში გამოქვეყნებული მასალით. შემოვიყენება რა მრავალი ხალხური სიმღერის ტექსტი, დ. არაყიშვილმა ქართული ხალხურ მუსიკასთან ერთად არანაკლები სამსახური გაუწია პოეტურ ფოლკლორს. მის მიერ მოპოვებული ტექსტების წარმოებრივ-თემატურმა ანალიზმა გავჩვენა, რომ მათი ნაწილი ნაკლებად ცნობილია, გვხვდება უნიკალური ჩანაწერებიც. ბევრი მათგანი განსხვავებული ვარიანტია და გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ცალკეული ნაწარმოების წარმოშობისა და ისტორიისათვის, რომ აღარაფერი ვთქვათ მის მნიშვნელობაზე ამა თუ იმ კონკრეტული ნაწარმოების შინაარსისა თუ მხატვრული თავისებურების გასათვალისწინებლად.

ამასთან აღანიშნავია, რომ კომპოზიტორის გამოკვლევაში შეიცავენ პოეტური ფოლკლორის შემსწავლელთათვის მნიშვნელოვან ეთნოგრაფიულ ცნობებსა და საინტერესო მოსაზრებებს ხალხური სასიმღერო ტექსტების თავისებურებების შესახებ.

როდესაც კომისიის „შრომებში“ მდიდარი ქართული მასალის გამოშუქრებაზე ვლაპარაკობთ, ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებს, რომ კომისიის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენდა დანიტრესება რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ერების ხალხური მუსიკით. საინტერესოა ქართულ მასალასთან ერთად „შრომებში“ რა ადგილი დაეთმო სხვა არარუსი ერების მუსიკას? თუ მათ ამ მიზნით გადავთვალიერებთ, ვნახავთ, რომ არარუსი ერებიდან ყველაზე ვრცლად და მასშტაბურად „შრომებში“ ქართულ მასალას მოიცავენ. ეს იმიტომ იყო გამოწვეული, რომ კომისიამ უმდარებით მცირე რაოდენობით შედიოდა მასალა სხვა ერების ხალხური მუსიკის შესახებ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხალხური მუსიკის შესწავლასთან ერთად კომისიის მისი პოპულარიზაციაც ჰქონდა მიზ-

ნად. ამიტომ იგი დიდ ყურადღებას უთმობდა „ეთნოგრაფიული კონცერტების“ მოწყობას, მაგრამ კონცერტებს ჰქონდა მეტი, არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზანიც — ბილეთების გაყიდვით შემოსული თანხა გამოეყენებოდა კომისიის „შრომების“ გამოცემაზე და ექსპლაცირების ჩასატარებლად. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ მიზანს კონცერტები მაინცდამაინც ვერ აღწევდნენ.

ჩვენთვის საინტერესოა, სრულდებოდა თუ არა „ეთნოგრაფიული კონცერტებზე“ ქართული ხალხური მუსიკის ნიმუშები და თუ სრულდებოდა, კერძოდ, რომელი სიმღერები და ვინ ასრულებდა, რომელ კონცერტებზე და როგორ მიიღო ისინი მსმენელებმა.

კომისიაში დ. არაყიშვილის მოღვაწეობის პერიოდში ჩატარდა 11 „ეთნოგრაფიული კონცერტი“, რომელთა პირობაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ქართულ ხალხურ სიმღერებს. კერძოდ. მისი ნიმუშები შესრულდა I, II, V, VI, VII და X კონცერტებზე უშუალოდ დ. არაყიშვილის მეშვეობით. II კონცერტში, რომელიც ჩატარდა 1901 წლის 11 მარტს დ. არაყიშვილის დირიჟორობით მონაწილეობა მიიღო მოყვარულებსაცავე უღედნილმა მამაკაცთა გუნდმა, რომელმაც შესრულა რვა ქართული ხალხური სიმღერა — „საფერხული“, „მწყურხული“, „შობილოვნი“, „კალთოვნი“, „იანბანა“, „მაქრული“, „მგზავრული“ და საყოფაცოფრეო სიმღერა. ამავე კონცერტზე შესრულდა სამი ქართული სიმღერა სპირანოს მიერ მ. მ. იოლიტოვ-ივანოვის კრებილიდან. V კონცერტზე დ. არაყიშვილის დირიჟორობით ქართულმა გუნდმა მსმენელებს გააცნო სიმღერები: „რუმული“, „ჭიანჭი“, „აქედქ. წაველ“, „თავი ჩემო“, „დეღა ნანინა“ და სხვ. ეს კონცერტი ჩატარდა 1902 წლის 30 იანვარს.

X კონცერტის პროგრამა, რომელშიც საკმარისი იყო მდიდარი ქართული მუსიკა, ძირითადად შედგებოდა კომისიის „შრომების“ IV ტომში გამოქვეყნებული მხატვრულად დამუშავებული ხალხური მელოდიებისაგან.

კონცერტებზე სრულდებოდა როგორც დ. არაყიშვილის მიერ ჩაწერილი, ასევე ი. კარგარეთლის, მ. იოლიტოვ-ივანოვის, ა. ბენაშვილის, ი. ტეპკოვის, ნ. კლეინფელდის, ქრ. გროსდოვის მიერ გამოქვეყნებული სიმღერები. ეს მივიანიშნებს, რომ დ. არაყიშვილი მხოლოდ პირადი საქმიანობის ჩვენებით კი არ იყო დაინტერესებული, მას ჰქონდა უფრო დიდი მიზანი — რუსული საზოგადოებრიობა გაესცნობოდა მდიდარ ქართულ მუსიკალურ სავანურს.

„ეთნოგრაფიული კონცერტების“ მსმენელები გაცივნი სხვადასხვა ჯანრის ქართულ, კახურ, მეგრულ, გურულ, სვანურ სიმღერებს, ხალხურ საგრაიერ მუსიკას, ქალაქური სასიმღერო შემოქმედების ნიმუშებს.

ამ კონცერტის საშუალებით არარუსი ერების და, კერძოდ, ქართული ხალხური მუსიკა პირველად წარდგა მოსკოვის სამცხერო აუდიტორიის წინაშე. პრესა და მუსიკალური საზოგადოება თანაგრძობითა და მხარდაჭერით შეხვდა ამ წარმოყვებას.

ცხადია, კომისიის გამოცემებსა და „ეთნოგრაფიულ კონცერტებზე“ ქართულ ხალხურ მუსიკის ასე ფართო გამოშუქრებაზე უშუალოდ დ. არაყიშვილის ენერგიული და საყოფიერი მოღვაწეობის შედეგი იყო. მაგრამ ანგარიში უნდა გავუწიოთ იმ გარემოებასაც, რომ კომპოზიტორის მოღვაწეობას ხელი შეუწყო აგრეთვე კომისიის მისწრაფებებმა და ამოცანებმა. ამის დასადასტურებლად თუნდაც ის ფაქტიც კმარა,



რომ 1893 წლის 11 მარტს ჩატარდა პირველი „ეთნოგრაფიული კონცერტი“, რომელზეც შესრულდა ხუთი ქართული სიმღერა, ჩაწერული კომისიის წევრის ნ. ს. კონიფოვის მიერ. ამ დროს და არაყიშვილი ჩასულიყვნენ კი არ იყო მოსკოვში. ეს სიმღერებია: „კუჩხა ბედნიერი“, „ოღლია“, „გულნარა“, „ფახვა“, „მეცხალი“. სოლისტის პარტია შესრულა ია კარგათულმა, რომელიც იმ დროს მოსკოვში სწავლობდა. ვფიქრობთ, სამუსიკო-საეთნოგრაფიო კომისიის და საერთოდ, რუსული მეცნიერების დაინტერესება ქართული ხალხური მუსიკით მნიშვნელოვანად იყო განპირობებული თვითონ ქართული სიმღერის თვითმეთვადობით, მაღალმხატვრულობითა და მრავალფეროვნებით.

კომისიის ინტერესების სფერო მეტად ფართო იყო. მან განახორციელა მუსიკალური კულტურისათვის მნიშვნელოვანი არაერთი ღონისძიება. ამ საქმიანობაში აქტიურად იყო ჩაბმული და არაყიშვილი, რაც გარკვეულ გავლენას ახდენდა მისი, როგორც მუსიკოსისა და მოღვაწის, ფორმირებაზე, ამიტომ, ჩვენი აზრით, შედგენტი არ იქნება მოკლედ მაინც შევხებით ამ საქმიანობას.

პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ კომისიის მიერ ხალხური სიმღერების შეკრების პროგრამის შემუშავება. კომისიის წევრმა ა. ლ. მასლოვმა შეადგინა პროგრამის პროექტი, რომელიც ზოგიერთი ცვლილებებით დამატკიცებული იქნა კომისიის IV სხდომაზე 1901 წლის 29 ოქტომბერს. პროგრამა მიმდევრად გამოქვეყნდა ეურნალში «Этнографическое обозрение» (№ 4) ის ამონაგეგმების სახითაც (3000 გეგმამალარის ოდენობით) დაიგზავნა რუსეთის სხვადასხვა კუთხეში და საზღვარგარეთ.

1906 წლისთვის, როდესაც გამოსცემად მზადდებოდა კომისიის „შრომების“ პირველი ტომი, რომელშიც, სხვა მასალასთან ერთად, გათვალისწინებული იყო შემოაღნიშნული პროგრამის გამოქვეყნებაც, ეურნალში მოთავსებული პროგრამა მომკვლევებულად მიიჩნის. ძველი პროგრამა კომისიის სხდომაზე სავანებში მსჯელობის საგანი გახდა. კომისიის წევრების მიერ გამოთქმულ მოსაზრებათა საფუძველზე იგი მნიშვნელოვანად გადაამუშავდა და ამგვარი სახით გამოქვეყნდა „შრომების“ პირველ ტომში.

პროგრამაში დიდი ადგილი ეთმობა სიმღერის ტექსტის ჩაწერის წესებს, ჩაწერილი ნიმუშის პასპორტიზაციას. მასში მითითებულია აგრეთვე სხვადასხვა საწესწევლებით რიტუალური დაკავშირებული სიმღერის ჩაწერისას ამ რიტუალის აღწერის აუცილებლობა.

თუ ვაგიოვალისწინებთ, რომ ყოველგვარი მუსიკალური ნაწარმოებისა და მისი ტექსტის ჩაწერის დროს რუსეთის ბოლოს იმპერიამ ამ პროგრამით ხელმძღვანელობდნენ სკამო ხნის განმავლობაში, მისი მნიშვნელობა უფრო გაიზრდება. საფიქრებელია, რომ და არაყიშვილიც თავის შემკრებლობით საქმიანობაში ამ პროგრამით ხელმძღვანელობდა.

კომისიის წამოჭრა კონსერვატორში რუსული ხალხური მუსიკის კათედრის დაარსებისა და ხალხური მუსიკის სასწავლო პროგრამის შეტანის საკითხი. აღნიშნულ კავთდერას რუსულ ხალხურ მუსიკასთან ერთად უნდა შესწავლავდა სხვა ერების ხალხური მუსიკაც. მოსკოვის კონსერვატორიამ მხარი დაუჭირა ამ წამოწყებას და 1906 წლიდან ხალხური მუსიკა შეტანილი იქნა მის სასწავლო პროგრამაში.

მიუხედავად 1906 წლის კომისიის ინიციატივით მოსკოვში დაარსდა სახალხო კონსერვატორია, რომლის მთავარ მიზანს

წარმოადგენდა მუსიკალური ხელოვნების პროპაგანდა, მუსიკალური მასებში. სახალხო კონსერვატორიის დაარსებასა და მასში მუშაობაში სხვა მოღვაწეთა შორის მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა და არაყიშვილიც. უსწორედ აქ მიღებული გამოცდილება შემდგომში მან ფართოდ გამოიყენა თბილისში მეორე კონსერვატორიის დაარსებისას.

კომისია გამოსცემდა რუსული ხალხური სიმღერების „სასკოლო კრებულებს“. მის საქმიანობაში მნიშვნელოვანი აგრეთვე „შრომების“ გამოცემა და „ეთნოგრაფიული კონცერტების“ მოწყობა, რაზეც უმეტეს გვეხება საუბარი და ა. შ.

საუკუნისხმაში, რომ 1908 წლის 12 მაისს და და არაყიშვილი, ა. ლ. მასლოვთან ერთად, ხოლო 1911 წლის 3 თებერვლიდან ერთპიროვნულად, არჩეული იყო კომისიის მდიანად.

საყურადღებოა ისიც, რომ კომისიამ და საერთოდ რუსულმა საზოგადოებრიობამ უყურადღებოდ არ დატოვა მისი დამსახურება ქართული მუსიკის შესწავლის საქმეში. 1911 წლის 11 მარტს კომისია მიხსალმა და არაყიშვილს ქართული მუსიკის დარგში მუშაობის 10 წლისთავთან დაკავშირებით, ეს მოვლენა აღნიშნა პრესაში<sup>20</sup>.

როდესაც და არაყიშვილის მოსკოვის პერიოდის მოღვაწეობა ვფიქრობ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ, ქართული მუსიკის გარდა იგი დაინტერესებული იყო სხვა ერების ხალხური მუსიკითაც. როგორც ვიცი, 1902 წელს მან იმოგზაურა ყუბანის ოლქში, სადაც ჩაიწერა სიმღერები ლირაზე შემსრულებელი რუსი უსინათლო მუსიკოსებისგან და მოხსენებაც წაიკითხა მათი შემოქმედების შესახებ.

კომპოზიტორი დაინტერესდა აგრეთვე შუა აზიის ხალხური მუსიკითაც. მან კავშირი დაამყარა პერსიკულ მღვდელთან პ. ტისოვთან, რომელსაც გაუგზავნა პერსიკული მღვდელი და ლილეაკები, რადგანაც ეს უკანასკნელი შეპირდა შუა აზიის ხალხური მუსიკის ნიმუშების შეკრებას კომისიისთვის.<sup>21</sup> როგორც ჩანს, და არაყიშვილს იზიდავდა ნალებად შესწავლილი მასალა.

პირადი მოღვაწეობის გარდა, და არაყიშვილი ცდილობს სხვებზე ჩააღებს ქართული მუსიკის შესწავლის საქმეში. ამ მხრივ საყურადღებოა მისი ურთიერთობა სტუდენტ გ. ჟორდანიასთან, რომელიც შემდგომში მართლაც გახდა ეთნოგრაფიული განყოფილების თანამშრომელი.

სამუსიკო-საეთნოგრაფიო კომისიაში მოღვაწეობის პერიოდში მკვლევარის ყურადღებას იპყრობს რუს კლასიკოს კომპოზიტორთა შემოქმედებაში აღმოსავლური ფოლკლორული მასალის გამოყენების საკითხებიც. ამ თემაზე მან კომისიის სხდომაზე წაიკითხა მოხსენებები: «Новые фактические данные относительно персидского хора в опере «Руслан и Людмила» М. И. Глинки», «Восточные мотивы в произведениях Н. А. Римского-Корсакова»<sup>22</sup>.

უნდა დავასახელოთ აგრეთვე სხვადასხვა მუსიკალურ მოღვაწეთა ნაწარმოებისადმი და მათი სსოვნისადმი მიძღვნილი მოხსენებები როგორც: «Памяти Н. И. Компанейского»<sup>23</sup>, «Памяти П. П. Сокольского»<sup>24</sup>, «О музыкальных трудах армянского композитора Тигранова»<sup>25</sup> და სხვ.

„სამუსიკო-საეთნოგრაფიო კომისიის შრომების“ და „Этнографическое обозрение“-ს გარდა, ამავე პერიოდში და არაყიშვილი თანამშრომლობდა სხვა პერიოდულ გამომცემებში: «Русская музыкальная газета», «Музыкальный труженник», «Закатские» და სხვ.



1908 წელს ა. ლ. მასლოვან ერთად მან დააარსა და რედაქტორობდა ჟურნალს — «Музыка и Жизнь».

1913 წლის 8 ივნისს, თბილისში შედგა დ. არაყიშვილის პირველი კონცერტი. როგორც პროფ. გ. ჩხიკვაძე გადმოგვცემს (გაზ. „თბილისი“ 1965 № 78), კონცერტზე კომპოზიტორის დირიჟორობით შესრულდა ნაწყვეტები ოპერებიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე“, სიმფონიური სურათი „ჰომინი ორმუსდს“, რომანსები და მის მიერ დამუშავებული ხალხური სიმღერები. კონცერტმა თბილისელების ადრეთოვანება გამოიწვია. საერთოდ, ქართულ საზოგადოებრიობას დიდი სურვილი ჰქონდა დ. არაყიშვილი საქართველოში გადმოეყვანა, რაც 1918 წელს განხორციელდა.

სამშობლოში გადმოსვლის შემდეგ სამჭოთა ხელისუფლება მის პირობებში კომპოზიტორის წინ გადაიშალა შემოქმედებითი, სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადო მოღვაწეობის ფართო ასპარეზი.

მოსკოვის სამუსიკო-საეთნოგრაფიო კომისიაში მოღვაწეობის შედეგად დ. არაყიშვილმა შეკრიბა ქართული ხალხური მუსიკის მრავალი ნიმუში და დაწერა გამოკვლევები მათ შესახებ, რითაც საქართველოში საფუძვლი ჩაუყარა მუსიკალური ფოლკლორის მეცნიერულ კვლევას. მის მიერ შეკრებილი სიმღერების ტექსტები და გამოკვლევები მნიშვნელოვანია ქართული პოეტური ფოლკლორის შესწავლის თვალსაზრისითაც.

დ. არაყიშვილის მოღვაწეობა მოსკოვის სამუსიკო-საეთნოგრაფიო კომისიაში რუსულ-ქართული კულტურული ურთიერთობის ერთ-ერთი საყურადღებო ფაქტია. კომპოზიტორმა გააღრმავა ამ ორი ერის კულტურული თანამშრომლობა, რომელიც წინა საუკუნეებში იდგბს სათავეს.

**შენიშვნები:**

- <sup>1</sup> «Русская музыка на рубеже XX века», М.-Л., 1966, стр. 22.
- <sup>2</sup> «Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа», 1894, вып. XVIII.
- <sup>3</sup> გაზ. „ივერია“, 1897 წ., № 221, 1888 წ., № 24, 1903 წ., № 37.
- <sup>4</sup> «Этнографическое обозрение», 1901, № 4, стр. 185—186.
- <sup>5</sup> «Э. О.», 1902, № 4, стр. 143.
- <sup>6</sup> იქვე, გვ. 142.
- <sup>7</sup> «Труды МЭК», т. I, «Протоколы заседаний», стр. 18, 25.
- <sup>8</sup> «Этнографическое обозрение», 1903, № 4, стр. 182.
- <sup>9</sup> «Труды МЭК», т. II, М., 1911, стр. 151.
- <sup>10</sup> «Труды МЭК», т. I, «Протоколы заседаний», стр. 31.
- <sup>11</sup> «Э. О.», 1904, № 3, стр. 125—126.
- <sup>12</sup> «Труды МЭК», т. I, «Протоколы заседаний», стр. 47, 51, 57.
- <sup>13</sup> «Труды МЭК», т. II, «Протоколы заседаний», стр. 6.
- <sup>14</sup> იქვე, გვ. 14.
- <sup>15</sup> იქვე.
- <sup>16</sup> «Труды МЭК», т. II, «Протоколы заседаний», стр. 26.
- <sup>17</sup> «Труды МЭК», т. I, стр. 271, 345.
- <sup>18</sup> «Труды МЭК», т. II, стр. 121.
- <sup>19</sup> «Отгиски из V т. трудов МЭК», М., 1916.
- <sup>20</sup> Журнал «Музыка и жизнь», 1911, № 3.
- <sup>21</sup> «Труды МЭК», т. II, «Протоколы заседаний», стр. 21, 22.
- <sup>22</sup> იქვე, გვ. 26-27.
- <sup>23</sup> იქვე, გვ. 26.
- <sup>24</sup> «Э. О.», 1914, № 1—2, стр. 265.
- <sup>25</sup> იქვე.

ქართულ ხელოვნებათმცოდნეობაში დღეისათვის საკმაო ხელშეწყობა შესწავლილი ძველი ქართული ხელოვნების განვითარების პროცესები სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე, დასახელება ხელოვნების ცალკეული დარგების განვითარების მთავარი მიმართულება. მაგრამ ამის მიუხედავად, მანერა რჩება ევოლუციის გარკვეული პერიოდები, რომლებიც დამატებით შესწავლასა და დაუსტრგებას საჭიროებს. ძველი ქართული ხელოვნების ერთ-ერთი უმთავრესი დარგი — ოქრომჭედლობა, რომლის მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობა აკად. გ. ჩუბინაშვილის გამოკვლევების წყალობით დღეს მთელი სისრულითაა წარმორჩენილი, შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების სხვადასხვა მხარეთა გამოჩენკვების უშუაღტ წყაროს წარმოადგენს. თავისთავადობითა და მაღალი მხატვრული დისპლემებით გამოჩენული ლითონის პლასტიკის ნიმუშები საშუალებას გვაძლევს ვიმკვლით შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების ზოგად პრობლემებზე, სტილის თავისებურებებზე, ორნამენტაციის მასიათზე, იკონოგრაფიულ ნიმუშებზე. მდგომარეობას ართულებს მხოლოდ ის გარემოება, რომ ჭედურობის ძველენი თანხარად როდია განაწილებული ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე; რომ შუა საუკუნეების ქართული ჭედური ხელოვნების უძველესი ძეგლები მოგვეპოვება მხოლოდ VIII-IX საუკუნეთა მიჯნიდან. ეს მდგომარეობა, რომელსაც ანგარიში უნდა გავწოის ადრეული შუა საუკუნეების ქართული ჭედური ხელოვნების საკითხის კვლევისას, აძნელებს ამ ადრეული ხანის ქართული ხელოვნების განვითარების ობიექტური სურათის დადგენას.

წერილობითი წყაროების ცნობებით დსკტურდება, რომ ადრეფეოდალურ საქართველოში არსებობდა ძვირფასი ლითონის ნაკეთობათა უდიდესი რაოდენობა, რომელიც, როგორც ჩანს, მტერთაგან ჭქვენის გაუთავებელი ძაცვა-ბრვეის მსხვერპლი გახდა.

თუ გავითვალისწინებთ საქართველოს მიწაზე აღმოჩენილ წინაქრისტიანული ხანის ვერცხლისა და ოქრის მაღალმხატვრულ ნაკეთობათა შესანიშნავ საგანძურს, სრული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ ქართული ლითონის პლასტიკის ერთი უწყვეტი განვითარების ხაზის არსებობა გვიანანტიკური ეპოქიდან ქრისტიანულ შუა საუკუნეებამდე. შუა საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობა არ წარმოადგენდა რაიმეს ახალს, ახალი რელიგიის მიერ შემოტანილს, იგი ჩაისახა და განვითარდა იმ მხატვრულ საფუძველზე, რომელიც არსებობდა საქართველოში წინაქრისტიანული ჭედური ხელოვნების სახით.

# ტრალიციების პრობლემა შუა საუკუნეების

## ქართულ მატრიკულოგიაში

კიტი მახაბული

ჩვენს ამოცანას შეადგენს იმ ძირითად მხატვრულ ტენდენციათა გარკვევა, რომელთა შევადგენით ყალიბდებოდა ადრეფეოდალური ხანის ქართული ჭედური ხელოვნება. ეს კი თავისთავად დაგვეხმარება ამ ეპოქის პლასტიკურ ხელოვნებათა განვითარების ზოგიერთი ტენდენციის დასახვაში. ამ მიზნით ჩვენ მივმართავთ შუა საუკუნეების ქართული ლითონის პლასტიკის იმ რამდენიმე ნიმუშს, რომელიც გარკვეულ ადგილს იკავებს ძველი ქართული ხელოვნების ევოლუციაში. აღნიშნული ძეგლები იმდენად მნიშვნელოვანია, როგორც წმინდა მხატვრული, ასევე ევოლუციური თვალსაზრისით, რომ მასალის სიმკერისა და ფრაგმენტულობის მიუხედავად თითოეულ მათგანს შეაქვს დამატებითი შტრიხი საქართველოს მხატვრული ცხოვრების სრული სურათის აღდგენაში.

შუა საუკუნეების ამ ადრეული პერიოდის ხელოვნების მკაფიო მაგალითია „ფერისცალების“ ხატი ზარზმიდან, რომელიც წარწერით ზუსტად თარიღდება 886 წლით. ჭედურობის ამ უნიკალური ნიმუშის შესწავლამ შესაძლებლობა მისცა აკად. გ. ჩუბინაშვილს მიეჩნია იგი „ბერძნულ-ბიზანტიური, ოდესღაც ფერწერით შესრულებული ნიმუშების სრულ გადამუშავებად... სრულიად სხვა გაგების განსხვავებული წყობისა და განსხვავებული მხატვრული ინტერესის საშუალებით“<sup>1</sup>. ეს იყო ეპოქა, როდესაც ორიგინალურმა მხატვრულმა აზროვნებამ, გამომსახველობის ახალი, დამოუკიდებელი ხერხების ძიებამ მიიყვანა ქართველი შემოქმედნი მხატვრული ამოცანების გადაწყვეტასთან „უბრალო დეკორატიულობის გაძლიერებით და მისი გარდაქმნით არქიტექტონიკურ, მონუმენტურ-დეკორატიულ ნაწარმოებად“<sup>2</sup> სიმბრ-

ეობრივ-გრაფიკული კომპოზიციების შექმნა სიუჟეტის სიმბოლური აზრის ექსპრესული ხაზგასმით, გატაცება თავისებური დეკორატიულ-ხაზოვანი ნახატით — წარმოადგენს იმ სიახლეს, რომელიც დამკვიდრდა ქართულ პლასტიკურ ხელოვნებაში VIII-IX საუკუნეებში და რამაც განაპირობა მხატვრული შემოქმედების მასივით. ჭედურობასთან ერთად ეს ახალი ტენდენციები გამოვლინდა ხელოვნების სხვა დარგებშიც. ეს იყო ახალი მხატვრული მიმართულება, რომელმაც შექმნა შუა საუკუნეების ქართული ჭედურობის ისეთი მნიშვნელოვანი ნიმუშები, როგორცაა ჯვრის ფორმის რელიეფარიუმი ჯვარცმის სცენით მარტივობის მონასტრის სალაროდან და სანწერობელი სვანეთიდან.<sup>3</sup>

ჯვარცმლის მოქრული სხეული მკაფიოდ გამოიკვეთება მოსევადებული ჯვრის ღრმა შავ ფონზე; სრული საბრტყობრიობის მიუხედავად, იგი თითქოს ამაღლებულია ფონზე და სევადის ფირფიტაზე ნათელ სიმბოლოდ იკითხება. ჯვარცმის კომპოზიცია დიდი ოსტატობითაა მოთავსებული კვადრატული ფორმის არეზე. ჯვარცმლის სხეულის მცირე ზომა და წინამდგომელთა მინიატურული ფიგურები მოქმედებენ ნაწილთა მასშტაბური თანფარდობის განსაკუთრებული ეფექტით. ღვივისმშობლისა და იოანეს გამოსახულებები სიმბოლურ ნიშნებადაა ჩართული კომპოზიციაში, რომელიც გვევლინება ყველაზე გავრცელებული რელიგიური სურათების დეკორატიულ ტრანსკრიპციად. მიუღი გამოსახულების სიმბრტყობრიობითი ხასიათი, განსაკუთრებული სიმბოლურობა, ჯვარცმლის თავის ექსპრესიული გაზვიადება, ფიგურების დამუშავება სევადის უმატი-

ვისი, ლაკონიური ხაზებით წარმოდგენას გვაძლევს ქართული ხელოვნების ადრეული ეტაპის გარკვეულ მხატვრულ წყობაზე, რომელიც გული-სხმობდა სიუჟეტების გადმოცემას სიმბოლურ-დეკორატიული საშუალებებით.

ამავე მხატვრული რიგის მოვლენებს მიეკუთვნება სამწერობელი<sup>1</sup> მსტიდიდან, რომელიც გვიჩვენებს რელიგიური კომპოზიციის გარდაქმნას „ორნამენტულ-დეკორატიულ აგებულება“; იმ მხატვრული ტენდენციების ზემოქმედებით, რომელიც წამყვანი და განსასჯერელი იყო ქართული ხელოვნების გაერთიანების ამ ადრეულ ეტაპზე.

შუა საუკუნეების ქართული ჭედური ნაწარმოებების ყველაზე ადრეულ ძეგლთა საკმაოდ მცირერიცხოვან ჯგუფში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მარტილის ენკოლიპიუმი,<sup>2</sup> რომელიც არაერთი მკვლევარის შესწავლის საგანს წარმოადგენდა (ნ. კონდაკოვი, ე. თაყაიშვილი, ო. დალტონი, გ. ჩუბინაშვილი, შ. ამირანაშვილი მ. ბარანი-იზერშელი, კ. ვესელი). აღსანიშნავია ზოგიერთი გამოხატვისი, მკვლევართა ერთსულოვნება ამ მეტად მნიშვნელოვანი ნაწარმოების დათარიღებაში — ძალაში რჩება რვა ათეული წლის წინათ ნ. კონდაკოვის შემოთავაზებული დათარიღება VIII-IX საუკუნეებით.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნო, რომ არ შეეხებოდა ამ ძეგლის შესახებ გამოთქმულ სხვადასხვა მოსაზრებას, რადგან სავსებით ვიზიარებ გ.

ჩუბინაშვილისეულ დებულებას ამ ენკოლიპიუმის „აღმოსავლური, შესაძლოა, ქართული წარმოშობის“ შესახებ. მე შევეცდები, ამ ძეგლზე დაკრძნობით, შევეხო ადრეუფოდალური ხანის ქართული ხელოვნების ზოგად საკითხებს.

მარტილის ენკოლიპიუმი — რთული ნაწარმოებია, რომელიც შეიცავს ვერცხლის ბუდეში ჩასმულ ვედრების მინანქრის ხატს. ვერცხლის მონარჩობა შემკვლია ჭედური გამოხატულებებით, სევადიანი კომპოზიციებით, ძვირფასი ქვებით. ენკოლიპიუმი შექმნილია ვედრების მინანქრის ხატისათვის, რომელიც წარმოადგენს ამ კომპოზიციის ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ ნიმუშს, რაც კი დღისათვისაა ცნობილი.

მარტილის ვედრების სატი ტიხროვანი მინანქრის იშვიათი, უძველესი მაგალითია, რომელიც ყურადღებას იქცევს სპეციფიკური ფერადონებით, ღრმა ზურმუხტისფერის, მეწამული-შავი ტონისა და მუქი ლურჯის თავშეკავებული ხმოვანებით. საერთო გამაში გარკვეულ ეფექტს ქმნის შარავანდების ყვითელი ლაქები. ვედრების ხატის წმიდა ტექნიკური თავისებურებები მის სიძველეზე მიუთითებენ: ტიხრობის საშუალებით შესრულებული ნახატი, ტიხართა შედარებით მცირე რაოდენობა, ნახატის ერთგვარი ესკიზურობა, ნაკვეთა კუთხოვანება, თვალების აღნიშვნა წრაული ტიხარით, მცენარეული ყლორტების სტალიზებული ნახატი ფიგურებს შორის. ყურადღებას იქცევს ოქროს უწვრთლესი ტიხრებით შესრუ-

მარტილის ენკოლიპიუმი





ლებული წარწერა ზურმუხტოვან-მწვანე ფონზე. (ასეივე ხასიათისა ბერძნული წარწერები ხახლის კარედ ხატზე მოთავსებულ ორ უძველეს მინაქარზე ლეიონშობლისა და წმ. თედორეს გამოსახულებით). მინაქრის ხატის ფერადონე-ბასთან უშუალო კავშირშია ენკოლიუმის შემამკობელ პატიოსან თვალთა—ზურმუხტის, ლაღისა და მარგალიტის ელვარება. ადრეული თარიღის მანიშნებელია მთელი რიგი თავისებურებები: იოანე ნათლისმცემლის ჩაქმუნობის ხასიათი, ოფონის ზურმუხტისფერი ტონალობა, მარიამის სახის დამუშავება, იოანეს იკონოგრაფიული ტიპი.

მარტილის ენკოლიუმის შედარებისას მრავალრიცხოვან ახალგაიურ ძეგლებთან (ტრიპტიქონებთან, სანაწილე ხატებთან, ენკოლიუმებთან) ირკვევა მისი ერთგვარი განსაკუთრებულობა, რადგან ამგვარ ნაწარმოებებში ვეღვრება გვხვდება ძალზე იშვიათად, ისევე გვიანდელ ეპოქაში. ასეთი რიგის ძეგლებში უპირატესად ათავსებდნენ ჯვრის, ჯვარცმისა და ამაღლების კომპოზიციებს. მარტილის ენკოლიუმის ეს განსაკუთრებული ხასიათი შესაძლებლობს გვაძლევს დაუკავშიროთ მისი ცენტრალური ხატის განსაკუთრებულობა იმ უპირატესობას, რომელსაც ანიჭებდნენ საქართველოში ვედრების კომპოზიციას, როგორც საკურთხევის უმთავრეს თემას.<sup>6</sup> ეს მით უფრო დასაშვებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ენკოლიუმებსა და ტრიპტიქონებში მოთავსებული ხატები ხშირად გათვითებული იყო ხოლმე საკურთხევის მხატვრულ სახეებთან. ჩვენ დასაშვებად მიგვაჩანია დავსვათ ხასიათი ამ მოვლენისათვის საერთო საწყისების არსებობის შესახებ მონუმენტური და მცირე ხელოვნების ძეგლებში.<sup>7</sup> ვედრების ხატი, როგორც განსაკუთრებამ თოფანისა, იდეურად დასვეებით შეესაბამება ამ რელიგიური ნივთის დანიშნულებას. აღსანიშნავია, რომ დახურული ენკოლიუმის წინა მხარე თავისი დეკორატიული სქემით ასახავს ჯვარს — მის იდეურ სიმბოლოს. ძვირფასი ქვებით შემკულ ტოლმკლავებთან ჯვარს ენკოლიუმის პირით მხარეზე შეესაბამება ზურვის მხარეზე ბრტყელი, სადა ჯვარი, რომელიც იქმნება სვედიან კომპოზიციებს შორის დატოვებული მოჩარჩოების სალტყეებით. ამგვარად, მარტილის ენკოლიუმში უდიდესი ოსტატობითა და ტაქტით მიღწეულია მხატვრული და იდეური პრინციპების სრული დამთხვევა.

ამასთანავე, შესაძლებელია ვედრების კომპოზიციის საფუძველზე ამ ენკოლიუმის მიჩნევა შესაწირავ ნივთად, რომლის დანიშნულებას შესანიშნავად შეესაბამება მინაქრის ხატის იდეა—მარიამისა და იოანეს მიერ შემწირველის თანამდგომლობა, მისი მოსარჩლეობა ქრისტეს წინაშე. ნივთის ასეთი დანიშნულების შემთხვევაში ამგვარი ხატის გამოყენება ენკოლიუმში სასყებით გამართლებულია.

მარტილის ენკოლიუმის ზურგზე მოთავსებულია სვედიან შემრლებული სახარების ანტიფონის სცენა: შობა, მირქმა, ჯოჯობის წარტყვევება, წმ. დედანი. ეს კომპოზიციები, მათი მცირე ზომების მიუხედავად, დიდადა მნიშვნელოვანი ენკოლიუმის იდეურ-მხატვრული გადაწყვეტის გარკვევისათვის. სახარების ისტორიულ სიუჟეტებთან აქ სასყებით შექმნილად შერჩეულია ოთხი, ე. ი. სახარების ციკლი შევეცილია ოთხ ეპიზოდამდე. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქრისტეს ცხოვრების სცენების რიცხვი ძველ ქრისტიანულ ძეგლებში მათი სიმბოლური მნიშვნელობის მიხედვით დაცვანილი იყო გარკვეულ რაოდენობაზე, შეგვიშნავთ, რომ მარტილის ენკოლიუმის სვედიანი კომპოზიციების შერჩევა აშკარად გამოკვეთილი იდეური პროგრამით არის ნაკარნახევი. ამავე დროს, არსებობს უმჭიდროესი კავშირი მინაქრის ხატისა და სვედიან კომპოზიციებს შორის, ისინი ენკოლიუმის საერთო სიმბოლური გახარების შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ და ავსებენ ერთი-მეორეს.

სახარების სცენების ამგვარი შევეცილი რედაქცია გვხვდება ადრექრისტიანული მცირე ხელოვნების ძეგლთა ჯგუფში — პალესტინიდან მომდინარე ამპულებში. მინცასა და ბიზონის ეკლესიების საგანძურში შემონახული ვერცხლის პატარა ბრტყელი ბოთლები-ამპულები — წარმოადგენდნენ მემორიულ საგნებს, რომელნიც დიდი რაოდენობით მზადდებოდა ადრექრისტიანულ ხანაში (VI-VII სს.) პალესტინის წმინდა ადგილებში ჩამოსული მლოცველებისათვის. ამპულებზე მოთავსებული ჭედური კომპოზიციებიც სახარების სცენების შევეცილ ციკლს გვივსვენებს, სიუჟეტების შერჩევა აქაც მათ იდეურ-სიმბოლური მნიშვნელობიდან გამომდინარეობს. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ენკოლიუმსა და ამპულებს შორის მსგავსება თავისთავით კანონზომიერია, რადგან მოხმარების თვალსაზრისით მათ ერთიანად დანიშნულება ჰქონდათ — ორივე გულზე სატარებელი რელიგიური დანიშნულების ნივთია. ორივე შემთხვევაში თვით საგნის ხასიათი განსაზღვრავდა სახარების სცენების შემოკლებულ რედაქციას. ამავე დროს, გასათვალისწინებელია, რომ ასეთი შევეცილი ციკლი, საერთოდ, დამახასიათებელია ქრისტიანობის ადრეული ეპოქისათვის.

სვედიანი კომპოზიციები მარტილის ენკოლიუმზე მთელი რიგი ისეთი იკონოგრაფიული ნიშნებით გამოირჩევა, რომელნიც ვასაგები სხვადასწორედ აღმოსავლურ-ქრისტიანული წრის ხელოვნების ძეგლებთან შეჯერებისას აღსანიშნავია, რომ თვით სცენებიც ლაკონურადაა გადმოცემული, რაც ქრისტიანული იკონოგრაფიის განვითარების ადრეული სტადიისათვისაა დამახასიათებელი. (შორის შევეცილი ვერსია; მირქმის სცენაში ანას მაგივრად სვეტის გამოსახვა; ჯოჯობის წარტყვევების კომპოზიციამ სოლომონისა და

დავითის გვირგვინების არქაული ფორმა; წმ. დედათა კომპოზიციაში მცველია არარსებობა და სხვა). სიუჟეტური დამუშავება ამ სვედიან კომპოზიციებს, უდავოდ, აღმოსავლურ ქრისტიანულ ხელოვნებასთან აკავშირებს. ამასთანავე, ცალკეულ კომპოზიციებში შეიძლება შევინიშნოთ მთელი რიგი ისეთი იკონოგრაფიული თავისებურებები, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ ძეგლის წარმომავლობისა და ქრონოლოგიის განსაზღვრისათვის.

უაღრესად საინტერესო იკონოგრაფიულ მომენტებს ვეთავაზობს ჯოჯოხეთის წარტყვევების სცენა, რომელიც უნდა ჩაითვალოს ამ სიუჟეტის ერთ-ერთ უძველეს გამოსახულებად (ფიესკი-მორგანის კოლექციის სტაფორთიკისა და ვიკოპისანოს ჯვრის შემდეგ, პირველს მკვლევარნი მიაკუთვნებენ დაახლოებით 700 წელს, მეორეს—VIII საუკუნის პირველ ნახევარს). აქ უკვე სასყვებით დაიხვეწა კომპოზიციის ნაწილების ურთიერთაკავშირი (საკოფაგის ნაწილები ლოგიკურად დალაგდა ქრისტეს ფეხებთან), პირველად გაჩნდა წარწერა („ანასტასია“), რომელიც ამ სცენის მივლ სიმბოლიურ მნიშვნელობას განსაზღვრავს.<sup>8</sup>

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ზემოთხსენებული ორივე ძეგლი აღმოსავლური წარმოშობისაა, რასაც გვიჩვენებს იკონოგრაფიული თავისებურებები და შეცდომები ბერძნული წარწერების შესრულებაში. ასეთვე ხასიათის შეცდომებია ბერძნულ წარწერაში მარტივლის ენკოლიუმის სვედიან კომპოზიციებში, რაც იმას ადასტურებს, რომ ეს ძეგლიც შესრულებულია იმ ქვეყანაში, სადაც ბერძნული ენა გარედან შემოსული უნდა ყოფილიყო.

ეს მომენტი უთუოდ იმის მანიშნებელია, რომ მარტივლის ენკოლიუმის ოსტატს ხელთ ჰქონდა ნიმუში, რომლის მიხედვით ასრულებდა იგი ქრისტიანული კულტის ამ მაღალმხატვრულ ნივთს. ნიმუშის არსებობას მოწმობს კომპოზიციების ბევრი თავისებური დეტალი, რომელთაგან ზოგიერთის დასახელებაც კმარა: ადგომის სცენაში, ჩვეულებრივ, სამარხის ორფერდა გადახურვის ფრონტონსა და ანგოლოს კვერთხს ავირგვინებს ჯვრის გამოსახულება. მარტივლის სვედიან კომპოზიციაში ჯვარი შეცვლილია სამყურა ყვავილის მსგავსი ორნამენტული დეტალით, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ოსტატმა სწორად ვერ გადმოსცა ნიმუში არსებული დეტალი; ბიბლიურ მეფეთა გვირგვინები მარტივლის სვედიან სცენაში, ფაქტიურად ამოირბენ ადრეული შუა საუკუნეების მრავალრიცხოვან ძეგლებში გაგრძელებულ ძვირფას გვირგვინთა მოხაზულობას.

ენკოლიუმის სვედიანი სცენების შედარება სამეცნიერო ლიტერატურაში ზუსტად იდენტიფიცირებულ ძეგლებთან (ფიესკი-მორგანის სტაფორთეკა, პასკალის ჯვარი, ვიკოპისანოს ჯვარი) მოწმობს იმას, რომ კომპოზიციები სათავეს იღებს

ერთი საერთო წყაროდან. ყველა მათგანში ჩანს ერთი მხატვრული თუ რელიგიური ცენტრიდან მომდინარე იკონოგრაფიული გადმოცემის კვალი.<sup>9</sup>

ნიმუშის (ან ნიმუშების) არსებობაზე მიგვანიშნებს მარტივლის ენკოლიუმის ისეთი მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორცაა ვედრების სატის ორივე მხარეს განლაგებული ანგოლოსთა ჭედური გამოსახულებები, რომელნიც კ. ვესელის აზრით „VII საუკუნის ადრებიზანტიური ტორენტეტიკოს უკანასკნელი აყვავების ტრადიციით არის შესრულებული“<sup>10</sup>. აკად. გ. ზუბინაშვილი ენკოლიუმის ამ ნაწილის პარალელებს პოულობს დასავლეთში, კაროლინგების რენესანსის ძეგლებში (ვოლფინიუსის პალიოტო მილანში, სპილოს ძეგლები მეტიდან, რაიმისის სკოლის ნაწარმოებები).<sup>11</sup> ანალოგიური შემთხვევები გვაქვს შუა საუკუნეების ქართულ პლასტიკაშიც, სადაც ხდებოდა ძველი მხატვრული სახეების თავისებური გადამუშავება ახალ ეპოქაში, ახალი ამოცანებით (მცხეთის ჯვრის რელიეფები).

ტრიბტიონებსა და სანაწილეებში, ჩვეულებრივ, მოაგვრია ცენტრალური ხატი, რომელიც წარმოადგენს საერთო რელიგიური კომპოზიციის ღერძს. გვერდით კარებს ორმაგი მნიშვნელობა

ვედრება. მარტივლის ენკოლიუმი





აქვს: წმინდა ნაწილების შენახვა (ან მთავარი ხატის დაცვა) და იკონოგრაფიული დეკორის გამოსახატვის დამატებითი არის შექმნა. მარტივლის ენკოლიკოში გვერდით კარებზე შესრულებული ანგელოზების ჭედური გამოსახულებები ავსებენ ვედრების კომპოზიციას, ისინი საშუალებას აძლევენ ოსტატს განავრცოს ცენტრალური სცენა. და თუ მინანქარის ხატი წარმოადგენს ვედრების კომპოზიციის შვეკვეილი რედაქციით (ქრისტე წინამდგომლებით, მარიამით და იოანეთი), კარებზე მოთავსებული ანგელოზები ავსებენ ამ სიუჟეტს ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება: მარტივლის ტრიპტიქონის ანგელოზები თავისი იკონოგრაფიული ტიპით მიეკუთვნებიან არა ვედრების მთავარანგელოზებს, არამედ ანგელოზებს ამაღლების კომპოზიციიდან. ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია ტრიპტიქონის ამ ნაწილში დავინახოთ გარკვეული ნიმუშის ზეგავლენის კავლი. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს საჭარბოვანს მიწაზე სხვადასხვა ქრისტიანული ცენტრიდან წარმომავალი ნიმუშების არსებობას, აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის ცნობილი მხატვრული კერებიდან შემოტანილი ჭედური ხელოვნების ძეგლები ქართული მხატვრებისათვის წარმოადგენდა მისაბამ ნიმუშებს, რომელთა უშუალო ზემოქმედება ახაზ-

როდობდა ადგილობრივ მხატვართა და ოქრომჭედელთა შემოქმედებს. ამ აღიარებული, კანონიერი კური ნიმუშებიდან ქართველი მხატვრები იღებდნენ იმას, რაც უფრო მეტად შესაბამებდა ეროვნული ხელოვნების სულს, რაც უფრო მეტად აკმაყოფილებდა მათ ესთეტიკურ მოთხოვნილებებს. ამ ნიმუშების თავისებური მხატვრული ტრასფორმაციისა და ახლებური გააზრების შედეგად ადრეფეოდალურ ხანაში იქმნებოდა საკუთრივ ქართული ოქრომჭედლობის ორიგინალური ძეგლები.

მარტივლის ენკოლიკოუმის განხილვისას არ შეიძლება არ აღინიშნოს სევალიანი სცენების მომხარობელი ორნამენტის თავისებური ხასიათი, რომელიც თითქმის არ ერწყმის ორგანულად ტრიპტიქონის დანარჩენ ნაწილებს. მაგრამ საკმარისია მივმართოთ VII-IX საუკუნეთა აღმოსავლური ტორეტიკის ძეგლებს, რომ ეს მოჩვენებითი შესაბამობა მაშინვე გასაგებია გახლდეს. გვიანტიკური და ადრეხრისტიანული ძეგლებისათვის დამახასიათებელი, ნატურალისტურად გადმოცემული მცენარეული მოტივი — ყლორტი საშუალო ფურცლით, სასაზური ირინის ხელოვნებაში გადაიქცევა სამფურცლიან ყვავილად. განსაკუთრებით დამახასიათებელია ამ ორნამენტის კონსტრუქციული-როგორც ვერტიკალურ, ისე პორიზონტალურ ჩარჩოზე სამფურცლიანი ყვავილი ინარჩუნებს ვერტიკალურ მიმართულებას. ასეთი პირობით-დეკორატიული მიდგომა მცენარეული მოტივისადმი დამახასიათებელია სწორედ აღმოსავლური ხელოვნებისათვის. მოჩარჩოების ორნამენტის მოტივი — პალმეტების სიბრტყობრივ-დეკორატიული ნახატი პუნსონირებულ ფონზე — შესრულებულია აღმოსავლურ ტრადიციასზე დაყრდნობით. ამგვარი ორნამენტი საკმაოდ გავრცელებული ჩანს VII-IX საუკუნეთა აღმოსავლურ ვერცხლის ჭურჭელზე.<sup>12</sup>

ზემოთ აღნიშნულის გარდა კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლება მარტივლის ენკოლიკოუმის თავისებურებებზე. მის სხვადასხვა დეტალზე, ისევე როგორცაა პატიოსან თვალთა ფერადღვნების განსაკუთრებული არქიტექტონიკა, ანგელოზთა ფიგურების მოჩარჩოების ხასიათი, ენკოლიკოუმის საკიდის დამუშავება და სხვა. მაგრამ ჩვენ მიერ განხილული ნაწილებიც ცხადყოფენ, თუ რა მდიდარი ინფორმაციის შეიძლება ოქრომჭედლობის ეს მაღალმხატვრული ნიმუში ქართული ხელოვნებისათვის უადრესად მნიშვნელოვანი გარდამავალი ეპოქის შესახებ. ენკოლიკოუმის სხვადასხვა ნაწილში თავისებურად აისახა ისტორიული განვითარების გარკვეულ ეტაპზე ქართულ ხელოვნებაში არსებული რთული ურთიერთკავშირები, გაიჩვენა საქართველოში სხვადასხვა კულტურული ცენტრიდან შემოსული ნიმუშების არსებობა, რომელთა ათვისებითა და გადამუშავებით შესაძლებელი გახდა ამგვარი ჭედური ნაწარმოებების შექმნა.

მარტივლის ენკოლიკო. ზურვის მხარე. სევალიანი კომპოზიციები



მარტილის ენკოლიპუმის ყოველი შემადგენელი ნაწილი თავისებური ხასიათითა და გამომსახველობით გამოირჩევა: ანგელოზთა ფიგურების ოსტატური, ნატიფი მოდელირება დასავლური პლასტიკის ნიმუშებთან იწყებს ასოციაციებს, სევადიანი კომპოზიციები, მათი აღმოსავლურ-ქრისტიანული (სირიულ-პალესტინური) ელემენტებით, თავისებური ხასიათი მეტყველებით ხასიათდება, ჭედური ორნამენტის ნახატის შესრულების მანერა ტიპურად აღმოსავლურია.

ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ მდგომარება წინაქრისტიანულ ჭედურ და, საერთოდ, ქართულ ხელოვნებაში, როდესაც ჭედურობის ადგილობრივი ნიმუშებთან საქართველოს მიწაზე თანარსებობდნენ აღმოსავლური წარმოშობის და ელენისტურ-რომაული ხასიათის ძეგლები. სავარაუდოა ამგვარი მდგომარეობის არსებობა საქართველოში ადრეფილადურ ხანაშიც. და თუკი გვიანატკეკურ ხანაში საქართველო აქტიურად მონაწილეობდა ხმელთაშუაზღვისპირეთისა და მახლობელი აღმოსავლეთის მხატვრულ ცხოვრებაში, ადრეულ შუა საუკუნეებში იგი შედიოდა აღმოსავლურ-ქრისტიანულ სამყაროში და მის ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა.

ამასთან დაკავშირებით მარტილის ენკოლიპუმის წარმომავლობის საკითხი განსაკუთრებული კუთხით უნდა იქნეს განხილული და უთანხმოებანი ამ საკითხის გარშემო ახლებურად წარმოგვიდგება. მკვლევართა მეტი ნაწილი დღევანდლად მიიჩნევს მის ქართულ წარმოშობას; მხოლოდ კ. ვესელი შესაძლოდ სცნობს მინანქრის ვედრების საქართველოში შექმნას „ბიზანტიელი მხატვრის“ მიერ.<sup>13</sup> ამავე დროს მისი მიკუთვნება აღმოსავლურ-ქრისტიანული წრისადმი არავითარ იქნეს არ იწყებს. მაგრამ მარტილის ენკოლიპუმის იკონოგრაფიული თავისებურებანი მიგვანიშნებენ აღმოსავლურ-ქრისტიანული ხელოვნების საკმაოდ ფართო წრეზე, ისე, რომ, საქართველო, რომელიც წარმოადგენდა აღმოსავლურ-ქრისტიანული სამყაროს შემადგენელ ნაწილს, არ უნდა გამოირჩეოს იმ მხატვრულ ცენტრთა რიცხვიდან, სადაც შეიძლება შექმნილიყო ჭედური და სამინანქრო ხელოვნების ეს შესანიშნავი ნიმუში. საგანებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი ქართული მხატვრული ცენტრების შეუფასებლობის მიუხედავად იქცა ის გარემოება, რომ ქართული ხელოვნების ძეგლები არასაკმარისად და საკმაოდ გვიან გახდა ცნობილი ევროპულ მკვლევართათვის.

ადრეული შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების საკითხების კვლევისას არ შეიძლება განსაკუთრებულად არ დავეყრდნოთ აკად. გ. ჩუბინაშვილის ბრწყინვალე დაკვირვებას, რომელსაც საფუძვლად უდებს ხელოვნების სხვადასხვა დარგის ძეგლების ღრმა და მრავალმხრივი შესწავლა: „სინამდვილეში, მხოლოდ IX-X საუკუნეთა მიჯნაზე ვხვდებით ქართულ ფერწერულ და სკუ-



მოსვენებული ჭვარი-სანაწილ მარტიკილან

ლტურულ ნაწარმოებთა შორის ისეთებს, რომელიც აღბეჭდილია ბიზანტიური ხელოვნებისაგან რაიმე განსხვავებით. ე. ი. ხალხური ხელოვნების წიაღში ქრისტიანობის გაერყელებისთანავე დაწყებული გადამუშავება მხოლოდ ამ დროისათვის იწყებს საგრძნობ შედეგების გამოღებას პლასტიკასა და ჭედურობაში.<sup>14</sup>

ამგვარად, მარტილის ენკოლიპუმი, რომელიც უნდა შექმნილიყო არა უგვიანეს IX საუკუნის შუა წლებისა, წარმოადგენს ნაწარმოებს, რომელიც შესაძლებელია შეიქმნა საქართველოს რომელიმე მხატვრულ ცენტრში ქრისტიანობის აღმოსავლური ცენტრებიდან მომდინარე გარკვეული კანონზირებული ნიმუშების შთაბეჭდილებითა და შეგავლენით. მაგრამ მარტილის ენკოლიპუმის საერთო „არაქართული“ (როგორც ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს) ხასიათის მიუხედავად, მის სხვადასხვა ნაწილში ვლინდება ისეთი ნიმუშები, რომელნიც უკავშირდება უდავოდ ადგილობრივი წარმოშობის ჭედურობის ძეგლებს.

ერთი შეხედვით, მარტილის ენკოლიპუმის მინანქრიანი და მოსვენებული კომპოზიციები განსხვავებული ხასიათისაა, მაგრამ თუ ჩავეტყობრდებით, ეს განსხვავებანი გამოწვეულია ერთი მხრივ-ტექნიკური თავისებურებებით, მეორე მხრივ კი ნიმუშთა განსხვავებით. ენკოლიპუმის ამ ორი ნაწილის შეკერებისას აშკარაა საერთო მხატვ-



ჯვარი-სანაწილე მარტილიდან. ზურგის მხარე ედღვალ ხოსროვანუშის წარწერით

რული პრინციპები, რომელიც გულისხმობს „სიუუეტის არსის გადმოცემითვის ხაზის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რომელიც მიმართულია თავების, ხელების ფესტებისა და საერთოდ მოძრაობის ხაზგანსმული ემოციური გადმოცემისაკენ; იგივე მიზანს ემსახურება, ფიგურების სრულიად სიმბრტყობრივ გადაწყვეტასთან ერთად, ფერი და სევადა.<sup>15</sup>

მინანქრიანი ვედრების განსაკუთრებული, თავშეკაპებული გამა მოქმედებს ფართო ფერადოვანი სიმბრტყეების ღრმა ლოკალური ტონებით. მერხვრად განლაგებული მინანქრის ტიხრები კი არ აქუნძაყებენ, არამედ შემოსაზავენ ფორმის მხოლოდ ძირითად, ზოგად მოსაზულობას, რითაც ფიგურები გარკვეულ მონუმენტურობას იძენენ. წვრილი ოქროს მავთულების ოდნავ კუთხოვანი, თითქოს ესკიზური, ექსპრესიული ნახატი მინანქრის ხატს განსაკუთრებულ ემოციურ გამომსახველობას ანიჭებს. ეს თითქოს ოქროსფერი გრაფიკული ნახატია ღრმა ზურმუხტოვან-მწვანე, ლურჯ და მეწაბულ ფონზე.

სევადიან კომპოზიციებშიც მთავარია თავისებური ხაზოვანი რიტმი და გრაფიკული გამომსახველობა. ხანგრძლივი ხმარებისაგან სევადის ზედაპირი მნიშვნელოვნადაა დაზიანებული და ამჟამად ძალზე შესუსტებულია შავი სევადიანი სიმბრტყეებისა და ოქროფერილი ვერცხლის ფონის

კონტრასტული დაპირისპირების პირვანდელი მხატვრული ეფექტი. დღეს მხოლოდ შეკვიდილი გრვარაუდით, როგორი გამომსახველობით გამოირჩეოდნენ სიმბრტყობრივად გადმოცემული მოსევადებული ფიგურები, უაღრესად ემოციურად შესრულებული სახეებით.

მარტილის ენკობიუმში უკვე გამოიკვეთა უდიდესი მნიშვნელობის ის მხატვრული ტენდენციები, რომელნიც მოგვიანებით გამოვლინდა ადრეფეოდალური ეპოქის ქართული ჭედურობის ძეგლებში (ზარხმის ფერისცვალების ხატი, მარტილის ჯვარი, სამწერობელი მესტიიდან) შუასაუკუნეების ქართული ჭედურობის იმ მცირე ნაწარმოებების მიხედვითაც კი, რაც დღეს ჩვენ ხელთ გააქვს, შეიძლება დასახოთ სტილის თავისებური ევოლუციის ხაზი, ორიგინალური კომპოზიციური გადაწყვეტის ძიებათა მიმართულება, თვალის გაუადვილოთ იმ იკონოგრაფიული თემების შერჩევას, რომელნიც შეესაბამებოდნენ ქართული ხელოვნების ეროვნულ ტენდენციებს.

შუასაუკუნეების ამ ადრეული ეპოქის (VIII-IX სს) ქართული ჭედურობის ძეგლების საფუძველზე შეიძლება ვნახოთ, თუ როგორ განაგრძობენ არსებობასა და განვითარებას ქართულ ნიადაგზე ჭედური ხელოვნების დარგში უკვე წინაქრისტიანულ ეპოქაში დასახული გარკვეული ტენდენციები, რომელნიც ადრეფეოდალურ ხანაში გვევლინებიან სრულიად ახალი სახით, ახალი მხატვრული ამოცანებით. მე მხედველობაში მაქვს გამოსახულებათა თავისებური გრაფიკულობა, ჭედური ნაწარმოების დეკორატიული განაზრების ოსტატობა, მოსევადების, როგორც მხატვრული ხერხის, გამოყენება,<sup>16</sup> პოლიქრომიის განსაკუთრებული გრძობა.

ქართული ხელოვნების ისტორიაში VIII-IX საუკუნეები, რომელსაც მიეკუთვნება ჩვენს მიერ განხილული ძეგლები, ევოლუციის უაღრესად მნიშვნელოვანი ეტაპია. ეს იყო ეპოქა, რომელიც საფუძველს უყრდა ახალ ხელოვნებას, ეპოქა, რომელმაც მნიშვნელოვნად განაპირობა შუასაუკუნეების ქართული ხელოვნების განვითარება. ამ პერიოდის მთელი სირთულე, მხატვრულ ძიებათა თავისებურება გასწავლია აკად. ჩ. ზებინაშვილის ნაშრომში, სადაც დასახულია ქართული ხელოვნების განვითარების მაგისტრალური ხაზი. ხელოვნების სხვა დარგებთან ერთად (არქიტექტურა, რელიეფები, კანკელები, კედლის მხატვრობა), ჭედურობა, ძეგლების სიმკირის მიუხედავად, საგრძობლად ამდიდრებს ჩვენს ცოდნას ქართული კულტურის შესახებ ამ ეპოქაში.

საქართველოსათვის საერთოდ უაღრესად მნიშვნელოვანია VIII-IX საუკუნეები. გავიხსენოთ, რა კულტურული და სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებია საქართველოში იმ დროს, როდესაც „ქართული ხელოვნების მამორავებულ ძალად იქცა ახალი მხატვრული ხერხების ძიება“, როდესაც

ხელოვნებაში მთავარი იყო „უაღრესად მნიშვნელოვანი ძიებები და ძვრები“ (გ. ჩუხინაშვილი). ეს იყო დიდმნიშვნელოვანი ისტორიული ეტაპი, აღნიშნული ფართო სამონასტრო მშენებლობით, კულტურის დიდი კვრების შექმნით. IX საუკუნის შუა წლებისათვის ფართო აღიარება პპოვა ქართულმა ეკლესიამ და დიდი უფლებებიც მოიპოვა.<sup>17</sup>

შემთხვევითი როდია, რომ შუა საუკუნეების ადრეული ხანიდან გადარჩენილი ოქრომჭედლობის სულ რამდენიმე ნიმუშიდან ორი (სევალიანი ჯვარი-სანაწილე და მინანქრიანი ენკლაპიუმი) მომდინარეობს VII საუკუნის დას. საქართველოს დიდი საეპისკოპოსო ტაძრის საღაროდან. მარტვილის ტაძრის საგანძურში დაცული იყო ქართული საოქრომჭედლო და სამინანქრო ხელოვნების არაერთი შეგანიშნავი ძეგლი. ნიმანდობლივია, რომ ამ განადგურება შენახული მომდევნო საუკუნეთა მინანქრის ბრწყინვალე ნაწარმოებები, რომელთა ქართული წარწერები ეჭვს გარეშეს ხდიან მათ ადგილობრივ წარმოშობას.

დღეისათვის ჯერ კიდევ ვერ ხერხდება ქართული ჭედურობისა თუ მინანქრის ყველა ძეგლის შემქმნელი მსატრული ცენტრის ზუსტი დადგენა, მაგრამ ცნობილია, რომ იმ ეპოქაში, რომელსაც მიეკუთვნება ამ წერილობით განხილული ოქრომჭედლო ძეგლები, საქართველოს შემოქმედებითი ძალები თავისებურად იყო დანაწილებული. განსაკუთრებულმა ისტორიულმა ვითარებამ (არაბთა ბატონობამ საქართველოს ცენტრალური რაიონებში) გამოიწვია ხალხის შემოქმედებითი ცხოვრების გადაჯგუფება პერიფერიულ ცენტრებში და იქ განსაკუთრებული ინტენსივობით გაშლა. ეს სწორედ ის მოვლენაა, რომლის ანარქულ ვხვდავთ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების აღწერებში. ხომ არ არის ამ მოვლენასთან კავშირში მარტვილიდან დაკავშირებული ოქრომჭედლობისა და მინანქრის საკმაოდ დიდი რაოდენობის არსებობა.

ამ ეპოქაში იქმნება საქართველოში ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ბრწყინვალე ძეგლები, მონასტრების სკრიპტორიუმებში თარგმნიან და იწერენ ბერძენ ავტორთა თხზულებებს, იქმნება საეკლესიო საგალობლები, საისტორიო მატანეები.

აი. ე. კეკელიძის გამოკვლევებში მკაფიოდ გამოიკვეთა ადრეფეოდალური ხანის საქართველოს რელიგიური ცხოვრების სურათი, რომელშიც არსებითი მნიშვნელობისა აღმოჩნდა „სირიელ მამათა“ მოღვაწეობა. სწორედ ამოსავალურ-ქრისტიანულ სამყაროსთან უმჭიდროესმა კონტაქტებმა შეუწყო ხელი საქართველოში სამონასტრო მშენებლობის გაშლას. დღეისათვის საქართველოში აღმოსავლური ნიმუშების მოხვედრის ერთ-ერთ უპირატეს გზად მიჩნეულია „სტილისტურად ერთმანეთისაგან განსხვავებული ნივთები“, რო-

მელნიც „სირიელ მამებს“ ჩამოჰქონდათ წმინდა ადგილებიდან. ამატოვია, რომ ნ. ჩუხინაშვილი აღნიშნავდა ადრეფეოდალური ქართული პლასტიკის ზოგიერთი ძეგლის „კავშირის ამბულეების მემკვიდრეობით არა მარტო პალესტინის წმიდა ადგილთა ხელოვნებასთან, არამედ სირიისა და პალესტინის იკონოგრაფიასთან. ხოლო ბაუტიკის ფრესკების საშუალებით — კოპტური ეგვიპტის იკონოგრაფიასთანაც“.<sup>18</sup>

ეს განსაკუთრებით ენება ქართული ჭედურობის ნიმუშებს, რომელნიც VIII-IX საუკუნეებში ბუნებრივად იყვნენ ჩართულნი შიდა ქრისტიანული სამყაროს, უპირატესად მის აღმოსავლურ-ქრისტიანული ნაწილის, ხელოვნების საერთო განვითარებაში. როგორც ჩანს, ჭედურ ხელოვნებაზეც ვრცელდება ის მდგომარეობა, რომელიც გულისხმობდა „სიუვეტური კომპოზიციების ათვისებას საერთო აღმოსავლურ-ქრისტიანული წყაროებიდან“<sup>19</sup> და მათ გარდაქმნას ადგილობრივი ტრადიციების მიხედვით. შუა საუკუნეების ხელოვნების განვითარების ამ ადრეულ ეტაპზე ქართული ხელოვნების ყველა დარგი საზრდობდა მიეწოდებოდა ქრისტიანული სამყაროსათვის აუცილებელი ნიმუშებით, გადაამუშავებდა რა მათ უძველესი ეროვნული ტრადიციების შესაბამისად.

დიდად განვითარებული რელიგიური ცხოვრება, ტაძრებისა და მონასტრების დიდი რაოდენობა, ქართული სამღვდლოების მალე მდგომარეობა, ღვთისმსახურების რთული რიტუალი, უძველესი, მოთხოვნიდა მრავალრიცხოვან ძვირფას საეკლესიო ნივთებს. ამ ადრეული ეპოქიდან შემორჩენილი, ზემოთ განხილული რამდენიმე ნიმუში, რაღა თქმა უნდა, ოდნავადაც ვერ ასახავს ჭედური ხელოვნების იმდროინდელი განვითარების რეალურ სურათს.

VIII-IX საუკუნეები საქართველოსათვის უდიდესი მნიშვნელობის ეპოქა იყო ქვეყნის პოლიტიკური განვითარების თვალსაზრისით. ამ დროს ყალიბდებოდა ახალი რთული სოციალური ურთიერთობანი — იქმნებოდა დიდი ფეოდალური ერთეულები — სამთავროები (კახეთი, ჰერეთი, გურია-აფხაზეთი, ტაო-კლარჯეთი).

აღსანიშნავია, რომ თავისთავადი ეროვნული მსატრული მეტყველების გამოშვებება, ხელოვნებაში დამოუკიდებელი, საკუთარი გზების ძიება თითქმის დამოუბნავ ქვეყნის ცხოვრებაში უღრმეს სოციალურ-პოლიტიკურ ძვრებს. და როგორც ამ პროცესის ორგანული განვითარება — ქართული სახელმწიფოს კონსოლიდაციის ეპოქაში, ფეოდალურ სამთავროთა ვაგონთაგანის დროს, ეს მოვლენები ქვეყნის ცხოვრებაში იქცა საფუძვლად შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების უდიდესი აღმავლობისა, რომელშიც ერთი უმთავრესი ადგილიაგანი ჭედურობამ დაიკავა.



<sup>1</sup> Г. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тбилиси, 1959, стр. 37, 41.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 41.

<sup>3</sup> მარტილის ჯვარი — 11,8 სმ X 9 სმ. სამწერობელი—24,8 სმ X 24,8 სმ გ. ჩუბინაშვილი, ითუალსწინებს რა ჯვარზე მოთავსებულ კოპოზიციის სტილისტურ ნიშნებს და ჯვარის ზურგზე განლაგებულ ასომთავრული წარწერის მონაცემებს, მიაკუთვნებს მას IX ს. დასაბრუნ. აღსათანავე, იგი ითუალსწინებდა ამ ქრონოლოგიური ზღვარის უფრო შორს გადაწევას. ამის საშუალებას აძლევდა მას სცვალის ტექნიკის თავისებურება და შედარება ზუსტად დთაიიღებულ ევროპულ ოქრომკვლელობის ძეგლებთან (VIII საუკუნისა). ამავე დროის ნაწარმოებად მიანდა გ. ჩუბინაშვილის სამწერობელი სვანთიდან.

<sup>4</sup> სამწერობელი — მრგვალი სახე ზერუქიშთა ტარანი, ზმარებელი, ეამსა წირვისსა დასაგრილებლად წმიდათ ძღვენთა“ (დავით ჩუბინაშვილი); „რომელი დიაკონია უყურით სიწმინდის მოსაქროლად, სერაბინთ სახენი“ (სულხან-საბა ორბელიანი).

<sup>5</sup> ენკოლოპიში ან ენკოლოპიონი (ბერძ.) გულსაკილი ჯვარი ან ბუდე (კოლოფი), რომელიც შეიცავს წმიდა ნაწილებს (ან ხატს), და რომელიც ეპისკოპოსის ან მაღალი სამღვდელეობის პირის სამკელს წარმოადგენდა. ტერმინი „ენკოლოპიონი“ გვხვდება უკვე IX საუკუნის დასაწყისისთვის პატრიარქ ნიკეიურე კონსტანტინოპოლის წერილში პაპის ლეო III-ისადმი. იწმ. ნიკიტას ცხოვრებაში“ და კონსტანტინოპოლის IV სინოდის აქტებში. აღსანიშნავია, რომ ეს ტერმინი, ძირითადად, გამოიყენება აღმოსავლურ-ქრისტიანული ეკლესიის წმიდა ნივთებთან დაკავშირებით. დასავლელ ევროპულ რელიქვიაროუმების მიმართ ეს ტერმინი არასდრ გამოიყენებოდა.

<sup>6</sup> Т. В. Вирсаладзе, Роспись Микаела Магакели в Машварии, Грузинское искусство, 4, Тбилиси, 1955, стр. 227—228; Н. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская, росписи художника Тевдоре, Тбилиси, 1966, стр. 16—17.

<sup>7</sup> საინტერესო იქნება იმის აღნიშვნაც, რომ მონუმენტურ ხელოვნებაში ვედრების კოპოზიციის ყველაზე ადრეული ნიმუში—სანტა მარია ანტიკვის ეკლესიაში რომში (VII-VIII სს) მკვლევართ მიანით აღმოსავლელი მხატვრის ქმნილებად. ამის საფუძველს აძლევთ ბერძნული წარწერის სპეციფიკური დაწერლობა.

<sup>8</sup> R. Lange, Die Auferstzulung, 1966, S. 19.

<sup>9</sup> Н. В. Покровский, Серебряное блюдо сирийское, МАР, 22, С.-ПБ, 1899, стр. 6.

<sup>10</sup> K. Wessel, die Byzantinische Emailkunst, München, 1967, S. 47-78.

<sup>11</sup> G. Tschubinaschwili, Ein Goldschmiedetruptychon, S. 86.

<sup>12</sup> Я. Смирнов, Восточное серебро, С.-ПБ., 1890, № 84.

<sup>13</sup> K. Wessel, Ibid., S. 48.

<sup>14</sup> Г. Н. Чубинашвили, ук. соч., стр. 37.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 48.

<sup>16</sup> სვადის გამოყენება ევრცელის ნივთების შესამკობად საქართველოში წინაქრისტიანული ხანიდანაც ცნობილი. ამის მაგალითია გვიანნტიკური ევრცელის ოსები ცხინვალისა და ეკავშიეთისა. მოსეადლება უძველესა შუა საუკუნეების ქართულ ოქრომკვლელობაში. მარტილის ენკოლოპიონის შემდეგ სვდას გამოყენებულა სანაწილე ჯვარში მარტივად (იხ. ზემოთ) და შუა საუკ. კვლერი ხელოვნების ბერძნულზე.

<sup>17</sup> ი. ყავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია II, თბილისი, 1965 გვ. 117 შემდეგ.

<sup>18</sup> Н. Г. Чубинашвили, Хандиси, Тбилиси, 1972, стр. 27.

<sup>19</sup> გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1936, გვ. 218.

# პირველი ქართული სენისმოყვარე კალები

## ქეთევან ჯაგვარული-ყრგულიანი

იაკობ ბალახაშვილი

მწიტი გრივლ ორბელიანი მას თავის ბარათებში „გულტრედა ქეთევანა“ იხსენიებდა და ადრესატი უმაღლე ხედვებოდა რონდე ქეთევანზე იყო საუბარი.<sup>1</sup>

აკაკი წერეთელი წერდა: „მოაგრობისაგან პატივცემული, ხალხის სიყვარულიც იყო და ის სიყვარული იხატებოდა იმის უბრალო, უტიტულად სახელწოდებაშივე; „კენინა ქეთევანო“ რომ ასწავლებდნენ, მთელმა აღმოსავლეთის ქართველობამ იცოდა, თუ ვინ იყო ის „ქეთევანი“<sup>2</sup>.

მოაგრობის ჯილდოები არ აკლდა, „კავალერსტენიაი და მას“ წოდებაც ჰქონდა.

ქეთევანი თითქმის შემსწრე იყო საქართველოს რუსეთთან შეერთებისა. აკაკის სიტყვებით: „ის ეკუთვნოდა იმ ქართველების გუნდს, რომელთაც თავის მცნებათა აქვთ აღსარებელი რუსეთთან საქართველოსი სიყვარულით შეგავშირება და ოქროს ჯაჭვითა“.<sup>3</sup>

თითქმის საუკუნე იცოცხლა.



როგორც საქართველოში, ისე რუსეთში უამრავი ნაცნობი, თავყანისმცემელი და მეგობარი ჰყავდა.

ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე რუსეთის სამეფო ტახტის ხუთი იმპერატორი უნახავს: ალექსანდრე პირველი, ნიკოლოზ პირველი, ალექსანდრე მეორე, ალექსანდრე მესამე და ნიკოლოზ მეორე ალექსანდრე პირველის გარდა, ოთხთავე იმპერატორს პირადად და ახლო იცნობდა, მათ მინისტრებს თითქმის ყველას. საქართველოს შიშაგარდასაღებულსა და მეფისნაცვლებს ხომ იცნობდა და იცნობდა.

სახელდარბეული ქველმოქმედი, გაჭირვებულთა ტალკევის გახალხლ და ამ ფართო ნაცნობობას ხალხის კეთილდღეობისათვის იყენებდა. ქართველ, რუს, უცხოელ კულტურის მოღვაწეებთან მტკიცე მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა.

რა არ ენახა, რა არ მოუხმინა. ბრწყინვალე მუსიკერების პატრონი, გარდავლულ დღეთა ცოცხალი მტკიცე იყო.

ქეთევან ჯამბაყურ-ორბელიანის ცხოვრების აღწერა მრავალ თაბას ითხოვს. აქ ქართული თეატრისა და საერთოდაც ქართული კულტურის წინაშე მის ღვაწლზე ვიამბობთ. ქეთევანი ასულია სახელგანთქმული სამხედრო პირის გიორგი იასეს ძე ერისთავისა.

„გიორგი ერისთავი იყო მრავალ ომში გამარჯვებული გენერალი. მისი დროის რუსეთში არ დარჩენილა არცერთი სამხედრო ორდენი, რომელიც მას არ დაემსახურებინოს“.<sup>4</sup>

გიორგი იასეს ძე ერისთავი მწერლობა. მისი ლექსი „მოწოდება ივერთა მამულის დაცვისათვის დროსა სპარსთა შემოსევისასა საქართველოს სამძლურთა შინა“ დაბეჭდილია სოლომონ დიდაშვილის უკრძალში: „სალიტერატურონი ნაწილი ტფილისის უწყებათანი“ (1832 წ. №3). მასვე გამოქვეყნებული აქვს თეოლოგიური ხასიათის ნაშრომი: „მამისან შვილის დარიგება“ (ქურ. „იესაიარი“, 1867 წ. №10).

გ.ი. ერისთავი 1863 წლის ოთხ ნოემბერს დაბადებიდან 103 წლისა გარდაიცვალა.

180 წელს დაბადებულ ქეთევანს მამის ოჯახში ბრწყინვალე ზნეობრივი და გონებრივი აღზრდა მიუღია.

ქეთევანი მწერლობის ტრფიალი იყო. უამრავს კითხულობდა და უსადო გემოვნება ჰქონდა, იმ დროის არაერთ მწერალს საქაშნიკოდ მიუტანია მასთან თავისი ნაკალმარი.

ქეთევანი ცოლი იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის უახლოესი მეგობრის, სახელგანთქმული მხედრის მამუკა (მაკარ) თამაზის ძე ჯამბაყურ-ორბელიანისა. მამუკას თავდავიწყებამდე უყვარდა რუსული პოეზიის ზმის — ალექსანდრე პუშკინის თხზულებანი. ბევრი მათგანი ზეპირადაც იცოდა.

მამუკა ორბელიანი ოცნებობდა პირსაპირ შეპყროდა პუშკინის მკვლელს — დანტესს. 1837 წლის 23 თებერვალს დეკაბრისტები მწერალი ალექსანდრე ბესტუჟევი-მარლინსკი თბილისიდან ძმას — პავლე ბესტუჟევს, რომელმაც მას ბარათით ა. ბ. პუშკინის მოკლის ამბავი აუწყეს, სწერდა: „როცა მე წაუგუთხრე შენი წერილი მამუკა ორბელიანს, მას ყველა აღმოხდა: „მე მოკვლავ იმ დანტესს, თუკი ოდესმე შეგზედებო“.<sup>5</sup>

ქეთევანს მრავალი შვილისკან ოთხი შერჩა: ალექსანდრა, ბარბარე, ივანე და კონსტანტინე.

\* \* \*

მეცხრამეტე საუკუნის ორმოცდაათიანი წლებისთვის პოეტ და დრამატურ გიორგი დავითის ძე ერისთავს დაწერილი

ჰქონდა მრავალი ლექსი, პოემა „ოსური მოთხრობა“<sup>6</sup> და მოქვეყნდა ჟურნალში „სალიტერატურონი ნაწილი ტფილისის უწყებათანი“ 1832 წ. № 2,3,4, დრამატული პოემა „მემლილი“, კომედიები: „დავა“, „გაყარა“ და სხვა პიესები. ეს თხზულებანი გადაწარგების სახით ხელიდან ხელში გადადიოდა.

მანას ორბელიანის საღონში სიარულისას მეფისნაცვალ ვორონცოვს, როგორც ამას ალექსანდრე ესტატეს ძე ერისთავი გადმოგვცემს: „მონათესავე ქალე გიორგის (ერისთავის — ი. ბ.), რომელთაც ჰქონდათ „გაყარის“ კომედია მოახსენეს ვორონცოვს ქება. ამასზე დიდად ისურვა ნამესტნიკმა მისი სცენაზე წარმოდგენა“.<sup>6</sup>

მ. ს. ვორონცოვმა მოისურვა გიორგი ერისთავის ნახვა. გ. ერისთავი, რომელიც იმხანად სოფელ ხიდისთავში იმყოფებოდა, თბილისში დაიბრავს და ვორონცოვს წარუდგინებს. ვორონცოვმა პოეტს და დრამატურს, რომელმაც მას „გაყარის“ ხელნაწერი წარუდგინა, თავაზიანად მიიღო და ასე უთხრა:

„ვიდრე გადავთარგმნიებდე ამ თქვენს კომედიას რუსულად, თქვენ სიხოვეთ ჩემს მავიჯად სცენისმოყვარე ქართველებს დაისწავლონ როლები და თქვენი თაოსნობით გამართულ წარმოდგენა ტფილისის გიმნაზიის სცენაზე. ვნახოთ როგორი კომედია დაგიყურიათ, ან რავგარ სცენიურ ნიჭს აღმოჩინებთ ქართველები“.<sup>7</sup>

გიორგი ერისთავი სიძნარულით შეუდგა ვორონცოვის წინადადების შესრულებას. მისი დიდი ხნის ოცნება სრულდებოდა, ოცდაათიან წლებში დაარსებული სცენისმოყვარეთა წრე, რომელიც 1832 წლის შეთქმის გაცხადების შედეგად დაიშალა, ახლა ისევ არსდებოდა.

მეტივე დროში სცენისმოყვარულთა პატარა ჯგუფი შესდგა. აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომელნიც წინააღმდეგნი იყვნენ ქართული თეატრის დაარსებისა და ყოველნაირად ხელს უშლიდნენ.

საბედნიეროდ, გიორგი ერისთავს წამოეშველა, მხარში ამოუდგა ნათესავი — ქეთევან იასეს ასული ერისთავი-ჯამბაყურ-ორბელიანისა და საქმემ იასეს წინა წინააღმდეგობა. მწერალი გიორგი წერეთელი ასე გადმოგვცემს ამ ამბავს:

„რომელ ვროსისთვის უნდა გაეძლო გ. ერისთავს: ბატონშვილის მარამის ტუქვისათვის, პლატონ იოსელიანის ხეპრობისა, რვეჯ ერისთავის ხრიკებისა თუ კილაშვილის ქართულ-რუსულის გამოთქმისათვის.

მართლაც რომ გ. ერისთავი ამ საქმენს თავს ვერ მოაბამდა, გონებგანათლებლი და ჭკუადამაქდარი კენივა ქეთევან ორბელიანისა, დიდი გიორგი ერისთავის ასული რომ არ გასჩენიდა მფარველ ანგელოზად.

ქ (ალბატონმა) ქეთევანმა, მტკიცე ხასიათი გამოიჩინა, ის არ შეუშინდა არც რვეჯ ერისთავის ხრიკებს, არც (მარამი) ბატონშვილის მუქარას, თანაუგრძობდა თავის ნათესავს ნიჭს, წინააღმდეგე გულში იხატავდა, რა დიდ საქმედ იქნებოდა მომავალში ქართული თეატრის დაარსება.

აი ამ ქალმა მიიზხრო სხვა წარჩინებულ გვარის ქალებიც, როგორც მაგალითად, ბაბაღე ანდრეულისას, ან ოგლობიოსისა. და კნ. გაგარინისა“.<sup>8</sup>

რეპეტიციებისთვის ქეთევან ორბელიანს თავისი ბიძა და-უთმისა. ვახუშტი ივარიანი წერდა:

„რეპეტიციები იმართებოდა სენატორის გიორგი ერისთავისა“.



ვის შვილის სახლში (კუკიის ხიდან „ლონდონის“ სასტუმროს პირდაპირ). მისი რძალი ელენე (ლუარსაბ ორბელიანის ასული, მეუღლე ზაქარია გიორგის ძე ერისთავისა-ი.ბ.) მასპინძელი იყო თეატრის მოყვარულთა, მისი ქალი ქეთევან გაბმლოლი, რიგის მიმცემი, ავანჯაანი იყო მიულის : მ საკმისა.

რეპეტიციებს ძალიან დიდხანს თურმე არ მოუწოდნენ, როგორც მოყვარულთა წესია, რადგანაც ყველამ ზეპირად იცოდა პიესა, მხოლოდ ორი-სამი კვირა მოუწოდნენ. გიორგი ერისთავი (ავტორი) თვითონ რეჟისორობდა და ერთ როლსაც თამაშობდა.

ამბობენ, უკანასკნელი გენერალური რეპეტიცია, თვით ვარსკვლავთმცოდნე იყო, წინათაც მთავარმართებელი დროგამოშვებით ესწრებოდა რეპეტიციებს და ახალისებდა მითამაშეთა.<sup>9</sup>

მაღე ყველაფერი მზად იყო. 1849 წლის 24 დეკემბერს ილია ორბელიანი თბილისიდან უფროს ძმას, გრიგოლ ორბელიანს აუწყებდა:

«На днях будет представлена грузинская пьеса «Гуагра» князя Георгия Эривтави (Глухарича) на грузинском языке. Чрезвычайно много смешных сцен.

Играют: Кетевана (Мамуки жена), Андреевская, Мария Эривтави, Настенька Орбелианова, Георгий Эривтос, Нико Эривтос, я и Кипиანი.

Князь Михаил Семенович (ვორონცოვი — ი. ბ.) очень рад тому, приказал перевести на русский язык и удивительно удачно вышло; он много хохотал и много комплементов сделал как автору, так и переводчику<sup>10</sup>.

რამდენიმე დღის შემდეგ განჩნდა აფიშა: ტელიისის გიმნაზიის ზღაღამო ქალაქის დარბეზ ხალხთათვის (ორმაზათს 2-ს იანვარს 1850 წელსა წარმოდგენილი იქნება)

I  
იმხმელ ღა ქრისტინე  
(ფრანციკულად)  
ითამაშებენ თ. ღონდუკოვი-კარასაკოვი, ბარონესა მენდლოფი, მანჩაკი და მაშაკოვი  
შემდეგ წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულად.

II  
ბაქარა  
კომედია სამ მოქმედებად თხზ. თ. ერისთავისა  
მოქმედნი პირნი  
თავადი ანდრეაფურ . . . . . თ. ილ. ორბელიანი  
ბაღელი, ძმა მისი . . . . . თ. ოქ. ერისთავი  
ივანე . . . . . დ. ი. ყიფიანი  
კნინა მაკინე . . . . . ბ. გ. ანდრეევსკისა  
კნიაჟნა ნინო . . . . . კნ. ა. ორბელიანისა  
მიკიტუმ გასპარჩი . . . . . თ. გ. ერისთავი  
თათლა, მისი ცოლი . . . . . კნ. ქ. ორბელიანისა  
შუშანა, ქალი მისი . . . . . კნ. ან. ორბელიანისა  
თავადი ბარძიმი . . . . . თ. ა. ერისთავი  
გაბრიელ . . . . . მ. გ. ჭილავეი  
ინგრილი . . . . . თ. გრ. ერისთავი  
ფაშდაშვერდი . . . . . კნ. მ. ერისთავისა  
წარმოდგენას დიდძალი ხალხი დასწრებია. იონა მუხარ-

გია წერდა: — „გიმნაზიის პატარა დარბაზი ვერც კი იტევდა თურმე მაყურებლებს. ვარსკვლავი თავის სახლობის ძალით თეატრში იყო და ყველაზე უფრო გატყვებულად მალის უკრავდა სცენისმოყვარეთა. ნამეტანად კომედიის დამწერი მოიწონეს, როგორც აქტიორი და ავტორი“<sup>11</sup>.

შთაბეჭდილება აუწერელი იყო. პეტრე უმიკაშვილი გადმოგვცემს:

„ქართული თეატრის ამბავი გავიგონე პირველად „გაყრის“ წარმოდგენის შემდეგ ჩვენს ნათესავებში.

ბევრს ესმოდა ლებიცოგში ნასწავლი დოქტორი ზაქარია უსტოვი. აი ეს დოქტორი სხვა სტუმრებს შორის დასწრებოდა თავისი ცოლით (დედიქიმის დეიდა შვილით) პირველ ქართულ წარმოდგენას გიმნაზიის დარბაზში.

ცოლი ლაპარაკობდა წარმოდგენის მიერე და მესამე დღეს, რა რუგად თამაშობდა გიორგი ერისთავი ვაჭრის როლს და ხალხი რა რიგად იყო აღტაცებული“<sup>12</sup>.

კომედია „გაყრის“ წარმოდგენის სამი დღის მერე, 1850 წლის ხუთი იანვრის გაზეთ „ზაკავაზსუკი ვესტნიკი“ იმხანად თბილისში მცხოვრებმა ცნობილმა რუსმა პოეტმა აიკობ პოლისკიმ დაბეჭდა პატარა, მაგრამ მეტისმეტად აღფრთოვანებით წერილი. მთლიანად მოჰყავს იგი:

„1850 წლის ორი იანვარი საქართველოს განათლების ისტორიაში ჩაიწერება, როგორც შესანიშნავი დღე. შესაძლებელია, ამ დღეს დაიბადა ჭეშმარიტად ქართული ლიტერატურა.

გიმნაზიის დარბაზში პირველად უმაღლესი ქართველი საზოგადოების კეთილშობილი პირების მიერ, მფხინსაცლის ნებართვით, გათამაშებული იქნა ქართულ ენაზე ნაციონალური ქართული კომედია „გაყრა“.

პიესა ისეთი გარტია, ისე ნაკაცვიფრა ყველა თავისი სისადავით, ორიგინალობით და ღრმა იუმორით, რომ ვერ ვებუდავთ უბრალოდ ვაჭოთ ის. — ჩვენ ვაღდებუდი ვართ მიეცეთ ჩვენს მკითხველებს, რამდენადაც შესაძლებელია, ამ პოეტური ქმნილის დაწერილობით გარჩევა, — ანდა ვაჩუქოთ თვით თარგმანიც მისი.

პიესის ავტორი თავადი გიორგი ერისთავი, როგორც პოეტი, დიდი ხანია ცნობილია საქართველოში, მაგრამ არც ერთს ჩვენს შორის რუსთავანს ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ იგი ასეთი მშვენიერი კომიკი იყო.

კომედიის შესრულება, რომელშიც მონაწილეობდა თვით პოეტი, ხუმრობაგაშვებით ყოველგვარ ქებას აღემატებოდა, როლების ჩინებულ ცოდნას, კოსტუმებს, თამაშს — ყველაფერს, ყველაფერს აღტაცებაში მოჰყავდა მრავალრიცხოვანი დამსწრენი. ერთი სიტყვით, ცოდნა, შესრულება ისეთი იყო, რომ არ საჭიროვდა ქართულის ცოდნას, რათა გაგვერ და აღტაცებაში მოხსულიყავი ქართველების თანხმად“<sup>13</sup>.

კომედია დაწერილ ხალხში გადავიდა, ადგილებს მისგან სხვადასხვა თავირობებზე იმეორებდნენ: დღეებში, ბაზრებში, ოჯახებში და ვინ მოსვლის სად აღარა. გაზეთი „ზაკავაზსუკი ვესტნიკი“ წერდა:

„ზაზარზე იმეორებდნენ მთელ ფრაზებს, რომლებიც მთლიანად აღებული იყო კომედიიდან და მრავალ სახლში, სადაც შეიძლება, არავითარი წარმოდგენა არ აქვთ იმაზე, თუ რა არის თეატრი.

სახელი თავადი ერისთავისა გახდა ცნობილი და კომედია იქცა ვრცელ მსჯელობათა საგნად. რომელი მწერალი, რომელი კომიკი არ ისურვებდა ამას“<sup>14</sup>.



პიესითა და მისი დადგმით აღფრთოვანებული მ.ს. ვორონოვი 1850 წლის 13 იანვარს თბილისიდან პოეტ გრიგოლ ორბელიანს სურდა:

«Посылаю для вашего любопытства афишу глянцую здесь на днях грузинами, пьесу, которую написал князь Георгий Эривани и превосходно играли ваши знакомые и родственники из первого здешнего общества.

На масляные олеи собираются дать такое-же удовольствие публике, которая была в восхищении от этого представления»<sup>15</sup>.

პიესის მონაწილე — „თავად ანდუყფაერის“ როლის შემსრულებელი ილია ორბელიანი, 1850 წლის 14 იანვარს თბილისიდან მას, გრიგოლს ატყობინებდა:

„ქართულ თეატრში ითამაშეს გიორგი ერისთავის შუთხ-სული „გაყრა“ ჩინებულად, მართლაც საუცხოოდ. ბილეთების შოვნაში თავის მტყვევა იყო.

მაშუკას (ორბელიანის — ი. ბ.) ცოლმა (ქეთევანმა — ი. ბ.) ისე ითამაშა, რომ უმადლეს აქტორის არ შეეძლო. მისი როლი იყო სომხის დედაკაცის, თათლასი.

დეც ვითამაშე. ჩემი როლი იყო უფროსი ძმის. მახლას, მივითხენ სცილით ხალხი.

კინაზმა (მ. ს. ვორონოვი — ი. ბ.) გადაახატინა (გიორგი კორდინს — ი. ბ.) ჩუენნი სახეები ქალების და კაცებისაც»<sup>16</sup>.

პიესის უნახაობით გულდაწყვეტილი გრიგოლ ორბელიანი 1850 წლის 25 იანვარს საპასუხო ბარათში მასს, ილიას სწერდა:

„შენი წერილი ამ მინუტში მომიტანეს, რომელშიაც მწერ თეატრში თამაშობას.

სწორად გიხტრა, ძალიან ჩნობ, რომ ეგ პირველი ქართული კამედა ვერა ენახე, ნიშო ილიკო, გთხოვ გამომიგზავნო ეგ კამედა, რომელიცა არ წამიკითხას.

ქეთევანის ქება შევიტყვე და არ მიკვირს. ეგ ისეთი დედაკაცია, რომ რასაც მოინდობეს შეუძლიან აღსრულებაცა.

აფიშა ჩემთვის გამოეგზავნა, შთავარმართებულსა, რომლისთვისაცა ამასალევე უწერ მადლობასაც»<sup>17</sup>.

იმავ 1850 წლის 25 იანვარს, ვრიგოლ ორბელიანმა მ. ს. ვორონოვის „გაყრის“ ლიბრეტოსა და აფიშის გამოგზავნისათვის მადლობის გამომხატველი ბარათი გაუგზავნა.

ეს მიმოწერა მეტსტამეტე საუკუნის ოთხმეცხრეანის წლებში იონა მუნარგაიამ გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქციას მიუტანა. მასალა სხენებულ გაზეთში დაიბეჭდა.

ილია ჭავჭავაძემ მაშინვე ეს მიმოწერა, ქართულად ნათარგმნი, თავის გაზეთ „ივერიაში“ გამოაქვეყნა. ვრიგოლ ორბელიანის საპასუხო ბარათი მ.ს. ვორონოვისთვისადმი ივერიისეული<sup>18</sup> თარგმანით მომავს:

„ნება მომეცით, თქვენ ბრწყინვალეზე, ვგულისთადესი მადლობა გადაგიხადოთ სათეატრო განცხადებისა და იმ ქართული პიესის ნაწილის გამოგზავნისათვის, რომელიც ტფილისში წარმოუდგინათ.

ნათლად მეხატება თვალწინ აღტაცება ჩემთა თანამემამულეთა, რომელთათვისაც მაგვარის პიესის მოსმენა პირველი მაგალითია და ძალიან კარგი მაგალითიც.

ეს პიესა მოგონილი არ არის, არც ზეპირ-გადმოცემა და ძველი ამბავი, არა, სამწუხაროდ, იგი ცოცხალი და ფრიად მშვენიერი სურათია ჩვენის თავადახანურობის აწინდლის მდგომარეობისა.

იშვითა ჩვენს შორის ისეთი ადამიანი, რომ თუცა ცხოვრებაში არ წარმოედგინოს რომელიმე ნაწილი ამამაჟისა<sup>19</sup> სა.

ყველაზე უფრო ახირებული ის არის, რომ ავტორს თავისი თავიც არ დაუზოგია.

მე გმონია, რომ მაგ პიესამ დიდი და ღრმა ცვლილება მოახდინა საქართველოში ზნეობის და გონების მხრივ, და ყოველდღე ესე თქვენს მაღალს მაშობრების მსურველობას წყალობით წარმისდგა. დასაწყისი მშვენიერია! ღმერთი იოსებ შემქე და მფარველი»<sup>18</sup>.

იმავ 1850 წლის 28 იანვარს გრიგოლ ორბელიანი მოავგონებდა ილიას: „ვიხილო ქართული კამედა გამომიგზავნო“<sup>19</sup>.

გ. ერისთავის კომედია „გაყრა“ 1850 წლის იანვარშივე გიმნაზიის საქტო დირაზაში გაიმეორეს, მერე კი, მანანა ორბელიანის ბინაზე, ნიკო ბაგრატიონი გამომოგვეცხა:

„პლატონ იოსელიანი სიხარულით ეღებულთბა მონაწილეობას საქართველოს კულტურულ-ნაციონალური ცხოვრების ყოველ დეტალში. მაგალითად, როცა ერისთავის „გაყრა“ ხელახლა მანანა ორბელიანის სახლში დაიდგა, პლატონი ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელი იყო, რამაც დიდი სიამოვნება მიანიჭა საზოგადოებს“<sup>20</sup>.

ქართულმა საზოგადოებამ მთავრად ერთგული თეატრის განახლებით რაოდენ დიდი ძეგა მოხდა მათ კულტურულ ცხოვრებაში და ამიტომ ზეიმებსა და ლხინებს დასასრული არ ურბათ.

წარმოდგენის მეორე მოთავე და პიესის მონაწილე ქეთევან ორბელიანი 1893 წელს გაზეთ „ივერიის“ თანამშრომლებს უდიდესი გამოყოფილებითა და სიამაყით უამბობდა: „სწორედ გაუთავადელი ლხინი და ქორწინება იყო „გაყრის“ რეპეტიციები და თვით წარმოდგენა. კვირებმა და თითქმის თვეებმა გაიარა, პირველ წარმოდგენის შემდეგ და ლხინს გაუთავებელი იყო“<sup>21</sup>.

1850 წლის ორი იანვარი ქართული თეატრის განახლების თარიღად ჩაიწერა ისტორიაში.

უკვე მოვახსენო, რომ ქეთევან ორბელიანს მეტად ფართო ნაცნობობა და სათეატრო მუხსიერება ჰქონდა. ქეთევანის სახელოვანი ქართველი ბიოგრაფის — იონა მუნარგაიას ერთ-ერთი მთავარი ინფორმატორი იყო.

იონა მუნარგაიამ სხვადასხვა მწერალ-მოღვაწეებზე ქეთევან ორბელიანის მონათხრობებს „მუსიაივი ქეთევანთან“ უწოდა (დაცულია ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-კონიერარეული მუზეუმში, იონა მუნარგაიას პირად საარქივო ფონდში).

ამ „მუსიაივის“ ის ნაწილი, რომელიც ალექსანდრე ჭავჭავაძეს ეხება, ამოკრიფა და „ლიტერატურის მატანას“ 1940 წლის № 1-2-ში გამოაქვეყნა მკვლევარმა სოლომონ ცაიშვილმა.

ყველაფერ იმის შემდეგ, რაც ქეთევან ორბელიანზე გიამბუტ, გასაცემი ხდება რაოდენ მდიდარი არქივის მფლობელი იქნებოდა იგი. მარტო მისი პირადი მიმოწერას რარცად დავუხმარებოდა გასული საუკუნის საქართველოს ცხოვრების გაშუქებაში და იმ დროის მწერალ-მოღვაწეთა ბიოგრაფიების აღდგენაში. სამწუხაროდ, მისი არქივი არსად არსად, დაკარგულია, ანდა ჯერჯერობით მიკვლეული არ ჩანს:

საქართველოს მეცნიერებთა აკადემიის გ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის კოლექციაში დაცულია



ქუთუაძის ორბელიანის პირადი ბარათი ნინო აბაშიძის ასულ ორბელიანისაში. წერილი უთარიღია, დაზიანებული.

ქუთუაძის ორბელიანის სხენებელი ბარათი ალექსანდრე ერეკლე მეორის ძის საცოლეს ეხება, წერილში სხვა სანაწარმო ცნობებიცაა, მოგვყავს კუბურებით:

„კენა ნინო!

გახსული ძველი ლექსი, დიდი მარამ ბატონიშვილის ნათქვამი იმ ყაბართიდან მოყვანილს ქალზედა, რომელიც მოყვანათ ბატონიშვილის ალექსანდრესათვის საცოლედ და დუშთის რომ ეს მოხულა, გარდაცვილია, ყვაველი შეხედრი.

ამისი ამბავიც იქნება მოხსენებული გქონდეთ, მაგრამ გაკონტო: აქედან გაუგზავნათ აზნაურის ცოლი კავთისხევიცა და რამდენიმე მახლობელი, რომ ასწავლონ ქვეყანას სახსარები.

ამას რქმევია ნინა... სამი წელიწადი ყაბართში ყოფილა მხადება, რომ წამოსულა, მამის დუშეთში შეყრია ყვაველი, რომე მოგახსენებ შევითა.

მამის ეს ნინა შემდგარა მონაზონათ და დანებებია სოფლისათვის თავი. დიდა გაზრდილი დედაკაცი ყოფილა, ბატონის საყვარელი, გამოჩენილი ცხენოსანი და ყოვლის ნიჭებით სრული.

ეს აკროსტიხი პეტერბურგში ტაბიქემ მომცა. იქნება მოგეწონოს. ჯერ სხვა ვერა ვიპოვე რა, ვეძებ კი. შენ ნუ მომივცემო, თუკი რამ გამოდგება ჩემი შობების ქვეყნისთვის, რა ვიცი, როგორ დავიხსურებ...

ნინო, რა ამისი გული მაქვს, მაგრამ თქვენვე მიბრძანეთ, თუ რამ აწ მომაგონდა და ან ვიპოე, გაახსნებ. შენი ძალუა შ (შეშა) ნ საშაპსურ მრამბლიანი.

ეს ყაბართის ლექსი მცნობა იმ გამზღვლის ნინოსაგან უნდა იყოს და არა ბატონიშვილისა.<sup>22</sup>

ვის ეუთუთის სინამდვილეში „ყაბართის ლექსი“, ცალკე კვლევის საგანია.

თხზილდანი წელს გადაცილებულ ქუთუაძის ორბელიანის, გახუთი „ივერია“ რომ მოვიშველიოთ, „მხსნიერება და განება უკანასკნელ დრომდე შერა და მხენდაც გრძობდა თანა, თუგა ბოლო დროს საზოგადოებაში აღარ გამოდიოდა.“<sup>23</sup>

თავს რომ დაატყო აღსასრული უახლოვებოდა, თავისი ქონების მემკვიდრეებზე და სხვადასხვა საზოგადოებებზე დაიფიქრებდა. „ქართულ დრამატულ დასს“, როგორც 1897 წლის გახუთი „ივერია“ ირწმუნება, ათასი მანეთი გადასცა.<sup>24</sup>

აღსასრული სულ უფრო და უფრო ახოვდებოდა და მივიდა კიდევ. 1897 წლის 16 ნოემბერს აღსრულდა. 1897 წლის 18 ნოემბერს გახუთმა „ივერიაში“ ღვაწლმოსილი მოღვაწისა და უანგარო ქვემოქმედის სიკვდილი საზოგადოებას ასე აუწყა:

„16 ნოემბერს საღამოს 5 საათზე გარდაიცვალა დამა კავადგროსანი ცენია, ქუთუაძის ჯამბაკურ-ორბელიანისა, თავადის გიორგი ერისთავის ასული.

პანაშვიდები დანიშნულა ყოველდღე, შუადღის 2 საათზე და საღამოს 8 საათზე. დასაფლავების დღე გამოცხადებული იქნება.“<sup>25</sup>

მავე წლის 19 სექტემბრის გახუთ „ცნობის ფურცელში“ ქუთუაძის ორბელიანის ასულთა და ძეთა ასეთი სამკლოვიარო განცხადება იყო გამოქვეყნებული:

„... ალექსანდრა მაკარის ასული მელიქიშვილისაგან... ბარბარე მაკარის ასული თარხან-მორავისა, გენერალ-მაიორი ივანე და კონსტანტინე მაკარისძენი ჯამბაკურ-ორბელიანის გულითადაც მუხსნარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას საყვარელის დედისას ცენია ქუთუაძის ჯამბაკურ-ორბელიანისა და სოხვერე მიბრძანდნენ ხუთშაბათს, 20 ნოემბერს, დღის 10 საათზე რეუტის ქუჩაზე №13, საიდანაც მიცადებულის გვამი განსვენებულ იქნება სიონის ტაძარში.“<sup>26</sup>

ქუთუაძის ორბელიანის დაკრძალვას დაესწრო მთელი თბილისის სამხედრო და სამოქალაქო დიდაცობა, ყველა დაწესებულება-წარმოების წარმომადგენელი და უამრავი ხალხი.

როგორც გამოცხადებული იყო, ქუთუაძის ორბელიანი სიონის ტაძარში დაკრძალეს. ილია ჭავჭავაძის გახუთ „ივერიაში“ 1897 წლის 21 ნოემბრის ნომერში ქუთუაძის ორბელიანის დაწვლი შედგენიარად არის დახასიათებული:

„გუშინ, 20 ოქტომბერს მიაბარეს მიწას გვამი ახლახან გარდაცვლულთა ცენია ქუთუაძის ჯამბაკურ-ორბელიანისა, თავის ღირსი განთქმულის კავკასიის მოღვაწის, სენატორის თავ. გიორგი ერისთავის ქალიშვილისა. განსვენებული მონაწილეობას იღებდა თითქმის ყოველს საკითხო საქმეში და დიდად ჭკვიანი და განვითარებული ადამიანი იყო.“

იმის დროს განახლდა და აყვავდა ქართული ლიტერატურა. მის დროსვე დაარსდა ქართული სცენა, რომელშიაც პირველ ხანს იგი მონაწილეობას იღებდა როგორც სცენის მოყვარულ და სცდლიობდა იმის განმტკიცებას...<sup>27</sup>

**შენიშვნები:**

- 1 გრ. ორბელიანი — „წერილები“, 1937 წ. ტ. 11, გვ. 62; 70.
- 2 ბაკი წერეთლის „კრებულ“ 1897 წ.
- 3 იგივე წყარო.
- 4 „საზოგადოებრივ მცნებებთა განყოფილების მოამბე“, 1963 წ. № 3, გვ. 174.
- 5 ვ. შალერი — „რუსი მწერლები საქართველოს შესახებ“, 1949 წ. ტ. 1, გვ. 138.
- 6 გახ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1948 წ. ტ. 48.
- 7 ი. მუნარავია „ქართველი მწერლები“, 1954 წ. ტ. 1 გვ. 256.
- 8 ფურ. „კვილი“, 1893 წ. № 2.
- 9 გახ. „ივერია“, 1893 წ. № 1.
- 10 რ. საყვარელიძე — „ქართული თეატრის ისტორიიდან“, 1956 წ. გვ. 103.
- 11 ი. მუნარავია — „ქართველი მწერლები“, 1954 წ. ტ. 1, გვ. 257.
- 12 გახ. „ივერია“, 1899 წ. № 209.
- 13 გახ. „ხაჯაყასხუი ვესტნიკი“ (რუს.), 18502, № 1.
- 14 იგივე წყარო, № 74.
- 15 გახ. „ხოვლე ობორონიე“ (რუს.), 1889 წ. № 1995.
- 16 რ. საყვარელიძე — „ქართული თეატრის ისტორიიდან“ 1956 წ. გვ. 105.
- 17 გრ. ორბელიანი — „წერილები“, 1936 წ. ტ. 1, გვ. 202.
- 18 გახ. „ივერია“, 1889 წ. № 211.
- 19 გრ. ორბელიანი — „წერილები“ 1936 წ. ტ. 1, გვ. 203.
- 20 ნ. ბაგრატიონი — „ბურეზიანი“, 1951 წ. გვ. 35.
- 21 გახ. „ივერია“, 1893 წ. № 1.
- 22 ვ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის A კოლექციის ხელნაწერი № 1681.
- 23 გახ. „ივერია“ 1837 წ. № 242.
- 24 იგივე წყარო.
- 25 გახ. „ივერია“ 1897 წ. № 239.
- 26 გახ. „ცნობის ფურცელი“, 1897 წ. № 376.
- 27 გახ. „ივერია“ 1897 წ. № 242.

# მღვთნებები და ფიქრები

აკაკი ვასაძე

...ღმერთს აღუქსიძეს და მხატვარ სერგო ქობულაძეს საკამოდრო ჰქონდათ, რომ აჭარელ სტუდენტებთან კ. გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი“ განუხარციელებინათ; თეატრის ხელმძღვანელობაც ყოველმხრივ ეხმარებოდა მათ. „სასტუმროს დიასახლისი“ რუსთაველის თეატრში მესამე პრემიერად გავუშვეს ჩემი ხელმძღვანელობის პერიოდში. დედაქალაქის მათემატიკის ფაკულტეტის პირველი დამოუკიდებელი ნამუშევრით წარადგინე აჭარული სექცია და რეჟისორი დიმიტრი აღუქსიძე. საბედნიეროდ, და ჩემად სასიხარულოდ, ორთავე მხარემ, ამ სპექტაკლით, ნამდვილ წარმატებას მიაღწია.

მხატვარმა სერგო ქობულაძემ, კონსტრუქციული ხასიათის დანადგარებით, მიზანსწინების ასაწყობად ფართო გასაქანი მისცა დამდგმელ რეჟისორსა და ახალგაზრდა მსახიობებს. მხატვარმა სცენის ორთავე პორტალი ორსართულიანი, აივნისანი კომპლექსით მორთო, წინა პლანზე გამოასახელა კარგებებითა და შუაში, ვესტიბიულში ასასვლელი თორმეტსაფეხურიანი კიბით. დიდო აღუქსიძემ, მიუხედავად იმისა, რომ მთლად კარგად არ იცნობდა აჭარული სტუდიის მსახიობთა შესაძლებლობებს, ზოგი თავისი რეჟისორული აზლითი, ზოგიც ჩვენი რჩევით, ზუსტად ვაანაწილა როლები: მირანდოლინა — ნუკა ფსაკაძე, ფარდითი — მერაბ ხინიკაძე, ბებრუცუნა მარკოზ ფირლიშვიტი — ისკანდერ კაიკავიცივილი, ყოყლოინა კავალერი რიპორტა — იუსუფ კობალაძე... დიდო აღუქსიძემ ცოცხალი, სანტერესო, ნამდვილად შემოქმედებითი რეჟეტიციები გამართა თანატოლებთან, ახალგაზრდა მსახიობებთან და ისინიც, მთელი თავისი შესაძლებლობებით, ასაღმართელი უშუალოებითა და სიმსუბუქით თამაშობდნენ კ. გოლდონისავე თქმით ამ „ყველაზე ზნეობრივ და ყველაზე ჭკუისასწავლო“ კომედიას. ამ სპექტაკლის წარმატება, ძირითადად იმით განისაზღვრებოდა, რომ ახალგაზრდა რეჟისორმა დიდო აღუქსიძემ გამოიჩინა არა მარტო ჭეშმარიტი რეჟისორისთვის დამახასიათებელი ცოცხალი ფანტაზია, არამედ შესძლო ცოცხალი სიმართლე ჰეისისა ახლებურად აე-

ვლერებინა, შეეთვისებინა მოქმედ პირთა ხასიათებისათვის, ჰეისის ზნეობრივი იდეა მოქმედებაში მხატვრულად გამოეკვეთა და ყველაფერი ხალისიან, მძაფრ ტემპო-რიტმზე აეწყო. იმდროინდელმა პრესამაც კარგად და სწორად შეაფასა ეს ახალგაზრდული სპექტაკლი და მეც გახარებული ვიყავ, რომ ჩვენს თეატრს მართლაც საიმედო ძალა შენიშნა, რომელიც შესძლებდა რუსთაველის თეატრის შემოქმედებითი ტვირთის ღირსეულად ტარებას, რუსთაველის თეატრის შემოქმედებითი ღირსებისათვის ბრძოლას.

## ივანე ფრანკოს მთაბრის პასტროლიზი თბილისში

1936 წლის გაზაფხულზე თბილისს სტუმრად, საგასტროლოდ ეწვია ივანე ფრანკოს სახელობის უკრაინული დრამატული თეატრი კივიდან. გულთბილად და დიდი ინტერესით შეხვდა ამ გამოჩენილ, საბჭოთა კავშირში სახელმისაწვდომ თეატრს ქართული საზოგადოებრიობა, ხელოვნების ხალხი, თბილისის პრესა. ეს თეატრი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ჩვენში, მსახიობებსა და რეჟისორებში, რადგან მის შემოქმედებით ცხოვრებაში, მის ბედ-იღბალში ბევრი რამ იყო ჩვეულების ასობლივი: ჩვენ თითქმის ერთი და იგივე დებრკოლუბური ვეგონად გადასალახავი ფორმით ნაციონალური — შინაარსით სოციალისტური თეატრალური ხელოვნების შესაქმნელად და განსამტკიცებლად.

რითი უნდა გამოიხატოს ნაციონალური ფორმა თეატრალურ ხელოვნებაში? ნაციონალური ფორმა თეატრალური ხელოვნებაში — ეს არის ხელოვნების სფეროში ერის სულიერი ცხოვრების გამოვლინების სრულად ბუნებრივი, თავისთავად აღმოცენებული ფორმა და იგი ვერასდროს ვერ წარმოიშობა, ვერ აღმოცენდება, სანამ ერის მისთვის დამახასიათებელი თვისებები აქვს. ხელოვნების სფეროში ამ ფორმის გამოკვეთა დაფუძნებულია ისეთ შინაგან ძალებზე, როგორც არის ინდივიდის ენა და მისთვის სპეციფიკურად დამახასიათებელი პიროვნული თვისებები, ანუ, როგორც გარკვეული ერის წარმომადგენლის ენა და ზოგადად ეროვნული ტიპისათვის დამახასიათებელი თვისებები. მაშასადამე, ნაციონალური ფორმა

გაგრძელება იხ. „საბჭოთა ხელოვნება“ № 1, 2, 1979 წ.

თეატრალურ ხელოვნებაში გამოიხატება ნაციონალური ერთი და მსახობის ფსიქიკურ მოვლენათა, მისი შემოქმედებითი სულის სწრაფვის გამოვლინების ისეთი ფორმებით, როგორცა ტრეპარამენტის, პლასტიკა, მსოფლმანდა და სხვ.

უკრაინული თეატრის მიერ საკუთარი შემოქმედების დემონსტრირება თბილისში, იმ ეტაპზე, წარმოადგენდა არა მარტო მომხმ ხალხის მიერ საკუთარი შემოქმედებითი თეატრალური გამოცდილების ცოცხალ გაზიარებას, არამედ ჩვენს ხალხებს შორის საუკუნოვანი, ურღვევი ძმობისა და მეგობრობის კიდევ ერთხელ დადასტურებას, მის კიდევ უფრო გაღრმავებას. უკრაინული მსახობები და რეჟისორები ჩამოსვლის დღესაც დასწრენ რუსთაველის თეატრში ჩვენს სპექტაკლს „არსენას“ და წარბაქებს ვკვილავდენენ.

ივანე ფრანკოს სახელობის უკრაინული სახელმწიფო თეატრი მდიდარი რეპერტუარით წარმოსდგა ჩვენს წინაშე. განსაკუთრებული ადგილი ეკავა მის რეპერტუარში, საერთოდ, თანამედროვე თემატიკა და უკრაინული კლასიკის: ა. კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტი“ და „ესკადრის დაღუპვა“, ა. კოხნის „შინონა“, ი. კარპენკო-კარის „ფუსფუსი“ და მიოკლა სტარიცკის „ოი, რე მოხვალ, გრაცია“. თბილისელმა მაყურებელმა განსაკუთრებით „პლატონ კრეჩეტი“ და „ესკადრის დაღუპვა“ მოიწონა.

წარუშლელი ჩემს მესხიერებაში იური შუსკინის მიერ შესრულებული პლატონ კრეჩეტის როლი. ეს მსახობი, მისი შემოქმედებითი ბუნებიდან ათშუქებული საოცარი სითბოთი, ზომიერების ოსტატური შეგრძნებითა და სცენური სიმართლით, დამაჯერებლად გვიგაბდა ახალგაზრდა, მტკივე ნებისყოფის მქონე საბჭოთა მეციხეობის სახეს. მისი პლატონ კრეჩეტის ოპტიმისტური სულისკვეთება სრულიად არამყივრალა, შეიძლება ითქვას, ლირიკული ფერებით იყო შექმნილი. ოსტატურად ასრულებდა ბერესტის სახეს ო. გიტულია. გ. ბორისოვლებსკაია დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებელზე დედის როლში, თავისი მდიდარი სისადავითა და ნამდვილი ოსტატობით. ამ სპექტაკლით თეატრალ უდავოდ დაამტკიცა, რომ იგი ერთ-ერთი მოწინავე, მაღალ-შეხატული ოპლექტის პატრონია, — იმ კოლექტივის, რომელმაც სოციალისტური რეალიზმის მეთოდის ათვისებაში დიდ შედეგებს მიაღწია.

წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე „ესკადრის დაღუპვაშიც“. „ესკადრის დაღუპვით“, მისმა დამდგმელმა რეჟისორმა გნატ იურამ (თეატრის მხატვრულმა ხელმძღვანელმა) შექმნა ნამდვილი ვმირო-რომანტიკული სპექტაკლი. რეჟისორმა და მსახობების მიერ დახატული ტიპები გვაწვდიდნენ მძაფრად გამოკვეთილ სოციალურ სასათავეს, ხოლო მივილი სპექტაკლი ატარებდა პროლეტარული ბრძოლის იდეას. თოვრგარდიელთა მავაიყო, რეალისტური გამოხატვით, პიქსელისდასმულ განვითარებაში შექმნილი კონსულექტი კიდევ უფრო მძაფრდებოდა, ამოკლებდას მეტი დადასტულება ეძლეოდა, მეტი სიმწვავე. მეორეს მხრივ, „ესკადრის დაღუპვა“ გვაძლევებდა თავისი სისადავითაც, — მონუმენტურობას, რეოლუციური ეპოქის ამსახველ მკაცრ სურათებს კანონ-

ზომიერად ენაცვებოდა ადამიანური სითბოთი და უბრალოებით შემწილი სცენებით. ყოველივე ამას, რა თქმა უნდა, მსახობებით ახდენდნენ. იური შუსკინი გაიდაის სახეში დიდ ადამიანურ, ნამდვილ, ადამიანურ სიმართლეს მალელი, არტისტულ საშუალებებით გამოსცემდა. იუსუდავად ტრაგიკული ფინალიას, მინც ოპტიმისტური ექვრანობა ქონდა სპექტაკლს. და მინც, უპირველეს ყოვლისა, რით გვაძლევებდა სპექტაკლი „ესკადრის დაღუპვა“? რა თქმა უნდა, ეროვნული სულისკვეთებით. ივანე ფრანკოს თეატრის წარმოდგენებიდან უკრაინული ხალხის ხმა, უკრაინული ხალხის სასაიტი გვეხებოდა დარბაზში მსხდომ მაყურებელს, — და ეს იყო მხოლოდ თავისუფლებისათვის ბრძოლით ხალხისა, რეოლუციის მალელი იდეებისათვის მებრძოლი ხალხის ხმა.

განა იგივე პრობლემები არ იდგა მაშინდელი ქართული თეატრალური ხელოვნების წინაშე? სწორედ ეს შინაგანი სწრაფვა, ეროვნული თეატრის თავისთავადობისთვის და მსოფრედება, რეოლუციური მალელი იდეების რწმენა და შემოქმედებითი ინსურაფებები გვაახლოებდა და გვაკავშირებდა ქართულ და უკრაინულ თეატრებს. და ამ გასტროლოგმა კი საშუალოდ დაგვაახლოვა და ერთმანეთის მიმართ არა მარტო მხატვისკება, არამედ გულწრფელი მეგობრული სიყვარული განგავცდევინა უკრაინულ და ქართველ არტისტებს, რეჟისორებს, მხატვრებს, მწერლებს... პირადად მე კი მათმა გასტროლებმა ისეთი სათაყვანო მოგობრები შემიძინა, როგორებიც იყვნენ სამეო კორნეიჩუკი, მიკოლა ბაჟანი, გნატ იურა, ამბროსი ბუშმა, ნატალია უკვი, იური შუსკინი, მარიან კრუშელნიკი, ჩვენ, ამ ორი ერის თეატრალური მოღვაწენი ვაფხრეულად ვიბრძოდით მალელი-იდეური ხალხური, დიდი ფიქრისა და გრძობის, სოციალისტური პრინციპების მოწინე, ეროვნული თეატრისთვის. ამიტომ, უკრაინული თეატრი განსაკუთრებით ახლოა ჩვენთვის ისევე, როგორც სხვა მოძვე რესპუბლიკების ეროვნული თეატრები, რომელნიც ოციან-ოცდაათიან წლებში სოციალისტური რეალიზმის პრინციპებისთვის, ეროვნული თეატრალური ხელოვნების განმტკიცებისთვის აღწვოდნენ და იმ ბრძოლაში ჩამოყალიბდნენ და დამკვიდრდნენ საბუდამოდ. ხელოვნება არც რელიგიათა და არც პოლიტიკათა. ხელოვნება ყოველთვის ეროვნულია და მხოლოდ მაშინ აქვს ფასი, როდესაც ეროვნული ბუნებიდან გამომდინარე სპეციფიკურობა ახასიათებს ისეთი, რომელიც სხვა ეროვნულმა კულტურამ, სხვა ერის ხელოვნებამ შეუძლებელია წარმოქმნას და გამოავლინოს.

უკრაინის თეატრის გასტროლოგის დროს, 1936 წლის 11 ივნისის საქართველოს მწერალთა კავშირმა დიდი შეხვედრა მოაწყო ამ თეატრის მოღვაწეებთან — რეჟისორებთან, მსახობებთან, დრამატურგებთან, თეატრმკოდნებთან, კრიტიკოსებთან. მწერალთა კავშირის: სხდომათა დარბაზში სანტეტრუხე მსჯელობა გაიმართა თანამედროვე თეატრის განვითარების გზებზე და ამოცანებზე, თანამედროვე თეატრის განმტკიცების თაობაზე დრამატურგიაში, სოციალისტური რეალიზმის პრობლემაზე და ეროვნული ფორმის დასვეწა-გამიდრებაზე, ეროვნული ტრადიციების მნიშვნელობაზე თეატრალური



ბედრო კობილო („ალკაზარი“)

ხელოვნების წინსვლისათვის. ქართველმა მწერლებმა მოუთხრეს სტუმრებს, თუ რა კეთდებოდა ჩვენი თან უკრაინული ლიტერატურის ბოპულარნიზაციისათვის, — კერძოდ, როგორ რუდუნებით მზადდებოდა ქართულ ენაზე გამოსაცემად შეიქმნის ნაწარმოებთა თარგმანები. გნატ იურამ წინადადება შემოიტანა, ქართული პიესები უკრაინულ ენაზე ეთარგმნათ, რათა შემდგომ, უკრაინულ თეატრებში ქართული დრამატურგია, ქართული თემატიკა აქლერებულყო. მანვე ჩვენს, ქართველ საზოგადოებრიობას აცნობა, რომ მიეკოლა ბაგანი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაისისს“ თარგმანზე ნაყოფიერად მუშაობს. ერთი სიტყვით, ეს გასტროლები ქართველი და უკრაინელი ხალხების ფართო შესხვედრების დეკადად გადაიქცა. გასტროლების პერიოდში სტუმრებს ვატარებდით ქარსხვებში, საწარმოებში, ფაბრიკებში, კოლმუწუნოებებში, სადაც ისინი ხვდებოდნენ ჩვენს ტექნიკურ ინტელიგენციას, მუშებს, გლეხებს. მთელი იმ ხნის მანძილზე ჩვენ გულწრფელად უზუპარებდით ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას, ვუმეგობრდებოდით ერთმანეთს.

### რუსთაველის თეატრი მისამე გასტროლოვებზე მოსკოვში

ი. ფრანკოს თეატრის გასტროლების შემდეგ, რუსთაველის თეატრის დასი მორიგ შეველებოდა არ წასულა — მოსკოვის საზაფხულო გასტროლებისთვის მზადებას შეუდგენით. საგას-

ტროლო რეპერტუარში „შემოდგომის აზნაურები“ და „მამასხვი“ რომ უნდა ყოფილიყო, ამაზე ორი აზრი არ არსებობდა. აი, მესამე სექტაკლო რომელი შევევრნია, ჯერ ბოლომდე არ ჰქონდა გადაწყვეტილი თეატრის ხელმძღვანელობას. საჭირო იყო შევევრნია ისეთი სექტაკლო, რომელიც რუსთაველის თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაში თანამედროვე პრობლემების ამსახველად გამოდგებოდა, — ისეთი სექტაკლო, რომელსაც თავისი მსატრული ღირებულება იმ დროისთვის არ დაჰკარგვოდა და საინტერესო იქნებოდა საბჭოთა მაყურებლისთვის თავისი ფორმიისა და იდეური მისწრაფებითაც. ძველი რეპერტუარიდან, თანამედროვე მოთხოვნებს ყველაზე მეტად „ანზორი“ პასუხობდა, უპირატესთა მის მხარეზე იყო, რადგან „ანზორი“ ეფექტურ მსატრულ ფორმებში გამოხატავდა კავკასიის ხალხთა რევოლუციური, ლენინური იდეებისთვის ბრძოლას.

შეუდგენით მუშაობას. სამთავე დადგამაში შესწორებები შევევრნა. „ანზორი“ ზოგიერთი სცენები შევეცვლა. კუკური პატარაფისთან და ონა ტუსკაისთან ერთად „შემოდგომის აზნაურების“ მუსიკალური ფორმა რაც შეიძლებოდა დავეცვინეთ. „ანზორი“ ახალი შემსრულებლები შევიყვანეთ და მეორე ლოქმელების „გაუმჯობესებასაც“ შევეცადეთ, მაგრამ, ვერაფერი შევანატი მნიშვნელოვანი.

რუსთაველის თეატრიდან მოსკოვს, ერთი თვით ადრე, მივლინებულ იქნა დირექტორის მოადგილე გ. გუგუნავა, რათა იგი ადგილზე გარკვეულიყო, როგორ ემზადდებოდნენ თვით მოსკოველები ჩვენი გასტროლებისათვის და, თავის მხრივაც, სხვადასხვა აღმინისტრაციული საქმეებისთვის მიეხედა. როგორც წინა გასტროლებმა დაგვარწმუნა, ჩვენი დეკორაციები ყველაზე უკეთ მიესადაგებოდა ვახტანგოვის თეატრის სცენას და, ჩვენი მოკრძალებული თხოვნის შესაბამისად, ხელოვნების კომიტეტმა, ამჟამადაც ვახტანგოვის თეატრის შენთან დაგვიმითო რუსთაველების სავასტროლო წარმოდგენათა გასამართავად.

და, აი, 1936 წლის 14 აგვისტოს, ას თომშიყო კაცისაგან შევედარე ჩვენი კოლექტივი მოსკოვისკენ დაიძრა. ძალიან ვლენავდი, ბევრი რამ მაფიქრებდა და წინასწარ მძაბავდა, რად ღიხს თუნდაც ის ფაქტი, რომ, თეატრის დირექციის ბრძანებისამებრ, სადღურზე ერთი საათით ადრე გამიცხადებულ კოლექტივს ორი კაცი აკლდა, ორი მსახიობი, — უკვე თხუთმეტი წუთიდა რჩებოდა მატარებლის გასვლამდე და, ის ორნი კი არა და არ ჩანდნენ. ცუდად მეჩინა მე ეს, ბევრი სხვა კურონიებისთვისაც განმაწყია და განმაშხადა. და, აი, სადღურზე მცოცხ, მღღავარებისაგან სული ყელში რომ მეგვიჩენებოდა, ვალერიან გუნია, თითქოს მიფარველი, დამამხლებელი და მანუემებელი ანდელოსიით მომეხვლინა იქ. ჩვენი ქართული თეატრის ეს დიდი ვეტერანი, ეს პაეტაკი კაცი, ღიმილით მიმიხალხვდა, თავისი გულიანი ხმითა და გამამხებველი კილოთი შემოგვძახა ორთავე აკაცის: — აბა, თქვენ იცით, მაგრავეული დაგვიბრუნდით. მჯერა, ასეც იქნება! — და მიკრდზე მივიყვანე. — როგორღაც უყვრად დამამშვიდა, წილში გამმართა. უკვე იმაზეც აღარ ვდარდობდი, რომ ის ორი მსახიობი არ ჩანდა, — შეუცვლელი ტლანტები არ ბრძანდებოდნენ! მაგრამ თვითონ ფაქტი იყო შემადრწუნებელი, რამაც ხახითი მიმიწამდა (გასტროლების დამთავრების შედეგად, კაი ხნის მერე თვითონაც მიხვდნენ თავიანთ გამოუს-



წორედ შეცდომას და მონაბიების წერილებსა მწერდნენ, მაგრამ, მეტიხელს თავად ნიუხენება, რომ არსებობს შეცდომები, რომელთა გადამწერება შეუძლებელია. მე კიდევ იმედი მქონდა, ეგებ რაიმე ცხოვრებისეული უსამოვნება შეეხებოდა: და სადმე გზაში, ან თუნდაც მოსკოვში შემოვივიროდი. მაგრამ ბელარუსი დირექტორმა და მისმა მოადგილემ გამოიხატა, რომ ისინი გასტროლებში ვერ მიიღებენ მონაწილეობას „საკუთარი პრინციპული შეხედულებების“ გამო. რა უნდა გეზა. სინაზე გულში გავგუდე და კრინტი არ დამარტყა. — კრიტიკურულმა თვლი შევაგლე დირექტორსა და მის მოადგილეს, მზერი თხოლოდ ამასლა ვსაყვედურობდი, რატომ ადრევე არ შემატყობინეს.

ტულაში, დაბით, თეატრის მთავარი ადმინისტრატორი პავლე კანდელაკი და მისი თანაშემწე შალიკაინი დავგვხვდნენ. მათ მოსკოვში დაბეჭდილი საგასტროლო ლიბრეტოები, პრोगრა-მები და მივლი თვის მანძილზე საგასტროლო წარმოდგენათა განრიგი ჩამოურთველ დასის წევრებს. საგასტროლო წარმოდგენათა განრიგში აღნიშნული იყო, რომ „არსენა“ 11 ფესტივალზე მონაწილე სპექტაკლთა რიცხვში ითვლებოდა და 5 სექტემბერს დიდი თეატრის ფილიალში უნდა გვეჩვენებინა. ამასთანავე, მათ ჩამოვივრიტეს სასტუმროების მისამართები და ნომრები, ვინ სად უნდა მოვთხოვებოდაყვირი. პავლე კანდელაკისთვის ეს არ გახლდათ პირველი საგასტროლო მოგზაურობა და მან, როგორც უკვე გამომცდლმა ადმინისტრატორმა, თავისი ბეჯითობა და მონღოებით, შესანიშნავად გაართვა თავი ამოთხოვი კაცის მოვლა-პატრონობას, მათი მიღება-დაბინავების საქმეს მოსკოვში და, აგრეთვე, სხვა უფრო წერილობითი საქმეების მოვლას, — იმ წერილმანი, მაგრამ საკმაოდ სადავითარაბო საქმეებისა, რომლებიც მოგზაურობისას ყოველთვის ირჩევი ხოლმე თავს.

ჩვენ ისაც გვაცნობეს წინასწარ, თუ ვინ დავგვხვდებოდა დილას მოსკოვის სადგურზე, რომ მოსკოვის წამყვანი თეატრების ცნობილი მასხიოები შეებულებიდან ჯერ არ დაბრუნებულნიყვნენ. — მათ შორის, ჩვენი მასპინძლობის, ვასტრაციის თეატრის მასხიოებიც უშეებულებამი იმყოფებოდნენ სექტემბრის თვედგე. პავლე კანდელაკმა ისიც გადმოგვცა, რომ თაირიგმა, ალისა კონენმა, იუზოვსკიმ, გოლოვამ და სერგო ამალობუმა მე და ჩემს სესხიას დიდი სალომე შემოგვითვალა, — მოთმენლად გვლით და თქვენს ახალ ნამუშევრებს აუცილებლად ენახათ. რაც შეუძლებლად მასურების დასტურებას — ჯერ კიდევ თბილისში, წამოსვლის წინ უკვე ვივლით, რომ ჩვენს წარმოდგენებზე ხალხი ერთი თვით ადრე უკვე იძენდა ბიულეტენს და ასპარეცენტაინი დასტურება გვექმებოდა, ხილო საფესტივალთა სპექტაკლი „არსენა“ ხელოვნების კომიტეტის წინასწარ მილიანად შევსყდა როგორც ადგილობრივი, მოსკოვლი ხელოვნების მუშაკათათვის, ასევე უცხოელი სტუმრებისთვის.

18 აგვისტოს თერთმეტ საათზე ჩავვიდით მოსკოვს. კურსკის ვაგზალზე მოსკოვის საზოგადოებრიობა ზეიმით შეგვხვდა მისთვის უკვე ძველ ნაცნობებს, და წარმატება გვისურვეს. თეატრის სახელით მე მადლობა მოვახსენე მასპინძლებს გულთბილი დახვედრისათვის და მოკლე მოვახსენე ჩვენი გასტროლების მიზანი — კერძოდ, რომ გვსურდა, კიდევ ერთხელ, ჩვენი შემოქმედებითი ანგარიშით წარმადგარავით დიდაქალას საზოგადოებრიობის წინაშე და მათი თვალთაც შეგვემოწმებინა და შეგვეფასებინა ჩვენი შემოქმედებითი გზის ავ-

კარგიანობა. რა თქმა უნდა, კურსკის ვაგზალზე მოსკოვი მსოფრთხი და მოთუზავე ქართულობაც დიდის ინტერესით მოგვხვდა. სიყვარული გვებულებოდა.

შორე დღის, დილით, ხელოვნების კომიტეტის თავმჯდომარეს, პლატონ მიხეილის ძე კერენცევს ვეწვიე, მადლობა გადავუხადე რუსთაველის თეატრის გულთბილი მიტებისათვის დედამამამე და პრემიერაზე მოვაპატრე კომიტეტის ყველა თანამშრომლებითურთ. ამასთანავე, ვთხოვე, ვასტრაციის თეატრში ორგეატრის ადგილი აეხადათ ჩვენთვის, რადგან სამთავე თაბითისის ორგეატრი დიად უნდა ყოფილიყო. ხანმოკლე დაბინების შემდეგ ერთმანდის დროებით დავეშვიდებოთ და მე ვასტრაციის თეატრისკენ გავწვიე, სადაც ჩვენი ძველი, სახელოვანი სცენის მუშები „არსენას“ დეკორაციების დამატრებას, ალბათ, უკვე ამთავრებდნენ. როგორც წესი, რეჟისორის თანაშემწე გოგი ბაგრაძე, მადგომ ნაწილის გამვე ნიკოლოზ კრავეიშვილი და მსატვარი ირაკლი გამრეკელი მუშებს თავზე ადგენენ და დეკორაციების დამატრებას ხელმძღვანელობდნენ. სანამ ვასტრაციის თეატრში მივიდლი, ორგეატრის ადგილი უკვე გახსნილი დამხვდა, უკვე პულტის ალაგებდნენ და ელექტროგაყვანილობას აწესრავებდნენ იქ.

ცნამეტში სადამოს რეპეტიცია ჩავატარე, თეატრის აკუსტიკა ერთხელაც მოესწავთ და, რეპეტიციის შემდეგ, რომეც მიხატობის სად და როგორ იყო მიწყობილი, პავლე კანდელაკთან ერთად დავათვლიერე. პავლეს ყველაფერი შეძლებისდაგვარად რეიანად გაუკეთებია, არავის გამოთუქვას რაიმე საყვედური და მეც ამით გულდამშვიდებული დავბრუნდი ჩემს ნომრში.

ოც აგვისტოს „არსენათ“ დავიწყეთ გასტროლები ვასტრაციის თეატრში. სპექტაკლს დაესწრნენ ალისა კონენი, ალექსანდრი თაირიგი, ნიკოლოზ პოლსკოვი, იუნა იუზოვსკი, თამარა ივანეზოვა, ლუბიმილე-ვალსკი და ჩვენი თანამამამელები, იმუამდ მცირე თეატრის დირექტორი სერგო ამალობელი და მიწელი კაციანი. მივიდნენ აგრეთვე ხელოვნების კომიტეტის: პლატონ კერენცევი, მისი მოადგილე მთარასკი და სხვები. წარმოდგენას ესწრებოდნენ მოსკოვის ყველა გაზეთის წარმომადგენლები და ფოტოგურსამონდენტები. მასურებელთა დარბაზში დიდი მოლოდინის დაბამული ატმოსფერო სუფავდა.

მე აქ არ შეჩერდები სხვადასხვა დეტალებზე, რომლებიც მეტყველებენ ჩვენს განარჯვებასა და სიხარულზე, რადგან ვშიშობ, თავის ქება არ გამოვიტყვებ. აღვნიშნავ მხოლოდ: 1936 წლის რუსთაველის სახელობის სასულიწმინო თეატრის საზაფხულო გასტროლებმა მოსკოვის საზოგადოებრიობის დიდი აღიარება მოიპოვა; გმირულ-რომანტიკული თეატრალური ნელოვნების მედრომედ იქნა გამოცხადებული ჩვენი თეატრი, რომელმაც შესწლო თანამედროვე თემატიკის ტემპარიტად მსატრულ სიმალეზე გადაწვევტა. ჩვენს გამარჯვებას ადასტურებს ერთი ისტორიული ფაქტი: რუსთაველის თეატრის კომიტეტის შემოქმედებითი წარმატებები გადაიქცა იმის საბაზად, რომ სამბოთა მთავრობამ სამბოთა კავშირში დააწესა ახალი წოდება თეატრალურ მოღვაწეთათვის, — კერძოდ, სამბოთა კავშირის სახალხო არტისტის წოდება. — ის, ხანი თითხმებტ მოღვაწისა თეატრალური ხელოვნების სფეროში, რომელთაც, ჩვენი გასტროლების შემდეგ მიენიჭათ სამბოთა კავშირის სახალხო არტისტის წოდება: სტანისლავსკი, ნემი-



როვი-დანწევით, კაზლოვი, მოსკვინი, ლეონიდოვი, კორჩა-გინა-ალექსანდროსკაია, ბიუმენტალ-ტაშინა, ნეუდანოვა, შუკინი, ლიტვინენკო-ვოლგუმიტი, სასკანანკაია, ვასაქე, ხორავა, ბუისტოვა. გავიხსენებ, რომ ჩვენს თეატრის გასტროლები გადაიქცა მხოლოდ საზაბად ამ წოდების დაარსებისა, თორემ ისეთ მიღებას, როგორებიც სტანისლავსკი და ნემიროვიჩ-დანწენკო იყვნენ, რა თქმა უნდა, ჩვენზე ადრეც და ჩვენი თეატრის გასტროლები გარეშე ეკუთვნოდნენ ეს წოდებას. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, 1936 წლის 1 სექტემბრის საკავშირო აღმასრულებელი კომიტეტის ბრძანებულებით, რუსთაველის თეატრის გასტროლების შემდეგ, ეს მაღალი წოდება ამ თითხმბრმა თეატრალურმა მიღებულმა პირველებმა მივიღეთ; ამასთანავე, რუსთაველის თეატრი, ამავე ბრძანებულების თანახმად, დაჯილდოვდა ლენინის ორდენით. საკავშირო ორდენებით დაჯილდოვდა ქართველი დრამატურგებიც: სანდრო შანიშვილიც, სერგო კლდიაშვილიც; მათთან ერთად მხატვარი — ირაკლი გამრეკელი, კომპოზიტორი — იონა ტუსუა; მხახობი — გიორგი დავითაშვილი, ნინო დავითაშვილი და სხვები. მთელი კოლექტივი დაჯილდოვდა ორი თვის ხელფასით.

რამდენიმე აღსანიშნავი ფაქტი: 1. გასტროლების დროს სერგო ორჯანიანიძემ თავის ავარაკულ დავევატატა მე, აკაკი ხორავა და რამდენიმე მხახობი რუსთაველის თეატრისა და პოლიტიკურის წევრებს შეგავხედრა მეგობრულ ვითარებაში; 2. მოსკოვის კომიტეტისა და რკინიგზის სახალხო კომისარის თხოვნით, დიდი თეატრის ფილაალმა ორჯანიანიძე ვუჩვენეთ „არსენალ“; 3. ხელფასების კომიტეტმა რუსთაველის თეატრის შეხვედრა მოუწყო მოსკოვის თეატრის მუშაკებთან.

და, აი, გასტროლების დამთავრების შემდეგ, რკინიგზის კომისარიატმა, ჩვენი კოლექტივის გამოსამგზავრებლად, სპეციალური მარშრუტით გამოიყოფო „ცისფერი ექსპრესი“, რომელმაც განრიგის გარეშე და „თავისუფალი სვლით“ წამოგვიყვანა ქართველთაგან. მხოლოდ იმ ქალაქებში ვჩერდებოდით, რომლებიდანაც წინასწარ ვებულობდით შეტყობინებას, რომ ჩვენი მისვლებმა და გამარჯვების მილოცვა ხორდა. ასე, მაგალითად, ხარკოვში შევიჩრდი, სადაც უკრაინის თეატრალურმა საზოგადოებრიობამ ვაგზალზე მძებრი, ჩვენივე შეხვედრა მოგვიყვამ და მოგვიყვამ წარამტება წარამტება „ცისფერი ექსპრესი“ ბევრ ქალაქში ხვდებოდნენ მშობლები, კეთილ მგზავრობას ვეისურებდნენ. როგორც იქნა კავკასიონის აქტი გადმოვადვით და, აქ, ბაქოში განსაკუთრებული მღელვარებითა და სიხარულით დაგვხვდნენ აზერბაიჯანელი მოგობრები: მუსტაფა მარდანოვი, მარხია ხანუმ დაჯილდოვდა; თეატრის, კინის მუშაკები, მხატვრები, მუსიკოსები და მშრომელი ხალხი აზერბაიჯანისა. აზერბაიჯანელებთან ერთად, თავისი კონკრეტული დაჯილდოვდა ჩვენი საყვარელი ნიოლოზ შენგელიანი, რომელიც იმ დროს ოცდაექვსე კომისარულ ფილმს იღებდა აზერბაიჯანში. ჩვენი ექსპრესი შეაჩერეს კიროვობაშიც, სადაც აგრეთვე გვილოცავდნენ გამარჯვებულ და კეთილ მგზავრობას ვეისურებდნენ. და ბოლოს, თბილისის ვაგზალი, სადაც მშობლიურმა, ქართულმა საზოგადოებრიობამ ღირსეულ შეხვედრა მოგვიყვამ მოსკოვს წარგზავნილმა და გამარჯვებულთა დარწმუნებულს.

რა თქმა უნდა, 1936 წლის ჩვენს გამარჯვებას საფუძვლად ედო რუსთაველის თეატრის მთელი, უკვე ხანგრძლივი შემოქმედებითი ცხოვრება და ეს დაფასება, უთუოდ, იყო მთლი-

ანობაში რუსთაველის თეატრის მიერ განვლილი გზის დაფასება. ამ ახალ ეტაპზე, ჩვენ ვედილობდით ღირსეულად გავსაგვერდოთ რუსთაველის თეატრის შემოქმედებითი გზა, ვინაიდან თეატრის ნიჭიერი, ნაცად კოლექტივის უმრავლესობა მხახობები, რეჟისორები, მხატვრები, მუსიკოსები, ტექნიკელები თეატრის მიერ ადრევე არჩეულ მხატვრულ პოზიციებზე; გასტროლები გამგზავრების წინ თეატრის ყოველი მუშაკი (მცერი გამოსვლისის გარდა) თანამშაველური იყო საუკეთესო შედეგების, გამარჯვების სურვილითა და, ამისთვის, ვისაც რა შეეძლო, ვისაც რა გამოედილება ვეჭონდა, ერთმანეთს მუშად ვუსთარებდით. საბედნიეროდ, გასტროლების წინ ნამდვილი ერთსულოვნება დამყარდა კოლექტივში და, უნდა აღინიშნოს, რომ მოსკოვის, ლენინგრადის, ხარკოვისა თუ ბაქოს თეატრალურ საზოგადოებაზეც და, საერთოდ, ჩვენს საგასტროლო საქმიანობაზეც დასწრე თეატრებზეც, სწორედ ეს ერთსულოვნება იდო შთაბეჭდილობას ახდენდა როგორც შეხვედრების დროს, ასევე სცენაზე მწყობრად აგებულ თამაშში.

ერთის მხრივ — მთავრობის ყოველდღიურმა, დაუზარებლმა ზრუნვამ, მეორეს მხრივ — გასტროლებზე წარმატებამ, არა მარტო მე, მიუღ დასწრე მოაუნერგა იმის რწმენა და იმედი, რომ თუ დიდის სიფრთხილით აწვინდით ყოველ ჩვენს ნაბიჯს და თავდადებით ვიმუშავებდით, შედეგებით თეატრის მომავლისთვის გვევლავნა და ღირსეულად გვეტარებინა ქართველი არტისტის სასული. პირადად მე მთელის არსებით, სინდისიერად — თავდადებულ შრომამ ვპოულობდი სულიერი სიმშვიდე და, ეს იყო ჩემი შინაგანი მოთხოვნისთვის და მრავალი ხიფათისაგან თავისდაღწევის საშუალებაც. სწორედ ასეთი თავდადებულები, შეიძლება ითქვას სიბრძნავდევ თავნადულ შრომის მოცობით, მხოლოდ და მხოლოდ თეატრის ბუნებრივ დაინტერესებით იყო, რომ მრავალ ხიფათს ბუდმა ანაცედინა. ახლა უსუსტად ვეღარც ვიტყვი, ნებით იყო ეს თუ ინსტინქტით, გამარჯვების წახალისებით იყო ეს თუ ჩვენი თეატრისადმი მთავრობის მიერ ზრუნვით, მაგრამ, მე ვერძენი, (ვიგრძენის აქ იმიტომ ვამბობ, რომ უკეთეს სიტყვას ვერ ვპოულობ იმ სულიერი მდგომარეობის, იმ შინაგანი მდგომარეობის გამოსახატვად), რომ პარტიის მითითებისაგან განსე არ უნდა გადავხრილიყავი თუ თეატრისთვის სიკეთე მსურდა, საკუთარ განდიდებებზე და პატივსუფარების უმცირეს გამოვლენებაზეც მკაცრად უნდა გამეწა კონტროლი და, ამასთანავე, უნდა მომინერვდა რწმენა იმისა, რომ იმისი, რასაც ჩემგან პარტია მოითხოვდა, უნდა დამეხანა სიკეთის მარცვლი. დაიხ, ეს უნდა დამეხანა, რადგან სიკეთის მარცვლის დანახვისა და რწმენის გარეშე კაცი ვერაფერს შექმნის თეატრალური ხელოვნებაში, — თუ არ გვწამს და არ გინდა რასაც ემსახურებო, ვერაფერი გამოვიკა და უნებურად აღმოვნიდით არა თუ გარეყული, არამედ პოლიტიკური ინტრიგებს გადავყოლილი, რასაც არა იმეითად თავის წაგებაც მოჰყვებოდა იმ რთულ ხანაში. მწერალი, მხატვარს, მუსიკოსს თავის თვითან აქვს საქმე და, ძირითადად, თავის თვითან აგებს პასუხს; თეატრალურ ხელოვნებაში კი — მიუღოს კოლექტივთან, თეატრის ცხოვრებასთან, თეატრის მიმავალთან. არა მარტო მე, დარწმუნებული ვარ, თეატრის ყოველი წევრი გრძობდა უკვე ამას და, იმ წლებში, ერთმანეთთან უთქმელადაც ვცდილობდით ჩვენი თეატრის მიმავალი დაგვენასა და მასზე გვეზრუნა.



აქო-იქით თვალის ცეცებას. ფუსფუსს, კამათს და სხვა ამდაგვარს, ცედილობდით, არ ავსოვლიდით.

ამგვარად, 1936 წლის რუსთაველის თეატრის გასტროლებმა არანეულებრივი წარმატებით ჩაიარა. ჩემს თავს ნებას ვერ მივცემ, ამის შესახებ სიტყვა განავრცო, — დაინტერესებული მეიხსნებელი ჩვენი წარმატებების ამბავს იმდროინდელი საკავშირო და ქართული პრესის ფურცლებიდანაც იოლად ამოიკითხავს.

### ახალი ამოცანები

ჩემიშინს, როგორც მსახიობისათვის, რეჟისორისათვისა და თეატრის ხელმძღვანელისთვის უკვე ცხადი გახდა რომ, ერთის მხრივ, უფრო ღრმად უნდა ჩავწოდომოდი ისტორიის და მესწავლა მივან, ღრმად ჩავეყრივებოდი ხალხურ შემოქმედებას, დაემანება მასში სიხალდე და სილამაზე, მომინახა მისი გამოყენების საშუალებები თანამედროვე თეატრის ცხოვრების დონეზე; მეორეს მხრივ, შემოქმედებითად უნდა დავინტერესებულყავი იმ თემებით, რომლებიც წამოიჭრენ უდიდესი სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიური ძვრების დროს საბჭოთა კავშირში და მის საზღვრებს გარეთაც. როგორც თეატრალური მოდელზე, გულგრილი ვერ დავრჩებოდი და არც უნდა დავარჩევილიყავი ისეთი მოვლენების მიმართ, როგორიც იყო წარმატებები სოფლის მეურნეობასა თუ მძიმე მრეწველობაში, ახალი კონსტრუქციის შექმნა, გერმანული და იტალიური ფაშიზმის გახსნაცეცება ვერაპოში, ესპანეთში ძმობა სისხლისმღვრელი ომის გაჩაღება გენერალ ფრანკოს მეთაურობით და სხვა.

დრო ავანებდა ამ საკითხებს, დრო პაბდებდა ამ თემებს, მითუმეტეს, თეატრალური ხელოვნების სფეროში, რომელიც, ხელოვნების სხვა დარგებთან განსხვავებით, განსაკუთრებით ემორჩილება დროის მოთხოვნებს, განსაკუთრებული სიახლოვეთ უნდა მიჰყვებოდეს დროს და პასუს სცემდეს მის მიერ დასმულ კითხვებსა და მოთხოვნებს.

დრამატურგის, რეჟისორისა და მსახიობისგან ახალი დრო მოითხოვდა ადამიანის დახატვას პერსპექტივაში, ქმედით ცხოვრებაში, — ახალად ადამიანის ასახვას სოციალისტურ რეალისმის პოზიციებიდან; დრო მოითხოვდა, აგრეთვე, ჩვენი წვლილის შეტანას პროგრესული კაცობრიობის ბრძოლის საქმეში ფაშიზმის წინააღმდეგ.

ასეთი წარმატებებისა და დასახელების შემდეგ, რუსთაველის თეატრს რომ უფრო მეტი გულსისყური და დაფიქრება მოეთხოვებოდა ზემოთქ ჩამოთვლილი მოვლენებისადმი, ეს უკვე თავისთავად იგულისხმება. ჩვენ ასე თუ ისე პასუხი უნდა გავცემა საბჭოთა კავშირში დროის მიერ წამოჭრილ კითხვებსა და პრობლემებს. ამისთვის კი, უპირველეს ყოვლისა, დრამატურგებთან მჭიდრო კავშირი უნდა დაგვეწყობინა და ერთმანეთთან ფიქრისა და გამოცდილების გაზიარებით, თანამედროვეობის ასახველი პიესები შეგვექმნა. სათანადო დრამატული ნაწარმოებების გარეშე, თეატრის წინაშე დასმული ამოცანების გადაწყვეტა შეუძლებელი იქნებოდა. ყოველივე ეს მე მოვახსენე ზემდგომ ორგანოებს მოგითხოვე დახმარება საერთოდ შეწყრაღათა დასაზარაზავად, დასაინტერესებლად იმ თანამედროვე თემებით, რომელთა

განხორციელებასაც რუსთაველის თეატრისაგან მოელოდნენ და მსომივე, ყურად იღეს ჩემი წინადადება.

სამხრეთ, ამ მიზნით, სასწრაფოდ მოწვეული იქნა თათბირი მწერლების, დრამატურგებისა და თეატრალური მუშაკებისათვის. თათბირზე ის საკითხები იქნა დასმული, რომლებიც, უმთავრეს, დრამატულ ნაწარმოებებში უნდა ყოფილიყვნენ განხორციელებულნი, ანუ, რომლებიც უკვე თემებს წარმოადგენდნენ: 1. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიიდან — ბათუმის პერიოდში, 1905 წელი და ტამარჯორის კონფერენცია; 2. თანამედროვე მართლმადიდებლური მუშაკის სახე; 3. სტახანოვიური ძვრები სახალხო მურწილობაში; 4. კოლმურენობის მოწინავე მუშაკის სახე; 5 სახალხო ფრონტის ბრძოლა ფრანკსა და ფაშიზმის წინააღმდეგ ესპანეთში. თათბირზე დამსწრე დრამატურგებმა — შალვა დადიანმა, სანდრო შანშიაშვილმა, პოლიკარპე კაკაბაძემ, სერგო კლიდაშვილმა და სხვებმა თეატრული გეგმა მოიწონეს და, ყოველმა მათგანმა თავისი შემოქმედებით მიმართულების შესაფერისი თემა აირჩია დრამატურგიულად განხორციელებისათვის. რუსთაველის თეატრის ახალი რეპერტუარის შექმნაზე პასუხისმგებლობა, როგორც თეატრის ხელმძღვანელს, მე დადაკისრეს. ამასთან დაკავშირებით, მე იქვე ვივლადიდებულე სანდრო შანშიაშვილთან და პოლიკარპე კაკაბაძესთან მუშაობა, მათთან მჭიდრო კონტაქტის დაწყებაში მათ მიერ დრამატურგიული ნაწარმოებების შექმნის პროცესში.

თათბირი რომ დასრულდა, პოლიკარპე კაკაბაძე დავიმარტოსულე ქუჩაში და შევეცადე ცხელ გულზევე, გზად მიმეყოლებინა მისთვის ახალი, კონკრეტული თემა და სხე. კერძოდ, ორსანტიელ კოლმურენო გოგინასზე — ლუბა შენგელიაზე ვესაუბრე, აღვეწვიე მისი იერი, ხასიათი, პოლიკარპე გულდაამით, დიდი ინტერესით მისმენდა. რამდენიმე დღის შემდეგ თეატრში გამოიზარა და მისთვის ხელოვნების სამმართველოდან საჭირო მიმართვა მიეცა, როგორც ორსანტიას კოლმურენობის თავმჯდომარესთან, ასევე კახეთის ერთ-ერთ მოწინავე კოლმურენოებაში, ჩვენი მშრომელი გლეზობის ყოფა-ცხოვრების ადგილზე გაეწარადა დასაფიქროსათვის. მისი თხოვნა, რა თქმა უნდა, სასწრაფოდ აღმოკრულდა.

სერგო კლიდაშვილმაც დიდხანს არ გავალოდინა. „გმირთა თათბირს“ სახელწოდებით თავისი პიესის საკვანძო სცენები წარმოგვიდგინა და, დაგვიბრდა, სეზონის მეორე ნახევრისთვის პიესას მთლიანად ჩავაბარებოთ.

მაგრამ ყველაზე ადრე, რუსთაველის თეატრში, დასრულებული ლიბრეტოები და სასტრუქოსო სადღგმო ექსპოზიციით გამოცხადნენ გიორგი მდივანი და დიმიტრი ალექსიძე. მათმა ჩანაფიქრმა ისე გამიტაცა, რომ ჩემს პატარა სამუშაოთაშინ დავსვი გიორგი მდივანი და, რამდენიმე დღეში, ჩემს თვალში შევიქმნა ცნობილი პიესა „ალკასარი“, რომელიც დიმიტრი ალექსიძეს უნდა დაეღვა. პიესაში უშუალოდ იყო გამოხატული ესპანელი ხალხის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის აქტუალობები ფაშიზმის წინააღმდეგ. პიესაში მოქმედება ვითარებოდა ბუნებრივად, უშუალოდ; მხატვრული სახეები თანდათან, ძალდაუტანებლად იზადებოდნენ და ხალხის სურთქით ცოცხლდებნენ. ავტორები ეგზოტიკური შტამებისა და ვარცხნილი ეფექტების ვარცხნი მჭინდა ცხოველყოფილ, გმირულ-რომანტიკულ სურათს ესპანელი ხალხის ბედზე, ხალხის თავადებულ ბრძოლაზე თავისი რწმენით.



ნისა და მშვიდობის საერთო გამარჯვებისათვის. გიორგი ზღვიძლის პიესა „ალკაზარი“ იმდენად იყო დამყარებული გა-  
ნების ფურცლებზე გამოქვეყნებულ ფაქტებზე ინტერინდუ-  
ელი ესპანეთის სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებიდან, იმდენ-  
ად იყო ნაკარნახევი თვით ცხოვრების მიერ, რომ, სადაც, ავი  
ლიტერატურულ რეპორტაჟს მოვამოხებდა. მეორეს  
მხრივ, პიესაში შექმნილი მწვევალი კომიზიები და პიესის მო-  
ქალაქობრივი პათოსი, ვხედავდი, სცენაზე ამალეღვებელი  
ქმედები ვაშლა-განვითარების საშუალებას იძლეოდა.  
მართალია, გიორგი მდივანი მუშაობდა დიმიტრი ალექსიძე-  
სთან მჭიდრო კონტაქტში, მაგრამ მეც, რა თქმა უნდა, არ  
ვაკლებდი ყურადღებას. მჭიდრო შემოქმედებითმა კავშირ-  
მა დრამატურგსა და თეატრს შორის, როგორც ყოველთვის,  
ახლაც კარგი ნაყოფი გამოიღო. ამჟერადაც, გიორგი მდივან-  
მა და რუსთაველის თეატრმა, ახალგაზრდა რეჟისორმა დი-  
მიტრი ალექსიძემ, მხატვარმა დიმიტრი თავაძემ, კომპოზი-  
ტორმა ივანე გოგიუელმა და სპექტაკლში დაკავებულმა მთელ-  
მა ანსამბლმა აკაკი ხორავასა და გიორგი დავითაშვილის  
შეფარებით შექმნიეს დიდი რეჟისორის მქონე, საინტერესო  
სპექტაკლი, სპექტაკლში მეც დათვლებული მონაწილეობას,  
როგორც დებუთორი, პერფორმირების როლშიც და, ვგონებ,  
რეპეტიციებზეც და სპექტაკლშიც, „ალკაზარის“ სცენური  
სრულყოფის საქმეში გარკვეული წვლილი შეიტანე.

არ შევდებდი, თუ ვიტყვი, რომ გიორგი მდივანი, რო-  
გორც დრამატურგი, საკავშირო ასპარეზზე სწორედ „ალკა-  
ზარით“ გამოვიდა. მისი „ალკაზარი“ წარმატებით დაიდგა  
ანა მარტო რუსთაველის თეატრის სცენაზე, არამედ მოსკოვის  
კამერულ თეატრში, ცნობილი რეჟისორის ალექსანდრე თაი-  
როვის მიერ 1937 წლის სეზონში. გიორგი მდივანის „ალკა-  
ზარი“ — ეს იყო მეორე შემთხვევა საბჭოთა თეატრის ის-  
ტორიაში, როდესაც უცხო მასალაზე აგებული დრამატული  
ნაწარმოები მიესადაგებოდა საბჭოთა ხალხის იდეალებს და  
მის სულისკეთებას გამოხატავდა. რაც მთავარია, „ალკაზ-  
არი“ დროს ემხარებოდა და პასუხობდა მის მოთხოვნას,  
აღვიწევდა მყარების სიძულვილის ფაშისმისადმი.

ასევე პასუხობდა დროის მოთხოვნას სერგო ვლდასაშვილის  
პიესა „გმირთა თაობა“. ეს პიესა რეჟისორმა კუკური პატა-  
რიძემ დადგა; სპექტაკლი მხატვრულად გააფორმა დიმიტ-  
რი თავაძემ. მთავარ როლებს ასრულებდნენ გიორგი დავითა-  
შვილი და მიხეილ გელოვანი. მიხეილ გელოვანი, რომელიც  
ხვდავდა მის შემთხვევის გამო, წლების მანძილზე თეატრის  
გარეთ იმყოფებოდა, ჩემი ხელმძღვანელად დანიშნვისთანავე  
ჩაერთვებ დამში და უმაღლესი მუშაობის ჩავაბი ეს ნიჭიერი,  
უკვე დიდი გამოცდილების მქონე მსახიობი.

მთავარი როლების შემსრულებელ მსახიობთა გატაცებით  
მუშაობამ, უთუოდ შე-ამოსწია და მხატვრულად საინტერესო-  
სად წარმოაჩინა ამ პიესის საზოგადოებრივი მნიშვნელობა.  
მიუხედავად ცალკეული სუსტი ადგილებისა, დადგმის მარი-  
ვაც, სპექტაკლი მანც კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა მყა-  
რებულ რეორც მხატვრული, ასევე იდეური თვალსაზრი-  
თი. განსაკუთრებით მოწონების იმასხურებდა გიორგი და-  
ვითაშვილი — კოლხიდშიების უფროსის, გამოცდილი ინ-  
ჟინერის, კომუნისტ დიმიტრი გველიას როლში. მსახიობი  
განსაკუთრებით ამსჯელებდა ყურადღებას დიმიტრი გველ-  
იას ხასიათზე, მის მტკიცე ნებისყოფასა და თავდაჭერილი-  
ბაზე; მის უყვევ რწმენას კომუნისტისადმი მიუღლის სისრუ-  
ლთი გამოხატავდა. „გმირთა თაობას“ რუსთაველის თეატრის

რეპერტუარში დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა შეიქმნა.  
იგი ცხადვით მოწმობდა, რომ თეატრში მყარად გადგმულ-  
ფეს და ინტერდებოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურად აქ-  
ტუალური თემატიკა.

ამრიგად, რუსთაველის სახელობის თეატრს, ამ ეტაპზე,  
თავისი წვლილი შექმნდა საკავშირო თეატრალურ ცხოვრე-  
ბაში თავისი სარეპერტუარო პოლიტიკითა და შემოქმედე-  
ბითი მისწრაფებით. დიდი წარმატებები, რომელთაც თეატრ-  
მა მიღწია, გვაძლევდა უფლებას, რომ, საბჭოთა დრამა-  
ტურგიის იდეურად ზრდასა და მომწიფებაზე დაყრდნობით,  
ხელი მოვავსებდით პარტიის რეგულაციური წარსულის განსა-  
ხიერებისთვის.

ოტალო

თეატრი „ოტალოზე“ ფიქრსა და მუშაობას შედგა.  
რეჟისორმა შოთა აღსაბაძემ თავისი რეჟისორული ექსპოზი-  
ცია წარმოვივადგინა. მდიდარ ლიტერატურულ წყაროებზე მუ-  
შაობის შედეგად გამოიმუშავებული მისი კონცეპცია ბერის  
ახალსა და საინტერესოს აგებებდებოდა. შოთა აღსაბაძემ პირ-  
ველსავე შეხვედრისას ვე ჩამოვივადგინა თავისი შეფასება,  
თავისი გაგება ამ პიესისა: იგი ჩვენ უნდა განვეყსახიერებინა  
ანა როგორც ექვიანობის, არამედ როგორც გაყრდნული ნდო-  
ბის ტრაგედია. „ექვიანობა და აღმართისადმი უწილობისა  
მხოლოდ იავოს ახასიათებს“ — გვიმტკიცებდა დამდგემი.

„ოტალო, როგორც პუქიანი ამბობს, თავისი ბუნებით არ  
არის ექვიანი, პირიქით, მიწნდობა. აღმართისადმი მისი  
ნდობა კი გულუბრყვილობისა და უბრალეობისაგან კი არ მო-  
მდინარობს, არამედ მისი ჰალდუსლუფუნებისა და კეთილშო-  
ბილებისაგან, ცხოვრებისადმი მისი ოცნებების დამოკიდებუ-  
ლებისაგან. აი, ასეთი „საინტერესო შეხვედრების“, წინასწარი  
შეკრებების დროს, როდესაც რეჟისორი შოთა აღსაბაძე გვიმხე-  
ლდა და გვიმტკიცებდა თავის ჩანაფიქრს (რომელიც უთუოდ  
მოგვეწონდა და გვიტაცებდა) და ჩვენც, ჩვენი მხრივ ჩვენს აზ-  
რებს ვთავაზობდით, ჩვენს შეხედულებებს გამოვივადგინეთ და,  
ასე, ექვმარებოდით, ვავსებდით ერთმანეთს, თანდათან გამოი-  
კვეთა ჩვენი ერთობლივი დამოკიდებულება მომავალში განსა-  
ზორციელდებოდა მთავარი სახეებისადმი, თანდათან ჩამოვივად-  
ლივდა შედეგები მთავარებზე:

ოტალოს სწამს ყოველგვარი აღმართის სიყვეთ და ღირ-  
სება, იავოს კი არა სწამს. არა სჯერა აღმართის სიკეთისა.  
ოტალო — თავისი ეპოქის მოწინავე აღმართია, ეპოქისთვის  
საჭირო წნებების მქონე, თავისი ეპოქის საკვებოთს თვისე-  
ბებით დაჯილდოებული კაცია, მისი დიდებუნივანება და პო-  
ეტური ფრთაშესხულიობა დიდ სიხადვეს უნდა განემოხდეს.  
ექვიანობის თქმა, ოტალოს როლში (რომლის მიხედვით მო-  
ტყუებული ქმარის მხედვრად უსწორდება ვერა ოტოს) სახე-  
ბით უნდა ყოფილიყო უარყოფილი. ოტალოს სიყვარული დე-  
კლემონისადმი თავისუფალი უნდა ყოფილიყო სენტიმენტა-  
ლიზმისაგან, ვნებადაუკლებლობისა და გიუერვი გრწმობისაგან.  
მისი სიყვარული დამყარებული უნდა ყოფილიყო ერთი-  
მორის გაგებაზე, ერთი მეორის სულიერ ნათესაობაზე, მათ  
შორის კავშირზე, მათი ბილის ურთიერ გაზიარებაზე, ურ-  
თიერ პატივისცემაზე და პიროვნების მიერ პიროვნების ღირ-  
სებით აღტაცებაზე. ოტალოსთვის დევდემონის სილამაზე —

სამშოლო, ლოცვის საგანია; დეზდემონს კი მავრში უყვარს ის, რაც უგულვებელყოფს წინა კანის სიშავეს. მავრისთვის დეზდემონა არის ყოველგვარი პირობითობისაგან და წერილმანი არტახებისაგან გათავისუფლებული სიმშოლო სინდისისა, სულიერი ამაღლებულობისა, სიყვარულის უშუღვანოებისა და, ამიტომ იყო, რომ დეზდემონს „დაკარგვა“ — უფრო მეტად პატრონებაში, ადამიანის სინდისში რწმენის დაკარგვას ნიშნავს მისთვის; ეს აკეთებს ოტელოს ოცნებთან, კეთილშობილ სულს და გამოჰყავს ეს თავდაჭერილი, ზრდილი, გონიერი საზრდალი სულიერი წინასწორიდან (სენტიმენტალური ცოლქმრული ეჭვიანობის ნიადაგზე რომ შემოილიყო ოტელი ასე, ეს ზომიერად დამამცირებელი გამიზნდებოდა). დეზდემონს თავისი სილამაზით, სულიერი სიწმიდით, კეთილშობილებით მავრისთვის კაცობრიობის საუკეთესო თვისებების სიმბოლოს წარმოადგენდა და, აი, თუ დეზდემონამ, ყოველივე ნათლის მქონემ და განმასახიერებელმა მოატყუა მავრი, მაშინ ყოველივე სამყაროელიც ხომ ბოლწი ყოფილა?! რწმენა ირღვევა ოტელოსი, რწმენა მთლიანად ადამიანური სამყაროსადმი — იღუპება მისი იდეალი, მისი სწრაფვა, ოცნება, და ეს შემოსის მას ჭკუიდან. მხოლოდ გვიან მიხვდება მავრი, რომ დეზდემონა — მისი ოცნება, მისი იდეალი და რწმენა უნაწიოდ არსებობს სამყაროში, ხოლო ვერაგობა და ტყუილი კი, ვერაგადამიანთა — იაგოს გულში ბუღობს.

სწორედ იაგოს გონებაში, მის სულში გაუდგამს ფესვი ეჭვი, რომელსაც ასაზრდოვებს, უპირველეს ყოვლისა, ურწმუნობა ყოველივე კეთილისა და ამაღლებულის მიმართ და უნდობლობა. იგი არავის არ ენდობა, რადგან, თავისივე თავიდან გამომდინარე, არ სჯერა კაცის სიკეთისა. იგი თავისი ბოროტი ბუნებით ზომავს ყველას და ყველაფერს. ფილოსოფიურ ასპექტში — იგი სკეპტიკოსი და ნიჰილისტია. ასეთი პიროვნებები, უმთავრესად ორის მხრით ვითარდებიან: ერთნი უმოქმედობასა და ინდიფერენტისში გამოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებას სამყაროსადმი და, ესენი, თითქმის ყოველთვის მელანქოლიკური ტემპერამენტის ადამიანები იაგოს; მეორენი — პირიქით, დიდ დაინტერესებას გამოიჩენენ ცხოვრებისადმი, დიდ ენიციკლიკას ყოველ პრაქტიკულ საქმეებში და დიდად ზრუნავენ მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე, რადგან არც სხვისი და არც საზოგადოებისა არაფერი არა სწამთ. აი, ამ მეორე, აქტიური ხასიათის სკეპტიკოსთა, ურწმუნოთა და უნდოთა რიცხვის ყველაზე მაკაიო წარმომადგენელია იაგო. იგი აღფრთხილების ხანის მედალის მეორე მხარეა — მოქნილი ავანტიურისტი, პატივმოყვარე, ხარბი და შერიანი. ამავე დროს იგი გაბედული, კარგი მეომარია, — მეტიანც. იგი ბრწყინვალეა როგორც კარიესკაცი; როგორც მებრძოლი მალა დგას იმდენად, რომ ოტელოსსაც კი უტოლებს თავს თავისი ჯარისკაცული შემართებით, ბრძოლის წარმართვის ცოდნით და ხელმძღვანელობის უნარით. იგი ალბათ შორს წავიდოდა, მაღალ თანამდებობასაც მიადგებოდა, დაქირავებული კონდოტიერი რომ არ იყოს და ვინმე მოსარჩლე, ვინმე მფარველი რომ ჰქაუდეს. მაგრამ ასეთი მას არავინ ჰყავს და, ესეც, თავის მხრივ, ნაღველში ცეცხლს უთევებს და სულს უწაყრებს, რადგანც მასზე უღონონი — უნიდაჩნი არიან და უწი წაწველნიც. აი, ეს ერთი ნივანის დასტოვდა შეჭერბრმა იაგოს სახეში ისეთი, რომელიც მცირედად „ამართლებს“ მის გაბოროტებას კაცობრიობაზე და საშუალებას აძლევს



იაგო („ოტელი“)

დრამატურგსაც და აქტიორსაც, რომ იგი სადღაც ელგებანტური, სადღაც მომიხილელიც გამოიყურებოდეს. ყველაფერი უბოძებია ღმერთს მისთვის, გარდა ერთისა — სიკეთისა, ადამიანური გულისა. და, აი, ვერ აღწვის ეს მაღალ წოდებასა და სიმდიდრეს, ალალი გზით, იგი მიმართავს ვერაგობას, გაიძვერობას, პირფერობას და თითქმის ყველა ამქვეყნიურ ცოდვეს მიმართავს მის თვალში „უკანონოდ ბედნიერთა“, „უკანონოდ გამდიდრებულთა“ გასაუბედურებლად და დასამცირებლად. ყოველი მისი ქცევა ოსტატური, დახვეწილი, კარგად შენიღბულია, რადგან იაგო, ერთის მხრივ, დიდი ნებისყოფისა და დიდი ჭკუნის კაციც არის. ამავედროს, იაგოს სახით ჩვენ საქმე გვაქვს დიდი გაქანების მქონე არამზადასთან, რომელსაც გამანადგურებელი ძალის მეტი ამქვეყნიად არაფერი სწამს და ასეთი ძალის მოპოვების გზას კი ვერაგულ ინტრიგებში ხედავს.

იაგოს ბუნების, მისი ხასიათის ასეთი გაგება, არტისტში როდი უნდა იწვევდეს „ბოროტი იაგოს“ განსახიერებას. არტისტში ეს სახე უნდა იწვევდეს გარკვეულ ისტორიულ პირობებში აღმოცენებული და გარკვეულ ისტორიულ პი-



რომებში არსებული ნაკლოვანებებით დაღდასმული „გმირის“ ჩვენებას. დიას, იაკო გმირია, რადგან ბოროტებაში იგი უთუოდ პირველია, უთუოდ ლიდერობს და ბოროტებაში ყველას გაბნის, ანუ, თუმცა ბოროტი, მაგრამ მიწენ გმირია. მსავალი ხასიათის მქონე აღმამიანი შეიძლება სხვა ეპოქის აღმამანებში აღმოვაჩინოთ, — იმ ეპოქებში, როდესაც ქვეყანას მთავრად უმთავრებდა ოქროსი და უხეში ძალით, როდესაც ქვეყანაში სოციალურად არათანასწორობაში იყო სუფეს. კარგად გამოთქვა შოთა აღსაბაძის იაკოზე თავისი შეხედულება: იგი მშვენიერი გარეგნობის და თავისი დროის ნიჭიერი მხედარია, რომელიც აღმამიანებს ისე ეკუთრება, როგორც გროსშაისტერი ჰადარაკის ფიგურებს; იგი თავის თავში დაჯერებული და ძლიერი პირივინება, — ერთი სიტყვით, ოტელოს ქიშპობის ღირსი და მისი სრული ანტიპოდაია.

ჩვენ ყველას გგვარდა შოთა აღსაბაძის ფართო რეჟისორული დიამაზონისა და გაქანებისა. მას ჰქონდა სცენური გამოხატულების სფეროში სხვადასხვა დეტალი აწყობა-დალაგების კარგი უნარი, სახალისი გრძობა, გონივრული განჭვრეტა მოქმედებისა. ცოცხალი კარგი მუსიკის მსახიობთაზე, მნატვართან და კომპოზიტორთანაც. მით უმეტეს ასლა, როდესაც გვერდში ირავდა გამრეკელი და ონკნის ამოუკეენით, უფრო დაიმედებით და ლაღად გრძობდა თავს. სულა იტყვას, რომ რუსთაველის თეატრში ექვს აზავისში იქვევდა, რომ „ოტელოს“ წარმატებით განგხორციელებდით. ეს კი ორმაგად ზრდიდა ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას განსახორციელებელი სპექტაკლისადმი.

სპექტაკლში მინაწილე ანსამბლის პასუხისმგებლობას ისიც ამავარდობა, რომ „ოტელოს“ საკმაოდ პოპულარული და არა ერთხელს წარმატებით შეხრულებული სპექტაკლი იყო როგორც ქართულ, ასევე, საერთოდ. სამჭითა თეატრების სცენაზე. თვით ოტელოს როლში მაშინაც ძალზე პოპულარული იყო ქართულ სცენაზე ალექსანდრე იმედაშვილი, სომხურ სცენაზე ვაგრამ ფაფაზიანი (ეს უკანასკნელი ოტელოს როლს, სომხურის გარდა, რუსულ და ფრანგულ ენებზეც ასრულებდა; მე მის მიერ სამთავე ენაზე შესრულებული ოტელო მინახავს). ვაგრამ ფაფაზიანი ძალზე ეფექტური და მომხიბლავი იყო ოტელოს როლში. მას უამრავი ტრადიციული საშუალებები ჰქონდა გამოყენებული და ვირტუოზულად ასრულებდა ყოველ დეტალს. მისი მოქმედება განგარნიშებული იყო ენის არ მოვლენე მაყურებელზე, რის გამოც, მისი თამაში, ზოგადა, იაფფასიანი ილუსტრირებაში გადაიზრდებოდა ხოლმე და წარმოადგენდა გრძობათა რეჟულტატის თამაშს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გრძობათა რეჟულტატის თამაში, ანუ, ილუსტრირება გრძობათა თუქვა ზოგჯერ ეფექტურ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე, მაგრამ, ასეთი რამ არ არის მოსაწონი მსახიობისგან. გრძობა, მსახიობმა, განვითარებაში — აღმოცენებასა და ზრდაში უნდა წარმოაჩინოს, მაშინ იქნება ეს ქვეშეარტი გარდასახვის მონეტა.

ვაგრამ ფაფაზიანისგან განსხვავებით, ალექსანდრე იმედაშვილი თუნწი ფერებითა და მსახიობური ილეთებით, მაგრამ დიდი უსულობით, გულწრფელობითა და მგზნებარე, ნამდვილი სცენური ტექნიკაშენით, ასრულებდა ოტელოს სახეს. მორჩილი აგებულებითაც და მხატვრული გამოსატვის მიმარ-

თულებითაც, იგი სრული ანტიპოდი იყო ვაგრამის სცენაში უმაღლო ქართული მეტყველებით, საშა გულშიაქვეყნებულ, ვრუსტული მომგვრლად კიხებულობდა და თამაშობდა სხვადასხვა სცენას. ტანი უშიღდა ხელს და, ზოგან, გადაჭარბებული ექსტაზი, გადაჭარბებული ემოციონალიზმი, ოთრმე იყო, შინაგანად, სრულად იყო როლს დაუფლებული და ნამდვილი სცენური სიმართლით ცხოვრობდა სცენაზე ოტელოს სახეში.

ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ საქართველოში ცნობილი გასტროლიორები ოტელოსა და იაკოს როლებში — ძმები რობერტ და რაფეელ აფელგეიმები. სულ ერთი წლით ადრე კი, 1936 წელს, მცირე თეატრის სცენაზე, სამოცე წლის ოსტეკვის გამოსვლა ოტელოს როლში, ბერგისთვის აღბთ ცნობილია, აღინიშნა რუსული თეატრის პირველ ცდად და გამარჯვებად შექაპირის გრძობათა სამყაროში შეღწევისა და აქტიორული გადმოცემისა.

აი, რა ვითარებაში, რა თეატრალურ შემოქმედებით ატმოსფეროში გვიხდებოდა ამ პიესის განხორციელება. პირდაპირ ეტყვი, ჩვენ თავიდანვე სრულადაც არ ვაპირებდით მოზოდ-შეითი კარის შეღებას „ოტელოს“ სცენური ცხოვრებით. რომელი ატმოსფეროში, — პიროქით, ვგრძობდით იმას, რომ ჩვენი შესაძლებლობების მიხედვით ვალდებული ვიყავით ჩვენი საკუთარი სიტყვა გვეუქვა მაღალ დონეზე და უფრო მეტისთვისაც მივევლინა. მაგრამ ეს ხომ მხოლოდ წინასწარი მსახიობური თვითმგზნება და მხოლოდ წინასწარი სურვილი იყო, რომელიც, ასევე, დიდ მოვალეობას გვაკისრებდა. გამოეტყვებოდა, სპექტაკლს „ნაეპწილიდან“ დიდი პასუხისმგებლობით, უთუოდ დიდი ზრუნვით ვდგამდი, მაგრამ გულის რთმელიდაც კნუქულიმ სულ გააშუდმებით „ოტელოსში“ ვფიქრობდი. ამიტომაც იყო, რომ კელა-ურშივე შევდებოთ „ოტელოსზე მუშაობას.

მუშაობა, ჩვეულებასამებრ, მაკიდასიან დავიწყეთ: უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო ცალკეული სცენების გაიჭოლი მოქმედების გარკვევა, სხვადასხვა ეპიზოდების გაანალიზება, მონოლოგების, დიალოგების და რეპლიკების საზრისის წვდობა და, ამ გზით, წარმოსათქმელი სიტყვის დაზუსტება, პერსონაჟთა ურთიერთობისა და დამოკიდებულების გააზრება, მათ ცხოვრებაში ჩაღრმავება, მათი ხასიათების გაათვისება. და, აი, ასე, დაიწყო ჩვენი ფიქრი და ონება ჩვენ-ჩვენი როლების განსახორციელებლად.

ჩემს თავს ნებას მივცევი აღვეწიო ჩვენი მუშაობა ზოგიერთ სცენაზე, რომლებიც მოთავსი მოქმედ პირთა ძირითად სამოქმედო ასპარეზს წარმოადგენდნენ სპექტაკლში:

პიესის პირველი აქტის მესამე სურათზე (სცენა სენატში) მუშაობის დროს დადგინდა, რომ ოტელოს, მიუხედავად ბრანანციოს მძიმე ბრალდებებისა და საკმაოდ მკაცრად გამოთქმული გულისწყრომისა, მშვიდად და დალაგებით, ყოველგვარი აფექტაციის გარეშე უნდა წარმოეთქვა თავისი მონოლოგი:

„მე მოვტაცე ამ მოხუცს ქალი; ისიც სწორია, რომ მე იგი ცოლად შევიერთე! ეს არის ჩემი შეცოდების თავი და ბოლო...“



სენა სპეტაკიდან „ოტელი“  
ოტელი — ა. ხორავა, იაგო — ა. ვასაძე.

ყვილივე ეს ოტელის უნდა წარმოეთქვა ისე, როგორც ჩვეულებრივ, ბუნებრივად მომხდარ ამბავს მოყვებოდა და, ამით, უფრო თვალსაჩინო და აშკარად შესაგრძნობი გაეხადა, რომ მას არაფერი ცუდი არ ჩაუდენია და თამამად შეუძლია თვალბში უცქიროს ყველას. მას გულწრფელად შეუძლია გაუმხილოს სენატს, თუ როგორ უყვებოდა იგი დეზდემონას თავისი ცხოვრების თავგადასავალს, თავის ჭირსა და ღვინის, და როგორ იტაცებდა დეზდემონას მისი მონაყოლი, როგორ თანაგრძნობდა დეზდემონა მის მიმე ცხოვრებას:

„მე შევიყვარე ჩემთა ჭირთა თანაგრძნობისთვის, მან შემიყვარა ჩემთა ჭირთა განმავლობისთვის. არ მისმარია ამაზე მეტი ჯადო-თილისმა“.

სწორედ შინაგანი სიმშვიდით, თავისი საპასუხო სიტყვის აუღლებელად წარმოთქმით უფრო კარგად დაარწმუნებდა ოტ-

ელ სენატს თავის ალაღმართლობაში. მღელვარება მხოლოდ მაშინ უნდა გასჩენოდა, როდესაც დეზდემონა ეტყობა სენატს:

„მე მავრი მიყვარს და მსურს მუდამ ვიცხოვრო მასთან“, დეზდემონას ამ სიტყვაზე სიხარულისა და სიყვარულის მღელვარება დაეფუღებოდა ოტელის, მაგრამ ამ მღელვარებასაც იგი მხოლოდ ძუნწი მოძრაობით გამობატავდა: უსახურო ბედნიერებისა და მადლიერების გრძნობით, იგი გარეტანებულებით ოდნავ თავს გაიქნევა, (თითქოსდა გამოსაფხიზლებლად) და კასიოს მხარს ხელს ჩამოადებდა, მიეყრდნობოდა...

ამავე სენაში, როდესაც თურქთაგან კიპროსის დაცვის ხელმძღვანელობას სენატი მას დაავალბდა, ოტელი წამიერად უნდა შეცვლილიყო და ახლა უკვე წინ უნდა წამომართულიყო როგორც მხნე მთავარსარდალი და არა ცოლზე თავდა-



ვიწყებთ შეყვარებულ მეუღლე, ახლა მის სიტყვებსაც უნდა ძლიერად ექუხა, თვითდაჯერებით და დამარწმუნებლად.

